ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუცა ტატიშვილი
მანანა მიხაილოვა

მოთმინებამ გაუძლოს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუცა ტატიშვილი
მანანა მიხაილოვა

მოთმინებამ გაუძლოს

© თბილისი 2006

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი:
ციცი გაბესკირია

სტილისტ-რედაქტორი:
რუსუდან კობახიძე

საავტორო უფლებები დაცულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება ჩემს შვილებს
პეტრე და თამრიკო გელბახიანებს.

პეტრე გელბახიანი

ამ წიგნზე მუშაობისას მივხვდი, რა ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც ასე დაგვაკლდა ყველას, ადამიანზე, რომელთანაც ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი იყო დაკავშირებული. იგი ჩემთვის მხოლოდ მამამთილი არ ყოფილა.

პეტრე გელბახიანი იყო შესანიშნავი მამა, მეუღლე, მამამთილი, ბაბუა და... მეგობარი. დიახ, იგი ჩემი მეგობარი იყო, უერთგულესი მეგობარი.

ვერასოდეს დავივიწყებ ვერც იმ ლამაზ და ბედნიერ დღეებს, რომლითაც ჩვენი დიდი ოჯახი ცხოვრობდა და ვერც იმ უმძიმეს პერიოდს, როცა ჩვენ, მე და ჩემი მამამთილი ერთად ვცდილობდით გაგვეძლო და გადაგვეტანა ოჯახიდან ორი უძვირფასესი ადამიანის უსამართლოდ მოწყვეტა, მათი არყოფნით გამოწვეული სევდა.

მიუხედავად ამ დიდი ტკივილისა, საჭიროდ მივიჩნიე გამეხსენებინა ქართული საზოგადოებისათვის პეტრე გელბახიანი, ადამიანი, რომელიც თავის პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ოდენ სიკეთითა და კაცთმოყვარეობით ხელმძღვანელობდა.

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ეს წიგნი ოდნავ მაინც მიუახლოვდება პეტრე გელბახიანის ნამდვილ პორტრეტს და კოლეგებს, მოწაფეებს, ნათესავებს და მეგობრებს მოაგონებს მის მიერ განვლილ რთულ და, ამავე დროს, მეტად საინტერესო ცხოვრების გზას.

ნუციკო ტატიშვილი-გელბახიანი

ზემო იმერეთში, მთის ძირში გაშენებულია პატარა, ძალიან ლამაზი, მწვანეში ჩაფლული სოფელი - ბუნიკური. აქ ცხოვრობს კეთილი, შრომისმოყვარე ხალხი. სოფელი სულ ოცდაათ კომლს ითვლის. ძირითადი მკვიდრნი არიან ბარათაშვილები, მეცხოვრიშვილები, გელბახიანები, აბაშიძეები, ბრეგვაძეები და გაფრინდაშვილები.

სწორედ ამ სოფელში ცხოვრობდა შეძლებული გლეხი ამირან გელბახიანი, რომელსაც სახნავ-სათესი მიწისა და ტყის დიდი ფართობი ჰქონდა საკუთრებაში. ამირან გელბახიანს არ ჰქონდა მიღებული კლასიკური განათლება, მაგრამ თავისი გონივრული შრომით და სპეციალობით (იგი კალატოზი იყო) მეტად დაფასებულ კაცად ითვლებოდა არა მარტო თავის სოფელში. ეს კაცი იყო ჩემი ბაბუა, რომელმაც განვლო ხანგრძლივი ცხოვრება, ას წელიწადს მიატანა და დატოვა შესანიშნავი შთამომავლობა. გარდაიცვალა 1933 წელს. მისი მეუღლე, ჩემი ბებია სოფიო, გამრჯე და სათნო ადამიანი, ძირითადად საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. ამირან გელბახიანს სამი შვილი ჰყავდა - ორი ქალი და ერთი ვაჟი. ვაჟს სახელად გედევანი ერქვა. გედევანი 18 წლის იყო, როდესაც ცოლად შეირთო სოფ. ხრეითიდან ტაბატაძის ქალი - სალომე. მათ შეეძინათ შვიდი შვილი, ექვსი ქალიშვილი - ოლღა, მარიამი, ვალენტინა, ოლპიატე, ლეონინა, იულია და ერთი ვაჟი. ეს ერთადერთი ვაჟი გახლდით მე - პეტრე გელბახიანი. ჩემმა დებმა ჭიათურის რაიონის სხვადასხვა სოფლებში შექმნეს ოჯახები, შთამომავლობა. ამ სტრიქონების წერის დროს ცოცხალი დამრჩა ლეონინა და იულია, რომლებიც სოფელში ეწევიან საოჯახო საქმიანობას. ლეონინა, მამის გარდაცვალების შემდეგ, დედაჩემმა ჩვენს მამა-პაპისეულ კარ-მიდამოში დაასახლა, მეუღლითა და შვილებით. იულია კი სოფელ რგანში ცხოვრობს თავისი ერთადერთი შვილითა და შვილიშვილებით. მისი მეუღლე დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს და პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მამაჩემისგან გადმოცემით ვიცი, როდესაც დედაჩემი ჩემზე ორსულად ყოფილა, ჩვენთან ოჯახში მოსულა ჩვენივე

სოფლის მკვიდრი ბიქტორ ბარათაშვილი, რომელსაც თავისი სიზმარი მოუყოლია და უთქვამს: "ჩემო გედევან, ოჯახს აუცილებლად ვაჟი გეყოლებათ. მას სახელად პეტრე უნდა დაარქვათ და მე უნდა მომანათვლინოთ". 1913 წლის 11 თებერვალს სიზმარი სინამდვილედ იქცა და საეკლესიო წესით სოფელ სარქველეთუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაში გავუნათლივარ ბიქტორ ბარათაშვილსა და სევასტი მეცხოვრიშვილს.

სალომე ტაბატაძე და გედევან გელბახიანი

სოფელ ბუნიკაურში განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა დიდი მუხნარი. მახსოვს, ბაბუა და მამა თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ამ ტყეს. საქმე ისე ჰქონდათ დაყენებული, ერთ პატარა შტოსაც კი ვერავინ შეაგდებინებდა უზარმაზარ მუხებს. ზაფხულობით ამ ტყეში გავლა და სხვადასხვა სახის მრავალი სოკო ძალზედ ხიბლავდა თვალს. ცოტა წინ გავუსწრებ მოვლენებს და აღვნიშნავ ერთ მეტად სამწუხარო ფაქტს: ეს პატარა სოფელი კოლექტივიზაციის პერიოდში სხვა სოფლებან ერთად გაერთიანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიურ მეურნეობაში და ყოველგვარი ნორმებისა და ბუნების კანონების დაცვის გარეშე გაჩეხეს ასწლოვანი მუხნარი. ახლაც გულმოკლული გავყურებ იმ ადგილს. რასაკვირველია, ტყე იზრდება, მაგრამ ძალიან ნელა, ძალიან ნელა....

ვიზრდებოდი სოფლად ჩემი ბაბუის, ბებიის, ჩემი მშობლების და ექვსი დის გარემოცვაში. როდესაც ცოტა წამოვიზარდე, ჩემს მშობლებს საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი, ძირითადად შინაური ცხოველების მწყემსობაში. ბაბუას და მამას სისტემატურად დავყვებოდი სიმინდის ყანაში სამუშაოდ. ჭირნახულით შეძლებულ ოჯახად ვითვლებოდით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან შემოსავალი ჩვენთვის სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ოჯახისათვის საჭირო სხვა საგნების, საოჯახო ნივთების, ტანსაცმლის შესაძენად საჭირო იყო ფულადი სახსრები, რომლის გაჭირვებასაც განვიცდიდით.

მამაჩემი დაავადებული იყო ასთმით. იმ დროს ასთმის წამალი არც თუ ისე ადვილი საშოვნელი იყო. შევიტყვეთ, ერთ-ერთ მახლობელ სოფელში ამ დაავადების სამკურნალო საშუალება სცოდნოდათ. ჩემი უფროსი დები ხშირად მიდიოდნენ იქ და ფულზე, ზოგ შემთხვევაში პროდუქტზე, ვიძენდით ამ წამალს. ერთ დღეს, როდესაც მამა ძალზე ცუდად გახდა, ჩემი უფროსი დები იმ სოფლისკენ გაეშურნენ, ოჯახის პატრონს მოცდა შეუთავაზებია - სანამ წამალს დავამზადებო, თვითონ კი სახლის მოფარებულ ადგილას, თოკზე ჩამოკიდებული მცენარის ერთი შტო მოუწყვეტია და წასულა. ჩემი დებისათვის ცნობილი გამხდარა, რომ სწორედ ამ მცენარისაგან კეთდებოდა წამალი, რომელსაც მამის დაავადების წინააღმდეგ ხმარობდნენ. არც თუ კანონიერი გზით, ჩუმად ამ მცენარეზე აუგლეჯიათ მათ ერთი შტო, საგულდაგულოდ შეუნახავთ, გლეხისაგან წამალი შეუძენიათ და სახლში დაბრუნდნენ. ოჯახის ყველა წევრმა გავსინჯეთ ეს მცენარე და აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახლის მახლობლად იზრდებოდა იგი. ეს მცენარე იყო ლემა, რომლის ფოთოლსაც იმ სოფლის გლეხი იყენებდა ასთმის საწინააღმდეგოდ. დღეს უკვე მედიცინაში აღნიშნული მცენარე ფართოდაა გამოყენებული. ამრიგად, ჩვენი

ხელმოკლე ოჯახი ამ შემთხვევამ იხსნა ზედმეტი ხარჯისაგან და მამაც შედარებით უფრო შრომისუნარიანი გახდა.

ოჯახში შექმნილი ხელმოკლეობა ყველა წევრისათვის საფიქრალ-საზრუნავი იყო. 12 წლისამ დავამთავრე ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომელიც მახლობელ სოფელში მდებარეობდა. სწავლის გაგრძელება ოჯახს აუცილებლად მიაჩნდა. ერთადერთი საშუალო სკოლა მთელს რაიონში მხოლოდ ქ.ჭიათურაში იყო. სწავლის გაგრძელება გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდებოდა და ოჯახის საფიქრალიც შეიქმნა. ჩვენი თანასოფლელი - კოლია ბარათაშვილი თავის საქმეებთან დაკავშირებით ჭიათურაში ხშირად დადიოდა ცხენით. სწორედ მას შესჩივლა მამამ, კოლიამ მდგომარეობა გაუიოლა და უთხრა: მე ბარათს დაგიწერთ, თქვენმა შვილმა ეს ბარათი გადასცეს ჭიათურის სკოლის მასწავლებელს პავლე ნადირაძეს და ის ყველაფერს გაუკეთებსო. მეორე დღესვე ბარათი ხელთ მქონდა და მარტო გავეშურე აღნიშნულ ადრესატთან. მივედი ქ.ჭიათურის საშუალო სკოლაში, ვიკითხე ბატონი პავლე ნადირაძე და მითხრეს, რომ იგი სულ ახლახანს თავის სოფელ წირქვალში წავიდაო. მაშინვე სირბილით გავეშურე წირქვალისკენ მიმავალ გზაზე. იმ ფიქრით, იქნებ დავწეოდი მასწავლებელს. გულისთქმამ გამიმართლა და მართლაც, გულამოვარდნილი დავეწიე გზაზე მიმავალ მამაკაცს, რომელიც

პ.გელბახიანი ბაბუასთან – ამირან გელბახიანთან ერთად

აღწერილობით ის უნდა ყოფილიყო, ვისკენაც ასე ვესწრაფოდი. ჩემს შეკითხვაზე: თქვენ ბატონი პავლე ნადირაძე ხარ ბრძანდებით-თქო, ასეთი გულამოვარდნილი ბავშვის დანახვაზე, ჩაიცინა და მითხრა: რაშია საქმე, რამ გამოიწვია თქვენი ჩემდამი ასეთი სწრაფვაო. მე მას პასუხის ნაშინად ბარათი მივაწოდე, წაიკითხა და მითხრა: ხვალ დილას მოდი სკოლაში და ყველაფერს მოგიგვარებო. ამის შემდეგ მე ყოველდღე ჩემი სოფლიდან ქ.ჭიათურაში დავდიოდი სასწავლებლად. როდესაც წამოვიზარდე და უკვე 14 წლის გავხდი, სწავლასთან ერთად სურვილი მქონდა მუშაობა დამეწყო ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში. ეს გამოწვეული იყო ჩვენი ოჯახის ხელმოკლეობით. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ სამუშაოს ნახვა არც ისე იოლი საქმე იყო. ამიტომ მე მივმართე ჩემი სოფლის მკვიდრის კოლია ბარათაშვილის ძმას, ბარამ ბარათაშვილს, რომელიც იმუამად ითვლებოდა ჭიათურის ერთ-ერთი მაღაროს დირექტორის მოადგილედ. მან ამ საქმეში დახმარება აღმომიჩინა და მე დავიწყე ჭიათურის №4 მაღაროში მუშაობა ჯერ ამწმენდის, შემდეგ მებიგის თანამდებობაზე. ეს სამუშაო მოითხოვდა მძიმე ფიზიკურ დატვირთვას, რომელსაც არც თუ ისე ურიგოდ ვართმევდი თავს. მებიგის თანაშემწედ ჩემი მუშაობა უფრო ხანგრძლივი იყო. ეს იმან გამოიწვია, რომ სწავლასთან მისი შეთავსება უფრო ადვილად ხერხდებოდა, რადგან მესამე ცვლაში მიწევდა მუშაობა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დილით მივდიოდი სკოლაში, ვბრუნდებოდი სოფელში, ვსწავლობდი გაკვეთილებს და ღამის საათებში მივდიოდი მაღაროებში სამუშაოდ, მაღაროდან კი დილას ხელპირდაბანილი ტანსაცმელს გამოვიცვლიდი და პირდაპირ სკოლაში. ასე გაგრძელდა ჩემი საქმიანობა სრული ორი წლის განმავლობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე გელბახიანი დებთან

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო და კეთილად არ მოვიგონო ის ცნობილი პედაგოგები, რომლებიც მაშინ ჭიათურის საშუალო სასწავლებელში მოღვაწეობდნენ. როგორ შეიძლება დამავიწყდეს ამ სკოლის მაშინდელი დირექტორი, ცნობილი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა, შემდგომში ასევე სკოლის დირექტორი და ჩემი საუკეთესო მასწავლებელი სამუელ მარგველაშვილი, პავლე ნადირაძე, სალომე საყვარელიძე, შალვა ხამაშურიძე. ხშირად, როდესაც მეკითხებიან, ვინ იყო თქვენი ყველაზე საყვარელი მასწავლებელიო, მე მათ შორის ყოველთვის ვასახელებდი თავის საქმეზე მეტად შეყვარებულ, უანგარო და ღირსახსოვარ ადამიანს - პავლე ნადირაძეს, რომელიც მაშინ ბუნებისმეტყველებას მასწავლიდა. მახსოვს, გაკვეთილზე დაფაზე ცარცით დაგვიხატა და აგვიხსნა ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრე. შემდგომ გაკვეთილზე ბატონ პავლეს წარუდგინე იგივე ნახაზი, ჩემს მიერ მხატვრულად გაფორმებულ-გაფერადებული. მან გულდასმით დაათვალიერა და კარგად მახსოვს ღიმილით აღნიშნა: "ასეთი საჩუქარი ჩემთვის დიდი ხანია არავის მოურთმევია". ამ სკოლაში ჩემს ნათესავებსა და

ნაცნობებს ბევრს მიუღია განათლება. სწორედ მათგან გადმოცემით შევიტყობდი ხოლმე, რომ ბატონი პავლე ერეკლეს დიდხანს სარგებლობდა ჩემს მიერ შესრულებული ნახატით და ყოველთვის დიდი სიყვარულით მომიხსენიებდა ხოლმე გაკვეთილზე მოსწავლეებთან: "ამ პიროვნებამ, რომელმაც ეს ნახატი შეასრულა, თბილისში უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დატოვეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის".

ქ.ჭიათურის საშუალო სკოლამ ღირსეული მოქალაქეები აღუზარდა თავის სამშობლოს. ჩემთან ერთად სწავლობდნენ გრიგოლ აბაშიძე - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ბუკა ნაკაიძე - ინჟინერი, სატყეო საქმის კარგი მცოდნე, ვახტანგ ფაღავა - ინჟინერ-ტექნოლოგი, ეველინა ჯაფარიძე - დამსახურებული მასწავლებელი, გუგულა ლოლაძე, მაყვალა გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ აბესაძე, თამარ ფალავანდიშვილი, თომა იაშვილი და მრავალი სხვა. ამავე სკოლაში აღიზარდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები: გიორგი აბაშიძე, ვახტანგ შანიძე, ირაკლი ფაღავა, დავით გამეზარდაშვილი...

1930 წელს დავამთავრე საშუალო სასწავლებელი. სკოლის დამთავრებისთანავე გამამწესეს მოზარდთა სკოლაში მასწავლებლად. სოფელ თაბაგრებში ერთი წელი დავყავი, შემდეგ რაიონის განათლების განყოფილებამ გადამიყვანა სოფელ რგანის ოთხწლიანი შრომის სკოლის გამგედ, სადაც მესამე კლასს ყველა საგანს ვასწავლიდი. ბევრჯერ მიხდებოდა სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრები, მათთან საუბრები და საჭირბოროტო საკითხებში მათივე თხოვნით ჩარევა საქმის სასარგებლოდ წარმართვისათვის. ამიტომ მე ვგრძნობდი მათ დიდ პატივისცემას და სიყვარულს ჩემდამი. სწორედ ამან განაპირობა, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი ამირჩიეს სოფლის საბჭოს შემადგენლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მე მაინც, ერთი წლის შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება ჩემი დიდი სურვილის აღსასრულებლად, რომ წავსულიყავი ქ.თბილისში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ეს სურვილი ჩემს მშობლებს განვუცხადე. მათ ურთიერთსაუბრის შემდეგ მითხრეს, რომ ოჯახისათვის ეს მეტად მძიმე იქნებოდა, თან მამაჩემმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასძინა: უკვე სოფელში საკმაო პატივისცემა და სიყვარული გაქვს დამსახურებული, ჩვენი ოჯახისათვის ეს საკმარისია და შენ რომ ქალაქში წახვიდე, არაა გამორიცხული, რომ იქიდან აღარ მოისურვო უკან დაბრუნება და ამდენი ჩვენი კუთვნილი ადგილ-მამული ვის ხელში უნდა დარჩეს. მით უფრო, რომ შენა ხარ ჩვენი ოჯახის გვარის ერთადერთი გამგრძელებელიო. მე ჩემი დაჟინებითი თხოვნა კიდევ გავიმეორე და გავუიოლე ოჯახიდან ჩემი წასვლა, რაგან დიდ სახსრებს არ მოვითხოვდი. დედა უფრო პროგრესულად შეხვდა ჩემს სურვილს და საბოლოოდ გადაწყდა წამოვსულიყავი ქ.თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად.

ეს იყო 1932 წელი. ქ.თბილისში სწავლის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით მოვეთათბირე ჩვენი სოფლის ორ ახალგაზრდას, რომლებიც მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერვიტეტში სწავლობდნენ. ესენი იყვნენ შიო ბარათაშვილი და კალისტრატე სამყურაშვილი. ორივე კარგად მიცნობდა ბავშვობიდან. მათ იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები და მირჩიეს ფილოსოფიის სპეციალობით გამეგრძელებინა სწავლა. მეც ავწონ-დავწონე მათი რჩევა და სასურველად ჩავთვალე. იმ პერიოდში არ იყო მიღებული, რომ პირდაპირ რაიონიდან წამოსულიყავი ქალაქში უმაღლესი სწავლის გასაგრძელებლად. ჯერ რაიონის განათლების განყოფილებაში უნდა შეგეტანა განცხადება, რომელსაც განიხილავდნენ და თუ მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ, მოგცემდნენ რეკომენდაციას. ასეთი რეკომენდაცია, ჩემს გარდა, ათამდე ახალგაზრდას მიეცა ჩვენი რაიონიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად და დამავალეს ათივეს პირადი საბუთები მე ჩამეტანა თბილისში მიმღები კომისიისთვის. დავალება შევასრულე და კომისიისაგან მოვითხოვე მოეცათ ჩემთვის ცნობა, რომ ეს საბუთები მათ ჩავაბარე, რადგან უკან დაბრუნებისას ჭიათურის განათლების განყოფილებისათვის უნდა წარმედგინა. მიმღებ კომისიაში მითხრეს, რომ ამ საბუთის გაცემა ახლავე არ შეგვიძლია, ჩამოტანილ საბუთებს, პირად საქმეებს დამუშავება სჭირდება და ამიტომ ხვალ მობრძანდით და ცნობასაც გაგატანთო. შევწუხდი ამ ფაქტის გამო. სხვა გამოსავალი რადგან არ იყო, შევუდექი ღამის გასათევი

ბინის ძებნას. ჭიათურიდან დანაბარების მიხედვით პირველად მივაშურე თბილისში იმ დროისათვის არსებულ გლეხთა სახლს, რომელიც მაშინ მდებარეობდა ე.წ. ალექსანდროვის ბაღის მახლობლად. აღნიშნული სახლი გადატვირთული აღმოჩნდა და იქ ღამის გათენების საშუალება არ მომეცა. იმ დროისათვის მე თბილისში არც ნათესავი მყავდა, არც ახლობელი ნაცნობ-მეგობარი. ამიტომ ის ჩემთვის სამახსოვრო ღამე, მიუხედავად მილიციის წინააღმდეგობისა, საბოლოოდ მაინც ბაღში მდებარე ძელსკამზე გავათენე. დილით კი მივაშურე უნივერსიტეტს და მიმღებმა კომისიამ დაპირებისამებრ საბუთების ჩაბარების სათანადო დასტური გადმომცა და საღამოს რკინიგზით ჭიათურაში დავბრუნდი, იმ დროისათვის გაზეთის საშუალებით ეცნობებოდა ახალგაზრდებს უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სია. აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის შევიტყვე, რომ ჩარიცხულთა სიაში ჩემი გვარიც ეწერა. თუმცა ეს ფაქტი ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენდა, რადგან საბუთების ჩაბარების დროს მიმღებ კომისიაში შევიტყვე, ახალგაზრდები, რომლებსაც სპეციალობის მიხედვთი ორწლიანი შრომის სტაჟი ჰქონდათ, უგამოცდოდ ჩაირიცხებოდნენ უნივერსიტეტში. ასეთ სპეციალურ სტაჟად კი მაშინ პედაგოგიური მოღვაწეობა ითვლებოდა. აღსრულდა რა ჩემი სასურველი ოცნება, მე იმავე წელს, ოცდახუთი აგვისტოსათვის გავემგზავრე თბილისს. ჩემმა მშობლებმა გამიმზადეს საჭირო ნივთები, ყველაფერი ეს დააწყვეს ურემზე და ჭიათურის რკინიგზის სადგურამდე მიმაცილეს. მატარებლის გასვლამდე ჩემთვის უცნობ ერთ ახალგაზრდას შევხვდი. გვარად გიორგაძე აღმოჩნდა. გამეცნო და მკითხა - სად მიდიხარო. მე მას ვუპასუხე, რომ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტად. ჩვენს შორის საუბრის დროს ისიც ითქვა, რომ თბილისში მე უნდა მეცხოვრა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. მაშინ მან მითხრა: მეც უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, უკვე მესამე კურსზე ვსწავლობ და ვცხოვრობ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. რადგან ის ამ დროს თბილისში არ მოდიოდა, მე კი თბილისს კარგად არ ვიცნობდი, ამიხსნა, საერთო საცხოვრებელში როგორ და სად უნდა მივსუ-

ლიყავი, დამისახელა მეშვიდე კორპუსი და საცხოვრებელი ოთახის ნომერი, სადაც თვითონ ცხოვრობდა. თან დასძინა, ჩვენთან ოთახში ერთი თავისუფალი ადგილი გვაქვსო. ამასობაში მატარებული ჩამოდგა. მე იმ ახალგაზრდას დავემშვიდობე, მშობლების დახმარებით ჩემი სამგზავრო ბარგი მოვათავსე ვაგონში და გამოვემგზავრე. თბილისში გადაუღებლივ წვიმდა. იძულებული ვიყავი ბარგით ზურგზე აკიდებული წავსულიყავი საცხოვრებელში იმ რჩევის შესაბამისად, რომელიც მე ჭიათურაში მივიღე. ტრამვაით მივედი სახელმწიფლო უნივერსიტეტის შენობამდე. უნივერსიტეტის შემდეგ კი არავითარი ტრანსპორტი არ არსებოდა. ტრამვაის ხაზი უნივერსიტეტიდან სტუდქალაქამდე არ იყო გაყვანილი, მისი მშენებლობა მაშინ მიმდინარეობდა. ამიტომ, წვიმაში, ზურგზე აკიდებული ბარგით, ფეხით მივედი აღწერილ ადგილამდე. როდესაც მეშვიდე კორპუსში შევედი, მთელს სხეულზედ ხელისდასადებ მშრალ ადგილს ვერ ნახავდით, ისე ვიყავი წვიმისაგან დასველებული. აღნიშნული ოთახი ახლოს აღმოჩნდა, შევიტანე ბარგი. ოთახში იდგა ხის სამი ტახტი, რომლებიც იმჟამად ცარიელი იყო. ერთ-ერთზე გავშალე ჩემი სველი ქვეშაგები და მეც, სხვა გზა არ მქონდა, ამ სველ ლოგინში უნდა დამეძინა. როცა დავწექი, ხის ტახტი ჩატყდა, იძულებული გავხდი ეს სველი ლოგინი მეორე ტახტზე გადამეტანა. პირველი ღამე ასეთ ვითარებაში გავატარე. დილას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კორპუსში წყალი არ იყო. ახალგაზრდებისგან გავიგე, რომ შესაძლებელი იყო იქვე მახლობლად მდინარე ვერეს ფერდობზე გამონაჟონი წყლით მესარგებლა. ხელ-პირი დავიბანე და გავეშურე უნივერსიტეტისკენ. გავტარდი აღრიცხვაზე. უნივერსიტეტში მიგვითითეს, სად უნდა წავსულიყავით. ერთ-ერთ აუდიტორიაში შევგროვდით ფილოსოფიის სპეციალობაზე ჩასარიცხი ახალგაზრდები. აუდიტორიაში შემოვიდა მეტად სიმპათიური და ლამაზი შესახედაობის კაცი და განგვიცხადა: მე გახლავართ მოსე გოგიბერიძე, რომელიც ფილოსოფიის ფაკულტეტის საქმიანობას ვხელმძღვანელობო. შემდეგ, როდესაც გადათვალა აუდიტორიაში მყოფნი, ეს დიდი რაოდენობაააო, ფილოსოფიის ფაკულტეტისთვის ოცდაათი ადგილია განკუთვნილი და მე თქვენგან ოცდაათ

ახალგაზრდას შევარჩევო - გვითხრა. დანარჩენები სხვა სპეციალობებზე უნდა განაწილდნენ უნივერსიტეტში. დაიწყო სიის მიხედვით შერჩევა, როდესაც ჩემზე წინ მდგომს შეეკითხა, რატომ სურდა ფილოსოფიის სპეციალობაზე სწავლის გაგრძელება (ასეთი მარტივი კითხვებით მიმართავდა იგი ახალგაზრდებს), მან უპასუხა: ბატონო პროფესორო, არ სჯობია, მკითხოთ, საჭმელს რატომ ჭამო. შესაძლოა, ეს პასუხი ზუსტად ასე არ იყო, მაგრამ შინაარსი დაახლოებით მახსოვს. პროფესორმა გოგიბერიძემ თავისთვის ჩაიცინა და ახალგაზრდას უპასუხა: თქვენ ახლავე ფილოსოფოსი ხართო. შემდეგ ჩემი ჯერიც მოვიდა. მკითხა სახელი, გვარი, მამის სახელი და საიდან ვიყავი წარმოშობით. მეტი შეკითხვა ჩემთვის აღარ დაუსვამს და სიაში შემიყვანა. ამრიგად, გაგრძელდა მთელი ჯგუფის დაკომპლექტება. ფილოსოფიის სპეციალობაზე მხოლოდ თვენახევარი მომიხდა სწავლა. აღნიშნული დროის შემდეგ ვნახე უნივერსიტეტის შესასვლელთან გამოქვეყნებული სიები, რომელიც გვამცნობდა, რომ უნივერსიტეტის ახლად მიღებულ სტუდენტთა შორის მობილიზაცია იყო გამოცხადებული რაიონებში, იქ, სადაც მასწავლებელთა ნაკლებობა იყო, პედაგოგებად გასაგზავნად. მეც ამ სიაში აღმოჩნდი და მითითებულიც იყო, რომ უნდა წავსულიყავი მასწავლებლად ზემო სვანეთში. ამან ჩემში გარკვეული განცვიფრება გამოიწვია, რადგან სულ თვანახევრის წინ ჩემს მშობლებთან დიდ თხოვნა დამჭირდა იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად თბილისში წამოვსულიყავი. ეს ამბავი ჩემმა მშობლებმაც შეიტყვეს და განმიცხადეს, დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი სახლში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ახალგაზრდის რჩევით, მივმართე რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარს ე.ბედიას, გაეთვალისწინებინა ჩემი ოჯახური მდგომარეობა და გავენთავისუფლებინე რაიონში წასვლისაგან. მან ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ მე უკვე ამის შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების არც ხასიათი და აღარც სურვილი მქონდა. ჩემი ასეთი მდგომარეობა რომ გაიგო ჩემმა მეგობარმა, რომელთანაც ჭიათურის საშუალო სკოლა ერთად დავამთავრე და რომელიც იმჟამად სწავლობდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ეს გახლდათ ნიკოლოზ აბესაძე, გამახსენა ჩემი ბავშვობის დიდი სურვილი, როცა ჭიათურაში ერთად ვსწავლობდით. ძალზედ მომწონდა და მიტაცებდა აფთიაქში თეთრხალათიანების ფუსფუსი და მუშაობა. მან მითხრა: მე ამ სპეციალობაზე ვსწავლობ და არა მგონია, პირადად რომ ნახო ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, მას აუხსნა მდგომარეობა, ნება არ დაგრთოს საბუთების წარდგენის შესახებ ამ ფაკულტეტზე ჩარიცხვისათვისო. დავფიქრდი და მისი რჩევა გავითვალისწინე. დეკანს ვაუკაცური და კარგი შეხედულების მამაკაცები მოსწონდა, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საექიმო დარგისათვის ახალგაზრდის გარეგნულ იერსახეს. მეც გამოვიყენე მთელი ჩემი შესაძლებლობები, კოხტად ჩავიცვი და ერთ მშვენიერ დღეს, ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში, ვეახლე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკო-ქიმიური (წამალთმცოდნეობა) ფაკულტეტის ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ იოველ ქუთათელაძეს. მან მოისმინა ჩემი თხოვნა და მითხრა, საბუთები შემეტანა დეკანატში და იგი ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებდა. მეც მისი მითითება შევასრულე, უნივერსიტეტიდან გამოვიტანე საბუთები, რაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც შევძელი ეს და წარვადგინე დანიშნულების ადგილზე. ჩამრიცხეს წამალთმცოდნეობის ფაკულტეტზე. დიდი ინტერესით შევუდექი სწავლას.

მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო პროფესორ იოველ ქუთათელაძეს და აღვნიშნო, რომ ახლად გახსნილ სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1921 წელს, მოეწვიათ იგი ოდესის უნივერსიტეტიდან, სადაც ცნობილ და მეტად განათლებულ კაცად ყოფილა აღიარებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი უშუალო ხელმძღვანელობით

აკად. იოველ ქუთათელაძე

ჩამოყალიბდა სამკურნალო ფაკულტეტთან ერთად ფარმაკოქიმიური ფაკულტეტი. მასვე შეურჩევია კვალიფიციური სპეციალისტ-პედაგოგები. ამ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა დიდი სარეორგანიზაციო სამუშაოები. როგორც შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა, 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო ცალკე დამოუკიდებელი ინსტიტუტი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მეც სწორედ ამ პერიოდში წამალთმცოდნების ფაკულტეტზე მომიხდა სწავლის გაგრძელება. პირველ კურსზე სულ ოცდათორმეტი ახალგაზრდა ვითვლებოდით, რომლებმაც პრაქტიკულად ორი სასწავლო ჯგუფი შეადგინა. პირველ კურსზე ზოგადსაგანმანათლებლო საკითხები ისწავლებოდა. ჩვეულებრივი წესით განვარგძე სწავლა. პროფესორი ქუთათელაძე ფაკულტეტზე რამდენიმე საგანში კითხულობდა ლექციებს. ერთ-ერთი ასეთი საგანი პირველკურსელთათვის გახლდათ არაორგანული ქიმია, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს მხოლოდ მე ჩავაბარე. სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ძალზედ გაუჭირდა დასახელებული საგნის ჩაბარება, რადგან პროფესორი სამართლიანად მომთხოვნი და მკაცრი აღმოჩნდა. მეორე კურსზე ჩასაბარებელი საგნების დავალიანების გარეშე მხოლოდ მე აღმოვჩნდი პირველი სექტემბრისათვის და სასწავლო წლის პირველ ნახევარშიც მხოლოდ მე ვღებულობდი სტიპენდიას. შემდეგ, რასაკვირველია, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, სტუდენტებმა დარჩენილი საგანი ჩააბარეს.

მეორე კურსიდან უკვე აღმოვჩნდი პროფესორ ქუთათელაძის ყურადღების ცენტრში. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ სავალდებულო სწავლების გარდა, ხშირად მაძლევდა ტექნიკური ხასიათის დავალებებს: შრომებიდან ამონაწერების გაკეთება, ზოგიერთი ლაბორატორიული ხელსაწყოების მოწყობის დროს დახმარება და სხვა.

ერთი ასეთი ტექნიკური სამუშაოს შესრულების დროს მე ცოტა ხნით გამოვედი პროფესორის კაბინეტიდან და მოსაცდელში დავინახე ივანე ჯავახიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი და საერთოდ, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის ფუძემდებელი. მე

მაშინვე შევბრუნდი პროფესორ ქუთათელაძესთან სამუშაო კაბინეტში და მოვახსენე, რომ მოსაცდელში ივანე ჯავახიშვილი ელოდებოდა. იოველ ქუთათელაძე დაუყოვნებლივ წამოდგა ფეხზე, გავიდა და დიდი პატივითა და მოკრძალებით შეხვდა ივანე ჯავახიშვილს: ბატონო ივანე, რატომ პირდაპირ არ შემობრძანდით ჩემთანო.

ჩემთვის ცნობილი გახდა, ბატონი ივანე პროფესორ ქუთათელაძეს მიუწვევია თავისთან სასაუბროდ. სამუშაო ოთახში შემოვიდნენ. ბატონმა იოველმა მანიშნა, რომ საქმე გამეგრძელებინა. ამრიგად, უნებლიე მომსწრე გავხდი და ჩემი ყურით მოვისმინე ამ ორ პიროვნებას შორის საუბარი.



პ.გელბახიანი მეგობართან – ნ.აბესაძესთან ერთად

ივანე ჯავახიშვილი დაღონებით და დიდი მწუხარებით უამბობდა ბატონ იოველს, რომ იგი გააძევეს უნივერსიტეტიდან, რითაც მეტად რთულ სიტუაციაში აღმოვჩდიო. ბატონმა იოველ ქუთათელაძემ იქვე სთხოვა ივანე ჯავახიშვილს, სათავეში ჩასდგომოდა ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახლად დაარსებულ ხალხური მედიცინის ისტორიის განყოფილებას. ბატონმა ივანემ დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი ყურადღებისათვის და დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას.

ამ დროისათვის ჩემთვის ცნობილი იყო, რომ რესპუბლიკის სააფთიაქო სისტემას ხელმძღვანელობდნენ საშუალო განათლების სპეციალიტები, პროვიზორის თანაშემწეები, რადგან მათ მთელი ხელმძღვანელი ადგილები დაკავებული ჰქონდათ, აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ საქართველოში უმაღლესი განათლების არსებობას და დაუფარავად ამბობდნენ, რომ წამალთმცოდნეობის დარგში უმაღლესი გა-

ნათლება არ არის საჭიროო. სწორედ ამიტომ 1933 წლის შემოდგომაზე, როცა მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, ფაკულტეტის დეკანმა იოველ ქუთათელაძემ, ზოგიერთ სხვა მასწავლებელთან ერთად, მე და ჩემს სამ ამხანაგ სტუდენტს გამოგვიცხადა: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მოწვეულ თათბირში საჭიროა თქვენი მონაწილეობის მიღებაო. მას არ განუმარტავს, თუ რა საკითხი განიხილებოდა აღნიშნულ თათბირზე, მაგრამ დანიშნულ დროსა და ადგილზე გამოვცხადდით. ამ თათბირზე მაშინდელი ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილეს გ.მამალაძეს მოწვეული ჰყავდა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობა და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები დეკანის მეთაურობით. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს წარდგენილ ხელმძღვანელთა შორის მხოლოდ ერთი იყო უმაღლესი განათლების სპეციალისტი-პროვიზორი. მას მოადგილის თანამდებობა ეკავა. დანარჩენები, უფროსიდან მოყოლებული ყველა, იყვნენ საშუალო განათლებით. სახალხო კომისრის მოადგილემ, თათბირის გახსნის შემდეგ, პირველი სიტყვა პროფესორ იოველ ქუთათელაძეს მისცა. ბატონმა იოველმა ღრმად, მკაფიოდ და მეცნიერულად დაასაბუთა უმაღლესი განათლების აუცილებლობა წამალთმცოდნეობის დარგში. ამის შემდეგ სააფთიაქო სისტემის იქ დამსწრე პრაქტიკულმა მოღვაწეებმა პირდაპირ თავდასხმა მოუწყვეს პროფესორ-მასწავლებლებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, საქმეს ღირსეულად გაართვეს თავი. დისპუტში სტუდენტთა მხრიდან მეც მივიღე მონაწილეობა. საბოლოოდ დადგინდა მტკიცედ, რომ ამ დარგში უმაღლესი განათლება აუცილებელი იყო.

ინსტიტუტში შემდეგ კურსებზე ჩვეულებრისამებრ მიმდინარეობდა სასწავლო მეცადინეობა და მეც პროფილურ დისციპლინებში ვცდილობდი, რაც შეიძლება სიღრმისეულად შემესწავლა საგნები, რათა სრულყოფილად დავუფლებოდი როგორც წამალთა სააფთიაქო ტექნოლოგიას, ასევე წამა-

ლთა საქარხნო ტექნოლოგიას, წამალთა ქიმიას, ფარმაკობოტანიკას და სხვ. როდესაც მესამე კურსზე გადავედი, ჩემს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდაა ცნობილი, ახალგაზრდის მიერ ოჯახის შექმნა საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე უაღრესად მნიშვნელოვანია. გამონაკლისს, რასაკვირველია, არც მე წარმოვადგენდი. რადგან გადავწყვიტე ოჯახის შექმნა, სერიოზული ფიქრი დავიწყე, როგორ და რა გზით უნდა წარმემართა იგი. მე არაერთი შესაძლებლობა მქონდა იმისა, რომ სრულიად გამზადებულ ნიადაგზე განმეხორციელებინა ჩემი დასახული მიზანი, მაგრამ გავითვალისწინე რა ჩემი ბაბუის, ჩემი მშობლების თვისებები, მათი დამოკიდებულება ოჯახის შექმნისადმი, გადავწყვიტე ცოლად შემერთო სულიერად და ქონებრივად ჩემი თანასწორი, ნამდვილი მეგობარი და დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე, შეგვექმნა ოჯახი. თითქმის ორი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჩემს ჯგუფსა და ჩემს კურსზე მოსწავლე თამარ საბას ასულ ბეჟანიშვილს. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით მშობლებს შევუთვალე. ჩამოვიდა მამაჩემი, ჩემი და, დედა იმ დროს ავად ყოფილა, და მათი თანხმობითა და დასწრებით 1933 წლის შემოდგომაზე მოხდა დასახული მიზნის განხორციელება. სწორედ ჩემი ამორჩეული პიროვნება - თამარი გახდა შემდგომში ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. პირველი ორი წელი ვცხოვრობდით ჩემი მეუღლის დედასთან და დასთან, რომელიც სამხედრო პირის - ვიქტორ კვიტაიშვილის მეუღლე იყო და მათთვის განკუთვნილ ბინაში ცხოვრობდნენ. ამ ორი წლის განმავლობაში ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ასეთ პირობებში ცხოვრება შეუძლებელი იყო.

თამარ ბეჟანიშვილი-გელბახიანისა

ყოველთვის ვცდილობდით, ცალკე შეგვექმნა დამოუკიდებელი ოჯახი, ამიტომ ჩემი მშობლების დახმარებით, რომლებმაც ბედელის შენობა გაყიდეს და მისი საფასური გამოგვიგზავნეს, ავლაბარში შევიძინეთ ერთი ოთახი გირაოთი, რომელსაც არავითარი დამხმარე სათავსო არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც ბედნიერად ვგრძნობდით თავს. 1937 წლის იანვარში, მაშინ როდესაც უმაღლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული მქონდა, ჩვენს ოჯახში მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა - მამაჩემი გედევანი გარდაიცვალა. იგი ვერ მოესწრო ჩემი პიროვნების საბოლოო ჩამოყალიბებას, ჩემი ოჯახის მტკიცე საფუძველზე დაყენებას. მან ვერ განიცადა ის სიხარული, რასაც ჩემი ვაჟიშვილის დაბადება განაცდევინებდა და რომელიც მისი გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ შეგვეძინა, 1937 წლის თებერვალში. ვაჟიშვილს მამაჩემის სახელი გედევანი დავარქვით - გედი. ჩემი მეუღლის დედა და და ბავშვზე მზრუნველობაში გვეხმარებოდნენ და ყოველთვის მათთან ვტოვებდით ხოლმე გედის, რადგან იმ პერიოდში მეც და ჩემი მეუღლეც, ორივენი ვსწავლობდით.

თამარ ბეჟანიშვილი და პეტრე გელბახიანი
ვაჟიშვილთან – გედისთან ერთად

თსსი ფარმაცევტული ფაკულტეტის 1936 წლის გამოშვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა აღვნიშნო, რომ სტუდენტობის დროს ჩემი მასწავლებლის, ბატონ იოველ ქუთათელაძის საშუალებით გავიცანი ცნობილი ადამიანები არა მხოლოდ სამედიცინო სფეროდან: შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები. მათმა პიროვნულმა თვისებებმა და საუბრებმა ყოფასა და ცხოვრებაზე ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტობის დროსვე და შემდგომაც. ისინი ხშირად მოდიოდნენ აკადემიკოს იოველ ქუთათელაძესთან და საუბრობდნენ მეცნიერულ და საზოგადოებრივ პრობლემებზე.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სრული საინსტიტუტო კურსის დამთავრების შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ დავიწყეთ მზადება სახელმწიფო გამოცდებისთვის. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ გამოჩენილი პროფესორ-მასწავლებლები და თავმჯდომარედ დანიშნული იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი. სახელმწიფო გამოცდაზე ჩასაბარებელი იყო ხუთი ძირითადი საგანი. ოთხ საგანში ფრიადზე შეფასება მივიღე და დამრჩა ერთი. კერძოდ - წამალთა ქიმიის (ფარმაკოქიმია) საგანი ჩასაბარებელი. როდესაც აღნიშნულ საგანში საბოლოოდ დამთავრდა ჩემი გამოკითხვა და აქაც ფრიადი შეფასება მივიღე, მაშინ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ მითხრა:

- თქვენ ამის შემდეგ უნდა შებრძანდეთ ფაკულტეტის დეკანთან, ბატონ იოველ ქუთათელაძესთან.

მივედი ბატონ იოველთან და ველოდები, რას მეტყვის. ბატონმა იოველმა მითხრა:

- თქვენ სახელმწიფო გამოცდები წარმატებით ჩააბარეთ, გარდა ამისა, მთელი სწავლის პერიოდში გაკვირდებოდით და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ დარჩეთ ჩვენთან სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შემდგომში გასაგრძელებლად.

შემოთავაზებული წინადადების შემდეგ მივმართე მას და ვუთხარი:

- ბატონო იოველ, თქვენთვის ცნობილია, რომ მე ჩემს ოჯახი შევქმენი, თბილისში დარჩენის არავითარი საშუალება არ გამაჩნია არც ბინით, არც მატერიალური საშუალებით. შევბედე: რომ დავრჩე, როგორი პირობები მექნება-თქო.

მან მიპასუხა: პირველ ხანებში და შეიძლება ითქვას, მოკლე პერიოდში, 25 მანეთი გექნება.

ჩამეღიმა: ბატონო იოველ, ეს ხომ პურის ფულადაც არ იქნება საკმარისი?!.

მოსწრებულად და გულთბილად მიპასუხა: მაშინ ჭადი მიირთვით, შემდეგ დასძინა - მოელაპარაკეთ თქვენს მეუღლეს, გაითვალისწინეთ შემდგომი თქვენი ცხოვრება, შემობრძანდით მერე და მითხარით თქვენი გადაწყვეტილება.

მართლაც, ნათქვამის საფუძველზე მოველაპარაკე ჩემს მეუღლეს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი გვქონდა რაიონში სამუშაოდ წასვლა და ამ ჩანაფიქრის საწინააღმდეგო წინადადებამ ჩვენში დიდი აფორიაქება და ღელვა შემოიტანა. თითქმის ერთი დღის მსჯელობის შემდეგ, რადგან ჩემმა მეუღლემ მტკიცედ დამიჭირა მხარი, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის საწინააღმდეგოდ, საბოლოოდ მაინც გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი კათედრაზე სამუშაოდ. ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, განვუცხადე, დაპირებისამებრ, ჩემს მასწავლებელს. ის მომელაპარაკა, თუ როგორ და რა გზით წარიმართებოდა ჩემი შემდგომი მუშაობა და დასძინა:

- პირველად თქვენ დაიწყებთ მუშაობას რთული სამკურნალო (გალენის) პრეპარატების ტექნოლოგიის ლაბორატორიაში, უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე.

ლაბორატორიას იმ პერიოდში განაგებდა და ლექციებს კითხულობდა ჩვენთან პავლე ჭუმბურიძე, რომელსაც განათლება აგრეთვე რუსეთში ჰქონდა მიღებული და სწორედ ფაკულტეტის დაარსებისას იყო მოწვეული სამუშაოდ. იგი თავის დროის განათლებული და ცნობილი პიროვნება იყო. ამ ლაბორატორიაში მუშაობა მომიხდა მრავალი წლის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე მე დიდხანს არ დავრჩენილვარ, ერთი წლის შემდეგ გადამიყვანეს

ასისტენტად. იგივე განხრით შეთავსებით დავიწყე მუშაობა აკად. ი.ქუთათელაძის მიერ 1932 წელს დაარსებულ საველო-ერო-კვლევით ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნო ის, რომ ჩემთან ერთად უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს და შემდგომში ნაყოფიერად მუშაობდნენ რესპუბლიკაში წამალთმცოდნეობის სფეროში ჩემი ამხანაგები ხ.ჯანაშია, ზ.ინწკირველი, დ.ღოღობერიძე, დ.ქაჯაია, ნ.აბესაძე და სხვები. ნიკოლოზ აბესაძე, რომელთანაც ჯერ კიდევ საშუალო სკოლის წლები მაკავშირებდა, სხვებისგან გამორჩევით, ბუნებრივია, უფრო ახლოს იყო ჩემთან. მე ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ იგი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე დაქორწინდა და სულ ერთ თვეში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ერთადერთი წერილი მივიღე მისგან ირკუტსკის ოლქიდან, მატყობინებდა, რომ ძალზე მძიმე პირობებში იმყოფებოდა და მითვლიდა, ალბათ, ასეთ პირობებში დიდხანს ვერ გავძლებო. როგორც ჩემთვის შემდგომში ცნობილი გახდა, სულ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა ირკუტსკის ოლქში ფილტვების ანთებით, იქვე დაასაფლავეს. ვერც მისმა მშობლებმა, ვერც მეუღლემ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ შეძლო მისი სამშობლოში ჩამოსვენება. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი მაშინ მეც და სხვა მისი მეგობრებიც, სასწავლებელი ახალი დამთავრებული გვქონდა და არანაირი საშუალება არ გაგვაჩნდა.

ამასთანავე, არ შემიძლია, გვერდი ავუარო და რამდენიმე სიტყვით არ შევეხო იმ მეტად რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც 1937-38 წლებში მიმდინარეობდა. ძალიან მნიშვნელოვან დაღს ასვამდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას და პრაქტიკულ საქმიანობას. ის მითქმა-მოთქმა, "დანოსები", რომლებიც იმ პერიოდში ასე მიღებული იყო. პროფესორ-მასწავლებლები დაშინებულნი, დათრგუნულნი იყვნენ. ამ სტრიქონების წერის დროს თვალწინ მიდგას - 1938 წელს, მე პირადად და ჩემთან ერთად ორი ახალგაზრდა ინსტიტუტში მომუშავე პირი გამოგვიძახეს პარტიის ცკ-ის ერთ-ერთ მდივანთან რაფიელ კვირკველი-

ასთან. ჩვენ, როდესაც მდივანთან მისაღებში გამოვცხადდით, პირველად ცკ-ის მდივანმა გასაუბრებისათვის გამოიძახა ჩემზე ორი წლით ადრე, ჩვენივე ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ა.თიკანაძეს, გაესაუბრა მას და სულ რამდენიმე წუთში გაანთავისუფლა. შემდეგ დაუძახეს ჩემს ახლო მეგობარს, ჩემზე ერთი წლით ადრე კურსდამთავრებულს ს.სვანიძეს. მასთან საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მე მოცდისაგან გადავიღალე. გვიან, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, მათთან კაბინეტში შევიდა ერთი პიროვნება, რომელმაც სვანიძე გამოიყვანა და თან წაიყვანა. შემდეგ დამიძახეს მე. სულ რაღაც ორიოდე სიტყვა მკითხა, ანკეტური მონაცემები გადაათვალიერა და მითხრა:

- ხვალ 12 საათზე მობრძანდით, უნდა ჩაგიყვანოთ ცკ-ს პირველ მდივანთან ლავრენტი ბერიასთან გასაუბრებაზე. თან დასძინა: ჩვენ გვინდა თქვენ გადაგიყვანოთ ძალიან დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ამის შესახებ იგი უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკებათ.

შენობიდან გამოვედი. უკვე ღამე იყო. ძალიან მაინტერესებდა ჩემი მეგობრის - სვანიძის ბედი, რადგან ვფიქრობდი, რომ ისიც უკვე გარკვეულ თანამდებობაზე გაამწესეს-თქო. სანამ სახლში წავიდოდი, იმ ღამესვე გავიარე მის ბინაზე. იგი ახალი დაქორწინებული იყო და ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. როდესაც მივედი, მეუღლემ მითხრა, ჯერ არ მოსულაო. რასაკვირველია, ცოტა კიდევ მოვიცადე, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო და სახლში წავედი, ოჯახის წევრები მელოდებოდნენ. სახლისაკენ რომ მივდიოდი, გზაში ვფიქრობდი, რომ აშკარად რაღაც ხდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, იმასაც ვითვალისწინებდი, რომ ცუდი არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან სვანიძე სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდა იყო, საერთო საცხოვრებელში ჩვენთან ერთად ცხოვრობდა და სამუშაოც ერთ ფაკულტეტზე გვქონდა. ჩემი მეუღლე და შვილი სოფელში იმყოფებოდნენ იმ დროს, ამიტომ მე ჩემს სიდედრთან მივედი. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ქვისლი ვიქტორ კვიტაიშვილი სამხედრო პირი იყო, მკითხა, რატომ დაგაგვიანდაო. დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი, რაც იმ დღე-ღამეში მოხდა და სვანიძის ამბავიც ვუამბე. ჩემი ქვისლი

მას კარგად იცნობდა, რადგან ხშირად სახლში ერთად ვმეცადინეობდით. როგორც კი ჩემგან ეს ამბავი მოისმინა, მან ხელი-ხელს დაარტყა და თქვა: რომ აქ საქმე კარგად არ უნდა იყოსო. ასე იყო თუ ისე, ის დამე ფიქრში გავატარე. დილაადრიან, გათენებისას სვანიძის მეუღლე ატირებული მოვიდა. მან, უპირველეს ყოვლისა, გვითხრა, რომ ოთახი, სადაც ცხორვობდნენ, ძირფესვიანად გაჩხრიკეს, მათ შორის საოჯახო ნივთებიც და არაფერი ამ მითხრესო. მე მეკითხებოდა - რა მოხდაო? მე დაწვრილებით ისევ გავუმეორე ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა. რასაკვირველია, ის თავის სახლში ძალზედ შეწუხებული დაბრუნდა. მე კი ინსტიტუტში სამუშაოდ გავეშურე და ერთი სული მქონდა, ყველაფერი ეს მომეთხრო ჩემი მასწავლებლისთვის - ი.ქუთათელაძისთვის. იგი ძალიან შეფიქრიანდა და მკითხა: თქვენ 12 საათზე აუცილებლად უნდა მიხვიდეთო? მე ვუპასუხე: რასაკვირველია. იგი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მითხრა:

- ამ რამდენიმე ხნის წინათ მე მომთხოვეს და წარვადგინე ტექნოლოგიური დასაბუთება იმისა, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას ფარმაკოქიმიური მრეწველობის სამმართველო. ამის საფუძველზე შეიქმნა კიდეც ეს სამმართველო და მის უფროსად დანიშნეს სანდრო კობალაძე. იგი, მუშაობის დაწყებისთანავე, რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს და ვაი, თუ ამ სამმართველოს უფროსად უნდათ თქვენი დანიშვნა. თუ რამე გაგეწყობათ, უარი თქვით, რადგან ჯერ საამისო არავითარი გამოცდილება არ გაქვთ.

ამ საუბრის შემდეგ გავემგზავრე დანიშნულ ადგილზე. 12 საათზე გამოვცხადდი დაპირებისამებრ მდივანთან, აიღო ჩემი პირადი საქმე და მითხრა, წავიდეთო. მდივნის კაბინეტი შენობის მეოთხე სართულზე მდებარეობდა, ხოლო რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო ლ.ბერიას სამუშაო კაბინეტი მესამე სართულზე. როდესაც კიბეებზე დავეშვით და მესამე სართულს ჩავცდით, მე უნებლიედ ვკითხე: ბერიას სამუშაო ოთახი ხომ მესამე სართულზეა-თქო. მან მიპასუხა: მართალია, ჩვენ დაპირებისამებრ მას უნდა შევხვედროდით, მაგრამ წუხელ გვიან იგი სტალინმა გამოიძახა მოსკოვში

ეჟოვის ადგილზე დასანიშნად. ამიტომ ჩვენ დღეს შევ-
ხვდებით ცკ-ის მეორე მდივანს, რომელიც პირველი მდივნის
მოვალეობას ასურლებსო. ეს პიროვნება გახლდათ კოჭლამა-
ზაშვილი. სანამდე მასთან შევიდოდით, მოვასწარი და
ვკითხე, სვანიძე სად წაიყვანეთ-თქო? მან დაუფიქრებლად და
სწრაფად მიპასუხა: სვანიძეს მოეშვით და სად წავიყვანეთ,
თქვენი საქმე არ არისო. ამასობაში მივუახლოვდით
დასახელებული პირის სამუშაო კაბინეტს. შემიყვანეს მასთან
გასაუბრებაზე. მან გადაათვალიერა ჩემი ანკეტური მონაცე-
მები და განმიცხადა: ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, თქვენ
დაგნიშნოთ ახლადშექმნილი ფარმაკოქიმიური მრეწველობის
სამმართველოს უფროსად. მე მაშინვე გადაჭრით უარი
განვუცხადე და იმით დავუსაბუთე, რომ ამ დარგში ჯერ-
ჯერობით არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არ მქონდა
და ვერ შევძლებდი მუშაობას. მითხრეს, წადი და დაფიქ-
რდიო. წამოსვლისას, კარებს რომ მივუახლოვდი, მოვბრუნდი
და კვლავ შევთხოვე, რომ მე ამ თანამდებობაზე ნუ
დამნიშნავთ-თქო. მან დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და
გამათავისუფლეს.

შემდგომში ჩვენთვის ყველასათვის ნათელი გახდა, იმ
დღის შემდეგ სვანიძე არც მის ოჯახს და არც ვინმე სხვას
აღარ უნახავს და არც არაფერი შეუტყვიათ. ასე უკვალოდ
დაიკარგა ეს პიროვნება. ასეთი ფაქტებით აღნიშნული
პერიოდი სამწუხაროდ მეტად მდიდარი იყო.

მე ჩემს საქმანობას ვაგრძელებდი 1942 წლის დასა-
წყისამდე. როდესაც ჩემმა ამხანაგებმა ინსტიტუტი დაამ-
თავრეს და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სპეციალო-
ბების მიხედვით სამუშაოდ განაწილდნენ, ბევრი უკან
დააბრუნეს იმის გამო, რომ თითქოს სამუშაო ადგილები არ
არისო, ასეთმა გაუგებრობამ და, შეიძლება ითქვას, განუკი-
თხაობამ ჩემში ცხადად აღადგინა ის დრო, როდესაც
საფთიაქო სისტემის ხელმძღვანელები ეწინააღმდეგებოდნენ
უმაღლესი განათლების აუცილებლობას. ამიტომ მე შეძლე-
ბისდაგვარად შევისწავლე საფთიაქო სისტემაში კადრების
მდგომარეობის საკითხი და ის, რომ 1936 წლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში არსებულ სამოცამდე სააფთიაქო დაწესებულებას მხოლოდ ორი უმაღლესდამთავრებული პირი განაგებდა. ამ დროისათვის არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ აფთიაქში გამგე, მოადგილე, რეცეპტორ-კოტროლიორი, დეფექტორი და ზოგიერთი სხვა თანამდებობა უმაღლესი განათლების პირებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. მეც მთელი ჩემი ორგანიზატორული შესაძლებლობები გამოვიყენე, დავწერე მოკლე ოფიციალური წერილი და შევიტანე კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გამომიძახა ცკ-ის ჯანმრთელობის სექტორის გამგემ ბაბულია ალანიამ, გამესაუბრა, მე მას დეტალურად ავუხსენი, რომ, მიუხედავად შეთანხმებისა, არ ღებულობენ და საერთოდ ცუდად ექცევიან უმაღლესი განათლების მქონე პირებს ადგილებზე-თქო. საუბრის დროს ჩემზე მეტად ღრმა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქ-ნმა ბაბულიამ. ჩვენ ერთმანეთს იმით დავშორდით, რომ მან მითხრა: ჩვენი საუბრის შინაარს მავახსენებ ხელმძღვანელებს და აუცილებლად სასწრაფო ზომებს მივიღებთ განაწილებული სპეციალისტების ადგილებზე დამაგრების საქმეშიო. სულ მალე ეს დაპირება ცხადად ახდა, განაწილებული პირები უკან გამოიძახეს და მათ მუშაობა დაიწყეს.

1942 წლის დასაწყისში გამომიძახეს ცკ-ში, ჯანმრთელობის სექტორში. მისვლისთანავე სასაუბროდ წამიყვანეს ცკ-ის მდივანთან კადრების დარგში ალიოშა თოფურიძესთან. იგი გამეცნო, დეტალურად გამომკითხა დაბადების ადგილი, მშობლების საქმიანობა, სწავლების პერიოდი, სწავლისადმი ჩემი დამოკიდებულება და საბოლოოდ მითხრა, თქვენ ისევ მალე დაგიძახებთო. მართლაც, რამდენიმე დღეში ისევ მასთან გამომიძახეს და მისვლისთანავე წამიყვანა ცკ-ის პირველ მდივანთან - კანდიდ ჩარკვიანთან გასაუბრებაზე. ისიც ჩემს ყოფა-ცხოვრებაზე დაწვრილებით გამესაუბრა და მკითხა:

- სააფთიაქო სისტემა და საერთოდ აფთიაქი ხალხში, საზოგადოებაში ძველადაც და ახლაც ცნობილი იყო,

როგორც მეტად წმინდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და უაღრესად საჭირო სამედიცინო დაწესებულება. ადრე აფთიაქში რომ შედიოდნენ, ქუდს მოიხდიდნენ ხოლმე. შემდეგ და შემდეგ ამ დარგის ხელმძღვანელების არასწორი საქმიანობით და მუშაობით ეს შეხედულება თანდათან მცირდებოდა და იკარგებოდა. სააფთიაქო სისტემა და საერთოდ წამლისადმი სიყვარული საქართველოში იმდენად დიდია და სააფთიაქო ქსელიც იმდენად ფართე, რომ ეს ცალკე დამოუკიდებელი სამინისტროს ტოლფასია. ამჟამად ამ სისტემაში ხელმძღვანელების ცუდი მუშაობის შედეგად დიდი დარღვევებია და სწორედ ამ დროს მოგიხდებათ თქვენ მუშაობა ამ დარგის ხელმძღვანელად. თქვენს შესახებ, მიუხედავად ასაკისა, ჩვენმა მუშაკებმა თქვენი საქმიანობის ბევრი დადებითი დახასიათება გადმომცეს და რას იტყვით?

ვუპასუხე, რომ მე ორგანიზაციული მუშაობის დიდი პრაქტიკა არ მაქვს და ასეთი დიდი სისტემის ხელმძღვანელობა, ვაი, თუ ვერ შევძლო-მეთქი. ჩემს მოსაზრებაზე მან მითხრა:

- ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია თქვენს მაგივრად მუშაობა ვაწარმოოთ, მაგრამ მე მითითებას მივცემ ჩვენს აპარატს, მთავრობას, რომ თქვენ სათანადო დახმარება გაგიწიონ მუშაობაში, ხოლო თქვენგან ველით მეტად თავდადებულ და ერთგულ მუშაობას. ახლა ამით დავამთავროთ და ამ წინადადებაზე დასამტკიცებლად ბიუროზე გამოგიძახებენ.

მე დავბრუნდი და თან ვფიქრობდი, საიდან ჰქონდა ჩემს შესახებ ცნობები რესპუბლიკის პირველ კაცს, ან საიდან და ვის უნდა წარედგინა ჩემს შესახებ დადებითი დახასიათება. საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულის საფუძველი გახდა ჩემს მიერ ადრე უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების შესახებ დაწერილი წერილი, რომელიც ცკ-ში გავაგზავნე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წამლის საქარხნო ლაბორატორიაში მუშაობის დროს

ინსტიტუტში დაბრუნებისთანავე, შემოთავაზებული წინადადების გამო საკმაოდ აღელვებული, პირდაპირ შევედი აკადემიკოს იოველ ქუთათელაძესთან, დაწვრილებით ვუამბე მას, რაც ცკ-ში შემომთავაზეს. მან ჩემი ეს მონათხრობი გულდასმით მოისმინა და ოდნავი დაფიქრების შემდეგ მითხრა: ეს წინადადება, რომელიც თქვენთვის მოუციათ, წამალთმცოდნეობის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საწინდარი გახდება. ამიტომ მე მას ვიწონებ და თუ ეს არ მოხდა, ჩემის მხრიდან ვეცდები, რაც ჩემს ძალასა და ღონეს შესწევს, ღირსეულად დაგეხმაროთ.

ოჯახში დავბრუნდი შეფიქრიანებული და რასაკვირველია, ჩემს მეუღლეს, როგორც კოლეგასაც, ვუამბე ყოველივე იმ წინადადების შესახებ, რაც მომცეს მომავალ თანამდებობაზე ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით და აზრი ჩემი მასწავლებლისაც. ბევრი ვილაპარაკეთ, ვიფიქრეთ, ავწონ-დავწონეთ და აქაც მივედით იმ დასკვნამდე, ჩემთვის ეს მეტად ძნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა. ორი დღის შემდეგ გამომიძახეს. პარტიის ცკ-ს ბიუროზე პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა, გაიმეორა ჩემს შესახებ ორი დღის წინათ თქმული და წარუდგინა ბიუროს წინადადება რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შესახებ. ბიუროს წევრებმა წინადადება მოიწონეს და მე 1942 წლის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც დიდი სამამულო ომი მიმდინარეობდა, დამამტკიცეს ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მალე ცკ-ის დარგობრივმა მდივანმა ვ.ბუჯიაშვილმა განმიცხადა, რომ ეს საქმე მეტად რთული და მრავალფეროვანია და ამიტომ, თქვენ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თავი უნდა დაანებოთო. მე ამაზე ძალიან შევწუხდი და ვთხოვე, რომ მოეცათ ჩემთვის საშუალება, შეთავსებით დავრჩენილიყავი ინსტიტუტში ჩემს ძველ თანამდებობაზე. მან კატეგორიული უარი მითხრა და მე მას განვუცხადე, რომ ალბათ, მომიხდება პირადად თხოვნით მივმართო ცკ-ის პირველ მდივანს ამ თანამდებობიდან გამანთავისუფლოს, რადგან არასგზით არ შემიძლია, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დატოვება-თქო. ძალიან დაღონებულმა მეორე დღესვე მივმართე კანდიდ ჩარკვიანს თხოვნით სასაუბროდ მიღებაზე. მან დაუყოვნებლივ მიმიღო. ვუამბე დარგობრივ მდივანთან ჩემი საუბარი და ვთხოვე, როგორც გამონაკლისი, ჩემთვის ნება დაერთო ინსტიტუტში შეთავსებით დარჩენაზე. მან გულდასმით მომისმინა, რამდენიმე კითხვა მომცა იმის შესახებ, თუ რაზე ვმუშაობდი ინსტიტუტში გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა და საუბრის შემდეგ აიღო ყურმილი, დაურეკა დარგობრივ მდივანს, რომ ჩემთან არის რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი გელბახიანი, რომელმაც გადმომცა თქვენთან საუბრის შინაარსი და მე მთხოვა, ნება დავრთო შეთავსებით დარჩეს ინსტიტუტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. მე მის თხოვნას ვაკმაყოფილებო. ამით დაამთავრა მასთან საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, წელში გამართული დავბრუნდი ინსტიტუტში და ყოველივე ვუამბე ჩემს მასწავლებელს.



ბელბახიანი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებთან ერთად

სამუშაო ადგილზე მისვლამდე ჩემი მეგობრები, ნაცნობები ძალიან მაშინებდნენ და მაფრთხილებდნენ იმის თაობაზე, რომ თუ მე რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს მუშაკებს მთლიანად არ შევცვლიდი, არ შევცვლიდი ძველ აპარატს, მათთან მუშაობას ვერ შევძლებდი. მიუხედავად ამისა, მე ჩავიბარე დასახელებული სისტემა და ძალზე ფრთხილად, მაგრამ დიდის მონდომებით შევუდექი საქმიანობას. ჩემდა სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორი აღმოვჩნდი. რამდენიმე თვის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ დავრწმუნდი იმაში, რომ აპარატის ძველ მუშაკებთან მუშაობის გაგრძელება სრულიად დაუბრკოლებლად შეიძლებოდა. ამ დროისათვის დიდი საორგანიზაციო პრაქტიკული საქმიანობა ჩატარდა მთავარ სამმართველოში, საომარ ყაიდაზე მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის და ამ დროს ევაკო-ჰოსპიტლების ფართო ქსელის მედიკამენტებით, სამედიცინო მოწყობილობით და სხვადასხვა სამედიცინო საგნებით მომარაგების შესახებ. რასაკვირველია,

ამ გეგმებს ზემდგომი ორგანოები იხილავდნენ და ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1943 წელს, მიუხედავად სამამულო ომის დიდი მასშტაბებისა და იმ დიდი მუშაობისა, რომელიც მაშინ სამედიცინო სისტემას საერთოდ უხდებოდა, მე მაინც ძალზე მაწუხებდა ის ამბავი, რომ კადრების გამოყენების საკითხი არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ეს საკითხი მოსვენებას არ მაძლევდა. ამიტომ დავწერე მოხსენებითი ბარათი და დავაყენე საკითხი სააფთიაქო სამმართველოს მთელ სისტემაში კადრების ატესტაციის შესახებ. ეს საკითხი ჩემი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პარტიის ცკ-ში განიხილეს. ბიუროზე გამოიტანეს სპეციალური დადგენილება და დაამტკიცეს საატესტაციო კომისია. ჯანმრთელობის სახალხო კომისიას თავმჯდომარეობდა ა.ხელიძე, მე ვიყავი მისი მოადგილე და წევრად შეიყვანეს ცკ-ის ჯანმრთელობის სექტორის გამგე ბ.ალანია. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოკლედ რომ ვთქვათ, დავიწყეთ რესპუბლიკის სააფთიაქო სისტემაში შემავალი ყველა ობიექტის მუშაკების ატესტაცია. მიზანი იყო მიგვეჩინა განათლების მიხედვით ყველა მუშაკისათვის შესაფერი ადგილი. ატესტაცია ეხებოდა რამდენიმე ათას კაცს. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ვისაც შესაფერისი განათლება არ ჰქონდა, ყველას ვათავისუფლებდით, სამუშაო ადგილის გარეშე არავინ დაგვიტოვებია. ეს აღნიშნული პერიოდი სიამაყის გრძნობით მინდა მოვიგონო და ხაზი გავუსვა იმას, რომ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, ეს იყო სააფთიაქო სისტემაში კადრების სწორად გამოყენების საქმეში რევოლუციური ნაბიჯი და უნდა აღინიშნოს, როდესაც ზემდგომმა ორგანოებმა განიხილეს ატესტაციის შედეგები, აბსოლუტურად უკონფლიქტოდ დამთავრდა ეს ამბავი. არც ერთი საჩივარი და უკმაყოფილება არ გამოთქმულა ჩატარებულ ამ მეტად დიდ და მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით. ამრიგად, რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის ყველა აფთიაქს განაგებდა პროვიზორი. ჩვენს მიერ ფარმაცევტულ კადრებთან ჩატარებული მუშაობა წინასწარ შეამოწმა საბჭოთა

კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მაღალი შეფასება მისცა მას. შემდგომ ამ საკითხზე მოისმინეს ჩემი მოხსენება ქ.მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააფთიაქო სისტემაში ხელმძღვანელად ჩემს დანიშვნას დაემთხვა ამ სისტემაში მთავრობის მიერ რეორგანიზაციის განხორციელება. მაშინ სიახლეს წარმოადგენდა რაიონული ცენტრალური აფთიაქების შექმნა. აგრეთვე, რესპუბლიკის მსხვილ ცენტრებში დაარსდა სააფთიაქო კანტორები სათანადო სასაწყობო მეურნეობით. რაც შეეხება აჭარასა და აფხაზეთს, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებს, აქ დარჩა სააფთიაქო სამმართველოები და მათ გამგეობაში ასევე შეიქმნა რაიცენტრალური აფთიაქები. აფხეზეთის სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ამ დარგში ჩემი ხელმძღვანელობის მთელ პერიოდში, ბიქტორ დგებუაძე. ეს იყო [illegible]ლესი განათლების მქონე კაცი, თავის საქმეზე მეტა[illegible]ერებული, სპეტაკი და უანგარო მოღვაწე. აჭარის ავტო[illegible] რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს ხელმ[illegible]ელობდა თათარხან ნაკაიძე - უმაღლესი განათლების სპეციალისტი, შრომისმოყვარე, რაც მის საქმიანობაშიც ნათლად ჩანდა. ცხინვალში დაარსდა სააფთიაქო კანტორა და იგი თავის უფლებებს ახორციელებდა მსგავსად სხვა კანტორებისა. ცხინვალის სააფთიაქო კანტორის უფროსად დანიშნული იყო ოთარ ნიშნიანიძე. რაიცენტრის აფთიაქებს ევალებოდათ რაიონში შემავალ აფთიაქებზე კონტროლი, იქ არსებული ჭარბი მედიკამენტების სათანადო ბუღალტრული გაფორმების შემდეგ გადანაწილება და სხვა. ასეთი რაიონული ცენტრალური აფთიაქები შექმნილი იყო რესპუბლიკის ყველა რაიონულ ცენტრში.

კანტორის ხელმძღვანელებად ჩვენს მიერ დანიშნულნი იყვნენ: ზუგდიდის სააფთიაქო კანტორის მმართველად – ხარიტონ ჯანაშია, რომელმაც ინსტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სრულიად გამოამჟღავნა თავისი ცოდნა და ენერგია მუშაობაში და შეიძლება ითქვას, რომ საქმე შესანიშნავად წარმართა. მის გამგებლობაში შედიოდა სამეგრელოს რაიონებში შემავალი ყველა სააფთიაქო და-

წესებულება და აგრეთვე, ზემო სვანეთის სააფთიაქო ქსელის კანტორასთან შექმნილი იყო ცენტრალური საკონტროლო ანალიზური ლაბორატორია, რომლის საშუალებითაც სისტემატური კონტროლი ეწეოდა აფთიაქებში დამზადებული წამლების ხარისხს. ოზურგეთის რაიონში სააფთიაქო კანტორის მმართველად დაინიშნა ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირი - ზაქარია ინწკირველი, რომელსაც საშუალო ფარმაცევტული განათლება ჰქონდა მიღებული და სააფთიაქო პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს შესანიშნავად ფლობდა. მის დაქვემდებარებაში შედიოდა ლანჩხუთი და ჩოხატაური, სააფთიაქო კანტორის მმართველად ქუთაისში დანიშნული იყო კარპეზ ციმაკურიძე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა მისდამი დაქვემდებარებულ სააფთიაქო ქსელს, არც თუ მცირეს, მასში შედიოდა, აგრეთვე, ქვემო სვანეთი, ტყიბული, ცაგერი და ახლო მდებარე იმერეთის რაიონები. კახეთის სააფთიაქო კანტორის მმართველად გურჯაანში დაინიშნა დ.ღოღელიანი. აღნიშნული კანტორა ემსახურებოდა კახეთის ყველა რაიონს - თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტისა და ნინოწმინდის. ყველა ზემოჩამოთვლილ კანტორებს ჰქონდათ, მსგავსად ზუგდიდის სააფთიაქო კანტორისა, საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიები. მთელი რესპუბლიკის სააფთიაქო ქსელზე კონტროლს, ზედამხედველობას, დახმარებასა და ხელმძღვანელობას ახორციელებდა რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოსთან არსებული ინსპექტორთა და საბუღალტრო სარევიზიო ჯგუფი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონების წერის დროს, ძალიან დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ამ სისტემას ვხელმძღვანელობდი, დღესაც კარგად მახსოვს ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც საქმის კარგი ცოდნითა და უანგარო მოღვაწეობით მოახდინეს ჩემზე მაშინდელმა ჩემმა პირველმა მოადგილემ გრიგოლ ჩიხრაძემ, იგი სააფთიაქო ქსელს ხელმძღვანელობდა; მეორე მოადგილემ - სპირიდონ ხაბურზანიამ, რომელიც სააფთიაქო ქსელის მედიკამენტების უზრუნველყოფას და წარმოების საკითხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობდა; სააფთიაქო ინსპექტორებმა – მიმინოშვილმა, დოლაბერიძემ, ტყემალაძემ; განყოფილების გამგეებმა - მამალაძემ, გუნიამ და სხვებმა. იმის გამო, რომ სისტემა ძალიან დიდი იყო, სააფთიაქო სისტემაში 600-მდე აფთიაქი შემოდიოდა, გულნაკლულნი არ უნდა დამრჩნენ ის საუკეთესო სპეციალისტები, მუშაკები, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით თავიანთი უანგარო შრომით საქართველოს წამალთმცოდნეობის დარგში.

პ.ბელბახიანი – საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი

სამამულო ომის წლებში მრავალჯერ აღნიშნულა რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს კარგი მუშაობა, განსაკუთრებით კი ევაკო-ჰოსპიტლების საქმიანობასთან დაკავშირებით. დიდმა სამამულო ომმა მოითხოვა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ადგილობრივი რესურსები. მხედველობაში გვაქვს საქართველოს სამკურნალო მცენარეული სიმდიდრის გამოყენება. ამ ნედლეულიდან ადგილზე უნდა მოგვემზადებინა ცნობილი და მკურნალობაში გამოყენებული პრეპარატები. ამისათვის საჭირო იყო სამკურნალო მცენარეების შეგროვება და მისი გადამუშავება. მათი შეგროვების მიზნით რესპუბლიკის მთავარ სააფთიაქო სამმართველოსთან არსებობდა სამკურნალო მცენარეების დამზადების სპეციალური განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა ამ საქმის დიდი ანთუზიასტი, პროვიზორი მხეიძე. სამკურნალო მცენარეების შეგროვება წარმოებდა რესპუბ-

ლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად სოფლის სააფთიაქო ქსელისა და ცეკავშირის საშუალებით. საქმეში აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის მოსწავლეახალგაზრდობაც. საქართველოში დამზადებული სამკურნალო ნედლეულიდან სააფთიაქო სამმართველოსთან დაარსებულ საამქროში მზადდებოდა ნაყენები, გამონაწვლილები, რომელთაც მკურნალობაში დიდი გამოყენება ჰქონდათ. მაგრამ სამკურნალო საშუალებათა მრავალფეროვნება, მათი მომზადების რთული ტექნოლოგიური პროცესები, შეუძლებელს ხდიდა საქართველოს სამკურნალო ქსელის და განსაკუთრებით, ევაკო-ჰოსპიტალების დაკმაყოფილებას მხოლოდ საქართველოში დამზადებული საშუალებებით. ამიტომ, მთავარ სააფთიაქო სამმართველოს სამკურნალო საშუალებების შემოზიდვა უხდებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან. განსაკუთრებით კი მოსკოვიდან. რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს მუშაკებს და პირადად მე ხშირად მიხდებოდა ამ საკითხის მოსაგვარებლად მივლინებებში გამგზავრება. მაგრამ სამამულო ომის სიმძაფრემ ბევრი გზა გადაკეტა და მიმოსვლის საშუალებები გაართულა.

მახსოვს, აუცილებელი იყო მოსკოვში გამგზავრება და სწორედ ამ დროს საინფორმაციო ბიურომ გვამცნო, რომ სტალინგრადის ფრონტზე ჩვენმა მებრძოლებმა გერმანიის ურიცხვი ჯარი და ტექნიკა დაამარცხეს და სტალინგრადი საბოლოოდ გათავისუფლდაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვისაკენ სტალინგრადის გავლით გზა გაიხსნა და მაშინვე, პირველივე მატარებლით გავემგზავრე მოსკოვში. მატარებლის ვაგონში პირველ დღეს გავიცანი გენერალი თავართქილაძე, რომელიც მიემგზავრებოდა ქ.როსტოვში. სტალინგრადში ჩვენ ერთად ვნახეთ ის თავშესაფარი, საიდანაც ჩვენი ჯარის ნაწილებმა გამოიყვანეს დამარცხებული ფელდმარშალი პაულიუსი. არასოდეს დამავიწყდება მიმავალი მატარებლის ფანჯრიდან ცარიელი, ფერადი ლითონის გილზების გორები სტალინგრადის ქუჩებში, ქუდის კასკები და ჯერ კიდევ დაუსაფლავებელი დაღუპულთა გვამები. მთელი ქალაქი ისე გავიარეთ, არც ერთი მთელი შენობა არ დაგვინახავს. ჩავედი მოსკოვში და ღამე სასტუმრო "მოსკოვში" გავათენე, მაგრამ გამაფრთხილებელმა

განგაშმა ღამით რამდენჯერმე გაგვაღვიძა და სასტუმროს ნომრებიდან თავშესაფარში ჩაგვიყვანეს. გათენებისთანავე ჩემთვის ცნობილ ბაზებში გამოვცხადდი, მუშაკები იქ უკვე მიცნობდნენ. ძალიან გაუკვირდათ ამ დროს ჩემი მოსკოვში ჩასვლა და ყველაფერი, რასაც ვითხოვდით, ჩვენი განაცხადით, გადაჭარბებით შეგვისრულეს, დაგვპირდნენ სასწრაფო გამოგზავნას. მე მოსკოვში ვნახე ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელი მუშაკები და გავაცანი მათ საქართველოში ევაკო-ჰოსპიტლებისა და სააფთიაქო ქსელისათვის საჭირო მედიკამენტების ნუსხა და ვთხოვე თავისი შეხედულებისამებრ გამოეგზავნათ საქართველოსთვის. აქვე აღვნიშნავ, რომ მაშინ ისინი ამას არც თუ ცუდად ასრულებდნენ.

ბევრი საინტერესო მოგონება მაკავშირებს სააფთიაქო სისტემაში ჩემი მუშაობის პერიოდთან. მთავარ სააფთიაქო სამმართველოში მრავალჯერ მოსულა ჩემთან ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი კონსტანტინე ერისთავი. მას არაერთგზის უთქვამს ჩემთვის:

- თქვენი აქ ყოფნა აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ვამჯობინებდი, რომ ჩემთან გადმოსულიყავით ინსტიტუტში, ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანად. მოდიოდა ხოლმე ზოგჯერ სასაუბროდ, ზოგჯერ კი თხოვნით თავისი ქირურგიული კლინიკის სათანადო ახალი სამედიცინო მოწყობილობითა და აპარატურით უზრუნველყოფის საკითხებზე.

პ.გელბახიანი – 1943 წ.

მაგონდება, ერთ დღეს ჩემთან კაბინეტში მდივანი შემოვიდა და მითხრა, მოსულია და თქვენი ნახვა სურს კონსტანტინე გამსახურდიასო. ჩემთან ძალიან ბევრი მედიკოს-მეცნიერი მოდიოდა ხოლმე საქმეზეც და სასაუბროდაც, მაგრამ ბა-

ტონი კონსტანტინეს მოსვლა სრულიად მოულოდნელი იყო. იმ წამსვე, მოსაცდელშივე შევხვდი ბატონ კონსტანტინეს და სამუშაო კაბინეტში მივიწვიე. ჩვენი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. წასვლისას დაუფიქრებლად ვკითხე: ბატონო კოწია, რაიმე ხომ არ გნებავთ-მეთქი?

მომიბრუნდა, გაიღიმა და მითხრა: მე თქვენ არ გიცნობდით, ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ, ახლოს გაცნობა მინდოდა და ამიტომ მოვედი-ო.

გავაცილე და ვკითხე - მანქანით წასვლას ხომ არ ინებებთ-მეთქი. მან მადლობა გადამიხადა და მითხრა: აქ ახლოს სხვა საქმეც მაქვს და მანქანა საჭირო არ არისო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონი კონსტანტინე ისევ მობრძანდა ჩემთან სამმართველოში. მე ამჯერადაც დიდი სიხარულით მივიღე და მოვუსმინე. მან მითხრა:

- ვიცი, რომ თქვენ იმერეთიდან ბრძანდებით, მაგრამ ომახიანი გვარი გაქვთ და ასოციაციურად სვანეთთან მაკავშირებს. მე კოლხურ კოშკს ვაშენებ, მინდა გაჩვენოთ პროექტი და მშენებლობის ადგილი, ხომ არ წამობრძანდებით?

სიამოვნებით მივიღე შემოთავაზებული წინადადება და გავემართეთ იმ ადგილისაკენ, სადაც მომავალში კოლხური კოშკი უნდა აშენებულიყო. რასაკვირველია, მე ტექნიკური განათლება არ მქონდა მიღებული და ჩემი შეფასება დილეტანტური იყო, მაგრამ მომეწონა პროექტიც, ადგილიც და ჩემებურად დავუდასტურე კიდეც. მსგავსი შეხვედრები სხვა დროსაც ყოფილა და იგი ჩემში დღესაც სასიამოვნო მოგონებად რჩება.

1944 წელს ზაფხულში მეუღლე შვილთან ერთად გაგზავნილი მყავდა ჩემს მშობლიურ სოფელ ბუნიკაურში და გადავწყვიტე მეც რამდენიმე დღით ჩავსულიყავი მათთან. ჩემი ჩანაფიქრი ვუამბე ბატონ იოველ ქუთათელაძეს და ვთხოვე კიდეც: ძალიან მინდა, თქვენც ჩემთან ერთად წამობრძანდეთ, რომ ჩემი სოფელი გაჩვენოთ-მეთქი.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მითხრა:

- წამოვალ! დიდი ხანია მინდოდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ტრესტის ხელმძღვანელობის ნახვა. მათ ცხაკაიას (ახლანდელი სენაკის) რაიონში აქვთ ნაკვეთი და

შენობები. ისინი ამ ნაკვეთს არ იყენებენ. თუ მას შენობებითურთ გადმოგვცემენ, მომავალში იქ გავაშენებთ საბავშვო ნალი მცენარეებს. ამ საკითხსაც გავარკვევ.

მართლაც, დანიშნულ დროს მატარებლით გავემგზავრეთ ჭიათურაში. ჩასვლისთანავე ვინახულეთ მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელობა და პროფესორმა მისთვის საინტერესო საკითხიც გაარკვია. ჭიათურაში ჩვენი ჩასვლა სწრაფად გაიგო რაიონის ხელმძღვანელობამ და სოფელ ბუნიკაურამდე მსუბუქი ავტომანქანით გაგვამგზავრეს, სადაც მისვლისთანავე შემოგვეგებნენ ჩემი მეუღლე, ვაჟიშვილი, დედაჩემი, იქ მყოფი ჩემი დები და ჩემი ბიძაშვილი გიორგი გელბახიანი. ბატონ იოველს გავაცანი ისინი. დედჩემმა სასწრაფოდ გამოაცხო იმერული ხაჭაპურები, შეწვა წიწილები და ერთი სიტყვით ლამაზი, იმერული, კოპწია სუფრა გაგვიწყო. მართალია, ჩვენი სოფლის ღვინო განთქმული არ არის, მაგრამ სახალისოდ ბატონ იოველს ისიც მოეწონა. საერთოდ, ბატონი იოველი სპირტიანი სასმელების მოყვარული კაცი არ იყო. ვისადილეთ, დავისვენეთ და იმავე დღეს კარ-მიდამოს ახლომდებარე მუხნარში გავისეირნეთ. ბატონ იოველს მე არაფერს ვეკითხებოდი, მაგრამ გულში ვფიქრობდი, ნეტავ, მასაც ჩემსავით თუ მოსწონს ჩემი სოფელი-თქო. საღამოს ბატონი იოველი ჩვენი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივანზე მოვასვენეთ. აქ კი მოვიგონებ ბატონი იოველის სასიამოვნო აღტაცებას, როდესაც მან საღამოს, ძილის წინ, თავის საწოლთან მეორე სართულამდე აშოლტილი ვაშლის ხის დახუნძლული ტოტები ნახა, რომლებიც აივანზეც შემოდიოდა, ვერ დამალა აღტაცება და თქვა, ასეთი სილამაზე ჯერ არ მინახავსო.

ერთი კვირა დავრჩით სოფელში. დედაჩემი, ჩემი მეუღლე და ჩემი დები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გვიმართავდნენ საუზმეს, სადილს და ვახშამს. ბატონ იოველთან ერთად რამდენჯერმე სოკოს საკრეფად წავედით ტყეში. ერთ დღეს, როდესაც მე ამის შესახებ აღარაფერი ვუთხარი, თვითონ შემახსენა, ტყეში გასეირნება და სოკოების ნახვა მომინდა, ისე მივეჩვიე ამ პროცესსო. რასაკვირველია, მისი სურვილი უმალ დავაკმაყოფილე, რადგან მეც ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრიდა ბუნების წიაღში

ყოფნა. დედაჩემი კეცებზე ლამაზ გასუფთავებულ სოკოს შეგვიწვავდა და დილის საუზმეზეც მოგვართმევდა ხოლმე. პირადად მე ძალიან ვცდილობდი, რომ ბატონი იოველისათვის თუკი რამ იყო საინტერესო ჩვენს სოფელში, ყველაფერი მეჩვენებინა. დედაჩემმა და ჩემმა მეუღლემ ერთ დღეს მითხრეს, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი, ბატონი იოველი წაგვეყვანა ჭერულში - წყლის სათავის სანახავად. მათი მხრიდან სიფრთხილე იმით იყო გამოწვეული, რომ ჩვენი სახლიდან ეს ადგილი დაშორებული იყო ორ ნახევარი კილომეტრით და გასავლელი გზაც კლდოვანი გახლდათ. წინადადება ბატონ იოველს გავაცანი, ავუხსენი მგზავრობის სირთულეც და არც კი დამამთავრებინა, მითხრა, თუკი ასეთი საინტერესო რამ არის, აუცილებლად უნდა ვნახოთო. დედაჩემმა სასწრაფოდ გაამზადა საგზალი და მითხრა - ერთი პატარა დოქით ღვინოც წაიღეთო. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ჩემმა ბიძაშვილმა გიორგი გელბახიანმა, რომელმაც თვითონ ითავა ღვინის და საგზლის წამოღება და ჩემს დებთან ერთად ჩვენი მეგზური გახდა. ჩვენთან ერთად ჩემი მეუღლე და ვაჟიშვილიც წამოვიდნენ, როდესაც დანიშნულ ადგილზე მივედით, ბატონმა იოველმა წინასწარ განაცხადა, არც თუ ისე ძნელი ყოფილა აქ მოსვლაო, გამოქვაბულში შევედით და ვნახეთ უმაღლესი წერტილიდან, როგორ გადმოსჩქეფდა მდინარე, ვნახეთ სტალაქტიდები და სტალაგმიტები. ბატონმა იოველმა თქვა: ამის უნახავად აქედან წასვლა როგორ შეიძლებოდაო? ამასობაში გიორგი გელბახიანს დოქით ღვინო მდინარეში ჩაეციებინა. ჩემმა დებმა კი გამოქვაბულის წინ გაშალეს სუფრა, დაღლილები, მთის ჰაერით ეგრერიგად გაბრუებულები კარგა მადიანად შევექეცით საგზალს და მიუხედავად იმისა, რომ პირადად უარს ვამბობდი ღვინის წაღებაზე, იქ ისე მოგვეწონა ჩაციებული ღვინო, მეტიც რომ ყოფილიყო, დაილეოდა. საღამოს დავბრუნდით და ჩვენი სტუმარი, ჩვენთან ერთად, მეტად ნასიამოვნები დარჩა. თბილისში წამოსვლის წინა დღეს წვეულება გავმართეთ და მეზობლები მოვიწვიეთ. იცოდნენ რა ჩვენი წასვლის დღე, ჭიათურის რაიონიდან ამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელები. სუფრის თამადად ჩემს მიერ დასახელებულ იქნა ჩვენი თანაკლესელი, განათლებით

ინჟინერი, კარგი მჭერმეტყველი - მიხაკო სამყურაშვილი. სტუმრები მისმა მოხდენილმა ენამ მეტად მოხიბლა. სუფრაც საინტერესოდ და სასიამოვნოდ წარიმართა. დასასრულს, თამადამ მიმართა ბატონ იოველს, როგორც სასურველ სტუმარს და უთხრა:

- ბატონო იოველ, ნუ შეგაშინებთ ის უგზოობა, რომელიც ჩვენს სოფელს ჭიათურასთან აკავშირებს და შემდგომ ჩამოსვლაზე, გპირდებით, შესანიშნავ გზებს დაგახვედრებთ.

ბატონი იოველი, ჩემი სურვილის შესაბამისად, ხშირად ელაპარაკებოდა დედაჩემს, ახლა თქვენი შვილი, უკვე გარკვეულ თანამდებობაზე საქმიანობს თბილისში, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, საცხოვრებელი სახლი უკვე კარგად გამართული აქვს და სასურველი იქნება თქვენი მასთან იქ ყოფნაო. ბატონი იოველის საუბარი დედასთან გამოწვეული იყო იმით, რომ მას თბილისში ვერ ვაჩერებდით. სოფლად ცხოვრება ერჩია, ამიტომ ჩემი მეუღლისა და პირადად ჩემი არაერთგზის თხოვნა შეუსმენელი რჩებოდა. ბატონი იოველის რამდენჯერმე ამ თხოვნის გამეორებამ დედაჩემზე იმოქმედა და ჩვენთან ერთად გამოემგზავრა თბილისს. ჭიათურის ხელმძღვანელობამ კვლავ მანქანა გამოგვიგზავნა თბილისში გასამგზავრებლად, დაგვახვედრეს რკინიგზის ბილეთები და ჭიათურის რკინიგზის სადგურზე მეტად საზეიმოდ გამოგვაცილეს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ბატონი იოველი, ჩემთან შეხვედრისას, არაერთგზის იგონებდა ჩემს სოფელში გატა-

პ.გელბახიანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ დღეებს და დასძენდა, ასეთი სიამოვნება არსად მიმიღიაო.

ამ სასიამოვნო თხრობას ერთი მეტად სამწუხარო ამბავიც მინდა დავურთო.

დედაჩემი თბილისში რამდენიმე თვე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში სულ სოფელს იგონებდა, იქ დაკრძალულ მამაჩემს და გვეუბნებოდა, როდის გამამგზავრებთ სოფელშიო. რასაკვირველია, ჩვენ გვინდოდა, რომ დედა ჩვენთან ყოფილიყო და გამგზავრების თარიღსაც არ ვეუბნებოდით. ერთ დღეს, სადილობისას, მე და ჩემმა მეუღლემ ვთხოვეთ დედას, ჩვენთან ერთად სადილზე წამოსულიყო ჩემი ცოლის დასთან, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, მცხეთის ქუჩაზე. ჩვენი ვაჟიშვილი იმ დროს მათთან იყო. წავედით მე, ჩემი მეუღლე და დედაჩემი. დედასთან სიარული ძალიან მიყვარდა და მუდამ ხელკავით დავდიოდით. ამჯერადაც, როდესაც მივუახლოვდით დანიშნულ ადგილს, მეუღლე დაწინაურდა, დედაჩემი და მე კი ნელი სვლით მივდიოდით. უცბად პირიდან ჰაერი ამოუშვა და ხელიდან მეცლება. ვხედავ, რომ საქმე ცუდად არის.

მიშველეთ! - დავიძახე.

მაშინვე მომეშველნენ ჩემი მეუღლე, ოჯახის სხვა წევრებიც და ხელში აყვანილი შევიყვანეთ სახლში. სასწრაფოდ დავუძახეთ ექიმს, მაგრამ უკვე გვიან იყო, დედა გარდაიცვალა.

ჩამოვასვენეთ სახლში, თაყაიშვილის ქუჩაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და სულ რამდენიმე საათში ჩემთან მოვიდნენ ჩემი მეგობრები, ნაცნობები სამძიმარზე, მოვიდა, აგრეთვე ჯანმრთელობის სახალხო კომისარი - ა.ხელიძე, მომისამძიმრა და მითხრა:

- ჩემო პეტრე, შენ, ალბათ, ახლა ფიქრობ, დედა თბილისში რომ არ წამომეყვანა, ცოცხალი იქნებოდაო. მაგრამ დამერწმუნე, როდესაც დაბრუნდებოდი, კიდევ უარესი იქნებოდა, სახლში ცოცხალი რომ არ დაგხვდებოდა.

მე მისი ვირწმუნე, რადან შესანიშნავ თერაპევტ-კარდიოლოგად ითვლებოდა. დედაჩემი გულით გარდაიცვალა. თბილისში გავმართეთ პანაშვიდი. დაკრძალვისათვის გავასვენეთ ბუნიკაურში რკინიგზით. მაშინ ეს ყველაფერი დიდ

სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შორი იყო, მაგრამ ყველაფერი, მეგობრების დახმარებით, წესისა და რიგის მიხედვით განხორციელდა. შორაპანში, სადაც ფართო ლიანდაგიდან ვიწრო ლიანდაგზე გადასვლა ხდებოდა, დაგვხვდნენ ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელობა სერგო საყვარელიძის მეთაურობით. ჭიათურის რკინიგზის სადგურში, გვიან სადამოს, მთელი სოფელი დაგვხვდა და ხელით ავასვენეთ დედაჩემი რვა კმ-ზე ბუნიკაურში. სათანადო პანაშვიდების გამართვის შემდეგ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დავკრძალეთ მამა-პაპისეულ საფლავზე, მამაჩემის გვერდით, თავის მეუღლესთან ერთად, სოფელ თაბაგრებში, 1945 წლის თებერვალში.

ჩემი ცხოვრების ამ უმძიმესი წუთების გახსენების შემდგომ, კვლავ ვუბრუნდები თხრობას საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

პ.გელბახიანი ლაბორატორიაში მუშაობის დროს

ჩემი პირველი სამეცნიერო ხასიათის შრომები სრულდებოდა აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის უშუალო ხელმძღვანელობით და მისივე რჩევით, იმის გამო, რომ მედიცინასა და ტექნიკაში დიდი გამოყენება ჰქონდა ტანინებს, მივიღე წინადადება, შემესწავლა საქართველოში მოზარდ მცენარეებსა და მის ნაწილებში, როგორიცაა ყვავილები, ფოთლები, ფესვები, ქერქი, ნაყოფი და სხვა, ტანინების რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათთან დაკავშირებული საკითხები. პირველი ჩემი სამეცნიერო ხასიათის შრომაგამოქვეყნდა სათაურით - "საქართველოში მოზარდი ტანინით მდიდარი ზოგიერთი მცენარის შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრობას რამდენიმე წლით წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე ჩემთან მოვიდა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მცენარეული საფარის ღირსეული მკვლევარი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი და მითხრა:

- მე თქვენს შრომას - "საქართველოში მოზარდი ზოგიერთ მცენარეებში ტანინების შემცველი რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ" გავეცანი და ჩემში გარკვეული ინტერესი გამოიწვია. მას ჩემს შრომაში ციტირებას ვუკეთებ.

აღნიშნულზე მე მას დიდ მადლობა გადავუხადე. ჩემივე მასწავლებლის რჩევით, შესწავლილი მცენარეებისა და მისი ნაწილების ტანინების რაოდენობრივი მაჩვენებლები ამეღო საფუძვლად და ღრმად შემესწავლა ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სამედიცინო ტანინის გამოყენების მიზნით მეტ ყურადღებას იპყრობდა, შევარჩიე ბროწეულის ნაყოფის ქერქი. შევისწავლე მისი ფარმაკობოტანიკური შენება, მასთან დაკავშირებით ტანინების მიღების სხვადასხვა მეთოდები საქართველოსა და მის ახლო მდებარე რესპუბლიკებში ამ მცენარის გავრცელების არეალი. შევიმუშავე ჩემი საკუთარი მარტივი მეთოდი აღნიშნული მცენარის ნაყოფის ქერქიდან ტანინის მიღებისა და გავაფორმე იგი, როგორც საკანდიდატო სამეცნიერო ნაშრომი, წარვუდგინე იგი სათანადო შეფასებისათვის აკად. ი.ქუთათელაძეს. მან მოიწონა, სათანადო შეფასება წერილობით გააფორმა და სხვა საჭირო საბუთებთან ერთად 1946 წელს წარვუდგინეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

აღნიშნულ საბჭოზე საჯარო დაცვის შემდეგ, ერთხმად მომენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მალე საბჭოს გადაწყვეტილება დაამტკიცა მოსკოვში უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ. ამავე წელს დამამტკიცეს დოცენტის სამეცნიერო წოდებაში.

სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დასაწყისის თხრობამ გამიტაცა და წინ გავუსწარი პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების პირველ წლებს. 1942 წელს სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მომანდო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე ფარმაცევტული საქმის ისტორიისა და ორგანიზაციის ლექციების კურსი. 1944 წლიდან, პროფ. პ.ჭუმბურიძის გარდაცვალების შემდეგ, ვკითხულობდი გალენის პრეპარატების ტექნოლოგიის სრულ კურსს 1947 წლამდე. 1947 წელს ამირჩიეს წამალთა ტექნოლოგიის კათედრის გამგედ. მანამდე წამალთა ტექნოლოგიის კურსს კითხულობდა თვით აკად. იოველ ქუთათელაძე. შემდეგ რამდენიმე წელს პროფ. ა.მშვიდობაძე.

პ.გელბახიანი გალენური პრეპარატების ლაბორატორიაში

ჩემი კათედრის გამგედ არჩევის დღიდან ლექციების კურსს წამალთა და გალენის პრეპარატების ტექნოლოგიაში ერთდროულად ვკითხულობდი, ხოლო ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციის სალექციო და პრაქტიკული მუშაობის კურსი მივანდე კათედრის უფროს მასწავლებელს პ.შელეიშვილს. მისი გარდაცვალების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მოწვეულ იქნა რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე - გ.ჩიხლაძე. მასვე დაეკისრა ფარმაცევტული საქმის ისტორიისა და ორგანიზაციის კურსის წაკითხვა. კათედრაზე სხვადასხვა თანამდებობებზე ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ წამყვანი პედაგოგები - ნ.სართანია, მ.ტრაპაიძე. თ.დოლაბერიძე, რ.სხილაძე, ლ.ჩხატარაშვილი, ნ.ბოჭორიშვილი, ფანცხავა, აბდუშელიშვილი და სხვები. აქვე, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის დიდი ღვაწლი, რომელიც კათედრის მუშაობაში მიუძღვის ჩემს მასწავლებელს, დოცენტს ირაკლი ბურხანაძეს, რომელიც ფაკულტეტზე კითხულობდა ფარმაცევტული რთული პრეპარატების ტექნოლოგიის აპარატურისა და სხვა დანადგარების სალექციო კურსს. ამავე დროს ასრულებდა ზემოდასახელებული კათედრის გამგის მოვალეობას 1947 წლამდე. კათედრაზე ჩემი ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს სამეცნიერო ხარისხები დაიცვეს თ.დოლაბერიძემ, რ.სხილაძემ, ნ.ბოჭორიშვილმა, ბ.ბოჭორიშვილმა, ი.თაბაგარმა და სხვებმა.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში, მზარდი დატვირთვის გამო, რთული იყო საზოგადოებრივ-ორგანიზაციული მუშაობის შეთავსება, რის გამოც 1952 წლის დამლევს, ჩემი თხოვნით, განვთავისუფლდი რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და მთელი ჩემი ცოდნა და ენერგია მივმართე ზემოთ დასახელებული საქმიანობისაკენ. 1953 წელს სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ექვსი თვით მიმავლინა მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებებში სადოქტორო დისერტაციის დამთავრებასთან დაკავშირებით. მოსკოვში ექვსი თვის განმავლობაში ჩემი ყოფნა მეტად ნაყოფიერი გამოდგა და ყველა მასალა, რაც საჭირო იყო სადოქტორო დისერტაციის

გაფორმებისათვის, სრულყოფაში მოვიყვანე. როდესაც საქართველოში ვბრუნდებოდი, გამომიძახა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს.კურაშოვმა, გამესაუბრა და მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სააფთიაქო სისტემაში თქვენი მრავალი წლის ორგანიზატორული მოღვაწეობის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, აქ, მოსკოვში, ბევრი კარგი მსმენია ჯანმრთელობის დარგის მუშაკებისაგან, ამიტომ ჯანმრთელობის მინისტრმა მ.კოვრიგინამ და მე პირადად გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ მოსკოვში ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი (სააფთიაქო) ინსტიტუტის დირექტორობა. აგრეთვე, შეთავსებით მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტში კათედრის გამგეობა და გპირდებით, რომ ცხოვრებისათვის და მუშაობისათვის ცუდი პირობები არ გექნებათ. ამჟამად უკვე დამთავრდა ბეგავოიზე, მოსკოვის დინამოს სტადიონის პირდაპირ, ახალი საცხოვრებელი სახლი, სადაც თქვენთვის განკუთვნილი იქნება სამოთახიანი ბინა და მოგემსახურებათ მსუბუქი მანქანა. თუ თქვენ თანახმა იქნებით, მითხარით და მინისტრთანაც შეგიყვანთ გასაუბრებაზე.

მოფიქრებისათვის სამი დღე ვითხოვე. ამ პერიოდში დავუკავშირდი თბილისში მეუღლეს, გადავეცი შემოთავაზებული წინადადების მთელი შინაარსი და ვთხოვე, აღნიშნულზე მოლაპარაკებოდა ჩემს მასწავლებელს აკად. იოველ ქუთათელაძეს. მეორე დღეს, დაპირებისამებრ, ისევ დავუკავშირდი ჩემს მეუღლეს, რათა გადმოეცა აზრი ზემოთ შემოთავაზებულ წინადადებაზე. მან მითხრა, თავისი და მასწავლებლის კატეგორიულად საწინააღმდეგო მოსაზრება მოსკოვში ჩემი დარჩენის შესახებ. მეც მინისტრის მოადგილეს სათანადო დასაბუთებით საბოლოოდ უარი განვუცხადე. რასაკვირველია, თავის მხრივ, მან რამდენჯერმე კიდევ სცადა დავეთანხმებინე, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, საბოლოოდ ჩემს გადაწყვეტილებაზე დავრჩი. როდესაც მეუღლემ თავისი ეს შეხედულება ტელეფონით მაცნობა, საუბრის დროს მითხრა ისიც, რომ პარტიის ცკ-დან გკითხულობენ, როდის დაბრუნდებაო. როდესაც ვუთხარი, რომ უკვე თავისი სამუშაო დამთავრებული აქვს და მალე

დაბრუნდება-თქო, მაშინ მათ მითხრეს - ტელეგრამის გა-
გზავნა აღარ იქნება საჭიროო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პ.გელბახიანი სტუდენტებთან მუშაობის დროს

საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1953 წლის შემოდგომაზე, გამომიძახეს ცკ-ში და შემომთავაზეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. შემოთავაზებულ წინადადებაზე სათანადოდ დასაბუთებული უარი განვაცხადე, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის შრომა წესრიგში მქონდა მოსაყვანი და საჯაროდ დასაცავი, ამიტომ ახალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა გამოიწვევდა ამ მხრივ შეფერხებას. უშუალოდ სადოქტორო დისერტაციის თემას რაც შეეხება.



პ.გელბახიანი ლაბორატორიაში სტუდენტებთან მუშაობის დროს

მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისათვის განკუთვნილ შრომაში შევეხე საქართველოში მოზარდ სხვადასხვა სახის გვიმრებს, შევისწავლე 7 სახის გვიმრა და გავაფორმე სადისერტაციო ნაშრომში საქართველოში მათი გავრცელების არეალი, ბოტანიკური აღწერა და ზოგიერთი სხვა საკითხი. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გვიმრებმა, მამრობითი გვიმრის ფესვურამ. მდედრობითი გვიმრის ფესვურაში პირველად ჩემს მიერ იყო გამოკვლეული ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებთა შემცველობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვე შეიძლება დავასკვნა, რომ მოქმედ ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლით იგი ცოტათი ჩამორჩება მამრობით გვიმრას. რაოდენობრივი მაჩვენებლის შესწავლასთან ერთად მდედრობითი გვიმრის ფარმაკო-ბოტანიკური აღნაგობა მოყვანილი მაქვს სადისერტაციო ნაშრომში. მამრობითი გვიმრა მსოფლიოში უძველესი დროიდან იყო გამოყენებული სხვადასხვა სახით მკურნალობაში (ფხვნილი ექსტრაქტი და სხვა). მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერებს, როგორც აღვნიშნეთ, მამრობითი გვიმრა შესწალილი აქვთ, მათ შორის საქართველოში აკად. იოველ ქუთათელაძის წინადადებით პ.ჭუმბურიძემ სათანადო მუშაობა ჩაატარა ბაკურიანის მიდამოებში შეგროვილ მამრობითი გვიმრის ფესვურაზე, მიიღო იქიდან ზეთში გახსნადი პრეპარატი - ფილიკოლი, აღნიშნული სითხოვანი პრეპარატი მოათავსა ჟელატინის რბილ კაფსულაში და სცადა გამოყენებულიყო მედიცინაში. აღნიშნული პრეპარატი ი.ქუთათელაძის მიერ, მისი ხელმოწერით, როგორც სამეცნიერო კვლევითი ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის, გადაიგზავნა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებულ ფარმაკოლოგიურ კომიტეტში, სათანადო კლინიკური გამოკვლევის შემდეგ მოსკოვში პრეპარატმა ვერ მიიღო დადებითი შეფასება და ინსტიტუტში მოვიდა აღნიშნული პრეპარატის წარმოებაში დანერგვაზე უარი. პ.ჭუმბურიძის გარდაცვალების შემდეგ, იოველ ქუთათელაძე, თავისი უტყუარი მეცნიერული ალღოთი, მომელაპარაკა იმის შესახებ, რომ ხელახლა მომხდარიყო მამრობითი გვიმრის ფესვურის მეცნიერული შესწავლა და იქნებ შესაძლებელი გამხდარიყო კლინიკურად უფრო ადვილად სახმარი და მკურნალობაში გამოსაყენებელი ახალი სახის პრეპარატის მომზადება. მამრობითი გვიმრიდან მომზადებული კლასიკური პრეპარატი შეტანილი იყო ფარმაკოპეაში. ეს გახლდათ მამრობითი გვიმრის ეთეროვანი ექსტრაქტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი სამედიცინო პრაქტიკაში სახმარად მეტად ძნელი და ფრთხილად გამოსაყენებელი იყო, რადგან ეთეროვანი ექსტრაქტი ხშირად ადამიანებში იწვევდა მხედველობის ნერვის ატროფიას. ამიტომ ჩემი მასწავლებლის დაჟინებითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი კათედრის თანამშრომლებთან ერთად

მოთხოვნა იყო, რომ მიმეღო ახალი პრეპარატი, რომელიც სახმარად უფრო ადვილად მოსახერხებელი იქნებოდა და გათავისუფლდებოდა იმ უარყოფითი თვისებებიდან, რომელიც მანამდე არსებულ პრეპარატებს ახასიათებდა, სადოქტორო დისერტაციაში შევადარე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცველობის მხრივ მამრობითი და მდედრობითი გვიმრა. მიუხედვად იმისა, რომ მდედრობით გვიმრაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება პირველად ჩემს მიერ იყო მიკვლეული, სამრეწველო მიზნისათვის გამოყენების მხრივ უპირატესობა მივეცი მამრობით გვიმრას. შევისწავლე საქართველოს სხვადასხვა რაიონში (თიანეთი, ბორჯომი, თეთრიწყარო) მოზარდ მამრობით გვიმრაში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დაგროვების დინამიკა წლის სხვადასხვა თვეებში. ყოველივე ეს ცხრილების სახით მოვიტანე შრომაში. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წლის სხვადასხვა დროს შეგროვილი მამრობითი გვიმრის ფესვურაში ბიოლოგიურად აქტიურ ნივითერებათა შემცველობა რაოდენობრივად, არსებით ცვლილებებს არ განიცდის, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა, რომ შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში) შეგროვილი მამრობითი გვიმრა აქტიური ნივთიერების შედარებით მეტ რაოდენობას შეიცავდა. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, წლის ნებისმიერ დროს შეგროვილი გვიმრა შეიძლებოდა

გამოყენებული ყოფილიყო მრეწველობაში. თუმცა უპირატესობა მაინც ამ სამ თვეში შეგროვილ გვიმრას მივაცემ. მამრობითი გვიმრის ფესვურიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოწვლილვისათვის საერთოდ იხმარებოდა ეთილის ეთერი, ბარიუმისა და კალციუმის (ტუტეები) ჟანგის ჰიდრატები. სწორედ ასეთი გამხსნელების გამოყენების დროს მამრობითი გვიმრის ფესვურის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ჯამთან ერთად ისეთი ნივთიერება გადადიოდა, რომელიც, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, იწვევდა ადამიანებში მხედველობის ნერვის დაზიანებას იმ შემთხვევაში, თუკი განმეორებით იქნებოდა გამოყენებული აღნიშნული პრეპარატი, ან მომატებული დოზით მიღებული. მიუხედავად ჩვენი დაინტერესებისა, ვერ შევძელით ზემოთ აღნიშნული ამ უარყოფითი მოქმედების ნივთიერების ბუნების შესწავლა, მაგრამ სრულიად ახალი გამხსნელის გამოყენებით მივაღწიეთ მამრობითი გვიმრის ფესვურიდან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ჯამის მიღებას. ამრიგად, ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოყენებული მამრობითი გვიმრის (როგორც ხმელი, აგრეთვე ნედლი ფესვურა) ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოწვლილვისათვის ნატრიუმის კარბონატის 5%-იანი ხსნარი. სწორედ კარბონატის გამოყენებით შევძელით ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი არასასურველი ნივთიერებიდან გათავისუფლება ახალი სამკურნალო პრეპარატისა. შევიმუშავეთ ტექნოლოგიური სქემა და მოვიყვანეთ ჩვენს შრომაში.

ამრიგად, მამრობითი გვიმრის ფესვურიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება საბოლოოდ გამოვწვლილვეთ ზემოთ დასახელებული კარბონატის ხსნარით, გამონაწვლილი შევამჟავეთ ქლორწყალბადმჟავით, რის შედეგადაც გამოყოფილი უხვი ნალექი გავრცეხეთ წყლით ქლორიდებზე უარყოფით რეაქციამდე, ვაკუუმ-მაშრობში გავაშრეთ, დავაწვრილმანეთ და მოვამზადეთ აბის სახით, დ.გედევანიშვილის ლაბორატორიაში შევისწავლეთ მისი ბიოლოგიური აქტივობა. შემდეგ ტოქსიკურობაზე გამოვიკვლიეთ და საბოლოოდ შევიმუშავეთ ერთჯერადი დოზა ადამიანებისათვის. პრეპარატი კლინიკური გამოკვლევისათვის გადავეცით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალარიისა და პარაზიტოლოგიის თბილისის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიქრქსანის მილების ტექნოლოგიური პროცესის
სქემა

/სტადიების მიხედვით გამოსავალი 80 კგრ მშრალი მასალიდან/



ინსტიტუტს. აღნიშნულ ინსტიტუტში პრეპარატის კლინიკური გამოკვლევა ავადმყოფებზე ჩაატარა მ.გიგინეიშვილმა. ხელ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფილიქსანი ჭიების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ხსენებულმა ავტორმაც დაადასტურა, რომ ფილიქსანი ტოქსიკურობით არ ხასიათდებოდა, განმეორებით მისი დანიშვნა რაიმე საშიშროებას არ წარმოადგენდა. აგრეთვე, პრეპარატ ფილიქსანის კლინიკური შესწავლა მოხდა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ტროპიკულ სნეულებათა კლინიკაში (გამგე - პროფ. ბ.ოქროპირიძე) და აქედანაც დადებითი შეფასება მივიღეთ.

პ.გელბახიანი სამეცნიერო მუშაობის დროს

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. აკად. იოველ ქუთათელაძე გაეცნო რა აღნიშნული პრეპარატის კლინიკურ გამოკვლევებს და შეფასებებს, მისი ხელმოწერით სათანადო დოკუმენტაცია აღნიშნულ პრეპარატზე 1952 წელს გადაეგზავნა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინის-

ტროს ფარმაკოლოგიურ კომიტეტს. კომიტეტმა, თავის მხრივ, კლინიკური შეფასებისათვის აღნიშნული პრეპარატი გადაგზავნა მოსკოვის მალარიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ჰელმინთოლოგიის ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტიდანაც დადებითი შეფასების მიღების შემდეგ, ფარმაკოლოგიურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ფილიქსანის წარმოებაში დანერგვისა და მკურნალობაში ფართოდ გამოყენების შესახებ. ამავე წელს, აკად. კ.სკრიაბინმა წერილი გამოუგზავნა სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის დირექტორს პროფ. იოველ ქუთათელაძეს, სადაც წერდა, რომ მას მოსკოვის მალარიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ჰელმინთოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან საუბარში შეუტყვია, რომ პრეპარატმა, როგორც ჭიების საწინააღმდეგო საშუალებამ, მაღალი შეფასება მიიღო. ამიტომ ი.ქუთათელაძეს თხოვდა, რომ პრეპარატის გარკვეული რაოდენობა გადაეგზავნა, რათა ჩაეტარებიათ სათანადო ცდები ცხოველებზე იმის გამოსაკვლევად, გამოიწვევდა თუ არა ისეთივე დადებით შედეგებს ცხოველების ჰელმინთების საწინააღმდეგოდ, როგორც ადამიანებზე. აკად. სკრიაბინის ეს თხოვნა ჩვენს მიერ შესრულებული იქნა. ამ მიზნით სათანადო ცდები ჩატარდა კ.სკრიაბინის სახელობის სრულიად საკავშირო ჰელმინთოლოგიის ინსტიტუტში ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგებით. ამრიგად, დადასტურდა, რომ მას დიდი გამოყენება ექნებოდა ვეტერინალურ პრაქტიკაშიც. შემდგომში პრეპარატ ფილიქსანში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობრივი განსაზღვრის მარტივი მეთოდი შევიმუშავე და შევიტანე სადისერტაციო ნაშრომში. აგრეთვე, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა პრეპარატ ფილიქსანის ქიმიური შემადგენლობა და დავადგინეთ, რომ იგი შედგებოდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ნივთიერებისაგან. ერთ მათგანს ვუწოდეთ - ფილიქსანტენი, ხოლო მეორეს - ფილიქსანტინი. მოვიყვანეთ სადისერტაციო ნაშრომში მათი ქიმიური შენება და კრისტალური აღნაგობა. აღნიშულის შემდეგ, რადგან კვლევის შედეგები დიდ სიახლეს წარმოადგენდა მედიცინაში, აკად. ი.ქუთათელაძის

წინადადებით, სათანადო დოკუმენტაციით, 1953 წელს იგი გადაეგზავნა მოსკოვში რაციონალიზაციისა და გამოგონებლობის სახელმწიფო კომიტეტს. კომიტეტიდან ჯერ დადებითი დასკვნა მივიღეთ მასალაზე, ხოლო შემდეგ პრეპარატ ფილიქსანის მომზადებაზე სათანადო საავტორო მოწმობაც.

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომი საბოლოოდ მოვიყვანე წესრიგში, გავაფორმე სათაურით - "საქართველოში მოზარდი ზოგიერთი გვიმრა, როგორც ნედლეული სამკურნალო პრეპარატის მისაღებად" და სათანადო განსჯისათვის წარვუდგინე შრომის მეცნიერულ კონსულტანტს აკად. იოველ ქუთათელაძეს, რომელიც დეტალურად გაეცნო აღნიშნულ ნაშრომს და მითხრა:

- თქვენს მიერ ჩატარებული მრავალი წლის კვლევის შედეგებში გარკვეული პრობლემა არის გადაწყვეტილი, ბევრი მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც აქამდე ცნობილი არ ყოფილა და ამიტომ წარმატებით აკმაყოფილებს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისათვის განკუთვნილ ნაშრომს. მე წერილობით გავაფორმე შრომის მეცნიერული ღირებულება და წარვუდგინე სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დაცვისათვის.

1954 წელს, მაშინ, როდესაც მე უკვე გაფორმებული მქონდა ქართულ ენაზე სადოქტორო დისერტაცია, მოსკოვმა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეუწყვიტა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ფარმაცევტულ მეცნიერებათა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის უფლება. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა აღნიშნულზე უფლება. დაუყოვნებლივ გაიგზავნა მოსკოვში თბილისიდან სათანადოდ დასაბუთებული წერილი უმაღლეს საატესტაციო კომისიაში იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში იყო სათანადო კადრები ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორებისა, რომელთაც წარმატებით შეეძლოთ, ამ დარგში სპეციალიზებული საბჭოს საშუალებით, საკანდიდატო და სადოქტორო

დისერტაციების მიღება დასაცავად. მართლაც, მოსკოვში განხილულ იქნა აღნიშნული მოთხოვნა და ზემოთ ხსენებული დადგენილება გააუქმეს, კვლავ მიეცა ინსტიტუტს ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი წლით შეფერხდა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა და პრაქტიკულად იგი 1955 წელს განვახორციელეთ. დისერტაციას სათანადო მსვლელობა მიეცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში, გამოიყო ოფიციალური ოპონენტები და გარკვეული დროის შემდეგ საჯარო დაცვა შედგა. ძალიან მახარებდა ის ამბავი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ მიხეილ წინამძღვრიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, კონსტანტინე ერისთავი, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ ჟღენტი, ირაკლი ტატიშვილი, სვიმონ საყვარელიძე, გრიგოლ დიდებულიძე, პეტრე ქავთარაძე, ვლადიმერ ასათიანი და სხვები. სწორედ ასეთი შემადგენლობის საბჭოს წინაშე მომიწია სადოქტორო დისერტაციის დაცვა. დაცვის დღეს სამეცნიერო საბჭოზე, როგორც წესი, დისერტაციის დაცვისათის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოცხადდა შემოსული რეცენზიები საბჭოთა კავშირის ისეთი ცნობილი მოღვაწეებისაგან, როგორებიც იყვნენ აკად. კ.სკრიაბინი, პროფესორები: ვ.პოტიომკინა, ზ.უმანსკი, დ.ანტიპინი, ალიევი, მურავიოვი და სხვები.

საჯარო დაცვის შემდეგ მომენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაცვის მასალები და სხვა საჭირო დოკუმენტები გადაიგზავნა მოსკოვში უმაღლეს საატესტაციო კომისიაში, სადაც დამტკიცდა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სულ მალე გაიგზავნა, აგრეთვე, სათანადო საბუთები პროფესორის წოდების მინიჭებისათვის. ისიც დამტკიცებულ იქნა, რადგან მე კათედრის გამგის მოვალეობას ვასრულებდი 1947 წლიდან.

წიგნში მრავალჯერ მყავს ნახსენები აკად. იოველ ქუთათელაძე, მაგრამ საბოლოდ მაინც მინდა გარკვეულად გავუსვა ხაზი იმას, რომ ამ პიროვნებამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ და პრაქტიკულ ფარმაციას. იოველ ქუთათელაძესთან ჩემი მრავალი წლის მჭიდრო თანამშრომლობა უფლებას მაძლევს აღვნიშნო, რომ ეს პიროვნება იყო დიდი ერუდიციის, მეცნიერული კვლევის გასაოცარი ალღოს მქონე და საერთოდ, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი. მისმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა სამედიცინო და ფარმაცევტული მეცნიერების სფეროში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ათეულობით მეცნიერაბათა კანდიდატი და დოქტორი. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო თავისი ქვეყნის და მთელი თავისი ცხოვრება ემსახურა საქართველოს მცენარეული და მინერალური ნედლეულის მკურნალობაში გამოყენების საკითხს. ბატონი იოველი წავიდა ჩვენგან, მაგრამ ყველას ემახსოვრება, როგორც მტკიცე ნებისყოფის და დიდი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი. იგი 1963 წელს გარდაიცვალა და დასაფლეველებულია თავის მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად ვაკის სასაფლაოზე.

კვლავ უკან დავბრუნდები და შევეხები სამედიცინო ინსტიტუტში მიმდინარე საქმიანობას. 1954 წლის შემოდგომაზე ჩატარდა ინსტიტუტის პარტიული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ცკ-ის მდივანი და თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი. საანგარიშო მოხსენების შემდეგ კონფერენციამ აირჩია ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი. იმის გამო, რომ რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოდან ინსტიტუტში ახლად გადმოყვანილი ვიყავი, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა ჩემი არჩევა პარტიულ კომიტეტში. იმ დღესვე ჩატარდა პარტკომიტეტის ბიუროს საორგანიზაციო სხდომა. ცკ-ის მდივანმა ბიუროს ჩატარების ხელმძღვანელობა სთხოვა თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს. საორგანიზაციო სხდომაზე უნდა არჩეულიყო პარტიული კომიტეტი, მდივანი და მისი მოადგილეები. სანამ თბილისის კომიტეტის მდივანი შესთავაზებდა პატიული კომიტეტის წევრებს, დაესახელებინათ ბიუროს წევრებიდან პარტიული კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი,

მანამდე განაცხადა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შესუსტებულია დისციპლინა და აქედან გამომდინარე, სხვა საკითხებიც, აგრეთვე, ინსტიტუტის სამეურნეო-ადმინისტრაციული საქმიანობაც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, ამიტომ საჭიროა პარტიული კომიტეტის ისეთი მდივანი ავირჩიოთ, რომელსაც მყარად უდგას ფეხი მეცნიერებაში და კარგად ესმის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმიანობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული და დაასახელოთ შესაფერისი კანდიდატურაო. როგორც კი დაამთავრა ეს სიტყვები, კომიტეტის რამდენიმე წევრმა ერთდროულად დაასახალა ჩემი კანდიდატურა. მე, რასაკვირველია, ამას არ მოველოდი და უარი განვაცხადე, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, უყარეს კენჭი ჩემს კანდიდატურას და ამირჩიეს დასახელებულ თანამდებობაზე. გვიან საღამოს დავბრუნდი სახლში ფიქრებში გართული აღნიშნულის გამო. შევუდექი საქმეს. პირველი, რაც გაკეთდა, ინსტიტუტის რექტორთან ერთად მოვიწვიეთ პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრება და დაგსახეთ სათანადო ღონისძიებები ინსტიტუტის კათედრებზე და თვით რექტორატის აპარატში უპირველეს ყოვლისა დისციპლინის განმტკიცების და სასწავლო პროცესის მოწესრიგების მიზნით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ინსტიტუტის რექტორატი მუშაობას ძირითადად იწყებდა დღის 3 სთ-დან. რექტორთან ერთად ცხადდებოდნენ ინსტიტუტში პროორექტორები, დეკანები, ტექნიკური მუშაკები. ასეთივე ვითარება იყო კანცელარიაში, ბუღალტერიაში, კადრების განყოფილებასა და სხვა რგოლებში. დასახელებულ თათბირზე ყველაფერი ეს ითქვა და აღინიშნა, რომ მუშაობა უნდა დაწყებულიყო დილის 9 სთ-ზე. ჩემი პირადი სამუშაო ადგილი, წამალთა ტექნოლოგიის კათედრა და ლაბორატორია ინსტიტუტის რექტორატის შენობასთან ახლოს იყო. მე დილის 9 სთ-ზე ვცხადდებოდი რექტორატში. რამდენიმე ხნის შემდეგ, დისციპლინის შესახებ საუბარი ჩვენ აღარ დაგვჭირვებია. ჩვენი პირადი მაგალითის საფუძველზე ადმინისტრაციული პერსონალიც უკლებლივ 9 სთ-ზე ცხადდებოდა სამუშაოდ, ასევე უნდა ითქვას რექტორის, პროორექტორისა და დეკანების მიმართ. ვისაც დღის საათებში არ ჰქონდა ლექცია

წასაკითხი, თავდაპირველად მიდიოდნენ რექტორატში და შემდეგ საჭიროების მიხედვით უბრუნდებოდნენ თავიანთ პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას.

პ.გელბახიანი წამალთა ტექნოლოგიის კათედრის თანამშრომლებთან ერთად

სასწავლო პროცესის შემოწმებით ვრწმუნდებოდით, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ინსტიტუტში თანდათან უმჯობესდებოდა. რექტორატის სხდომებზე არაერთხელ დაგვიყენებია საკითხი კათედრების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების თაობაზე. მიუხედვად მრავალი ცდისა, მაინც ვერ შევძელით ზოგიერთი კათედრის შესაფერის შენობებში განთავსება, არა და, ინსტიტუტის ზოგიერთი კათედრა - ჯანმრთელობის ორგანიზაციის, ფარმაკოლოგიისა და სხვა მოთავსებული იყო დარაბებით გატიხრულ ოთახებში. რექტორატის ცდა, ამ საქმეში შეგვეტანა სათანადო ცვლილებები, შედეგს ვერ აღწევდა. მაშინ მე გამახსენდა, რომ პროფ. კონსტანტინე ერისთავმა თავის რექტორობის

პერიოდში მოახერხა ზემდგომი ორგანოების დახმარებით თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობისათვის სათანადო შესაფერისი ტერიტორია გამოეყოთ და ამ ტერიტორიაზე მისივე უშუალო ხელმძღვანელობით აგებული იყო ერთი ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. ეს საქმე შეჩერდა და დიდი ხნის განმავლობაში აღარაფერი გაკეთებულა, კონსტანტინე ერისთავის შემდეგ ინსტიტუტში რამდენიმე რექტორი შეიცვალა, რის გამოც გამოყოფილი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო პირებმა მიიტაცეს. ზოგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად იყენებდა, ზოგმა კი საკუთარი შენობებიც ააგო. შევისწავლე ეს საკითხი კარგად და უკანონოდ მიტაცებული დასახლებული ადგილიდან, სათანადო ორგანოების დახმარებით, შევძელით კერძო პირების გაყვანა, შემოვფარგლეთ დასახელებული ტერიტორია, რომ შემდგომში მსგავსი რამ არ განმეორებულიყო. შემდეგ ვნახე პირადად კონსტანტირე ერისთავი. მინდოდა მისგან მიმეღო სათანადო ცნობები, როგორ და რა გზით მოახერხა ინსტიტუტის დასახელებული კორპუსის მშენებლობა. კონსტანტინე ერისთავმა, მისთვის ჩვეული კილოთი, მითხრა:

- ჩემო პეტრე, შენ კარგად გახსოვს, როცა საფეთიაქო სამმართველოში მუშაობდი, მაშინაც გელაპარაკებოდი, რომ დიდი ხანია ვმუშაობდი რექტორად, მეტად დამღალა ამ რთულმა სამუშაომ, რომელიც ინსტიტუტშია საჭირო, განსაკუთრებით ახალი კონტინგენტების მიღების საკითხმა. ხომ გახსოვს, უარი მითხრეს რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, დაჟინებით გავიმეორე ჩემი თხოვნა და როგორც იქნა გამათავისუფლეს. ახლა დაწვრილებით გიამბობ, როგორ და რა გზით განხორციელდა ამ კორპუსის მშენებლობა. თბილისში ცხოვრობს ცნობილი არქიტექტორი მიხაკო შავიშვილი. მასთან ერთად შემოვფარგლეთ ტერიტორია მომავალი ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობისათვის. ჩემი თხოვნით, გვესწრებოდნენ ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი, ქალაქის მთავარი არქიტექტორი და სხვა ხელ-

მძღვანელი მუშაკები. მათი საშუალებით ტერიტორია დავაკანონეთ ინსტიტუტზე და ჯგუფმა, შავიშვილის ხელმძღვანელობით, შეადგინა სასწავლო კორპუსის პროექტის სამუშაო ნახაზები. ავაშენე, ჩემო პეტრე, ეს ერთი კორპუსი და მეტი ვერ შევძელი. შავიშვილი თბილისში ცხოვრობს და შეგიძლია, მოელაპარაკო. შენ ენერგიული კაცი ხარ, ასეთ საკითხებში გარკვეული. მოელაპარაკე მას და იქნებ თავი დაადგა ამ საშვილიშვილო საქმეს.

აკადემიკოსი
კონსტანტინე ერისთავი

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის საქმიანობას რადგან შევეხე, აქვე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, ახალგაზრდობაშივე მახსოვს კონსტანტინე ერისთავს ჯანმრთელობის სისტემის ლიდერს ეძახდნენ. მე ვაკვირდებოდი და ვრწმუნდებოდი, რომ ეს აზრი ბატონ კოწიაზე სრულიად დამსახურებული და სამართლიანი იყო. ფაქტიურად, ინსტიტუტში ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობის პერიოდში არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ჩატარებულა, რომ კონსტანტირე ერისთავს არ მიეღოს მონაწილეობა. თავისი უბრალოებით და მოწესრიგებული სიტყვით სტუდენტ-ახალგაზრდობას იგი ძალიან უყვარდა და გარდა ამისა, სამედიცინო დარგის სხვადასხვა სპეციალისტების აზრით. მკურნალი ექიმის უტყუარი ალღოთი იყო დაჯილდოებული. მე პირადად ბევრჯერ დავსწრებივარ ბატონი კონსტანტინეს მონაწილეობით საექიმო კონსილიუმებს, მანცვიფრებდა მისი დიაგნოსტიკური დასკვნები. მრავალთა შორის ერთი ჩემთვის სამახსოვრო შემთხვევა: ინსტიტუტიდან სამუშაოს შემდეგ სახლში მივედი და მძღოლი არ გამითავისუფლებია, რადგან საღამოს აუცილებელი იყო კვლავ ინსტიტუტში დაბრუნება. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ მითხრეს, ტელეფონთან

გთხოვენო. ქალაქის ერთ-ერთი ორგანოდან თხოვნით მომ-
მართეს: - ბატონო პეტრე, ქალაქის №1 საავადმყოფოს ქირურ-
გიულ კლინიკაში მოთავსებულია ჩვენი ხელმძღვანელი.
დიაგნოზის დასმა ჭიანურდება, ავადმყოფის მდგომარეობა
დღითი-დღე უარესდება, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა,
ამ კლინიკის ხელმძღვანელის ხათრით სხვა ექიმები ავად-
მყოფის გასასინჯად არ მიდიან და თუ ასე გაგრძელდა,
მდგომარეობა შეიძლება ძალზე ცუდი შედეგით დამთავრდეს.
ეგებ, რაიმეთი დაგვეხმაროთ ამ საქმეშიო. მაშინვე დავუკავ-
შირდი ტელეფონით ბატონ კოწიას, გავაცანი საქმის ვი-
თარება და ვთხოვე: - ხომ არ შეძლებდით, ავადმყოფი
გენახათ-თქო. მან ჩვეული კილოთი მიპასუხა:

- ჩემო პეტრე, ახლავე შევასრულებ თქვენს თხოვნას, თუ
ტრანსპორტი ვიშოვე სწრაფად.

მე მას ვუთხარი, რომ ტრანსპორტზე ზრუნვა არ დასჭირე-
ბოდა, რადგან მეც მივიღებდი ამ საქმეში მონაწილეობას.
სიხარულით დამთანხმდა. ბატონ კოწიას ისიც ვუთხარი, ხომ
არ აჯობებდა ჩვენთან ერთად ბატონი ეგნატე ფიფიაც
ყოფილიყო. ეს აზრიც მოიწონა. მე მყისვე დავუკავშირდი
ბატონ ეგნატეს და სამივენი ერთად მივედით ქალაქის №1
საავადმყოფოს აღნიშნულ კლინიკაში. მისვლისთანავე ჩემზე
საშინელი შთაბეჭდილება დატოვა ავადმყოფის მნახველთა
სიმრავლემ, მაშინვე გავეცი განკარგულება, მნახველებს დაე-
ტოვებინათ ოთახი. ამის შემდეგ, ავადმყოფთან დავრჩით
კონსტანტირე ერისთავი, ეგნატე ფიფია და ავადმყოფის
სანახავად მოსული ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექ-
ტორი პროფ. გიორგი ხუნდაძე. პირველი ბატონ კოწიას
ვთხოვე, მკურნალ ექიმთან ერთად, შეემოწმებინა ავადმყოფი.
გარკვეული დროის შემდეგ შემოდის ბატონი კოწია იმ
ოთახში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და მეუბნება:

- ბატონო პეტრე, მომჭერით ორივე ხელი, თუ ნაღვლის
ბუშტი ჩირქით არ იყოს სავსე.

ამის შემდეგ ვთხოვე ბატონ ეგნატე ფიფიას, მასაც ენახა
ავადმყოფი, რის შემდეგაც ბატონი ეგნატეც მეუბნება, საქმე
გვაქვს ნაღვლის ბუშტის ჩირქოვან შემთხვევასთანო. შემდეგ,
როგორც ბატონ კოწიას, ისევე ბატონ ეგნატეს დავუყენე
კითხვა, აუცილებლად მიგაჩნიათ ქირურგიული ჩარევა-მეთქი?

ორთავემ ერთხმად მიპასუხა, რომ კლინიკაში ავადმყოფის ანალიზები მზად არის და დაუყოვნებლივ ოპერაციაა საჭიროო. მაშინ ვთხოვე ბატონ ეგნატე ფიფიას, რომ ოპერაცია მას გაეკეთებინა და დახმარებას პროფ. გიორგი ხუნდაძე გაუწევდა ავადმყოფის მკურნალ ექიმთან ერთად. ოპერაციის დამთავრების შემდეგ ბატონმა ეგნატემ უკვე გვიჩვენა კორპუსდელიქტი, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ - დიაგნოზის დამადასტურებელი ნიშნები. ჩვენ კიდევ რამდენიმე ხანი დავყავით იქ ოპერაციის შემდეგ და წამოსვლისას ვთხოვე მკურნალ ექიმს, ყოველ საათში შეეტყობინებინა ავადმყოფის მდგომარეობა. ბინაზე დაბრუნების შემდეგ, ნახევარ საათში მკურნალმა ექიმმა მაცნობა, რომ ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდებოდა, ტემპერატურა ნელა, მაგრამ კლებულობდა და საბოლოოდ, საუბარი რომ არ გავაგრძელო, ავადმყოფის მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი გაეწერა საავადმყოფოდან.

კოწია ერისთავის ექიმურ ღირსებაზე, რასაკვირველია, წიგნებია დაწერილი და კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამით დავკმაყოფილდეთ. საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ კონსტანტინე ერისთავი თავისი ერისა და თავისი საქმის ღირსეული წარმომადგენელი იყო და ასე ღირსეულად დაასრულა მრავალი წლის შესანიშნავი ცხოვრება.

ბატონ კონსტანტინე ერისთავთან ზემოაღნიშნული საუბრის შემდეგ, მეორე დღესვე თხოვნით მივმართე არქიტექტორ მიხაკო შავიშვილს მობრუნებულიყო ჩვენთან რექტორატში. შავიშვილმა ჩვენი თხოვნა შეასრულა, გამოცხადდა. მე პირადად გავესაუბრე მას იმის შესახებ, როგორ მოხდა კონსტანტინე ერისთავის რექტორობის დროს ინსტიტუტის კორპუსის პროექტის შედგენა. მან გამიცხადა:

- ბატონო პეტრე, პირადად არ გიცნობთ, მაგრამ ბევრი მსმენია თქვენს შესახებ, რესპუბლიკურ საფოთიაქო სამმართველოში თქვენს საქმიანობაზე და ამიტომ მინდა გულისწყრომით გითხრათ, დავიღალე, რადგან ექიმებში ვერ ვნახე პიროვნება, რომელიც კონსტანტინე ერისთავის დაწყებულ საქმეს გააგრძელებდა. რასაკვირველია, მშენებლობა მეტად

რთული საქმეა, მაგრამ ხომ არ შეიძლება ინსტიტუტი ასეთი პირობებში დარჩეს?! მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობის საქმეს ასე თუ ისე გაცნობილი ვარ, ჩემი საკუთარი შეხედულებაც მაქვს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობა გამოყოფილ ადგილზე უნდა დაიწყოს. ამიტომ, ვიცი, ამჟამად არ არის ის თანხები, რომელიც ამ მშენებლობას სისრულეში მოიყვანს. ძალზედ ვარ დაინტერესებული სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის დაპროექტებით და, რასაკვირველია, ამასაც სათანადო თანხები სჭირდება. თუ მეტყვით, თქვენს სიტყვას ვენდობი, შევადგენთ პროექტს და სამუშაო ნახაზებს კომპლექსის მშენებლობისათვის და როდესაც საამისო თანხები გექნებათ, მაშინ გადაგვიხადეთ. წინასწარ მაინც გვინდა ცნობილ მეცნიერ-მედიკოსებს შევხვდეთ და ზოგიერთი საკითხები, რომელიც დაპროექტებისათვის არის საჭირო, მივიღოთ.

ბატონი შავიშვილის მოსაზრებები ძალიან მომეწონა, შემოთავაზებული წინადადება ვაცნობე ინსტიტუტის რექტორს პროფ. ი.მენთეშაშვილს. მან, რასაკვირველია, მოიწონა და მე პრაქტიკულად შევუდექი ამ საქმის განხორციელებას. მოველაპარაკე არქიტექტორს, რა სპეციალობის მეცნიერ-მედიკოსები სჯობდა მასთან სასაუბროდ გამოგვეძახა. მან დამისახელა და მისი თხოვნა სისრულეში მოვიყვანე. მიიღო რა მეცნიერ-მედიკოსებისაგან სათანადო ცნობები, ჯგუფი მუშაობას შეუდგა.

აღნიშნული საუბრიდან ორი წლის განმავლობაში გზა და გზა მოდიოდა ჩვენთან მიხაკო შავიშვილი და ზოგიერთ საკითხებს მითანხმებდა, საბოლოოდ მთლიანად დამზადდა პროექტი სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობის და, თქვენ წარმოიდგინეთ, მშენებლობისათვის სამუშაო ნახაზებიც კი. პირობის შესაბამისად, თითქმის 4 წელი გავიდა და ინსტიტუტმა მაინც ვერ შესძლო პროექტების ღირებულების გადახდა, ამის გამო პროექტები, ბუნებრივია, ინახებოდა არქიტექტორთან. ამ ოთხი წლის განმავლობაში ძალიან გადატვირთული ვიყავი - კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან პარტკომის მდივნის თანამდებობის შეთავსებით. აქვე გულახდილად მინდა ვაღიარო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მუშაობა ჩემი ინტერესების სფეროში არ შედიოდა. ამიტომ, როდესაც მზადდებოდა მომავალი პარტიული არჩევნები, მე დაბეჯითებით ვთხოვე თბილისის კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს გიორგი გეგეშიძეს, მინდა აღვნიშნო, რომ გეგეშიძე მეტად ენერგიული, კეთილი და სასურველი პიროვნება იყო, რომელმაც გულდასმით მომისმინა, ტელეფონით დაუკავშირდა ცკ-ის პირველ მდივანს და შეუთანხმდა მას ჩემი თხოვნით პარტიული კომიტეტის მდივნობიდან გათავისუფლების შესახებ. მე კი, პირადად მითხრა, ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთსო.

აკადემიკოსი
ირაკლი ტატიშვილი

1958 წლის მორიგი პარტიული საარჩევნო კრება ჩატარდა, პარტიული კომიტეტის მდივნად ავირჩიეთ პროფ. ლ.ავალიანი. მე ჩემს ძირითად საქმიანობას სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შევუდექი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამავე ინსტიტუტში ჩემი მეუღლე - თამარი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1958 წელს დაიცვა დისერტაცია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო შრომა ეხებოდა - "საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოზარდ კავკასიურ შმაგას სხვადასხვა ნაწილებში ალკალოიდების დაგროვების დინამიკას". დისერტაციის დამტკიცების შემდეგ გადაყვანილ იქნა უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

ამ პერიოდისათვის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი უკვე თანამდებობიდან იყო გათავისუფლებული და მის მო-

ვალეობას ასრულებდა აკად. ირაკლი ტატიშვილი. 1959 წლის ზაფხულს, იმ დროს, როდესაც მისაღები გამოცდები ჯერ-ჯერობით დამთავრებული იყო, გამომიძახეს მაშინდელ ცკ-ის პირველ მდივანთან - ვ.მჟავანაძესთან შეხვედრაზე. საუბარი შეეხო სამედიცინო ინსტიტუტის მომავალი რექტორის კანდიდატურას. ამ საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა:

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მეტად რთულია, ამიტომ ჩვენ აქ ამხანაგებს მოველაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ თქვენ შემოგთავაზოთ ინსტიტუტის რექტორის თანამდებობა. ინსტიტუტში დიდი ხანია მუშაობთ და ერთ-ერთ წამყვან პროფესორად ითვლებით. ამასთანავე, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, გარკვეული ხართ სამეურნეო-ორგანიზატორულ საქმიანობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით როგორი იქნება თქვენი აზრი?

მე მას მადლობა გადავუხადე ასეთი შეფასებისათვის და ვუთხარი, რომ ინსტიტუტში მრავალი წლის ჩემი მუშაობის პრაქტიკამ და ამავე დროს პარტიული კომიტეტის მდივნის მოვალეობის შესრულებამ ფიზიკურად მეტად გადამღალა და ძალიან ნაკლები დრო მრჩებოდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ჩემი მოწოდება კი ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება იყო. ამასთან ერთად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით ინსტიტუტი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისი შესანიშნავი კადრების პოტენციალს, რომლებიც ინსტიტუტში მოღვაწეობენ. სამეცნიერო საბჭოს თითქმის ყველა წევრი ჩემი მასწავლებელი იყო და ჩემი დანიშვნა ინსტიტუტის რექტორად ასეთ პირობებში ვერაფერს დიდ სარგებელს მოიტანდა, რადგან ზოგიერთი თეორიული კათედრა, დარაბებით გატიხრულ ოთახებში იყო მოთავსებული და თუ მე ამ საქმეში გარდატეხას ვერ შევიტანდი, რექტორის თანამდებობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. შემდეგ მან ისევ მითხრა:

- სწორედ იმიტომ შევჩერდი თქვენს კანდიდატურაზე, რომ კარგად გესმით ის პრობლემები, რომლებიც ინსტიტუტშია გადასაჭრელი, ამიტომ, ჩვენის აზრით, თქვენი მუშაობა ინსტიტუტში ნაყოფიერი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ბოდიშის მოხდით, კიდევ გავუმეორე, რომ თუ ინსტიტუტს შენობები არ ექნება, ისე იქ მუშაობა ვერ გამოვიდოდა. მოვახსენე, რომ ინსტიტუტში ერთ დროს რექტორად მუშაობდა, ცნობილი მედიკოსი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ერისთავი, რომელმაც დიდებულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გამოყოფილი იყო შესაფერისი ნაკვეთი ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობისათვის. ამ ნაკვეთზე უკვე იდგა. მისივე ხელმძღვანელობით, ერთი კორპუსი. ესაა და ეს. ამიტომ თუ იქ ახალი არაფერი გაკეთდა, ისე რექტორის თანამდებობაზე ჩემს მასწავლებლებთან ვერ მივალ-მეთქი.

- რა ვქნათ, მშენებლობას პროექტები სჭირდება, პროექტების შედგენას კი - დრო. თქვენ დაიწყეთ მუშაობა და ჩვენ შემდგომში შესაძლებლობის მიხედვით დაგეხმარებით - მითხრა.

მე ნას აქვე განვუცხადე:

- ინსტიტუტში, ჩემი პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობის პერიოდში. კომპლექსის მთელი პროექტი და სამუშაო ნახაზებიც კი მოვამზადეთ. თბილისში, შეიძლება იცით, მუშაობს ცნობილი არქიტექტორი მიხაკო შავიშვილი, რომელსაც სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობების დიდ გამოცდილება აქვს და ამავე დროს, დიდი ენთუზიასტია სამედიცინო დარგისა. მან პროექტების შედგენა დაიწყო ყოველგვარი თანხების გარეშე ჯერ კიდევ 1954 წელს, იმ პირობით, რომ როდესაც თანხა გამოჩნდებოდა, გადავუხდიდით სამუშაოს ღირებულებას. ამიტომ, თუ ჩემი გაგზავნა რექტორად აუცილებელია, დაბეჯითებით გთხოვთ, ერთი კორპუსის მშენებლობა მაინც დავიწყოთ ახლავე.

ამის თქმაზე გაიღიმა, აიღო ტელეფონის ყურმილი და დაურეკა მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს:

- ჩემთან არის პიროვნება, რომლის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშვნაზეც მოვილაპარაკეთ. ბუნებრივია პასუხი არ გამიგია, მაგრამ ვ.მჟავანაძემ გააგრძელა საუბარი - ვიცი, რომ თქვენ მეგობრები ხართ. ითხოვს, რომ ინსტიტუტის ერთი ახალი კორპუსის მშენებლობა მაინც დაიწყოს. პროექტები და სამუშაო ნახაზები უკვე მზად ჰქო-

ნიათ. ამიტომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტრესტის ხელმ-
ძღვანელობას შეუთანხმეთ, რომ რესპუბლიკის გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან გამოიყოს მშენებლობის დაფინანსება. მე ვიცი ამ საქმეს ეს ადამიანი თავს მოაბამს და კარგი საქმე გაკეთდება.

მართლაც, დავთანხმდი რექტორის თანამდებობაზე დანიშვნას. მეორე დღეს, როდესაც ბიუროზე გამომიძახეს, მისვლისთანავე მითხრეს, თქვენი დამტკიცების საკითხი დღეს ბიუროზე არ გადისო. როგორც შემდგომში შევიტყვე, ამ ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა არც ცკ-ის პირველი მდივანი, არც ცკ-ის მდივანი გეგეშიძე და განყოფილების გამგე რთველიაშვილი. როგორც ჩანს, პირველმა მდივანმა შეიტყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი გასულ ბიუროზე არ იყო დამტკიცებული, გამომიძახა და მკითხა:

- თქვენ იცით, რატომ არ დაგამტკიცეს გასულ ბიუროზე?

მე ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. შემდეგ მითხრა:

ჩემთან სასაუბროდ დავუძახე პროფესორ კონსტანტინე ერისთავს. ვკითხე, როგორ უყურებთ თქვენ ან თქვენი კოლეგები გელბახიანის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის საკითხს-თქო. მან შეკითხვა არც კი დამამთავრებინა, ისე მიპასუხა - ერთადერთი პიროვნება დღეისათვის, რომელიც თავს გაართმევს სამედიცინო ინსტიტუტის საქმიანობას, სწორედ პეტრე გელბახიანია. მე ძალიან კარგად ვიცი, ინსტიტუტში მომუშავე პროფესორების აზრი მის შესახებო.

საუბრის დამთავრებისას ვ.ჟავანაძემ გამაფრთხილა, რომ ამ დღეებში ბიუროზე იქნებოდა დამტკიცება და თქვენ აუცილებლად უნდა გამოცხადდეთო, დავემშვიდობე და წამოვედი. ორი დღის შემდეგ ბიუროს თვითონ მოახსენა ჩემი კანდიდატურის შესახებ სათანადო ცნობები და ერთხმად დამამტკიცეს ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე. შევუდექი მოვალეობის შესრულებას. თანდათანობით დავიწყე სამედიცინო ინსტიტუტის კათედრების შემოვლა. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს მიკრობიოლოგიის კათედრაზე ვესაუბრე კათედრის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. ვ.ანთაძეს, უნებლიედ შემოგვესმა ტრაქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გუგუნი კორპუსის მახლობელი ტერიტორიიდან. მან ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა, რომ ინსტიტუტის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ტრაქტორები მუშაობდნენ. მკითხა, რაშია საქმეო. ჩემთვის უკვე ნათელი იყო, ზემდგომ ორგანოებში დანაპირები შესრულდა და ახალი კორპუსის მშენებლობა იწყებოდა. ამის შესახებ მას ვუამბე და აღფრთოვანებით მითხრა - ეგებ, დაგვადგეს საშველიო. ამ პრინციპით გავაგრძელე შემდგომში კათედრებისადმი ჩემი დამოკიდებულება.

პ.გელბახიანი – თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

1960 წელს ამირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ზუგდიდის საარჩევნო ოლქიდან, მომდევნო საარჩევნო კამპანიის დროს ორჯერ ვიყავი არჩეული ქ.ჭიათურის ზონის საარჩევნო ოლქიდან დეპუტატად. სამივეჯერ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ არჩეული ვიყავი ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივი კომი-

სიის თავმჯდომარედ. დასახელებული კომიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ხაზით შეიქმნა კვალიფიციურ ექიმთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ მედიცინის ყველა დარგის სპეციალისტები და გავემგზავრეთ აჭარის ავტონომიური რესპუბიკის ხულოსა და შუახევის რაიონში, ჩვენს მიერ განაწილებით გაგზავნილი, ახლად კურსდამთავრებული ექიმების ადგილზე სანახავად, მათ დასახმარებლად და რაიონის მოსახლეობის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ადგილზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩასვლამ რაიონის მოსახლეობაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მე პირადად განმაცვიფრა, როდესაც რაიონული ცენტრიდან ვუყურებდი გზებზე მაღალმთიანი რაიონებიდან მომავალ მცხოვრებთა ნაკადს, რომლებიც მოემართებოდნენ, რათა თავიანთი ჯანმრთელობა შეემოწმებინათ რესპუბლიკაში ცნობილი სპეციალისტებისათვის. ჩვენ იქ სამი დღე დავყავით. შემდეგ ბათუმში ჩავედით, დავათვალიერეთ სამკურნალო დაწესებულებები და სათანადო კონსულტაციები გავუწიეთ ექიმებს, ავადმყოფებს. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დიდი მადლობა გადაგვიხადა გაწეული მუშაობისათვის.



პ.გელბახიანი სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში

1961 წელს ჩემი მოღვაწეობის სამეცნიერო სფეროში მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა. მეცნიერებათა აკადემიის მედიცინისა და ბიოლოგიის განყოფილებამ ამირჩია, ხოლო აკადემიის საერთო კრებამ დამამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ასეთმა დაფასებამ დიდი სტიმული მომცა მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი ამაღლებისათვის. აკადემიის საერთო კრების დამთავრებისთანავე სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატში, სადაც მე ვიმყოფებოდი, მოვიდნენ და კაბინეტში შემოვდინენ აკადემიკოსები ალექსანდრე წულუკიძე, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ ჟღენტი და ვლადიმერ ასათიანი. სათითაოდ გადამკოცნეს და მომილოცეს აკადემიაში წევრ-კორესპონდენტად არჩევა. მე მათ დიდი მადლობა გადავუხადე. აქვე ჩამოვთვლი ჩემს მიერ გამოქვეყნებულ შრომებს: რამდენიმე მონოგრაფია, კერძოდ, "საქართველოში მოზარდი ტანინით მდიდარი ზოგიერთი მცენარის შესახებ" (1941), "ბროწეულის ნაყოფის ქერქი, როგორც ნედლეული ტანინის მისაღებად" (1949), "საქართველოს სამკურნალო სიმდიდრენი" (რუსულ ენაზე, 1961). ფარმაცევტულ ფაკულტეტზე წლების განმავლობაში ვკითხულობდი პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს ფერმენტებსა, ფერმენტული პრეპარატების და მედიცინაში მათი გამოყენების საკითხებს. აღნიშნულმა სტიმული მომცა დამეწერა მონოგრაფია სათაურით - "სამედიცინო ფერმენტოლოგია" (1965). გამოქვეყნებული მაქვს აგრეთვე, "მამრობითი გვიმრა და მისი მკურნალობაში გამოყენება" (1957) და ჩემს კოლეგებთან ერთად - "სამკურნალო პრეპარატები და მათი კლინიკურ გამოყენება" (1965), "მზა სამკურნალო საშუალებები" (1964), "მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები" (1971), "უმაღლესი სამედიცინო განათლება საქართველოში" (1962), "საქართველოს მედიცინა" (რუსულ ენაზე, 1967 წ. პირველი წიგნი), "მზა სამკურნალო საშუალებანი და მათი გამოყენება" (1968 წ.) და მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც ქვეყნდებოდა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. სულ სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვი 70-ს აღწევს. აქვე მინდა, მცირე ჩანართი გავაკეთო სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრად ჩემი არჩევის შესა-

ხებ: 1959-დან 1972 წლამდე ვითვლებოდი სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1963-1973 წწ. საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო ფარმაცევტული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ, 1964 წელს მომანიჭეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. რიგი წლების მანძილზე არჩეული ვიყავი სრულიად საკავშირო სამეცნიერო ფარმაცევტული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად; 1965-1969 წლებში - სრულიად საკავშირო მუშაკთა პროფკავშირის ცკ-ის წევრად.

ვიდრე ინსტიტუტში ჩემი მოღვაწეობის შესახებ თხრობას გავაგრძელებ, მინდა აღვნიშნო ჩემს ოჯახში მომხდარი სიახლენი. 1961 წელს ჩემმა ვაჟიშვილმა გედევანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. ჩვენი ოჯახი მცირერიცხოვანი იყო - მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი. ჩემს მეუღლესთან ხშირად მქონდა საუბარი იმის შესახებ, ვინ იქნებოდა გედის არჩევანი, რომელიც ჩვენს ოჯახში რიცხობრივ მატებასთან ერთად, გარკვეულ სიახლესა და სიხარულს შემოიტანდა. მაგრამ არჩევანი ჩვენს შვილს ეკუთვნოდა. რასაკვირველია, როგორც აღვნიშნეთ, მისი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მომენტი, როგორც მშობლებს, ძალზედ გვაღელვებდა. ერთ დღეს სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ჩემმა მეუღლემ მითხრა, ჩვენმა შვილმა განაცხადა, ცოლი უნდა შევირთოო. ამის შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ მოვიხმეთ გედი სასაუბროდ, ვკითხეთ - ვისზე შეაჩერე შენი არჩევანი-თქო. გვიპასუხა - ნუციკო ტატიშვილი უნდა შევირთოო. როგორც ჩანს, ამ საკითხს ისე განვიცდიდი, რომ უცბად ვერც კი მივხვდი, ვის შესახებ იყო საუბარი. ჩავეკითხე ვინ

ნუციკო ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ეს ნუციკო ტატიშვილი-მეთქი. მან გაკვირვებულმა მითხრა - მამა, ირაკლი ტატიშვილის ქალიშვილიაო.

აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი იმ დროს ჩემი პირველი მოადგილე იყო, სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში, ხოლო მისი ქალიშვილი ჩვენი ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ. ამ ამბავმა ჩვენში დიდი სიხარული გამოიწვია, რადგან აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილსა და მის მეუღლეს ქალბატონ თამარ მითაიშვილს, რომელიც იმ დროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო დარგში და საერთოდ ცნობილი პედიატრი, კარგად ვიცნობდით და ყოველთვის ურთიერთპატივისცემით ვიყავი განწყობილი. საბოლოოდ ჩემი ვაჟის სურვილი განხორციელდა. შექმნეს ოჯახი, წლების განმავლობაში მათი ურთიერთობა და საერთოდ, ოჯახში ჩვენთან ერთად ცხოვრება ლამაზი, საქმიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. პირველი სიხარული იყო ვაჟიშვილის შეძენა, რომელსაც ჩემი სახელი - პეტრე დავარქვით, ხოლო მეორე შვილს - თამარი, ჩემი მეუღლის სახელი. პეტრე გედის ძე გელბახიანი, ჩემი შვილიშვილი, რომელმაც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და მეცნიერებათა კანდიდატია, მოღვაწეობს სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულ კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე; ხოლო

ნუციკო და გედი გელბახიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრიკომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იქვე უცხო ენების კათედრაზე მუშაობს.

ამჟამად ჩემს პირველ შვილიშვილს პეტრეს ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი – გედევან - გედი და დავით გელბახიანები, თამრიკოსაც ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი - ოთარი და თინიკო. ჩემმა ვაჟიშვილმა გედევანმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია 1965 წელს დაიცვა, ხოლო მისი მეუღლე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია და მუშაობს სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთ კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. ოჯახურ ურთიერთობებზე საუბარს დროებით შევწყვეტ და კვლავ დავუბრუნდები ინსტიტუტში საქმიანობას.

პ.გელბახიანი შვილიშვილებთან – თამრიკო და პეტრესთან ერთად

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა - თეორიული კათედრების შესაფერის შენობებში განთავსება იყო. ამიტომ ყოველდღიურად ვამოწმებდი ახალი კორპუსის მშენებლობის მიმდინარეობას და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ღირსეულად მედგა გვერდში პროექტის ავტორი მიხაკო შავიშვილი. სულ მალე შევძელი, სათანადო ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, პროექტების საფასურის ნაწილის გადახდა და ყოველ შეხვედრაზე

შავიშვილი სიხარულით მეტყოდა ხოლმე - მგონი ჩემი ოცნება ხორცს ისხამსო. თვითონ დამიკავშირდა ტრესტის მმართველი, რომელიც აწარმოებდა კორპუსის მშენებლობას და რომელთანაც ადრინდელი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა, და მითხრა, თქვენ დამშვიდებული იყავით, ტრესტის მასშტაბით №1 ობიექტად მაქვს თქვენი ინსტიტუტის მშენებლობა აღნიშნულიო. მიუხედავად ამისა, მე მაინც დრო და დრო გავახსენებდი და ვთხოვდი მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. თითქმის წელიწადნახევარში დამთავრდა ახალი ოთხსართულიანი მე-2 კორპუსის მშენებლობა, რომელიც პირველი კორპუსის პირისპირ აღიმართა. შენობის პირველი სართულის ნაწილში და მის ქვეშ განთავსდა სპორტული დარბაზების კომპლექსი, რომელიც ეგრერიგად სჭირდებოდა სამედიცინო ინსტიტუტს. ინსტიტუტისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე კეთილმოეწყო სტადიონი სარბენი ბილიკებით, რამაც სტუდენტ-ახალგაზრდობას ხალისი შესძინა, რადგან ადრე დაქირავებულ სხვა დაწესებულების ბაზაზე უხდებოდათ ვარჯიში, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კორპუსის დანარჩენ სართულებზე განლაგდა თეორიული კათედრები, რომლებსაც მანამდე სათანადო ბაზები არ ჰქონდათ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცხრა ინსტიტუტს მიეცა ნება ჰქონოდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრალური ლაბორატორია – ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტი. ამ ცხრა ინსტიტუტში შედიოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტიც, რადგან გათვალისწინებული იყო ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური კათედრის დიდი პოტენციალი და სწორედ, 1962 წელს ინსტიტუტისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, სასწავლო კორპუსის მახლობლად, აშენდა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი პრობლემური ლაბორატორიის - ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალსართულიანი კორპუსი. აღნიშნული ცენტრალური ლაბორატორია თავდაპირველად, დებულების თანახმად, არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულს, არამედ ლაბორატორიის საქმიანობას მეცნიერულს, ფინანსურს და ადმინისტრაციულს განაგებდა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი. ასე იყო მთელს კავშირში. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ლაბორატორიასთან ერთად აშენდა შესანიშნავი ვივარიუმი - ცხოველების საცდელი. ლაბორატორიისა და ვივარიუმის პროექტების ავტორი კვლავ მიხაკო შავიშვილი გახლდათ.

თანდათანობით ინსტიტუტში შეიმჩნეოდა სასურველი ძვრები. მტკიცდებოდა სასწავლო დისციპლინა და რასაკვირველია, ამაღლდა პროფესორ-მასწავლებელთა მომთხოვნელობა სტუდეტთა სწავლისადმი. პირადად, როგორც რექტორს გულს მიხარებდა და მეამაყებოდა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იყო ცნობილი მეცნიერ-მედიკოსებით და მათი უმრავლესობა ჩემი მასწავლებლები იყვნენ, გვერდში ამომიდგნენ და ჩემთან ერთად იღვწოდნენ ინსტიტუტის გადაუჭრელი პრობლემების დასაძლევად. სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამეცნიერო საბჭოს სხდომები მეტად ორგანიზებულად და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, რამაც თავის მხრივ აამაღლა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ადრე დისერტაციების დაცვა არც თუ ისე მოსაწონად მიმდინარეობდა, რადგან მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხის მაძიებლები, თავიანთ შესავალ სიტყვებს წინასწარ დაწერილის წაკითხვით იწყებდნენ, მეცნიერული რეცენზენტ-ოპონენტებიც ნამდვილ პაექრობას არ უმართავდნენ ხარისხის მაძიებლებს და კმაყოფილდებოდნენ რეცენზიის წაკითხვით. ბუნებრივია, ეს ვერ დააკმაყოფილებდა და ვერ აამაღლებდა სამეცნიერო პოტენციალს. ამიტომ, ყოველივე ზემოთქმული პირადად ავწონ-დავწონე, საკითხი მოვამზადე, როგორც უნდა წარმართუ-

ლიყო ინსტიტუტში სამეცნიერო ხარისხის დაცვის პროცესი. ერთი სპეციალური სხდომა მივუძღვენი აღნიშნულს. მოხსენებით გამოვედი იმის შესახებ, რომ მეცნიერებათა კანდიდატს და, მით უმეტეს, დოქტორის ხარისხის მაძიებელს, როგორც წესი, თავის შესავალი სიტყვა კვლევის შედეგებზე ზეპირად უნდა მოეხსენებინა სამეცნიერო საბჭოსათვის, რომ საბჭოს შექმნოდა გარკვეული შეხედულება, ფლობს თუ არა მართლაც კვლევის დამოუკიდებელ მეთოდებს და შეუძლია თუ არა მეცნიერულ საკითხებზე თავისუფალი აზროვნება. შემდეგ დაყენებული იყო საკითხი, თუ როგორ უნდა წარმართონ პაექრობა დისერტანტთან რეცენზენტ-ოპონენტებმა. სრულიად არ იყო საჭირო დაწერილი რეცენზიის წაკითხვა და დისერტანტისათვის იმის აღნიშვნა, მისი ნაშრომი დაწერილია ამდენ და ამდენ გვერდზე, ასეთი და ასეთი დასაბუთება აქვს, დასკვნები და სხვა. ეს ყველაფერი დისერტანტისათვის ისედაც კარგად იყო ცნობილი და პაექრობას ვერაფერ სიახლეს ვერ მატებდა. ჩემი წინადადება იყო, მომავალში ოპონენტებს აიღოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი წარდგენილი დისერტაციიდან და მათეული გაგებით დაესვათ კითხვები დისერტანტისთვის, გაემართათ ნამდვილი მეცნიერული პაექრობა. განვიხილე დაცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხებიც და ამ სტრიქონების წერის დროსაც ნათლად მაგონდება, როგორი ერთსულოვნებით დამიჭირეს მხარი სამეცნიერო საბჭოს წევრებმა. სამეცნიერო საბჭოს სხდომები, სადაც ხარისხების მინიჭება ხდებოდა, პირველ ხანებში ჩემი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და ყოველთვის ვცდილობდი ზემოთ ნახსენები სიახლენი მტკიცედ დამენერგა პრაქტიკაში. საბოლოოდ ეს ასეც მოხდა. მაგონდება, ხშირად ჩვენ სამეცნიერო საბჭოს სხდომებს, სადაც ხდებოდა სამეცნიერო ხარისხის დაცვა, ესწრებოდნენ ცნობილი სპეციალისტები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის ჩვენი სასიქადულო მეცნიერი აკადემიკოსი აკაკი

შანიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე და სხვ. მათ კმაყოფილებით აღუნიშნავთ სამეცნიერო საბჭოს მაღალმეცნიერულ დონეზე ჩატარების, დისერტანტთა და ოპონენტთა შორის საინტერესო პაექრობის შესახებ.

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფ. პ.გელბახიანი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ.საყვარელიზე, პროფ. დ.ბერეჟიანი, ვ.გოგუაძე და სხვები

მიუხედავად იმისა, რომ დისერტაციების დაცვის საქმე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულად გაუმჯობესდა, მაინც საჭირო გახდა, მედიცინის გარკვეული დარგების მიხედვით შექმნილიყო ე.წ. სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოები. მაგ.: ქირურგიული, თერაპიული, მედიკო-ბიოლოგიური სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო და სხვ. ქირურგიულ სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოზე იხილებოდა მხოლოდ ქირურგიული ხასიათის საკანდიდატო-სადოქტორო დისერტაციები და აქ უფრო კვალიფიციურად ხდებოდა დისერტანტთა შრომების ხარისხის შემოწმება. ასევე ხდებოდა დანარჩენ საბჭოებშიც. მათი შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო არა მატო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერ-მედიკოსებით, არამედ მოწვეულნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყვნენ სამეცნიერო-კვლევითი და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების სპეციალისტები.

სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე სამეცნიერო ხარისხის დაცვის საქმიანობა შეამოწმეს უმაღლესი საატესტაციო კომისიის სპეციალისტებმა, კერძოდ, "ვაკ"-ის მედიკო-ბიოლოგიური განყოფილების გამგემ აკად. ჭუკოვ-ვერეჟნიკოვმა და "ვაკ"-ის წევრმა აკად. კროტკოვმა, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს სამეცნიერო საბჭოების მუშაობას.

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა

რასაკვირველია, ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევების დანერგვას. ამიტომ სტუდენტთა კონფერენციებზე, რომლებიც ტარდებოდა არა მარტო ჩვენს ინსტიტუტში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, ხშირად იგზავნებოდა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ხასიათის შრომების მოსახსენებლად. ხშირი იყო შემთხვევები ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტების გამარჯვებისა და მათი შრომების სათანადოდ შეფასებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექრორატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რეჟიმის პერიოდის უმაღლესი სამედიცინო განათლების ნაკლოვანებათაგან ერთ-ერთ უმთავრესად მიმაჩნდა ის, რომ სამედიცინო ინსტიტუტები საერთოდ ძალზედ გადატვირთული იყო არასპეციალური დისციპლინებით, რომელთა რაოდენობა თითქმის 25%-ს აღწევდა. ეს კი სტუდენტს რაც არ აძლევდა მეცნიერებისა და პრაქტიკის სრული დაუფლების საშუალებას, როდესაც სამეცნიერო საბჭოზე განვიხილავდით სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას სემესტრების მიხედვით, თითქმის ყოველთვის მეტი ჩამორჩენის პროცენტი აღინიშნებოდა კომუნისტური პარტიის ისტორიის, პოლიტეკონომიის, ფილოსოფიის, ენების და სხვა არასპეციალურ დისციპლინებში. ამ სტრიქონების წერის დროს მაგონდება მრავლიდან ერთი განსაკუთრებული შემთხვევა:

ჩემთან კაბინეტში შემოდის აცრემლებული სტუდენტი. შეკითხვაზე - რაშია საქმე, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი მდგომარეობა-მეთქი, მიპასუხა - საშემოდგომო დავალიანება - მაქვს პარტიის ისტორიაში და კათედრის გამგე გამოცდაზე არ მიშვებს, ორი სემინარული მეცადინეობა გაქვს გამოტოვებულიო. როდესაც სტუდენტს შევხედე, კარგად ემჩნეოდა, ფეხმძიმედ იყო. როგორც საუბრიდან გაირკვა, უკვე ერთი შვილის დედაც იყო. მაშინვე ავიღე ყურმილი და დავუკავშირდი კათედრის გამგეს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). ვუთხარი, რომ ჩემთან არის სტუდენტი ქალი. დავუსახელე გვარი და დავეკითხე, რატომ არ უშვებთ გამოცდაზე-მეთქი მან მიპასუხა - სემინარული მეცადინეობის გაცდენებისთვის, ორი გაცდენა აქვსო. მე მას ვკითხე - თქვენ ამ სტუდენტს გაესაუბრეთ-მეთქი? არა, არ გავსაუბრებივარო - მიპასუხა. მე მივეცი დავალება, რომ გამოცდაზე დაეშვა და მივუთითე ისიც, რომ საჭირო იყო გაეთვალისწინებია მისი მდგომარეობა, ერთი შვილი სახლში ჰყავს დატოვებული, მეორეზე ორსულად არის და ეს ჩემს უთქმელადაც შეიძლებოდა მიგეღოთ მხედველობაში-მეთქი. ამით დავამ-

თავრე მასთან საუბარი. შემდეგ დეკანის მეშვეობით შევიტყვე, რომ სტუდენტმა საგანი ჩააბარა.

ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ მაშინ ხმამაღლა ლაპარაკი აღნიშული საგნების მოცულობის შემცირებაზე შეუძლებელი იყო. პასუხი მზად იყო - ექიმი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შეიარაღების გარეშე, შეუძლებელიაო, ჩემი მხრივ კი იმას დავსძენ, რომ მაშინ დაუშვებელი იყო ამ საკითხებში რაიმე კორექტივის შეტანა.

ახლა მინდა შევეხო ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებაში ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო პრობლემას - ეს ეხება ინსტიტუტის კონტინგენტის ახალი სასწავლო წლისათვის შევსების საკითხს. როგორც ცნობილია, ჩვენში უძველესი დროიდანვე ჰქონდა ქართველ ერს გამოკვეთილი მიდრეკილება და სიყვარული მკურნალობისადმი. ამას ადასტურებს ხალხური მედიცინის ის უამრავი ძეგლი, რომლებითაც ეგრერიგად მდიდარია საქართველო. ეს აღვნიშნე იმიტომ, რომ ინსტიტუტში მისაღები კონკურსი ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგონდება ის წლებიც, როდესაც საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებს აჯილდოვებდნენ მედლებით. იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც კონკურსი მხოლოდ მედალოსანთა შორის მიმდინარეობდა. წარმოიდგინეთ, როგორ გართულდებოდა მდგომარეობა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსგარეშე რჩებოდნენ მედალოსნები. ჩვენ, არა მარტო ჩვენ, ყველა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები უკლებლივ გამოვქვამდით აზრს იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლის მედალოსნები ჩვეულებისამებრ უნდა აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს ყველა საგანში. პირველ ხანებში ეს გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ დადგინდა ზემოთ აღნიშნული. მისაღებ გამოცდებს ისიც ართულებდა, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ რაიონებზე დაშვებული იყო სპეციალური ლიმიტები, რომლის მიხედვით ამ ლიმიტების მქონე აბიტურიენტები უნდა ჩარიცხულიყვნენ უკონკურსოდ. ეს ქმნიდა სერიოზულ პრობლემებს, რადგან მომზადებული სტუდენტები, რომლებიც

საკონკურსო გამოცდებზე მაღალ შეფასებას ღებულობდნენ, ინსტიტუტის გარეთ რჩებოდნენ. შემდგომში იმასაც მივაღწიეთ, რომ ეს ლიმიტებიც გაუქმდა და საკონკურსო გამოცდების შედეგების შემდეგ, ერთნაირ პირობებში მყოფ აბიტურიენტთა შორის, უპირატესობა ენიჭებოდა მაღალმთიან და დაშორებული რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. რა ღონიძიებაც არ უნდა გაგვეტარებინა, მაინც ძალიან ძნელი იყო სამედიცინო ინსტიტუტში კონკურსის შედეგების მიხედვით აბიტურიენტთა ჩარიცხვა. ხშირი იყო შემთხვევა, ერთ ადგილზე 15-20 აბიტურიენტი მონაწილეობდა. ამიტომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე, ამ მხრივ, მეტად ძნელად გადასაჭრელი ამოცანები იდგა. განსაკუთრებულ ყურადღებას, ასეთ რთულ პირობებში, ვაქცევდით საგამოცდო კომისიების შერჩევას. სამედიცინო ინსტიტუტის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა ყოველთვის თანხმდებოდა ზემდგომ ორგანოებთან. მიუხედავად აღნიშნულისა, მუშაობა მაინც ძალზედ ძნელი იყო. ბოლო წლებში (1967-1972), ჩვენს მიერ შემოღებულ იქნა და ზემდგომი ორგანოების მიერ მოწონებული იყო საგამოცდო კომისიის დაკომპლექტების წესი: შეიქმნებოდა საინსტიტუტო საგამოცდო კომისია, უმთავრესად საშუალო სკოლის ცნობილი პედაგოგებისაგან, დამტკიცდებოდა საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და მათი მოადგილეები და მხოლოდ ამის შემდეგ ინსტიტუტის მასშტაბით შეიქმნებოდა მეორე დამატებითი ჯგუფი - რესპუბლიკაში ცნობილი სპეციალისტების (ცალკეული საგნების მიხედვით), პროფესორებისა და აკადემიკოსების. მათ ევალებოდათ მისაღები გამოცდების დებულების შესაბამისად, არსებული საგნობრივი-საგამოცდო კომისიის შეფასების შემდეგ, ცალკეული აბიტურიენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმეორედ შემოწმება. შემოწმების შედეგად მათ შეეძლოთ საგამოცდო კომისიის მიერ დაწერილი პირველადი ნიშანი ან დაემოწმებინათ, ან, თუ ის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეესაბამებოდა შესრულებულ ნაშრომს, სათანადოდ შეესწორებინათ, გადაესვათ ხაზი დაწერილი ნიშნისათვის და ახალი ნიშანი დაეწერათ, რომელსაც ხელს აწერდა კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე. იქვე ნაშრომზე მიაწერდნენ - "ენდეთ შესწორებულს" და ამასაც ხელისმოწერით დაამოწმებდნენ. ამ წესმა ერთგვარად სასურველი შედეგი გამოიღო, რადგან საპრეტენზიოდ მოსულ აბიტურიენტს მხოლოდ პირველი საგნობრივი საგამოცდო კომისიის წევრები კი არ პასუხობდნენ, არამედ უმაღლესი კომისიის წევრებთან ერთად ეძლეოდათ ახსნა-განმარტებები. ხშირად იყო შემთხვევები, მოდიოდნენ ჩემთან, როგორც რექტორთან, აბიტურიენტთა მშობლები, მე მათ განვუმარტავდი - ძალიან დიდი კონკურსია და ერთ ადგილზე, როცა 20-30 აბიტურიენტია და აქედან ერთია მისაღები, ბუნებრივია, ბევრი კარგად მომზადებული ახალგაზრდა რჩება ინსტიტუტის გარეშე და რატომ არ ითვალისწინებთ-თქო. თითქმის უკლებლივ ყველა საუბარში აღნიშნავდა, ჩემმა შვილმა მათემატიკა სუსტად, ან საერთოდ არ იცის და აბა, სხვაგან სად წავიყვანოთო. ასეთმა საუბრებმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რაღაც კორექტივი შემეტანა მისაღები გამოცდებისათვის გათვალისწინებულ საგნებში. ჩვეულებრივად მიღებული იყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ბარდებოდა ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი), ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა. მისაღები გამოცდების დებულებაში მითითებული იყო, აგრეთვე, რომ ინსტიტუტში მისაღები საგნების რაოდენობა და თვით საგნებში კორექტივის შეტანა შეეძლო მიმღებ კომისიას. ამიტომ, ინსტიტუტის სპეციალისტებს მოვეთათბირე და მივედით იმ დასკვნადმე, რომ ფიზიკა შეგვეცვალა მათემატიკით. ჯერ ერთი, ფიზიკა სამედიცინო ინსტიტუტის I კურსზე საშ. სკოლის პროგრამის მიხედვით და უფრო გაფართოებულად ისწავლებოდა, მათემატიკა კი სამედიცინო ინსტიტუტში საერთოდ არ იკითხებოდა. ამიტომ, დაუშვებლად მიგვაჩნდა, რომ ექიმს ამ ზუსტი მეცნიერების საფუძვლები მაინც არ სცოდნოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ დისციპლინებში დიაგნოზის ზუსტად დასმისათვის თანდათან შემოდიოდა რთული გამოთვლითი ტექნიკის მანქანები, სადაც მათემა-

ტიკის ცოდნა აუცილებელია. გავითვალისწინეთ რა აღნიშნული, ფიზიკის ნაცვლად შემოვიღეთ მათემატიკა. ამ საქმეს რომ მომხრეების გარდა მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდებოდა, თავიდანვე ნათელი იყო და თვითნებობად რომ არ ჩაგვთვლოდა, დასაბუთებული წერილით მივმართეთ უმაღლესი განათლების სამინისტროს, საიდანაც დადებითი პასუხი მივიღეთ. აღნიშნულმა ცვლილებამგარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა. ერთ-ერთი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ისიც გახლდათ, რომ აბიტურიენტის ცოდნის შეფასება უფრო ზუსტად ხდებოდა, რადგან მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა.

ინსტიტუტში ჩემი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში სხვა სპეციალისტებთან ერთად, მუდამივად ვფიქრობდით და ვზრუნავდით ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ორგანიზაციულ საკითხებზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეს საკითხი მაინც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, როგორც უკვე ვთქვით, იყო ისეთი წლები, როდესაც მისაღები კონტინგენტი კომპლექტდებოდა მხოლოდ მედალოსნებით, იყო ისეთი წლებიც, როდესაც მთელი კონტინგენტი ლიმიტიანი აბიტურიენტებით კომპლექტებოდა და ძალზე მცირე ადგილები რჩებოდა რიგითი აბიტურიენტებისათვის. ეს, თავის მხრივ, მშობლებისა და აბიტურიენტების დიდ გაცხარებას იწვევდა.

მაგონდება რამდენიმე შემთხვევა. გამოცდების მსვლელობის დროს აბიტურიენტთა მშობლებს მათი სურვილის მიხედვით გასაუბრებაზე ვერ ვღებულობდით. ერთხელ მოვიდა ჩემთან ჩემი მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში და მითხრა, ინსტიტუტის შემოსასვლელთან დიდი ხანია დგას ცნობილი პოეტი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) და თქვენთან მიღებას ითხოვსო. შემოვიდა სამუშაო ოთახში, მივესალმე მას და ვუთხარი: თქვენ ჩემთან ბრძანდებოდით, თქვენი თხოვნა - თქვენი ცოლის ძმის ინსტიტუტში მიღებაზე მახსოვდა, მაგრამ სამწუხაროდ მან ვერ გამოამჟღავნა ისეთი ცოდნა ბიოლოგიაში, რომ დადებითი შეფასება მიეღო. როდესაც ნაშრომი შემოვიდა ჩემთან სათანადო შეფასებით, ვთხოვე შემფასებელ მასწავლებელს, ჩემთან მოსულიყო და აეხსნა, რამ გამოიწვია უარყოფითი ნიშნის დაწერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწვრილებით მესაუბრა. ამჟამად, რადგან თქვენ აქ მობრძანდით, სჯობს ნაშრომთან ერთად თვით ნაშრომის შემფასებელმა აგიხსნათ, რაშიც არის საქმე.

მასწავლებელი გამოვიდა, გაესაუბრა, აუხსნა დეტალურად და უთხრა: აბიტურიენტს ბილეთი შეხვდა და უნდა დაეწერა ფუტკარზე. მთელი მისი ნაშრომი კი ეხება ხოჭოს და ამრიგად, სრულებით არ არის გაცემული პასუხი, ამის გამო დადებითი ნიშნის დაწერა სრულიად შეუძლებელი იყოო.

პოეტმა უთხრა: თუკი თქვენ ბიოლოგიის მასწავლებელი ხართ, რა მნიშვნელობა აქვს ფუტკარზე დაწერდა თუ ხოჭოზე, დაწერილი ხომ არის.. მასწავლებელმა ამაზე გაკვირვებით უპასუხა: მე ბიოლოგიის მასწავლებელი ვარ, ამას ჩემი მრავალი წლის მუშაობა ადასტურებს ამ დარგში, თქვენგან კი ასეთი პასუხი ძალზედ გამკვირვებია.

პოეტმა ისევ თავისებურად შეუტია მიზნის მისაღწევად და მე უკვე იძულებული გავხდი მასწავლებლისათვის მეთხოვა, დაბრუნებოდა თავის სამუშაო ადგილს და პოეტს კი თავად დავუწყე საუბარი. მან რამდენჯერმე მითხრა, რომ როგორც რექტორს, შემეძლო ნიშანი ამემაღლებინა. აღნიშნულზე სათანადო ახსნა-განმარტება მივეცი და ვუპასუხე: ბატონო ..., რექტორობა იმას არ ნიშნავს, რომ კაცმა თავზე ხელი აიღომეთქი!

საუბრის შემდეგ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მაგრამ ეტყობოდა უკმაყოფილო მიდიოდა, თუმცა საამისო საფუძველი მას არ ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამამულო ომის წლებში გავიცანი გენერალი თავართქილაძე. მისი შვილიშვილი აბარებდა სამედიცინო ინსტიტუტში. მოვიდა ჩემთან რექტორატში და ამიხსნა, რომ მის შვილიშვილს სურდა ექიმობა, რომ იგი კარგადაა მომზადებული და გთხოვთ. თქვენს ყურადღებასო. გამოცდების მიმდინარეობის დროს ყურადღებას ვაქცევდი გენერლის შვილიშვილის მიღებულ ნიშნებს. ჩაბარა სამი საგანი და მეოთხეში - ქართულ ენა და ლიტერატურაში მიიღო უარყოფითი შეფასება. მე ვთხოვე აღნიშნული საგნის მასწავლებელს და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს პროფ. ქავთარაძეს, რომ განემარტათ ჩემთვის უარყოფითი შეფასების მიზეზი. მასწავლებელმაც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარემაც სათანადოდ დამისაბუთეს, რომ ნაშრომი მხოლოდ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას იმსახურებდა. გავანთავისუფლე მასწავლებელი საუბრიდან და კომისიის თავმჯდომარე დარჩა ჩემთან. მას ავუხსენი მდგომარეობა და ვუთხარი, რომ ეს აბიტურიენტი სამამულო ომის მონაწილის, გენერალ თავართქილაძის შვილიშვილი იყო და ვთხოვე, იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო დამაკმაყოფილებელი ნიშნის დაწერა. მან კატეგორიული უარი მითხრა. ჩვენს ამ საუბარს ესწრებოდა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კადრების დარგში - კაციტაძე. როდესაც გამოცდები დამთავრდა, შეჯამდა შედეგები და ჩარიცხულთა სია დგებოდა, დასახელებული აბიტურიენტი კი, ბუნებრივია, მათ რიცხვში არ იყო, ის, რაც არასოდეს გამიკეთებია, კიდევ ვთხოვე პროფ. ქავთარაძეს, შეეცვალა თავისი აზრი. მან გარკვეული კატეგორიულობით კვლავ გაიმეორა ადრინდელი შეხედულება. როდესაც სიები საბოლოოდ გადაისინჯა და ის-ის იყო გამოვაქვეყნეთ, შემოდის ჩემთან პროფ. ქავთარაძე და თან ახლავს გენერალი თავართქილაძე. თვით პროფესორი მთხოვს მომეცით ნაშრომი და ნიშანს გადავასწორებო. მე მას მკვახედ ვუთხარი, რომ თქვენი ასეთი მოქმედება კომისიის თავმჯდომარისათვის და მით უმეტეს, პროფესორისათვის სრულიად შეუფერებელია და დაგვტოვეთ-მეთქი. ხოლო გენერალს ავუხსენი, რომ ახლა ნიშნის გადასწორება, როდესაც გამოცდები უკვე დამთავრებული იყო და სიები გამოქვეყნებული, სრულიად მიუღებელია. მიუხედავად ჩემი განმარტებისა, მან მაინც მითხრა: თქვენ ამბობთ, რომ კომისიის თავმჯდომარემ ნიშანი არ გადაასწორა, ახლა ხომ ხედავთ, რომ თანახმაა.

მე ისევ ჩემი პასუხი გავუმეორე, ვინაიდან მისაღები გამოცდები უკვე დასრულდა, სამწუხაროდ მომავალ წლამდე აღარაფერი გაკეთდება-თქო.

ასევე დიდ სირთულეებს ქმნიდა ჩვენი ინსტიტუტის პრაქტიკაში თხოვნები მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების სამედიცინო ინსტიტუტებიდან გადმოყვანის საკითხზე. მისაღები გამოცდების დიდი კონკურსების გამო, ახალგაზრდები საქართველოდან მიდიოდნენ გამოცდების ჩასაბარებლად სხვადასხვა რესპუბლიკების სამედიცინო ინ-

სტიტუტებში. გარკვეული დროის შემდეგ უკლებლივ ყველა თხოულობდა სამშობლოში დაბრუნებას, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო, რადგან სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტი მტკიცდება როგორც რესპუბლიკაში, ისე საკავშირო მასშტაბით და სტუდენტების გადმოყვანა სხვა სამედიცინო ინსტიტუტებიდან იწვევდა ხელოვნურად კონტინგენტის ზრდას, რაც დაკავშირებული იყო მთელ რიგ სირთულეებთან.

ჯერ ერთი, მისაღები კონტინგენტი საქართველოში მტკიცდებოდა ექიმთა კადრების საჭიროების მიხედვით, მეორე კი ის, რომ გადმოყვანილი სტუდენტების შესანახად გარკვეული სახსრები იყო საჭირო. ამასთანავე, საკავშირო ორგანოები აღნიშნულის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, ამ საკითხით შეწუხებული ზემდგომი ორგანოები დროგამოშვებით დაგვრთავდნენ ხოლმე ნებას, გადმოგვეყვანა დაოჯახებული სტუდენტები, ზოგჯერ კი იმის ნებასაც გვაძლევდნენ, რომ ყველა დაგვეკმაყოფლებინა. ერთ დროს საკავშირო ორგანოებმა კატეგორიულად მოითხოვეს და დააყენეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში, აღნიშნულის აკრძალვის შესახებ, რის შემდეგ ეს საკითხი სპეციალურად განიხილა ცკ-მა და თავის დადგენილებითაც აკრძალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სხვა ინსტიტუტებიდან სტუდენტთა გადმოყვანა. ბუნებრივია, მთხოვნელი სტუდენტის გადმოყვანის თაობაზე პირველად ინსტიტუტის რექტორთან ხვდებოდა. კარგად მახსოვს, უარის თქმით ბევრი განაწყენებული რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშული დადგენილების მიხედვით ამის საფუძველი მათ არ ჰქონდათ. მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: ჩემთან მოვიდა სტუდენტის მშობელი, ცნობილი მფრინავ-კოსმონავტი ქალის ტერეშკოვას წერილით და მთხოვა ერთ-ერთი სამედიცინო ინსტიტუტიდან შვილის გადმოყვანა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ზემოაღნიშნული დადგენილება ძალაში იყო და ამასთან ტერეშკოვა მაშინ ერთადერთი ქალი იყო, რომელიც კოსმოსში გაფრინდა და რამაც მას დიდი სახელი და ავტორიტეტი შეუქმნა. ასეთი პიროვნებისათვის უარის თქმა ძალიან გამიჭირდა. ამას ისიც დაემატა, რომ მაშინდელ საქართველოს ცკ-ის პირველ

მდივანთან ინსტიტუტის სხვა საქმეებზე საჭირო იყო შეხვედრა. ვთხოვე მიღება, მეორე დღესვე მიმიღო, მოვამზადეთ პარეკე ინსტიტუტის საჭირბოროტო საკითხებზე და თან ვუჩვენე ტერეშკოვას წერილი. წაიკითხა და მკითხა, თქვენ ტერეშკოვას იცნობთო? ჩემი დადებითი პასუხის შემდეგ თავისი სამუშაო მაგიდის უჯრა გახსნა და რაღაცის ძებნა დაიწყო. ამოიღო ბარათი და მომაწოდა. როდესაც დავხედე, ვუთხარი, თქვენი პირადი ბარათია-მეთქი. არა უშავს, წავიკითხეთო, მითხრა. გავეცანი ბარათის შინაარს, რომელშიც სატანკო ჯარების მარშალი ... ვ.მჟავანაძეს წერდა: "ჩვენი ფრონტზე ერთად ყოფნის დროს მუშაობდა პოლკოვნიკი... და მისი მეუღლე - ექიმი ქალი. უნდა გახსოვდეს, ეს პოლკოვნიკი ფრონტზე დაიღუპა, ხოლო მეუღლე დაბრუნდა და თბილისში ექიმად მუშაობს. ქალიშვილი ერევნის სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო და ახლა გთხოვთ, დაავალოთ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს გადმოიყვანოს თბილისში. ბარათის წაკითხვის შემდეგ ვ.მჟავანაძემ მკითხა, გაეცანით ბარათს? - დიახ, გავეცანი-მეთქი - ვუპასუხე.

- ახლა რა ვქნათ? თქვენ დიდი ავტორიტეტის ქალმა გთხოვათ სტუდენტის გადმოყვანა, მე მარშალმა. როგორ მოვიქცეთ? დავაკმაყოფილოთ ორივეს თხოვნა?

მე შევჩერდი და ვუპასუხე: ეს უკვე თქვენი პრეროგატივაა. შემდეგ აღნიშნა: ეს თხოვნა რომ დავაკმაყოფილოთ, მაშინ სვანეთიდან, თიანეთის ან სხვა რაიონებიდან მთხოვნელი რომ მოვა თქვენთან ამ საკითხზე, მას რას ეტყვით? თუ გინდა, რომ სახელი გქონდეს მუშაობაში, ეცადე პრეცენდენტს ნუ შექმნი. წაიღეთ ბარათი, რომელიც მე მარშალისაგან მივიღე და თქვენი წერილიც, ცკ-ის განყოფილების გამგესთან ო.ჩერქეზიასთან ერთად დაწერეთ ლოიალური შინაარსის პასუხები, მე მარშალს გავუგზავნი, თქვენ კი - ტერეშკოვას.

საუბარი ამით დამთავრდა. მიღებაზე მადლობა ვუთხარი და მისი დავალება შევასრულე. დავბრუნდი ინსტიტუტში. როდესაც ცკ-ის პირველმა მდივანმა უარი უთხრა სატანკო ჯარების მარშალს ერევნის სამედიცინო ინსტიტუტიდან თბილისში სტუდენტის გადმოყვანაზე, იმიტომ რომ ცკ-ის დადგენილებით აკრძალული იყო სხვა სამედიცინო ინსტიტუ-

ტებიდან გადმოყვანა. სწორედ ამ დროს, ახალი წლის წინა დღეს საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარეს ალექსი ინაურს ჩემს სახელზე გამოეგზავნა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბლანკზე დაწერილი ბარათი. მდივანს ჩემს სამუშაო ოთახში მაგიდაზე დაუდევს. მე კი იმჟამად მეუღლესთან და ჩემს შვილიშვილებთან ერთად გავემგზავრე ლიკანში 10 დღით, დასასვენებლად, იმ ვარაუდით, რომ ახალ წელს იქ შევხვდებოდით. ოჯახური მდგომარეობის გამო დროზე ადრე დავბრუნდი ლიკანიდან. ჩვეულებისამებრ, მეორე დღესვე მივედი ინსტიტუტში, ვნახე ბარათი, რომელშიც ეწერა: ფრონტზე ერთად ვიბრძოდით მე და გენერალი კობერიძე, რომლის შვილი სწავლობს სარანსკის სამედიცინო ინსტიტუტში, თვითონ ცხოვრობს თბილისში და გთხოვთ, გადმოიყვანოთ სტუდენტი აღნიშნული ინსტიტუტიდან თქვენთან, თბილისში.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ინაური ჩემზე განაწყენებულა იმის გამო, რომ ჩემგან პასუხი ვერ მიიღო. გამოგზავნილი ბარათის შესახებ, ცხადია, მე არაფერი ვიცოდი. ეს ამბავი როგორც კი გავიგე, მაშინვე მთავრობის ტელეფონით დავუკავშირდი ინაურს და ვუთხარი, თქვენთან საქმე მაქვს და მოსვლა მინდა-თქო. მან მიპასუხა, მობრძანდითო.

როდესაც სუკ-ის შენობასთან მივედი და მოვამზადე სადეპუტატო წიგნაკი, რითაც შენობაში უნდა შევსულიყავი, შესასვლელ კარებშივე დამხვდა ინაურის მოადგილე გენერალი მაისურაძე და მითხრა: წამობრძანდით, ამხანაგო პეტრე. ავედით ინაურთან, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ვუთხარი:

- ქალაქიდან გასული ვიყავი რამდენიმე დღით და თქვენი ბარათი ამ დილით ვნახე ჩემს მაგიდაზე, იმ წუთშივე დაგირეკეთ. თქვენ ხომ გახსოვთ, ცკ-ის ბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ჩვენთან ინსტიტუტში სხვა სამედიცინო ინსტიტუტებიდან გადმოყვანა აკრძალულია და შემდეგ ისიც ხომ გახსოვთ, რომ თქვენ თავად აქტიურობდით, როდესაც ეს საკითხი ისმებოდა. მოვითხოვეთ, შეღავათი მიგვეცა მხოლოდ ახლად დაქორწინებულებისათვის და თქვენ ამაზეც უარი განაცხადეთ, სასტიკი

წინააღმდეგი წახვედით, ამტკიცებდით, რომ შემდგომში ასეთ შეღავათს შეიძლება დანაშაულებრივი ქმედებებიც მოჰყვეს.

ჩემი საუბარი მოისმინა და გაბრაზებით მითხრა: ჩემი წერილითაც ნუ გადმოიყვან!

ეს რომ თქვა, ავდექი და წერილი დავუბრუნე. არ გამომართვა და მითხრა, ეს წერილი თქვენს სახელზეა დაწერილიო. წერილი ჩემს საქაღალდეში მოვათავსე ისევ, დავემშვიდობე, მაგრამ ვატყობდი, ჩვენი საუბრით უკმაყოფილოს ვტოვებდი. როცა ინსტიტუტში დავრბრუნდი საქაღალდიდან ბარათი ამოვიღე და ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრაში მოვათავსე. ჩველებისამებრ, მაგიდის უჯრებს არ ვკეტავდი. თითქმის 5 დღე იქნებოდა გასულ, გამახსენდა, რომ ინაურის წერილი უჯრაში მქონდა და გადავწყვიტე, გადამეცა ინსტიტუტის განსაკუთრებული განყოფილებისათვის, რომ შემოსულ საქმეებში შეენახათ. ამავე დროს, წესისამებრ, მინდოდა კონვერტზე აღმენიშნა, რომ წერილში აღნიშნული თხოვნა, ავტორთან შეთანხმებისამებრ, არ შესრულდა. გამოვაღე უჯრა და ჩემი მრავალი წლის მუშაობის პრაქტიკაში პირველად, ჩემს მიერ ჩადებული ბარათი იქ აღარ აღმოჩნდა. ძალიან შევწუხდი, მივიკითხ-მოვიკითხე, მაგრამ წერილის ასავალ-დასავალი ვერ გავიგე.

თხრობას გავუსწრებ და ვიტყვი, როდესაც დამაპატიმრეს, სუკ-ში დაკითხვის დროს, აღნიშნული წერილი წარმომიდგინეს. ამ შემთხვევას მე კომენტარს არ გავუკეთებ. მკითხველისათვის ისედაც ნათელია, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო აღნიშნული წერილი ჩემი სამუშაო ოთახიდან სუკ-ში.

სამედიცინო ინსტიტუტის ზემოაღნიშნული პრობლემების მსგავსი შემთხვევები სხვაც ბევრი იყო ჩვენს პრაქტიკაში და უნდა ვთქვა, რომ დამქანცა მისაღები გამოცდებისა და სტუდენტების გადმოყვანის სირთულეებმა. არაერთხელ მითხოვია ზემდგომ ორგანოებში თანამდებობიდან გათავისუფლება. უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებაში, საერთოდ, და, კერძოდ, სამედიცინო ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების სწორ ორგანიზებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ იწვევდნენ სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან

ცნობილ მოღვაწეებს, ჩვენს შემთხვევაში კი ჩვენი დარგის მუშაკს. კომისიის წევრებად კი, ჩასაბარებელი საგნების მიხედვით, ინიშნებოდენ ინსტიტუტის კათედრის გამგეები. ინსტიტუტის რექტორის მითითებით სახელმწიფო გამოცდები ყოველთვის საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. საამისოდ სპეციალურად შეირჩეოდა მოწყობილი საგამოცდო დარბაზი. ფაკულტეტის დეკანი უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაციაში. ძირითადად სახელმწიფო გამოცდები ჩემი მუშაობის პერიოდში საქმიანად და, რაც მთავარია, უკონფლიქტოდ ტარდებოდა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ სტუდენტს ვერ ჩაებარებინოს სახელმწიფო გამოცდა. მაგრამ თუ ეს მოხდებოდა, მაშინ შემაჯამებელ მოხსენებას სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე წარუდგენდა პირადად სამეცნიერო საბჭოს და თუ კომისიის თავმჯდომარეს, გამოცდების მიმდინარეობის დროს, რაიმე ახალი პრობლემა ან საკითხი დაემატებოდა, მოხსენებაში უნდა ყოფილიყო აღნიშნული და ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო მომავალ მუშაობაში გაეთვალისწინებინა. სამედიცინო ინსტიტუტის პრაქტიკაში ნაკლებად მტკივნეული, მაგრამ მაინც რთული პროცესი იყო ახლად კურსდამთავრებულთა განაწილების საკითხი. მათი განაწილებისათვის რექტორის ბრძანებით იქმნებოდა გამნაწილებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: რექტორი, თავმჯდომარე, პრორექტორები, დეკანები და, როგორც წესი, კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლობის სახით შედიოდა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კადრების დარგში. კომისიას ესწრებოდა ჯანდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების მუშაკები სათანადო საბუთებით. კერძოდ, რესპუბლიკაში თავისუფალი ადგილებისა და თანამდებობების დასახელებით, სადაც შეიძლებოდა კურსდამთავრებულების გაგზავნა. განაწილებას, აგრეთვე, ესწრებოდნენ დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები, სადაც, აგრეთვე, ზოგიერთი ახალკურსდამთავრებული იგზავნებოდა. ჩემი რექტორობის პრაქტიკის პირველ წლებში საკავშირო ჯანდაცვის სამინიტროდან მოდიოდა განაწესი, რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში რამდენი კაცი იგზავნებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტიდან და თან მოჰ-

ყვებოდა, ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით, ადგილების დასახელება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მეტი ნაწილი იგზავნებოდა ყაზახეთში, რუსეთის სხვადასხვა ოლქებში, თვით მოსკოვშიც კი, ბალტიისპირეთში, უზბეკეთში, უკრაინასა და თითქმის ყველა რესპუბლიკაში. რასაკვირველია, ეს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ახალკურსდამთავრებული ქართველი კაცი სამშობლოდან გაგზავნო დასახელებულ რესპუბლიკებსა თუ ოლქებში. მაგრამ კომუნისტური წყობისათვის დამახასიათებელი გეგმები მაინც სრულდებოდა. ხოლო ჩემი რექტორობის ბოლო პერიოდისათვის თანდათან და ზუსტად განისაზღვრა სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტი და აქედან გამომდინარე, კურსდამთავრებულები რესპუბლიკაში რჩებოდნენ. მხოლოდ, გამანაწილებელი კომისიის ამოცანა იყო, პირველ რიგში ახლად კურსდამთავრებული ექიმები გაეგზავნა მაღალმთიან და საზღვრისპირა რაიონებში. მიუხედავად ჩატარებული მრავალი ღონისძიებისა, გარკვეული ნაწილი კურსდამთავრებულებისა, განსაკუთრებით ქალები, სათანადო მიზეზით თბილისში რჩებოდნენ განაწილების გარეშე.

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა განაწილების დროს – ინსტიტუტის რექტორი, პროფ. პ.გელბახიანი და საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი, პროფ. ვ.ბოჭორიშვილი

განაწილებაზე ვსაუბრობთ და მაგონდება, 1965 წელი. ჩემმა ვაჟიშვილმა გედევანმა დაამთავრა ინსტიტუტი, ოჯახს უკვე მოკიდებული კაცი იყო და მითხრა: მამა, თუ თქვენ მე განაწილებით სადმე რაიონში არ გამაგზავნით, ძალზედ გაგიჭირდებათ განაწილების დროს სხვისი გაგზავნა.

კომისიამ გედევანი გაგრაში, რაიონულ საავადმყოფოში, ექიმ-ორდინატორად გაგზავნა.

როგორ წესი, რესპუბლიკაში იქნებოდა თუ რესპუბლიკის გარეთ, ექიმს უნდა ემუშავა ადგილზე არა ნაკლებ 2 წელი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საკითხის დასმა სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ. რესპუბლიკის გარეთ გაგზავნილ ექიმებს, წესის შესაბამისად, რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრო პირველ რიგში აკმაყოფილებდა სამუშაო ადგილით.



პ.გელბახიანი თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად საჩხერეში - აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში

ჩემი საქმიანობის ყველა შემთხვევაში, სადაც არ ვყოფილიყავი, მახსოვდა და მოსვენებას არ მაძლევდა აზრი იმისა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ორი სასწავლო კორპუსი უკვე მწყობრში იყო და პროექტის მიხედვით საჭირო იყო მხოლოდ ამ ორი კორპუსის შეერთება. შვიდსართულიანი კორპუსის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. რამდენჯერაც დავაყენე საკითხი, მაშინდელი წესის შესაბამისად, საგეგმო კომისიაში, არ მოხერხდა მშენებლობის დაწყებისათვის სათანადო თანხების გამოყოფა. ეს ამბავი ძალზედ მაღელვებდა და სიმართლე გითხრათ, ნორმალური მუშაობისათვის მოსვენებას არ მაძლევდა.

იმ პერიოდში ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა არჩილ ჭირაქაძე. აქვე მინდა ვთქვა, ეს კაცი მეტად კეთილი, სწრაფი აზროვნების ადამიანი გახლდათ და ხშირად მქონია ურთიერთობა ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შტატების დამტკიცების საკითხი მოსკოვმა ხელიდან გაუშვა და რესპუბლიკების პრეროგატივად იქცა. ამიტომ ვიფიქრე, მოვლაპარაკებოდი მას, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს სისტემის ახალი და დაუმთავრებელი მშენებლობებისათვის გამოყოფილი, აუთვისებელი თანხების ხარჯზე დაგვეწყო შემაერთებელი კორპუსის მშენებლობა. ერთ მშვენიერ დღეს შევხვდი თავის სამუშაო კაბინეტში. ავუხსენი ჩემი ჩანაფიქრი, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად რესპუბლიკის ახალი ბიუჯეტის შედგენის დროს გასული წლის შედეგების განხილვისას, როგორც წესი, აუთვისებელი რჩებოდა ჯანმრთელობის სისტემისათვის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი, ვუთხარი: გავწიოთ რისკი და ნება დამრთეთ, გამოვიყენოთ ეს თანხები ინსტიტუტის მშენებლობისათვისმეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრი ჩაფიქრდა, რამდენიმე წუთის შემდეგ მითხრა: ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება ამ საქმის ისე გაკეთება, როგორც თქვენ მე მელაპარაკეთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, აკად. ა.ზურაბაშვილი, პ.გელბახიანი, ვ.ონიანი

ამის შემდეგ უფრო იმატა ჩემმა მღელვარებამ, როდის მოვიყვანო ჩანაფიქრი სისრულეში. ერთ დღეს ცკ-დან შემატყობინეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ცკ-ის მდივანი ე.მჟავანაძე მიდიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იქიდან თქვენთან გამოივლის ვაჟა-ფშაველას პროსპექტზეო. მეც რექტორატიდან, რომელიც მაშინ მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, პირდაპირ ჩვენი სასწავლო კოპუსებისაკენ გავეშურე. მცირე ხნის შემდეგ მართლაც, ვ.მჟავანაძე გვესტუმრა, გაეცნო ახალი სასწავლო წლისათვის ჩვენს სამზადისს, დაათვალიერა სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და როდესაც გამოვედით ინსტიტუტის ეზოში, შემდეგი დიალოგი შედგა:

- ბატონი ვასილ, მივმართე მე, თქვენი მონდომებითა და დახმარებით ჩვენ ეს სასწავლო კორპუსი ავაშენეთ, აი, ის,

კონსტანტინე ერისთავის დროს აშენებული კორპუსი და ეს ახლად აშენებული კორპუსი, მოწყენით უყურებენ ერთმანეთს, რადგან პროექტით ორივე კორპუსს უკანა მხარე დაუმთავრებელი აქვს და ელოდებიან ახალი მშენებლობის დაწყებას, რათა ეს ორი კორპუსი შეერთდეს.

ვ.მჟავანაძემ ჯერ ერთ კორპუსს გახედა, მერე მეორეს, მომიბრუნდა და მითხრა:

- ეს უზარმაზარი მშენებლობაა და რასაკვირველია, დიდ თანხებს მოითხოვს, ეს თანხები დღეს ჩვენ არა გვაქვს, მომავალში კი აუცილებლად უნდა აშენდეს.

- მომავალი ეს განუსაზღვრელი სივრცეა და თანხები დღესაც ბევრია.

- სადაა ეს ბევრი თანხები?

- მე, ბატონო, უმაღლეს საბჭოში მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ვარ და ახალი ბიუჯეტის შედგენას და ძველის შესრულებას სესიაზე მოხსენებამდე განხილვისას ვესწრები ყოველთვის. ყოველწლიურად მილიონები რჩება აუთვისებელი ჯანმრთელობის სისტემის თანხებიდან.

- ეს ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს, ხვალ მოდი ჩემთან და აღნიშნულზე იქ მოვილაპარაკოთ, მიპასუხა მან.

არ შემიძლია გულწრფელად არ აღვნიშნო ის, რომ მეორე დღის მოლოდინში იმ ღამეს არ მძინებია. ასე თუ ისე, დანიშნულ დროს ვეახლე პირველ მდივანს. მან დაუყოვნებლივ მიმიღო და მიღებისთანავე მკითხა: რა თანხებზე ლაპარაკობდით გუშინო. მე დაწვრილებით ავუხსენი და გავიმეორე, რომ ჯანმრთელობის სისტემის მშენებლობაზე ყოველწლიურად რჩებოდა აუთვისებელი დიდძალი თანხები და ეს თანხები, თუ შევადარებდით გასულ წლებს, თითქმის ერთი და იგივე პროცენტში მერყეობდა. ეს პროცენტები კი ძალიან დიდი იყო - 49-50%-ს უდრიდა.

მოისმინა და მითხრა:

- ეგ სულ სხვა ამბავია. შეიძლება, ეს თანხები ამ საქმისათვის გამოვიყენოთ?

მე მყისვე ვუპასუხე: - დიახ, შეიძლება-მეთქი.

მან ყურმილი აიღო და დაუკავშირდა ფინანსთა მინისტრს ა. ჭირაქაძეს და შეეკითხა:

- ჩემთან იმყოფება სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და მიმტკიცებს, რომ ინსტიტუტის ახალი შემაერთებელი კორპუ-

სის მშენებლობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ჯანმრთელობის სამინისტროსათვის მშენებლობაზე გამოყოფილი აუთვისებელი თანხებიო. რას იტყვი ამ საკითხზე?

ა.ჭირაქაძემ ჩვეულ სტილში სწრაფად უპასუხა: დიახ, შესაძლებელიაო. მისი ომახიანი პასუხი მეც გავიგონე. ვ.მუავანაძემ სწრაფად შეწყვიტა საუბარი მასთან და ამჯერად დაურეკა მთავრობის თავმჯდომარეს გ.ჯავახიშვილს, უთხრა: მეც და შენც პასუხისგებაში ვართ მისაცემიო. როგორც ჩანს, გ.ჯავახიშვილმა ჰკითხა, რაშია საქმეო?

ვ.მუავანაძემ უპასუხა:

- ჩემთან იმყოფება სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და დამიმტკიცა, რომ შესაძლებელია ჯანმრთელობის სისტემისათვის მშენებლობაზე გამოყოფილი აუთვისებელი თანხების ანგარიშზე დაიწყოს სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის დაუმთავრებელი ნაწილის მშენებლობა.

როგორც ჩანს, ჯავახიშვილმა კიდევ რაღაც ჰკითხა, რადგან პასუხი ასეთი იყო:

- ამის თაობაზე ფინანსთა მინისტრს ვესაუბრე და მისგან დასტური მივიღე, აიღე ფანქარი, ქაღალდი და შემაერთებელი კორპუსის მშენებლობა ჩაუსვი რომელიმე ძლიერ სამშენებლო ტრესტს გეგმაში.

როგორც მთავრობის თავმჯდომარისაგან გახდა ჩემთვის ცნობილი, ჩვენი კორპუსის მშენებლობა დაევალა ტრესტს, რომლის მმართველიც იყო ინჟინერი ჭანჭალეიშვილი, დასახელებულ პიროვნებასთან წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით ერთ-ერთ ორგანიზაციაში. კმაყოფილი დავრჩი. მეორე დღეს თვით ტრესტის მმართველმა ჭანჭალეიშვილმა დამირეკა და გადმომცა, რომ მიიღო მთავრობის დავალება სამედიცინო ინსტიტუტის კორპუსის მშენებლობაზე. ჩემის მხრივ მას კიდევ ვთხოვე, რაც შეიძლება დაეჩქარებინა საქმე. მართლაც, პროექტის შესაბამისად დაიწყო მშენებლობა და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდა. მე ზემოთ უნდა მეთქვა, მაგრამ ახლაც არ არის გვიან, თუ ვიტყვი, რომ აღნიშნული მშენებლობის დაწყებისათვის ჩემს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე დაწვრილებით ვუამბე პოექტის ავტორს მიხაკო შეიშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თსსი აკადემიკოსები: სხედან: ნ.ანთელავა, ა.ზურაბაშვილი, ვ.ჟღენტ, ა.სარაჯიშვილი, ვლ.ასათიანი, კ.ერისთავი, პ.გელბახიანი, ი.ტატიშვილი, დგანან: დ.გედევანიშვილი, კ.ჩაჩავა, ს.ხეჩინაშვილი, გ.მარუაშვილი, ი.ფაღავა, ა.ბაკურაძე

- გახსოვთ, ბატონო პეტრე, 1954 წელს თქვენ რომ მელაპარაკებოდით, სამედიცინო დარგის მუშაკებს შორის კაცი ვერ ვნახე, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ორგანიზაციულად გაძღოლოდა მშენებლობის საკითხს და ეგებ თქვენ მაინც დააყენოთ რამე საშველიო. ხედავთ, როგორ ასრულდა ჩემი ოცნება, გახარებულმა მითხრა მან.

ოთხი წლის განმავლობაში შვიდსართულიანი ლამაზი შენობა აღიმართა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე და საბოლოოდ ერთმანეთს დაუკავშირდა პირველი და მეორე კორპუსი, ამით დასრულდა სამედიცინო ინსტიტუტის ძირითადი კომპლექსის მშენებლობა.

პ.გელბახიანი, ავ.ზურაბაშვილი, კ.ერისთთავი

ადამიანთა ჯანსაღი სიცოცხლისათვის ზრუნვა კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. ექიმთა მრავალრიცხოვანი კადრებით, სამკურნალო დაწესებულებათა ქსელით უზრუნველყოფილია ჩვენი რესპულიკა, ექიმთა საერთო რიცხვი ახლა 20000-ზე მეტია. მთლიანად კი ექიმთა რაოდენობით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს ყოფილ საბჭოთა კავშირში. ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტი გადაიქცა ექიმთა კადრების ნამდვილ სამჭედლოდ. გაფართოვდა და განვითარდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი არის უმთავრესი კერა, საიდანაც გაჩაღდა სამეცნიერო მუშაობა მედიცინის მთელ რიგ დარგებში. აქედან აღმოცენდნენ სამედიცინო-კვლევითი დაწესებულებები, რომელთა რაოდენობა ახლა ორ ათეულს აჭარბებს. საქართველოს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ავტორიტეტით სარგებლობდნენ ფიზიოლოგიის, ქირურგიის, ფსიქიატრიის, თერაპიის, მორფოლოგიის, ფარმაციის, გინეკოლოგიის, უროლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლები. ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო მორფოლოგიური დარგების განვითარებას. ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრა, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი, იყო დასაბამის მიმცემი ყველა მორფოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნისა და ამ დარგში მეცნიერული მუშაობის გაშლის. რესპუბლიკაში მორფოლოგთა მაღალი კვალიფიკაციის მრავალრიცხოვანი არმიაა, მათ შორის, აკადემიკოსები, პროფესორები, სახელმოხვეჭილი მეცნიერები. ქართულ სამეცნიერო აკადემიაში არსებობს მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი სახელოვანი მასწავლებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის სახელს ატარებს.

ქართული მორფოლოგიური სკოლის სახელოვანი წარმომადგენლები არიან აკადემიკოსები ვლადიმერ ჟღენტი და ირაკლი ტატიშვილი; მეცნიერების დამახურებული მოღვაწეები, პროფესორები სიმონ საყვარელიძე, ზაქარია მაისურაძე, აკადემიკოსები ნინო ჯავახიშვილი, არკადი ჯორბენაძე, აკადემიის წევრკორები თამარ დეკანოსიძე, ზურაბ კაციტაძე და სხვები.

ერთ-ერთი უძველესია ქართული თერაპიული სკოლა, რომლის სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი თერაპევტები, თერაპევტთა მრავალი თაობის აღმზრდელები - პროფ. სპირიდონ ვირსალაძე, აკადემიკოსები ალექსანდრე ალადაშვილი და მიხეილ წინამძღვრიშვილი. ამ სკოლაში აღიზარდნენ და შემდეგში მას, თავიანთი მრავლმხრივი მეცნიერული მოღვაწეობით, სახელი მოუხვეჭეს პროფესორებმა ნიკოლოზ ყიფ-

შიძემ, შალვა მიქელაძემ, ნიკო მახვილაძემ, გრიგოლ დიდებულიძემ, ვასილ ანდღულაძემ, თადეოზ მამალაძემ, გიორგი მღებრიშვილმა, ევტიხი ცინცაძემ, აკადემიკოსმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა, გიორგი კვიტაიშვილმა, ანეტა ჟღენტმა, კოტე ვირსალაძემ, გიორგი მხეიძემ, იოსებ ჯავახიშვილმა, მემნონ კანდელაკმა, სერგო კობალაძემ, შიო გუგეშაშვილმა, ვახტანგ ალადაშვილმა, აკადემიის წევრკორმა ნუგზარ ტატიშვილმა, გურამ გურგენიძემ, პროფ. რომანოზ სვანიშვილმა, ეთერ ბოცვაძემ და სხვ.

შეუძლებელია რამდენიმე წინადადებით გამოიხატოს ის მრავალმხრივობა და ორიგინალობა, რომელიც ქართულ ქირურგიულ სკოლას ახასიათებს, რომელსაც ფართო ინტერესები თავიდანვე დაუდეს საფუძვლად აკადემიკოსმა გრიგოლ მუხაძემ, პროფესორებმა ალექსანდრე მაჭავარიანმა და ნიკოლოზ კაზიანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, აკადემიკოსმა კონსტანტინე ერისთავმა, აკადემიკოსებმა ეგნატე ფიფიამ და მამია კომახიძემ, პროფესორებმა დავით იოსელიანმა, ნიკოლოზ დემეტრაძემ, ერმალო თოდაძემ, ალექსანდრე კვალიაშვილმა, გიორგი ნაზარიშვილმა, დარია ბერეჟიანმა, მიხეილ ჩაჩავამ, შალვა თოიძემ, ვალერიან კვერენჩხილაძემ, სოფიო ბუაჩიძემ, გურამ ტატიშვილმა, ვასო ბაბუხადიამ, კ. გიორგაძემ და სხვებმა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ დარგის სპეციალისტთა აღზრდის საქმეში.

თვალის სნეულებათა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამკურნალო დარგში თვალსაჩინო მუშაობა აქვთ გაწეული პროფესორებს ვ.მუსხელიშვილს, ა.შატალოვს, ივანე სიხარულიძეს, თამაზ ალექსიძეს და სხვებს.

ქართველმა მეცნიერ-მედიკოსებმა დიდი წარმატებებს მიაღწიეს უროლოგიის, ყელ-ყურის მძიმე დაავადებათა ქირურგიული მეთოდით მკურნალობის საქმეში. ქართული უროლოგიის სკოლის შექმნა მხოლოდ ქირურგიული სკოლის გაძლიერებისა და დაწინაურების საფუძველზე იყო შესაძლებელი, რასაც დიდი გატაცებით, ჭეშმარიტი პატრიოტული შეგნებით ეკიდებოდა აკადემიკოსი ალექსანდრე წულუკიძე. ცოტა ქვემოთ მასზე კიდევ გვექნება საუბარი. ყელ-ყურის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის დარგში ნაყო-

ფიერი მუშაობა აქვთ გაწეული პროფესორებს ასპისოვს, არჩილ ჩარგეიშვილს, თამაზ თოხაძეს და სხვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი ახლო მეგობრების გარემოცვაში კახეთში
(პროფ. ვ.ალადაშვილი, პროფ. დ.საყვარელიძე, პროფ. ირ.ტატიშვილი, პროფ.ლ.ავალიანი დაპ.გელბახიანი)

კანისა და ვენერიულ სნეულებათა დარგში სათანადო ღვაწლი მიუძღვით სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობაში პროფესორებს პეტრე ბუაჩიძეს, დავით საყვარელიძეს და სხვებს.

ფტიზიატრიის საქმეში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს პროფესორებმა გიორგი მესტიაშვილმა, ლუდმილა მოდებაძემ და სხვებმა.

ქართულ უნივერსიტეტში ერთ-ერთი პირველი იყო ფიზიოლოგიის კათედრა, აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას, რომლის ფუძემდებელია აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ქართველი ფიზიოლოგები, რომლებმაც დამოუკიდებელი მუშაობით სრულიად ორიგინალური გზები გაკაფეს ფიზიოლოგიაში.

საკმარისია დავასახელოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოღვაწე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები დიმიტრი გედევანიშვილი, ალექსანდრე ბაკურაძე, არჩილ ასათიანი, მათი შემოქმედებითი მუშაობა.

წამალთა დამუშავებას, მისთვის მრავალფეროვანი ნედლეულის გამოყენებას უძველესი ისტორია აქვს საქართველოში. ახლა საყოველთაოდ არის ცნობილი ამ დარგში ქართველ მეცნიერთა სკოლა, რომლის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძეს და მის მოწაფეებს, პროფესორებს - ნიკოლოზ მასხულიას, პავლე ჭუმბურიძეს, ედუარდ აბოლს, ვალერიან შოთაძეს, არისტარხ მშვიდობაძეს, ბიძინა ჭუმბურიძეს, ლინა ერისთავს, რომან მახარაძეს და ა.შ.

აკად. ა.ზურაბაშვილი, პ..გელბახიანი, ი.ტატიშვილი, ი.მენთეშაშვილი

სამკურნალო საშუალებათა მოქმედების მექანიზმის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი შრომები აქვს შესრულებული მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეებს, პროფესო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს იასონ მოსეშვილს, გიორგი ცქიმანაურს, გრიგოლ გვიშიანს და მათ მოწაფეებს.

1921 წელს ფსიქიატრიის დარგში მეცნიერულ მუშაობას სათავეში ჩაუდგა მიხეილ ასათიანი. მისი სიკვდლის შემდეგ ამ დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები - ირაკლი მენთეშაშვილი, ევტიხი გობრონიძე და სხვები.

დღეს საქართველოს თითქმის არც ერთი რაიონი თუ არ არის დარჩენილი, რომ იქ სპეციალისტი ნევროპათოლოგი არ იყოს, მასში დიდ წვლილი შეიტანეს ქართველმა ნევროლოგებმა სიმონ ყიფშიძემ, პეტრე ქავთარაძემ, ნიკოლოზ ფოფხაძემ, ალექსი მინდაძემ, ალექსანდრე რუხაძემ, აკაკი ზოიძემ, სოფიო ენუქიძემ და მათმა აღზრდილებმა.

საქართველოში შეიქმნა სტომატოლოგიური სკოლა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პროფესორებმა აპოლონ ურუშაძემ, ალექსანდრე ედიბერიძემ, ისიდორე გაგუამ და ა.მენაბდემ. ამჟამად მათი მოწაფეები თავიანთ დარგს ღირსეულად ემსახურებიან.

ფართოდ გაიშალა საქართველოში ჰიგიენური მეცნიერება და პრაქტიკა. ამ მიმართულების მესვეურები არიან პროფესორები სიმონ ამირეჯიბი, გიორგი ნათაძე, ვლადიმერ ანთაძე, ანთეოზ ასათიანი, მიხეილ სააკაშვილი, ვასილ კაციტაძე, კონსტანტინე კაციტაძე და სხვები.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დარგში დიდი წარმატებით მუშაობდა პროფესორი მიხეილ ნოდია.

მეან-გინეკოლოგიას საფუძველი ჩაუყარეს პროფესორებმა ივანე თიკანაძემ, გიორგი ღამბარაშვილმა, პლატონ შუშანიამ, ალექსი უსტიაშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, მიხეილ გიგინეიშვილმა და სხვა დიდმა მეცნიერ-პრაქტიკოსებმა.

დიდი ამაგი დასდეს ბავშვთა ჯანმრთელობის საქმეს პედიატრიის დარგის გამოჩენილმა მოღვაწეებმა სიმონ გოგიტიძემ, მარიამ უგრელიძემ, ივანე ლორთქიფანიძემ, პიმენ ყურაშვილმა, ვლადიმერ თოხაძემ, ირაკლი რცხილაძემ, ირაკლი ფაღავამ, მერი გელოვანმა ... მათთან ერთად ბავშვთა მკურნალობის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით

ბავშვთა ქირურგებს მიხეილ კილასონიძეს, შალვა ჭეიშვილს, მიხეილ კოკოჩაშვილს, ლევან ავალიანს.

ასევე ღრმა კვალი გაავლო საქართველოს მედიცინის განვითარებაში შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებამ – პათოფიზიოლოგიამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ვლადიმერ ვორონინმა და მისმა მოწაფემ, პროფესორმა ირინე ზაალიშვილმა.

სამედიცინო ქიმიის დარგში კადრების მომზადების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფესორ ვასილ ვარაზს, აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანს, პროფესორ ელენე ქუთათელაძეს და მათ მოწაფეებს.

სამედიცინო ბიოლოგია-პარაზიტოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული ვალერიან როსტომბეკოვს, ვლადიმერ ჯიქიას და სხვებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
რექტორი – პ.გელბახიანი, პროფ. გ.მხეიძე და საქართველოს უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ.ძოწენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ.კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე სახ. სამედიცინო ინსტიტუტს ულოცავს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებას

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წითელი დროშის ორდენის გადაცემის დროს. რექტორი – პ.გელბახიანი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ.ძოწენიძე, პროფ. მ.ჩაჩავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასამედიცინო პროფილის მქონე კათედრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ექიმთა კადრების ფორმირების საქმეში, ესენი არიან: ვალერიან აბულაძე, ვასილ ონიანი, გიორგი ვეკუა, დავით გეგეშიძე.

ბოდიშს ვიხდი იმ მოღვაწეთა წინაშე, რომელთა გვარი უნებლიედ გამოგვრჩა და არ იქნა წიგნში დასახელებული. აგრეთვე, წიგნში არ არის შეტანილი სამედიცინო დარგის იმ მოღვაწეთა გვარები, რომლებიც სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი მუშაობის დროს არ იყვნენ კათედრის გამგეები, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ის დიდი წვლილი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანმა პროფესორ-მასწავლებლებმა, დოცენტებმა, ასისტენტებმა შეიტანეს სამედიცინო მეცნიერების განვითარებისა და სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდობა ეუფლებოდა სამედიცინო მეცნიერების საფუძვლებს. ცნობილმა სპეციალისტებმა, ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა და საქმისადმი თავდადებულმა მოღვაწეებმა შეუქმნეს მტკიცე საფუძველი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს, ყოფილიყო ერთ-ერთი სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებელი და სწორედ ამიტომ. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 26 ნოემბერს გამოსცა ბრძანებულება ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო მეცნიერების განვითარებასა და კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ საქართველოში უროლოგიის მამამთავარი ალექსანდრე წულუკიძე. მასთან დაკავშირებით მაგონდება ზოგიერთი რამ, რაც დამახასიათებელი იყო ალექსანდრე (ალეკო) წულუკიძის პიროვნებისათვის. ის ზედმიწევნით მტკიცე და განსაკუთრებული ხასიათის პიროვნება გახლდათ. სწორედ მისმა ასეთმა თვისებებმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში უროლოგიური სამსახურის და კერძოდ, ამ დარგის ინსტიტუტის მშენებლობას. ალეკო წულუკიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ალ.წულუკიძე

მართალია, ჩემი მასწავლებელი არ ყოფილა, მაგრამ მასთან მაკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა და ეს ურთიერთობა მისი კაცური, რომ იტყვიან, მისი ვაჟკაცური ბუნებიდან მომდინარეობდა. ალ. წულუკიძეს ჩემი რექტორობის დროს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში არ უმუშავია, მაგრამ მტკიცე მეგობრული ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია. ყოველ წელს აღნიშნავდა თავის დაბადების დღეს და ამ დღისათვის მისი მუდმივი სტუმრები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ირაკლი ტატიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. საზეიმო სუფრას თვითონ შლიდა და როცა ადრე მომიხდებოდა მისვლა, მომსწრე ვხდებოდი, როგორ შეჰქონდა კორექტივი სუფრის გალამაზებაში. სუფრის თამადა ძირითადად თვითონ იყო, მაგრამ როცა ამ საზეიმო დღეს ესწრებოდნენ მისი ნათესავები - დავით გამრეკელი და მისი ძმა, ზოგჯერ დავითს მიანდობდა ხოლმე თამადობას. მე პირადად ადგილს ვერ ვპოულობდი, როდესაც სუფრის დაწყებისთანავე პირველი სასმისით ჩემს სადღეგრძელოს შესვამდნენ. რასაკვირველია, ყველა ერთხმად დასტურს აძლევდა და ჩემი უარი არ ჭრიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, როგორ ლამაზად მოილხენდნენ ხოლმე ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი და ირაკლი ტატიშვილი. ხუმრობით ნიკო ეტყოდა ხოლმე ივანეს:

- ბატონო ივანე, თქვენი სიმღერა უნა გვითხართო.

ბევრს ვერაფერს იტყოდა, მაგრამ ყოველწლიურად, თანმიმდევრულად ერთი და იგივეს მაინც ჩაიღიღინებდა. სუფრის დამთავრების შემდეგ. არასდროს დამავიწყდება, გამომშვიდობებისას ყოველთვის პალტოს თავის ხელით მაცმევდა მასპინძელი და აქაც არასდროს ჩემი უარი არ გადიოდა. მეტყოდა:

- შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და ჩემი პატივისცემა მინდა გამოვხატო ამით.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს უბრალო, მაგრამ ჩემთვის მაინც სამახსოვრო ფაქტი, როდესაც დიდ განსაცდელში აღმოვჩნდი და "ლაგერში" იქაურ ქურთუკს ვიცვამდი, ყოველთვის მახსენდებოდა. ალეკო წულუკიძემ სამახსოვრო კვალი დატოვა მეგობრობაში და, რაც მთავარია, მეცნიერებაში. რარიგ გასახარია, რომ მის საქმეს მისივე სახელობის ინსტიტუტში შესანიშნავად უძღვება ამ ინსტიტუტის დღევანდელი დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლაურ მანაგაძე. შესაშურად დაბალი ხმით, დიდი სიყვარულით სრულდება მასწავლებლის ყოველგვარი მითითებები დღევანდელი მისი მოწაფეების მიერ. მე თვითონ გავხდი ყოველივე ამის მოწმე და თვითმხილველი.

არ შემიძლია არ მოვიგონო კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. გარდაცვალებამდე დაახლოებით ორი წლით ადრე მოვიდა ბატონი ალეკო ჩემთან ინსტიტუტში და მითხრა:

- როგორც ვატყობ, მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ჩემს სეიფში ვტოვებ ანდერძს, ჩემი ხელით დაწერილს და როგორც კი შეიტყობთ ჩემს გარდაცვალებას, ეს ჩემი ანდერძი უნდა ნახოთ, წაიკითხოთ და შემისრულოთ ჩემი უკანასკნელი თხოვნა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ეს მართლაც ასე მოხდა და მისი ხელით დაწერილი ანდერძი დღეს ჩემს არქივში ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ბატონო პეტრე, ამ წერილს გწერთ თქვენ და გთხოვთ, როგორც ადამიანს შემისრულოთ ჩემი უკანასკნელი თხოვნა, რომლის შესრულება არც ისე ძნელია, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მივცემდი ჩემს თავს უფლებას თქვენი შეწუხების.

თხოვნა ასეთია:

1. ჩემს გვამს ნუ გაკვეთავენ და ნურც ბალზამირებას გაუკეთებენ.
2. კუბო გამიკეთონ მუხის. საფლავს აკლდამა გაუკეთონ.
3. პანაშვიდი არ მოაწყონ. თუ ვინმე პიანინოზე დაუკრავს ბუთხოვენის "მთვარის სონატას", ეს იქნება საკმარისი. ...

ივლისი 1965 წ. ალ.წულუკიძე
გადავწერე 18/III, 1967 წელს.

აქვე მინდა აღვნიშნო, გარდაცვალებამდე მას კონფლიქტური სიტუაცია შეექმნა უროლოგიის ინსტიტუტში თანამოწაფეებთან და კატეგორიულად გადაწყვიტა, დაეტოვებინა ინსტიტუტი. იმავე წამს, შევადგინეთ წერილი ჩემი ინსტიტუტის მეგობრებთან შეთანხმებით და მივწერე ბატონ ალეკოს: "ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით და ვითვალისწინებთ თქვენს დიდ დამსახურებას სამედიცინო მეცნიერების წინაშე და ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, მობრძანდეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და თქვენი შეხედულებისამებრ დაიკავოთ თქვენთვის სასურველი ადგილი".

ბატონი ალეკო მოვიდა ინსტიტუტში და მე კიდევ ერთხელ შევთავაზე, რომ უროლოგიის კათედრა, ჯერ-ჯერობით, ინსტიტუტში სამწუხაროდ არ არსებობდა და სადაც სურდა, იქ დაინიშნებოდა. მან მითხრა:

- ჩემი ახალგაზრდობის წლებში ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე ვმუშაობდი და უფრო სასურველი იქნება, იქ დავიწყო მოღვაწეობა.

იმ დღესვე დაიწერა ბრძანება და ჩემი თანხლებით ვესტუმრეთ დასახელებულ კათედრას. იქაურმა თანამშრომლებმა და კათედრის გამგემ, ბატონმა შალვა თოიძემ დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ცნობილი მეცნიერი, სადაც მას დიდხანს აღარ უმუშავია. დაახლოებით ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ასეთივე მეგობრული, ახლო ოჯახური ურთიერთობა მაკავშირებდა მიხეილ წინამძღვრიშვილთან, ალ. ალადაშვილთან, გრიგოლ დიდებულიძესთან, პეტრე ქავთარაძესთან.

კვლავ დავუბრუნდეთ ინსტიტუტის შესახებ საუბარს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი რექტორობის ბოლო პერიოდისათვის მოღვაწეობდა 11 აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 48 მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი, 91 დოცენტი, 247 ასისტენტი და მასწავლებელი. სამეცნიერო და სასწავლო პედაგოგიური მოღვაწეობა მიმდინარეობდა 60 კათედრაზე და ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და თანამედროვე

აღჭურვილობით. ქართველ მედიკოსთა სამეცნიერო შრომები და გამოგონებები კვლევითი მუშაობისათვის, მათ მიერ შექმნილი საჭირო აპარატურა და ორიგინალური მეთოდები საქვეყნოდ არის ცნობილი. არაერთი მათგანი აღინიშნა სათანადო ჯილდოთი. შედგენილი და გამოქვეყნებულია მრავალი სასწავლო სახელმძღვანელო, ასეულობით სამეცნიერო მონოგრაფია, მრავალი ათასი სამეცნიერო-კვლევითი შრომა. ინსტიტუტის მუშაკების მიერ შექმნილია ორიგინალური პრეპარატები და აპარატურა, რომლებიც დემონსტრირებული იყო მოსკოვის, პარიზის და ბაზელის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებზე. ინსტიტუტის მიღწევები აღნიშნულია გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაცემულ სათანადო დოკუმენტებში.

პ.გელბახიანი თავის კოლეგებთან ერთად
ფარმაცევტული ფაკულტეტის კორპუსთან

სამედიცინო ინსტიტუტის თეორიული კათედრების უმრავლესობა უკვე დაკმაყოფილებული იყო ახლად აგებული აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით. ძველ შენობებში დარჩა ფარმაცევტული და სტომატოლოგიური ფაკულტეტები. ფარმაცევტული ფაკულტეტი მდებარეობდა დღევანდელი ახვლედიანის ქუჩის №22 შენობაში, სადაც ფაკულტეტის

ძირითად კათედრებთან ერთად განთავსებული იყო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, ბიოლოგიური ქიმიის, ადამიანთა ფიზიოლოგიის კათედრები და სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი. გარდა ძირითადი კათედრებისა, ზემოთ დასახელებული კათედრები და ინსტიტუტი გადავიდნენ ახლად აგებულ შენობებში. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1954 წელს მოველაპარაკე არქიტექტორ მიხაკო შავიშვილს, შეედგინა სათანადო პროექტი ფარმაცევტული ფალკუტეტის ამ ძველი შენობის გადასაკეთბლად. აგრეთვე სტომატოლოგიური ფაკულტეტის სპეციალური ახალი კორპუსი აგვეგო ტერიტორიის იმ თავისუფალ ადგილზე, რომელიც მდებარეობდა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე და ემიჯნებოდა სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელს. ამ ახალ კორპუსში უნდა განთავსებულიყო სტომატოლოგიური პოლიკლინიკა სათანადო დანადგარებითა და მოწყობილობით. ზემო სართულებში უნდა ყოფილიყო მოთავსებული თერაპიული, ორთოპედიული და ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრები სათანადო ლაბორატორიებით და სტაციონარით.

აქვე მინდა აღვნიშნო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებდა სტუდენტთა მოთხოვნებს, რადგან არსებული შენობა მოცულობით პატარა იყო. ამიტომ არქიტექტორს ვთხოვე, ეს შენობა გაგრძელებულიყო ვაჟა-ფშაველას პროსპექტამდე და შეერთებოდა სტომატოლოგიურ კორპუსს. მან ადგილებიც დაათვალიერა, აგრეთვე, ფარმაცევტული ფაკულტეტის კორპუსიც და აღმითქვა, რომ ჩემს დავალებას პირნათლად შეასრულებდა.

1972 წლის დამლევს საქართველოში შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. ცკ-ის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ე.შევარდნაძე, რომელმაც ცკ-ის პირველივე ბიუროზე გამათავისუფლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის თანამდებობიდან და რამაც პრაქტიკულად ხელიდან გამაგდებინა ის შესანიშნავი ჩანაფიქრი, რომელიც ეხებოდა ფარმაცევტულ და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს და ახალად აგებულ შვიდსართულიან შემაერთებელ კორპუსში დიდი სა-

აქტო დარბაზის ინტერიერის საუკეთესო ავეჯით მოწყობას, რომელიც უკვე შეთანხმებული იყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო ისიც, რომ ინსტიტუტის რექტორატი არა ცენტრალურ ლაბორატორიაში არამედ უნდა განთავსებულიყო შემაერთებელი კორპუსის პირველ და მეორე სართულზე, რადგან არქიტექტორის მიერ შეხამებული იყო რექტორის, პრორექტორის, ფაკულტეტების დეკანების მუშაობის ხასიათთან. ნაცვლად ზემოაღნიშნულისა, შემაერთებელი კორპუსი კათედრებმა თვითნებურად დაიკავეს.

რექტორობიდან გათავისუფლების შემდეგ მე ჩვეულებისამებრ გავაგრძელე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა კათედრაზე.

1973 წლის ივნისის 15-20 რიცხვი იქნებოდა, კათედრაზე, სამუშაო კაბინეტში ჩემთან შემოვიდა თანამშრომელი და მითხრა, მოსაცდელში თქვენი დისშვილი ილია თაბაგარი გელოდებათო. გამიკვირდა. რატომ მელოდება, უთხარით, პირდაპირ შემოვიდეს-მეთქი, ვუთხარი მას. როგორც კი შემოაღო კაბინეტის კარი, მაშინვე ვკითხე:

- რატომ ზიხარ მოსაცდელში, რატომ არ შემოხვედი?

ჩემს კითხვაზე მან ღია კარებშივე, ჯერ შემოსულიც არ იყო, ხელით მანიშნა, ნუ მელაპარაკებიო. მე გაკვირვებით ხმამაღლა ვკითხე:

- რაშია საქმე, რას აქნევ ხელებს?!

მან უხმოდ კიდევ მანიშნა, ლაპარაკი არ არის საჭიროო.

გაკვირვებული წამოვდექი და მასთან ერთად გავედი კაბინეტის გვერდით მდებარე ჩემს პირად ლაბორატორიაში. ვკითხე:

- რაშია საქმე?

- ბიძაჩემო, შენი საქმე ცუდად ყოფილა.

- რატომ უნდა იყოს ჩემი საქმე ცუდად?

- თქვენი ტელეფონი ჩართულია და ისმინება, ამიტომ რაც ახლა უნდა გითხრა, იქ ამის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

- საბოლოოდ მითხარი, რაშია საქმე?

- ჯერ იმაში მინდა დაგარწმუნო, რომ ტელეფონი ისმინება. თქვენთან, გუშინ დილით, იყო თუ არა ჯანმრთელობის მინისტრი კაბინეტში.

- იყო.

- იმის წასვლის შემდეგ, მოვიდა თუ არა აკად. ზურაბაშვილი.

დავუდასტურე.

- კადრების დარგში მინისტრის მოადგილე იყო თუ არა ზურაბაშვილის შემდეგ?

ამაზეც დავეთანხმე.

- აბა, ხომ ხედავ გისმენენ და ყოველი შენი ნაბიჯი აღრიცხვაზეა.

გაჯავრებით ვუთხარი:

- ნაბიჯები მე დასათვლელი არა მაქვს. მართალია რექტორობიდან გამათავისუფლეს, მაგრამ ჩემს ირგვლივ მეტი არაფერი მომხდარა, განვაგრძობ მუშაობას კათედრაზე. ჩემს ცხოვრებაში ცუდი არაფერი გამიკეთებია, რომ ვინმემ ჩემი ნაბიჯები ითვალოს.

ის მაინც დაბეჯითებით მელაპარაკებოდა, რომ საქმე ცუდად იყო, თქვენი დაპატიმრება უნდათო. ეს ვიღაცის მოჭორილი ამბავია-მეთქი ვუთხარი და ვკითხე:

- საბოლოოდ მითხარი, რა გაწუხებს, რაშია საქმე?

- შენი დაპატიმრება უნდათ და თუ ფულს გაიღებ, საქმე შეიძლება მოგვარდეს. დიდი თანხაა საჭირო.

ამის შემდეგ მე მას ძალზედ გავუჯავრდი და მკაცრად ვუთხარი:

- ვინ შემოგაგზავნა? რა გითხრეს, რაშია საქმე?! ვინ გაგიბედა ასეთი რამის თქმა?! შენ ჩემი დისშვილი ხარ და კარგად მიცნობ, რა დიდ ფულზეა ლაპარაკი, საიდან ან რატომ უნდა მქონდეს მე დიდი ფული? ვინ გამოგაგზავნა ამ თემაზე ჩემთან სალაპარაკოთ?

მიპასუხა, ვერ გეტყვიო. მაშინ მე ხელით კარისაკენ მივუთითე:

- აქედან გადი და თვალით აღარ დამენახო! იმიტომ გაგზარდე, რომ სიმართლე არ მითხრა?!

მაშინ დაღონებულმა მითხრა, ყველაფერი ეს რაც ბელაპარაკე, ფარმაცევტული ტექნიკუმის დირექტორმა გიორგი თოდუამ მითხრაო.

- ვინ ეკითხება თოდუას ჩემს დაპატიმრებას ან არ დაპატიმრებას, მაგან საიდან უნდა იცოდეს ჩემს შესახებ ეს ყველაფერი?

- მოსკოვში დიდი კაცი ჰყავს და მისი საშუალებით ამ საქმეს გააკეთებს.

- ვინაა ეს დიდი კაცი?

- მე არაფერი ვიცი.

საბოლოოდ მე მას ვკითხე:

- თოდუას შენ ნახავ, თუ ის მოვა შენთან სალაპარაკოდ?

- ის მოვა ჩემთან.

- მაშინ მე გთხოვ, გადაეცი და უთხარი, შენ ხომ ბიძაჩემს იცნობ, მივედი მასთან, მაგრამ ვერ გავბედე, რომ მისთვის მეთქვა-თქო.

ამით დავამთავრეთ ჩვენი ლაპარაკი. კარებში რომ გადიოდა, ამ დღეებში პროკურატურაში დაგიბარებენო, მითხრა და წავიდა. ამ საუბარმა, ბუნებრივია, ძალზე გამაღიზიანა. ის დრო იყო, როცა სამუშაო დღე მთავრდებოდა და, შეთანხმებისამებრ, ჩემმა ვაჟიშვილმა გამომიარა, ერთად წავედით წყნეთში, საკუთარ აგარაკზე. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ ჩემს მეუღლეს და შვილს დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რაც ჩემმა დისშვილმა მითხრა. საუბრის დამთავრების შემდეგ მეუღლემ მკითხა:

- ყველაფერი ეს, რაც გითხრა, შენ როგორ აღიქვი?

- რა საკითხავია, პროვოკაციას მიწყობს ცკ-ის დღევანდელი ხელმძღვანელი, ან სუკ-ი ან ორივე ერთად.

შვილმაც და მეუღლემაც მყისვე დამიდასტურეს ჩემი აზრი. მეორე დღეს, ჩვეულებრივ, გამოვცხადდი კათედრაზე სამუშაოდ. ტელეფონით დამიკავშირდა რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე სუკ-ის ზედამხედველობის დარგში რევაზ ყიფიანი და მითხრა:

- პროკურატურაში სამედიცინო ინსტიტუტის საქმესთან დაკავშირებით თქვენთან ცოტა გასარკვევი საქმე გვაქვს, სადმე ხომ არ მიემგზავრებით ამ დღეებში თბილისიდან?

მე მას ვუთხარი, რომ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცკ-ის პლენუმზე მივემგზავრებოდი მოსკოვს და ბილეთიც უკვე აღებული მქონდა.

მან მკითხა:

- რამდენ ხანს დარჩებით იქ?

- არა უმეტეს ერთი კვირისა.

- როდესაც დაბრუნდებით, გთხოვთ, დამირეკოთ.

ამით ჩვენი სატელეფონო საუბარი დამთავრდა.

მოსკოვში ჩემს გამგზავრებას ერთ-ერთი სადოქტორო დისერტაციის დაცვა ემთხვეოდა, რომლის მეცნიერული შეფასება და წარდგინება მე მეკუთვნოდა. ამიტომ პირადად მაინტერესებდა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასწრება. ასეც მოხდა. დისერტაციის დაცვა შედგა, დამთავრების შემდეგ პირდაპირ სამეცნიერო საბჭოს სხდომიდან გავემგზავრე აეროპორტში მეუღლისა და შვილის თანხლებით. როგორც დეპუტატი, შევედი სადეპუტატო ოთახში თვითმფრინავის გასვლის მოლოდინში. როცა ოთახში შევედით, არავინ იყო, გარდა იქაური მსახურისა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომლისთვისაც პირადად მე ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემმა ვაჟიშვილმა მკითხა:

- მამა, იმ კაცს, აქ რომ შემოვიდა, ხომ არ იცნობ?

შევხედე და ვუთხარი, არ ვიცნობ-მეთქი.

ეს უეჭველად სუკ-ის თანამშრომელია და შენ მოგყვებაო, დაასკვნა ჩემმა ვაჟმა.

ვერ გეტყვით, საიდან გამოიტანა ჩემმა შვილმა ასეთი დასკვნა, მაგრამ უკვე მოსკოვში დავრწმუნდი, რომ სინამდვილეში ასე იყო. აღნიშნული პირი იმავე სასტუმროში მოეწყო, სადაც მე და ბუნებრივია, ჩემი ყურადღება ამის შემდეგ მიიპყრო. სადაც მივდიოდი, რასაკვირველია, ფრთხილობდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, მითვალთვალებდა. ჩემმა შვილმა, გედიმ, მთხოვა, რომ მისთვის მეყიდა ერთ-ერთი აპარატი, გარკვეული თანხა გამატანა და თან ამიხსნა, სად უნდა შემეძინა. როდესაც მითითებულ ადგილზე საკომისიო მაღაზიაში მივედი, რამდენიმე წუთში შევნიშნე, შემოვიდა ზემოთ აღნიშნული პირი. მაშინ უკვე ნამდვილად დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნდი, რომ ის სპეცსამსახურის მუშაკი იყო და მითვალთვალებდა.

დაწყებული საუბრის თემას ვიდრე გავაგრძელებდე, ერთი წლით უკან დავბურნდები და აღვნიშნავ, რომ 1972 წლის გაზაფხული ჩვენი ოჯახისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, რადგან გედევან (გედი) გელბახიანმა 20 აპრილს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაცვის მასალები, სათანადო საჭირო საბუთებით, გადაიგზავნა მოსკოვში უმაღლეს საატესტაციო კომისიაში დასამტკიცებლად. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, როგორც ეს შემდგომში ჩემთვის გახდა ცნობილი, სარეცენზიოდ გადასცა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ თერაპევტს და რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს არამ გუკასიანს. მან სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება დროულად გადაუგზავნა საატესტაციო კომისიას, მაგრამ სულ მალე მოხდა უბედური შემთხვევა - ა.გუკასიანი უეცრად გარდაიცვალა. ეს ამბავი ჩვენთვის ცნობილი გახდა, იგი როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დიდი პიროვნება იყო.

ზემოთ აღნიშნული მაქვს, რომ მე არჩეული ვიყავი მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო ცკ-ის წევრად და აღნიშნული ორგანიზაციის პლენუმზე ჩემი მიწვევის გამო შევიარე უმაღლეს საატესტაციო კომისიაში, ვიკითხე ჩემი შვილის სადოქტორო დისერტაციის დამტკიცების ამბავი. დისერტანტის პირადი საქმის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა. რომ საქმეში პროფ. ა.გუკასიანის რეცენზია აღარ იყო. ამან თვით ВАК-ის მუშაკებში გამოიწვია გაკვირვება და, რასაკვირველია, ჩემშიც. მითხრეს, რომ აღნიშნულზე ხელმძღვანელობას მოველაპარაკებით და ნაშრომი ახალ რეცენზენტ-ოპონენტთან უნდა გადაიგზავნოსო.

ახლა კი დავუბრუნდები დაწყებულ საუბარს. 1973 წლის ივლისის დასაწყისში, მედიცინის მუშაკთა ცკ-ის პლენუმზე სხდომის დროს დარბაზში, სადაც ვიჯექი, ჩემს გვერდით დაჯდა საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ერთერთი მოადგილე, შესვენების დროს, ჩვეულებისამებრ, გავესაუბრეთ ერთმანეთს. მან მკითხა:

- თქვენი პირადი საქმე როგორ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვუპასუხე:

- ჩვეულებრივად, განვაგრძობ მუშაობას კათედრის გამგის თანამდებობაზე და ყველაფერი რიგზეა.

მან, ბოდიშის მოხდით, მითხრა, თქვენს შესახებ ცუდი ამბავი გადმომცესო. ჩემს შეკითხვაზე, თუ რაში მდგომარეობდა ეს ცუდი ამბავი, დაწვრილებით მიამბო:

- ჩემთან სამინისტროში მოვიდა პროფ. ლოგინოვი და ასეთი რამ მითხრა, გადმოცემული მაქვს უმაღლესი საატესტაციო კომისიიდან სარეცენზიოდ გედევან გელბახიანის სადოქტორო დისერტაცია. დისერტაცია ძალიან კარგია და იგი სრულად აკმაყოფილებს სადოქტორო ნაშრომის მოთხოვნებს, მაგრამ გამაფრთხილეს და მითხრეს, რომ მის მამას აპატიმრებენ და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეო. მე ვუთხარი: რა საქმე გაქვთ თქვენ მამამისთან, თუ დისერტაცია კარგია, თქვენ შესაბამისი დოკუმენტი წარადგინეთ და მამამისს რა მოელის, ეს თქვენი საქმე არ არის და თუ ამის შესახებ კიდევ რამეს გეტყვიან, საქმის კურსში ჩამაყენეთ-თქო. კარგია, რომ თქვენ აქ პირადად გხედავთ.

ამით საუბარი დამთავრდა. ინფორმაციამ დიდად დამაფიქრა. დავბრუნდი თბილისში. შევუდექი ჩემს სამუშაოს, ყიფიანისათვის არ დამირეკავს.

1973 წლის 7 აგვისტოს, აგარაკზე ყოფნის დროს თბილისიდან ტელეფონით დამირეკა რ.ყიფიანმა და მითხრა:

- პატარა საქმე გვაქვს თქვენთან გასარკვევი და ხომ არა გაქვთ საშუალება, ჩამობრძანდეთ პროკურატურაში?

დავეთანხმე, შვილის მანქანით ჩამოვალ-თქო. ამიხსნა, სად უნდა მივსულიყავი. ამის შემდეგ ჩამოვედით მანქანით თბილისში და ჩემს შვილთან ერთად მივედი პროკურატურაში. შენობის წინ დამხვდა პროკურატურის ერთ-ერთი გამომძიებელი, რომელსაც მე არ ვიცნობდი, დამინახა თუ არა, წარმომიდგინა თავი (თორთლაძე) და მითხრა:

- ზემოთ რომ არ ამობრძანებულიყავით ყიფიანთან, ამიტომ აქ გელოდებით.

სუკ-ში საქმეა გასაცნობი თქვენთან და იქ ჩავიდეთ.

შევთავაზე, მანქანით წავიდეთ-თქო, მითხრა:

- აქ ახლოს არის და ფეხით ერთად ჩავიდეთ.

მაშინ ვუთხარი:

- შვილს გავაფრთხილებ, რომ მანქანით იქ მოვიდეს.

- არ არის საჭირო, მას უთქვენოდ გააფრთხილებენ, - მიპასუხა მან.

წავედით სუკ-ში. მისვლისას გამომძიებელი საშვთა ბიუროსაკენ წავიდა. მე მას ვუთხარი, რომ საშვი არ მჭირდება, დეპუტატის მოწმობა მქონდა. მან მიპასუხა:

- არა, დღეს საშვით შესვლა სჯობსო და ჩემს სახელზედაც გამოიტანა საშვი. შევედით ერთ-ერთ ოთახში, სადაც შემოიყვანეს ტანმაღალი მამაკაცი. დასვეს ჩემს პირდაპირ და როცა დავაკვირდი, ამოვიცანი, ფიზიკის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელიც მისაღებ გამოცდებზე იღებდა მონაწილეობას ჩვენს ინსტიტუტში. მან ჩემი დანახვისთანავე დაიწყო ყვირილი და მომმართა:

- თქვენ გაიგეთ, რომ მე სიგლახე გავაკეთე და რატომ მაშინვე არ დამაპატიმრეთ.

ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, შევატყვე, დარიგებისამებრ მოქმედებდა და პირდაპირ ვუპასუხე:

- მე ინსტიტუტის რექტორი ვიყავი და არა დამსჯელი ორგანიზაციის მუშაკი, ვისაც ეხებოდა თქვენი დაპატიმრება, როგორც ჩანს, დაგაპატიმრეს.

ის კაცი გაიყვანეს. შემდეგ შემოიყვანეს თბილისის ერთ-ერთი აფთიაქის გამგე - შატბერაშვილი. იგი ჩემი ყოფილი სტუდენტი იყო და შემდგომში ჩემი თანამშრომელი სააფთიაქო სამმართველოში მუშაობის დროს. როცა შევხედე, მას ხელები უკანკალებდა.

პირველი შეკითხვით გამომძიებელმა თორთლაძემ მე მომმართა:

- თქვენთან, წყნეთში, აგარაკზე, ამოვიდა თუ არა შატბერაშვილი და ამოგიტანათ თუ არა რამე პროდუქტი?

ერთ ზაფხულს წყნეთში, ეზოში ჩემს მეუღლესთან ერთად ვისხედით. ეზოს კარებს მოადგა შატბერაშვილი ხელჩანთითა და ბადით, რომელშიდაც ჩადგმული იყო მაწვნის თიხის ქილა. ჩემმა მეუღლემ ეზოს კარები გაუღო, შემოვიდა და ჩემს წინ დადგა. მე მას ვუთხარი:

- აგარაკზე, დასასვენებლად ვარ მოსული და ამ ხელჩანთით რომ მომადექი, რაშია საქმე?

ამის თქმაზე აუკანკალდა ხელი, გაუვარდა ბადით ქილა, პირდაპირ ჩემს წინ გატყდა და დაიღვარა მაწონი. ვუთხარი:

- ახია! ეს მაწონი უნდა აიღოს კაცმა და თავზე დაგასხას. ამდენი წელიწადია მიცნობ და რაში გჭირდებოდა ეს?

ამის თქმის შემდეგ შატბერაშვილმა ძლივს ამოღერღა:

- არაფერია, ბატონო პეტრე, რამდენიმე კიტრი და პომიდორია.

- ბიჭო, რათ მინდა შენი კიტრი და პომიდორი! - მაინც ვუსაყვედურე.

მაშინ ჩემი მეუღლე ჩაერია საუბარში და მითხრა:

- რატომ აყენებ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ამ კაცს?!

ჩემი მეუღლე კარგად იცნობდა შატბერაშვილს, რადგან იგი მისი სტუდენტიც იყო. საბოლოოდ მან კიტრი და პომიდორი დატოვა, არც არაფერი უთხოვია და არც უთქვამს. ეს ყველაფერი მე წამში აღმიდგა მეხსიერებაში და მოვუყევი გამომძიებელს. შატბერაშვილი ძალიან ღელავდა და ძლივს ლაპარაკობდა. მან იგივე მოუყვა გამომძიებელს, შატბერაშვილი გაუშვეს. მე და გამომძიებელი ოთახში დავრჩით და შემდგომში ჩვენმა საუბარმა ზოგადი ხასიათი მიიღო. მე ვგრძნობდი, რაღაცის მოლოდინში იყო. როგორც შევიტყვე, ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ცკ-ის ბიუროს სხდომა, რომელზედაც იხილებოდა საკითხი ჩემი დაპატიმრების შესახებ. აგრეთვე, შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბიუროზე საქმის განხილვის დროს ზოგიერთმა წევრმა, კერძოდ, გ.ძოწენიძემ და გ.ჯავახიშვილმა გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემი დაპატიმრების გადაწყვეტილებას და თქვეს:

- კაცი რექტორი იყო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, პროფესორია, დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპენდენტი და ასეთი ბრალდებებით მისი დაპატიმრება როგორ შეიძლებაო.

ქვემოთ აღვნიშნავ, თუ რა ბრალდებებზე იყო ლაპარაკი.

ე.შევარდნაძეს ამაზე უპასუხია: დავიჭიროთ და გამოჩნდება, რა პროფესორია, რა დოქტორი და რა აკადემიკოსი.

ასე იყო, თუ ისე, ბიუროზე დაუდგენიათ ჩემი დაპატიმრება და სასწრაფოდ მიეცა მითითება პროკურატურას დაპატიმრების სანქციის გაცემაზე.

ოთახში გამომძიებელთან დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ფანჯარაში რომ გავიხედე, ბინდდებოდა, შემოიტანეს პუბლიკის პროკურორის მოადგილის ჯიბლაძის ხელმოწერით სანქცია ჩემს დაპატიმრებაზე. გადმომცეს და მითხრეს:

- გაეცანით და ხელი მოაწერეთ.

მე წავიკითხე, გავჩერდი და ამ დროს ოთახში შემოსულმა სუკ-ის გამომძიებელმა, ლეიტენანტმა ზილბერტ ხაზალიამ მითხრა:

- მოაწერე, მოაწერე ხელი, ჩვენ კომუნისტები ვართ.

ხუმრობის დრო არ იყო, მაგრამ მაინც გამეცინა და ვუთხარი:

- შენ რომ კომუნისტი ხარ, ვითომ ჩვენ ვინ ვართ?!

რასაკვირველია, სხვა გზა იქ არ იყო და მოვაწერე ხელი, გავეცანი-თქო,

ამის შემდეგ წამიყვანეს სუკ-ის მუშაკებმა და სათანადო პროცედურა ჩამიტარეს, რის შემდეგაც გადმომცეს ლეიბი, ზეწარი, პლედი, პირსახოცი, წყლისა და ჩაის დასალევი ალუმინის ჭურჭელი, ალუმინის თეფში და კოვზი. წამიყვანეს, თუმცა არ ვიცოდი, სად. საბოლოოდ გაირკვა, რომ მიმიყვანეს საკანის წინ, რომელსაც აღნიშნული ჰქონდა №18. საკანი ძალზედ მცირე მოცულობის იყო, რომელშიც იდგა ორი რკინის ნარი. ერთი უკვე დაკავებული იყო და მეორე თავისუფალი. მიმითითეს თავისუფალზე, გამეშალა ჩემი საწოლი. დაკეტეს კარი და წავიდნენ. საკანში იყო ერთი ხანშიშესული კაცი, რომელიც, როგორც შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა, წინასწარ დარიგებული იყო, ყველაფერი იცოდა ჩემს შესახებ, მაგრამ მაინც მკითხა:

- რა გვარის ხარ?

ვუპასუხე და მან ძალიან გაიკვირვა:

- როგორ, თქვენ ის გელბახიანი ხართ, რექტორი რომ იყოო?!

დავუდასტურე და ამით დამთავრდა ჩვენი პირადი საუბარი. მე ჩემთვის განკუთვნილ ნარზე ჩამოვჯექი და გულში ვთქვი:

- მე აქედან ისევ ის პეტრე გელბახიანი უნდა გავიდე!

იმ დამეს, რასაკვირველია, რა დამაძინებდა, ფიქრებით ვიყავი გართული და ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ

საკანის კარზე გაკეთებული სამზერი, "გლაზოკს" რომ ეძახიან, არ გაჩერებულა, მის ყოველ გახსნაზე, დახურვაზე გარკვეული ხმაური ისმოდა. ვინ იყვნენ, არ ვიცი, მაგრამ გამუდმებით მითვალთვალებდნენ.

ვგრძნობი მათ ინტერესს და თავი ამაყად მეჭირა.

ძალიან მაწუხებდა ჩემი შვილის ამბავი, რომელმაც აგარაკიდან თბილისში ჩამომიყვანა, სუკ-ში მიმიყვანა და როგორც პატიმარი დამტოვა. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე უნდა დაბრუნებულიყო ოჯახში. როგორც ჩემთვის შემდგომში გახდა ცნობილი, შვილი იქვე პროკურატურასთან გაუჩერებიათ და მთელი ბრიგადა გაჰყოლია წყნეთში აგარაკზე ჩხრეკისათვის. თბილისში იმიტომ გააჩერეს და აგარაკზე იმიტომ წავიდნენ ერთად, რომ მას ოჯახისათვის წინასწარ არაფერი შეეტყობინებინა. ასულან წყნეთში და სახლისა და ეზოს ყველა კუნჭულის ჩხრეკა და გადატრიალება დაუწყიათ. როდესაც დარწმუნდნენ, რომ არ გაუმართლდათ, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ჩხრეკის აქტიური მონაწილე იყო, ტელეფონთან მისულა და ვინმე ალექსეი ნიკოლაევიჩისათვის დაურეკავს (ეს ალექსეი ნიკოლაევიჩი იყო ალექსი ინაური, მაშინდელი სუკ-ის მეთაური), არაფერი არ აღმოჩნდა, ჩხრეკას ისევ ვაგრძელებთო. ამასობაში მეორე ბრიგადას ალყა შემოურტყავს თბილისის ბინისათვის და მანამდე ყარაულობდნენ, სანამ ოჯახის წევრები და ბრიგადა, რომელიც წყნეთში აწარმოებდა ჩხრეკას, არ დაბრუნდნენ თბილისში. ოჯახის წევრებმა გააღეს საცხოვრებელი ბინა თბილისში, ბარნოვის ქუჩა №102-ში და ახლა აქ შეუდგა ბრიგადა "თავის საქმეს".

კაცს რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო, ნათქვამია. მათი ინტერესიც აქედან გამოდიოდა - ოქროს და ბრილიანტების საგანძურს ელოდნენ, რომ აღმოაჩენდნენ. გულდასმით გაჩხრეკის შემდეგ აქედანაც დაურეკეს ალექსეი ნიკოლაევიჩს, არაფერი აღმოჩნდაო, მაგრამ მთელი ქონება, რაც კი იყო დეტალურად აღწერეს ისე, რომ ერთი წყლის დასალევი ჭიქაც კი არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ქონების აქტის შედგენისა და ჩხრეკის დამთავრების შემდეგ განერვიულებული და აფორიაქებული ოჯახის ყველა წევრი დარჩა ბინაში, მაგრამ, ვაი, ამ დარჩენას.

მეორე დღეს სუკ-ის ზემდეგებმა, მათთვის ჩვეული წესით, დიდი ხმაურით გახსნეს საჭმლის მოსაწოდებელი მცირე კარი, "კარმუშკად" წოდებული და მკითხეს:

- თქვენი გვარი?!

მცირე დაყოვნების შემდეგ ვუპასუხე და მითხრეს:

- ჩაიცვით!

ჩავიცვი. უზარმაზარი გასაღები ასევე ხმაურით რამდენჯერმე გადაატრიალეს, ხმაურით გახსნეს კარი და საკნიდან გამომიყვანეს. არ მითხრეს, სად მივყავდი. სამი სართულით მაღლა ასვლისას, ვკითხე: სად მივდივართ-თქო, არაფერი მიპასუხეს და ასე მდუმარედ ავედით სუკ-ის შენობის იმ ნაწილში, სადაც პატიმრების დაკითხვები მიმდინარეობდა. დერეფანში გასვლისას შემომესმა - "გელბახიანი მოჰყავთ" და სასწრაფოდ ყველა კარი მიხურეს. შემიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც დამხვდა რევაზ ყიფიანი, გამეცნო და მითხრა:

- მე გახლავართ რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე, სუკ-ის ზედამხედველობის დარგში, საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი, რომელსაც ევალებოდა თქვენი დაკითხვა.

ამის შემდეგ მან წარმომიდგინა სათანადოდ გაფორმებული ოქმი, რომელზედაც აღნიშნული იყო ჩემს მიმართ წამოყენებული ბრალდებები: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, სიყალბის ჩადენა და კიდევ იყო რაღაც, რომელიც აღარ მახსოვს.

მითხრა:

- გაეცანით და ხელი მოაწერეთ, თვლით თუ არა თავს დამნაშავედ.

- ეს დოკუმენტი ჩემს ხელმოუწერლად გქონდეთ.

მან ამისხნა, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მე მაინც ჩემს პოზიციაზე დავრჩი და იმ დღიდანვე დაიწყო დაკითხვები, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში ძიებისათვის გაუგონარი დროის, მთელი სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ისიც სუკ-ის პირობებში.

პირველი დაკითხვა ეხებოდა შატბერაშვილს, თბილისის ერთ-ერთი აფთიაქის გამგეს. ვიცნობდი თუ არა მას და მის

მეუღლეს, მოიტანეს თუ არა მათ ჩემთან ოჯახში სურსათ-სანოვაგე. ვუპასუხე, რომ შატბერაშვილს და მის მეუღლეს, ორივეს ვიცნობდი, ვიცნობდი, ჯერ ერთი, როგორც ჩემს სტუდენტებს და შემდეგ, როგორც ჩემს თანამშრომლებს სააფთიაქო სამმართველოში მუშაობის პერიოდიდან. შემდეგ ვუთხარი:

- წყნეთში აგარაკზე, როდესაც ჩემს მეუღლესთან ერთად ეზოში ვისხედით, მოვიდა შატბერაშვილი ხელში ხელჩანთითა და ბადეში ჩადებული თიხის ჭურჭლით. როდესაც მე ვუთხარი: თუ ჩემთან საქმე გქონდა, რა საჭირო იყო ამ ხელჩანთითა და ბადით ამოსვლა-თქო. ამის თქმაზე ბადე ხელიდან გაუვარდა და იქვე ჩემს წინ გატყდა თიხის ჭურჭელი, დაიღვარა მაწონი. კიდევ გავუჯავრდი, რად გინდოდა ეს მაწონი-თქო. შეწუხებულმა მთხოვა: არაფერია, კიტრი და პომიდორია და უკან ნუღარ გამატანთო. ჩემმა მეუღლემ ჩანთა იქვე გახსნა, რომელშიც ხუთი კიტრი და ამდენივე პომიდორი აღმოჩნდა. ეს არის თქვენს მიერ დასმული კითხის პასუხი პროტექტორობის შესახებ.

შემდგომში თხრობა რომ გაგვიადვილდეს, აქვე ვიტყვი, ჩემი ვაჟიშვილი თავის ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან დაიცვა დისერტაცია და ამ ფაქტის აღსანიშნავად მისთვის მიურთმევიათ ყავის სერვიზი, მაშინ 60 მანეთად ღირებული. შემდეგ, როდესაც ჩემს მიმართ საქმე გამოეცალათ და ხელში არაფერი რჩებოდათ, 230 მანეთად შეაფასეს. რაც შეეხება სამაჯურს, იგი შატბერაშვილის მეუღლეს მიუტანია ჩემი რძლის ნუცა ტატიშვილისათვის მისი დისერტაციის დაცვის აღსანიშნავად. თხრობას აქაც წინ გავუსწრებ და ვიტყვი, როგორც გაირკვა, შატბერაშვილი და მისი მეუღლე სუკ-ის დავალებით მოქმედებდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დაპატიმრებამდე, შატბერაშვილის მეუღლეს დაურეკავს წყნეთში ჩემს მეუღლესთან აგარაკზე და მოუთხოვია შვილზე და რძალზე მიცემული საჩუქრების უკან დაბრუნება. ჩემი მეუღლე მეტად აღშფოთებულა და უპასუხია:

- მე გთხოვეთ, რომ საჩუქრები მომიტანეთ-თქო. ახლავე ჩავალ თბილისში, მითხარით მისამართი და ჩემი ნათესავის ხელით უკან დაგიბრუნებთ დღესვე.

მართლაც, ჩემმა მეუღლემ ნათქვამი შეასრულა და როდესაც თავისი ძმისშვილი აღნიშნულ მისამართზე მივიდა, იქ ორგანოს მუშაკები დახვდნენ შატბერაშვილთან და მის მეუღლესთან ერთად. იქვე აქტით გააფორმეს.

პირველი დაკითხვა ზემოაღნიშნული დიალოგით დამთავრდა. გამოუძახეს ზემდეგს, ჩემი თავი ჩააბარეს და უკან საკანში დამაბრუნეს.

ერთი დღის შემდეგ კვლავ იღება "კარმუშკა" ხმაურით და მეკითხებიან:

- თქვენი გვარი!

მეც ვპასუხობ.

- ჩაიცვით!

მეც ვიცვამ ტანსაცმელს. კვლავ იღება ხმაურით საკნის მძიმე რკინის კარი და ისევ მესამე სართულზე, დაკითხვაზე მივყავარ. ოთახში მხვდება გამომძიებელი მობირი ქობალია, რომელიც მისვამს კითხვას:

- იცნობთ, თუ არა მე-2 აფთიაქის მმართველს რაჟდენ ბუგიანიშვილს და მის მეუღლეს?

- მე-12 აფთიაქის მმართველი რაჟდენ ბუგიანიშვილი ჩემი სტუდენტი იყო, შემდეგ კი თანამშრომელი, რაც შეეხება მის მეუღლეს - არ ვიცნობ.

- მოგიტანათ თუ არა საჩუქრად, შვილის ინსტიტუტში მოწყობასთან დაკავშირებით, ნოხი?

- მისი შვილი ინსტიტუტში რომ მიღებულია, ეს ჩემთვის ცნობილია. რაც შეეხება ნოხს, კატეგორიულად ვაცხადებ, ასეთი რამ არ ყოფილა.

იმ დღეს ჩემი დაკითხვა ამით დამთავრდა, გამოუძახეს ზემდეგს და ჩემი თავი ჩააბარეს საკანში წასაყვანად. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მეძახიან დაკითხვაზე. ამჯერად ყიფიანი მეკითხება:

- იცნობთ თუ არა იოსებ არაზაშვილს და მის მეუღლეს ლუბა ჭიპაშვილს.

- იოსებ არაზაშვილი ჩემი სტუდენტი იყო, შემდგომში თანამშრომელი, რაც შეეხება მის მეუღლეს ლუბა ჭიპაშვილს, იგი ჩემთან ერთად სწავლობდა და ინსტიტუტი ერთ დროს დავამთავრეთ.

- მოგიტანათ თუ არა ლუბა ჭიპაშვილმა, თავისი შვილის ინსტიტუტში მიღებასთან დაკავშირებით, ოქროს ძეწკვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული კატეგორიულად უარვყავი.

ოთახში ყიფიანთან ერთად იმყოფებოდა სუკ-ის ლეიტენანტი ზილბერტ ხაზალია, როდესაც დაკითხვა დამთავრდა, დააპირეს ზემდეგების გამოძახება. მე ვთხოვე, დამატებითი ჩვენება მინდა მოგცეთ და თუ შეიძლება მომისმინეთ-თქო.

რასაკვირველია დამთანხმდნენ.

დაწვრილებით ვუამბე ჩემთან ჩემი დისშვილის მოსვლისა და მისი ნაამბობის შესახებ, რომელიც ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ და გამეორებით მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებ. როდესაც აღნიშნულზე ველაპარაკებოდი ყიფიანსა და ხაზალიას სახეზე და მოქმედებაზე ვატყობდი, რომ ისინი ჩემს ნაამბობს ყურადღებით არ უსმენდნენ. დამაბრუნეს საკანში.

მეორე დღეს, დილას, იღება "კარმუშკა" და ისევ იმეორებენ ჩემთვის უკვე ცნობილ ფრაზას:

- თქვენი გვარი!

ვპასუხობ.

- ჩაიცვით!

დაკითხვის ოთახში ისევ ყიფიანი და ხაზალია დამხვდნენ.

- დეტალურად გაიმეორეთ თქვენი გუშინდელი ჩვენება, თქვენთან სპეციალური პიროვნების მოსვლასთან დაკავშირებით.

მეც დეტალურად გავუმეორე ყველაფერი, რაც წინა დღეს ვუამბე. შემდეგ რამდენიმე კითხვა დამისვეს და ამით დამთავრდა იმდღევანდელი დაკითხვა, დამაბრუნეს საკანში. ფსიქოლოგიური ზემოქმედება რომ მოეხდინათ, დაკითხვაზე გამოძახებისა და უკან საკანში დაბრუნებისას ორ-ორი ზემდეგი მაცილებდა.

როდესაც მათთვის რაიმე შედარებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი იყო, მაშინ სუკ-ის გამომძიებლები დამკითხავდნენ-ხოლმე.

ერთი და იგივე სიტყვებითა და წინადადებებით რომ არ გადავღალოთ მკითხველი, აღვნიშნავ, გამოძიების პერიოდში, სრული 3 წლის განმავლობაში, სუკ-ში ყოველ დაკითხვაზე გამოძახების დროს სულ ერთი და იგივე მეორდებოდა:

იღებოდა "კარმუშკა": მეკითხებოდნენ გვარს, პასუხის გაცემის შემდეგ - "ჩაიცვის", გასაღების ხმაურით აღებდნენ კარს და მივყავდი დაკითხვაზე. როდესაც მომბეზრდა პირველი კითხვა - გვარის შესახებ, ზემდეგებს ვუთხარი:

- ნუთუ ერთი წლის განმავლობაში ჩემი გვარი ვერ ისწავლეთ?! მიპასუხეს:

- ასეთია წესი და იმიტომ ვიმეორებთ.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მიიღეს ჩემი მითითება და "პატივისცემის ნიშნად" გვარს აღარ მეკითხებოდნენ. გააღებდნენ კარს და მეტყოდნენ:

- ჩაიცვით, დაკითხვაზე უნდა წავიდეთ!

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ სუკ-ის ოპერატიული სამსახურის მიერ ისე იყვნენ დამუშავებული ციხის მუშაკები, დიდ დამნაშავედ მთვლიდნენ და არასოდეს მელაპარაკებოდნენ, თუ რამეს ვკითხვადი, მოკლე პასუხს მომცემდნენ. ესეც ეტყობა ერთგვარი ზემოქმედების საშუალება იყო.

გამომიძახეს დაკითხვაზე. ოთახში დამხვდა ზ.ხაზალია. მკითხა

- იცნობთ თუ არა № პიროვნებას (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, ისედაც დიდად გულნატკენს, დამატებითი ტკივილი ზედმეტად რომ აღარ მივაყენო).

- ვიცნობ.

- როგორ იცნობთ?

მე მას ეს პიროვნება დავუხასიათე, როგორც განათლებული, თავისი საქმის ზედმიწევნით კარგად მცოდნე და ადამიანებთან ურთიერთობაში შეუცდომელი.

მომღიმარმა მითხრა:

- როგორ კადრულობთ აკადემიკოსი კაცი, იმ უწიგნურს განათლებულს ეძახით.

- რასაკვირველია, მე არ დამითვლია, რამდენი წიგნი აქვს მას წაკითხული, მაგრამ სრულიად არ გეთანხმებით თქვენ №-ის დახასიათებაში.

- მაშინ მიპასუხეთ, გთხოვათ თუ არა თქვენ №-მა რაიმე?

- რაიმეს თხოვნა არ მახსოვს, რადგან მე ისეთ თანამდებობაზე ვმუშაობდი, ბევრ ადამიანთან მქონია შეხება.

- მაშინ კითხვას დავაზუსტებ, ხომ არ უთხოვია თავისი სისტემის თანამშრომლის შვილის ინსტიტუტში მოწყობა?

- №-პიროვნება მთავრობის ტელეფონით დამელაპარაკა და მითხრა: ჩემი სისტემის ერთ-ერთ კარგ თანამშრომელს ოქროს მედალოსანი შვილი ჰყავს. თქვენს ინსტიტუტში უნდა გამოცდების ჩაბარება. ხომ შეიძლება გთხოვო, რომ რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს გამოცდაზე-ო. მე მას ვუპასუხე, ოქროს მედალოსანი თუ არის, რა გაუგებრობას ექნება ადგილი გამოცდებზე-თქო და ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა.

- არა მგონია, რომ თქვენ ტელეფონზე ამით დაამთავრეთ ლაპარაკი. ალბათ, შეპირდით, ყურადღებას მივაქცევ და მოვაწყობ ინსტიტუტშიო.

- აქ სუკ-ის გამომძიებლები მაჯილდოვებენ ჩემზე სხვადასხვანაირი მოსაზრებებითა და თქმულებებით, მელაპარაკებიან, რომ მე განუსაზღვრელი უფლებებით ვსარგებლობდი, ცკ-ის მდივანზე მეტი გავლენა მქონდა. მართალია, თქვენ ამ წუთში ამაზე არ მელაპარაკებით, მაგრამ მე მაინც მინდა გითხრათ, რომ არც განუსაზღვრელი უფლებებით ვსარგებლობდი და არც სხვა თანამდებობის პირზე მეტი ან ნაკლები უფლება მქონდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თქვენს შეკითხვაზე გიპასუხოთ. მე ისეთი თანამდებობა მქონდა, ისეთი აღზრდა და განათლება, რომ მსგავს დაპირებებს არავის არ ვაძლევდი და რამდენ ხანსაც არ უნდა გამაჩეროთ აქ და რამდენიც არ უნდა ეძებოთ, ასეთ დახმარებას ვერსად და ვერავისგან ვერ შეიტყობთ.

- მაშინ ჩემს კითხვას დავაკონკრეტებ. თქვენთვის ამ პიროვნებას 5000 მანეთი არ გადმოუცია?

კატეგორიულად განვაცხადე პროტესტი ასეთ შეკითხვაზე და ვუთხარი:

- ჩემი დაწესებულების, პრესტიჟის და ჩემი თავის პატივისცემის ნიშნად, ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია.

გაიღიმა და მითხრა:

- ნუ აღელვდებით, დამშვიდდით. აქ მე ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ გეტყვით, თქვენ ამ საქმეში მართალი კაცი ხართ.

- არა მარტო ამ საქმეში, არამედ სხვა საქმეებშიც მართალი კაცი ვარ.

ეს დაკითხვა ამით დამთავრდა. ოქმზე ხელი მომაწერინეს და დამაბრუნეს საკანში.

ამასობაში საზოგადოებაში დიდ ორომტრიალს მართავს მაშინდელი სახელმწიფოს პატიული ხელმძღვანელი და მისი მითითებების ყურმოჭრილი შემსრულებლები. ყიფიანი მიდის სამედიცინო ინსტიტუტში და სამეცნიერო საბჭოს მოახსენებს, რომ ინსტიტუტის ყოფილი რექტორი პ.გელბახიანი ბოროტად იყენებდა თანამდებობას და ხელს უწყობდა მექრთამეობას. ამასთანავე სარგებლობდა რა განუსაზღვრელი უფლებებით, რასაც უნდოდა იმას აკეთებდაო. იურიდიული სამსახურის მუშაკი იმდენად იყო გატაცებული დავალების "პირნათლად" შესრულებით, რომ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას.

მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის და მაშინდელი ცკ-ის მდივნის რეპრესიული მეთოდებისა, მაინც ნაწყენი ვრჩები, რომ ინსტიტუტის თანამშრომლებმა ვერ უპასუხეს, ჩვენი ყოფილი რექტორი ასეთი საქმის გამკეთებელი არ შეიძლება იყოსო. უხმოდ მიიღეს მისგან ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდებები.

დაპატიმრებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იმართება პარტიის ცკ-ის პლენუმი. ამ პლენუმზე გამოაქვთ დადგენილება:

"პეტრე გედევანის ძე გელბახიანი გაირიცხოს ცკ-ის შემადგენლობიდან და პარტიის რიგებიდან სოციალისტური კანონმდებლობის უხეში დარღვევისა და დანაშაულებრივი მოქმედებისათვის".

ამრიგად, რესპუბლიკაში იმ დროს არსებულმა ყველაზე უმაღლესმა ორგანომ წინასწარ დააკანონა და კვალიფიკაცია მისცა შეთითხნილ ბრალდებას, მაშინ, როდესაც გამოძიება დასაწყის ეტაპზე იყო.

პლენუმის ჩატარებიდან სულ მოკლე ხანში ტარდება რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება და ამ კრებაზე ჩამოჰყავთ საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აკადემიკოსი ბორის პეტროვსკი. ერთ-ერთი საკითხი ჩემი დამუშავებაა. აქტივზე "საქმის კურსში" ჩააყენეს აკადემიკოსი ჩემი მოღვაწეობის შესახებ. რასაკვირველია, უარყოფითად. აგრეთვე, საქმის კურსში დგებიან რესპუბლიკის პარტიულ

აქტივზე დამსწრენიც. ადგენენ ათასნაირი სიყალბეებისაგან შემდგარ დახურულ წერილს და უგზავნიან რესპუბლიკურ რაიონულ ორგანიზაციებს დავალებით: დაამუშავონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში აღნიშნული დახურული წერილი. ერთი თვის შემდეგ კვლავ იწვევენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის მუშაკთა აქტივის კრებას და ჩამოჰყავთ საკავშირო ჯანდაცვის მინისტრი, აკად. ბ.პეტროვსკი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ნიკოლოზ ბლოხინი და სხვა ცნობილი სამედიცინო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, აკადემიკოსები, პროფესორები. აქტივზე იხილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის "მოქმედება". ამავე დროს რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებები: პრესა, ტელევიზია და რადიო სისტემატურად გადმოცემდნენ ჩემს შესახებ ცრუ ინფორმაციებს. ზოგიერთი მლიქვნელი-კარიერისტი თანამდებობის პირები, ეხებათ თუ არ ეხებათ, ჩემს შესახებ წერენ მოგონილ ჭორებს და აქვეყნებენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, შევარდნაძემ ჩემს წინააღმდეგ დაპატიმრების პირველი დღიდან აამოქმედა თავისი შესაძლებლობების მთელი მექანიზმი. ამის შემდეგ მკითხველმა თვითონ განსაჯოს, ჩვეულებრივმა გამომძიებელმა, როგორ უნდა გამოიძიოს ჩემი საქმე და მე როგორ უნდა დავამტკიცო ჩემი სიმართლე მაშინ, როდესაც, აშკარად, დაუფარავად ძალის პოზიციებიდან ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

მკითხველს მინდა შევასხენო, ჩემი რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, დაპატიმრებამდე, რა ინსცენირება გათამაშდა საქართველოში:

- ოპერის თეატრის დაწვა, ამასთან დაკავშირებული დაპატიმრებები და სასამართლო პროცესი;
- აფეთქება ქუთაისში;
- აფეთქება სოხუმში;
- ცეკავშირის თავმჯდომარის, ფინანსთა მინისტრის, მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარის, მაუდის ფაბრიკის დირექტორის და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების დაპატიმრებები.

ამ სტრიქონების წერის დროს, აღნიშნული ფაქტები ნათლად მაფიქრებინებს, რომ ცკ-ს პირველი მდივანი მოსკოვს უმტკიცებდა, რომ საქართველოში შექმნილი იყო "უმძიმესი" მდგომარეობა: რექტორი, აკადემიკოსი - მექრთამე, მინისტრი - მექრთამე, წარმოების დირექტორი - მექრთამე, პარტიული მუშაკი - მექრთამე, ტერორისტული აქტები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და სხვა მთელი რიგი "დანაშაულებრივი" მოქმედებანი და ასეთ "რთულ" პირობებში მომიხდა მუშაობის დაწყება ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზეო.

მკითხველს წინასწარ მინდა რამდენიმე სიტყვით ვუთხრა, რასაც ამის შესახებ წიგნში წაიკითხავენ, მიხვდებიან თავადაც, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, არსად მსოფლიოში, არ მომხდარა ის, რაც ახლა უნდა აღვნიშნო:

შევარდნაძის დავალებით ცკ-ის მეცნიერებათა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ემილ სეხნიაშვილი მიდის სამედიცინო ინსტიტუტში და წინადადებას აძლევს მაშინდელ რექტორს - აკად. ღუდუშაურს, სასწრაფოდ მოიწვიოს სამეცნიერო საბჭო და სათანადოდ გააფრთხილოს საბჭოს წევრები, რომ საჭიროა გელბახიანს ჩამოერთვას მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება. იწვევენ ტერორიზებულ საბჭოს წევრებს, უცხადებენ გადაწყვეტილებას და ისინი ასრულებენ შევარდნაძის მზაკვრულ ჩანაფიქრს, ერთის გამოკლებით. საბჭოს სხდომას დემონსტრაციულად ტოვებს და პროტესტის ნიშნად ჩაილაპარაკებს:

- მე ასეთ ბინძურ საქმეში მონაწილეობას ვერ მივიღებ!

ეს პიროვნება გახლდათ ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის შვილი - ვახტანგ ალადაშვილი, რომელიც იმჟამად თავად გახლდათ პროფესორი და კათედრის გამგე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში იწვევენ აკადემიის საერთო კრებას, რომელსაც ესწრებიან ცკ-ის წარმომადგენლები. შევარდნაძის მიერ სპეციალურად დავალებულმა პირმა წაიკითხა "მოხსენება" ჩემი პიროვნების, აკადემიაში ჩემი მოღვაწეობის შესახებ და ზოგიერთ სხვა საკითხებზე. აქაც მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ, სამწუხაროდ, პირნათლად შეასრულა მითითება და გამრიცხეს მეცნიერე-

ბათა აკადემიის რიგებიდან. აქაც ერთის გამოკლებით, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან ახლო ურთიერთობა არ მქონდა, მხოლოდ მან დატოვა პროტესტის ნიშნად კრება.

ჩემს ირგვლივ ატეხილი ეს ორომტრიალი ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც იწყებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოძიება. გარდა ამისა, ჩემი ოჯახი, ციხეებსა და კოლონიებში ჩემი 13 წლის პატიმრობის განმავლობაში, ტერორიზებული იყო. ჩემს შვილს, გედევანს, რომელმაც 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1973 წელს დაამტკიცა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, ცკ-ის მითითებით არ მისცეს უფლება გამოცხადებულ კონკურსებში მიეღო მონაწილეობა.

აქვე მინდა ერთი, მართლაც რომ კურიოზული ამბავი გავიხსენო:

"ლაგერში" ჩემი პატიმრობის დროს მიმაგრებაში მყოფმა ერთ-ერთმა პატიმარმა შემომიტანა სპორტული გაზეთი "ლელო", სადაც ჩემი შვილიშვილის ფოტოსურათი იყო გამოქვეყნებული, კალათბურთის თამაშის დროს გადაღებული და ტექსტიც ჰქონდა დართული, პერსპექტიული მოთამაშეა და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთო. ამ დროს პეტრე სწავლობდა საშუალო სკოლის მე-9 კლასში, ახალგაზრდული "დინამოს" ერთ-ერთი ტანმაღალი (2 მ.) მოთამაშე იყო, რესპუბლიკათა შორის შეჯიბრში თბილისის ახალგაზრდულ "დინამოს" მოუპოვებია პირველი ადგილი და ჯილდო. "დინამოს" ხელმძღვანელობას მოუწყვია ღონისძიება, რომ სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დროს, გამარჯვებულთათვის საზეიმოდ გადაეცათ მოპოვებული ჯილდოები. ცხადია, ჩვეულებრივად, თანმიმდევრულად ცხადდება გუნდის წევრების გვარები და სახელები. პირველ დასახელებულს მიესალმნენ სტადიონზე დამსწრენი და როდესაც გამოაცხადეს პეტრე გელბახიანი, მაშინ მისალმება უფრო ხანგრძლივი და მრავალრიცხოვანი იყო. თურმე ფეხბურთის ამ მატჩს ესწრებოდა ე.შევარდნაძე და გვერდით მჯდომისათვის უკითხავს. ვინ არის ეს ახალგაზრდაო? უპასუხეს: ეს პეტრე გელბახიანის შვილიშვილიაო. კარგი შვილიშვილი ჰყოლიაო, აღუნიშნავს მას.

შევარდნაძის ეს "კეთილი" შეფასება საწინდარი გახდა იმისა, რომ მეორე დღესვე პეტრე (უმცროს) გელბახიანს

ბურთი არ მისცეს და გუნდიდან დაითხოვეს. როდესაც პეტრემ მამას უთხრა, გამრიცხესო, ჩემი ვაჟიშვილის გედევანი, მეორე დღესვე წასვლა გუნდის ხელმძღვანელობასთან და უკითხავს მიზეზი, პასუხი ასეთი მიუღია:

- რა ვქნათ, ბატონო, ჩვენც ცოლ-შვილი გვყავს. ოჯახი გვყავს და მას რჩენა უნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემთან სანახავად მოვიდა ჩემი შვილიშვილი, ჩემი მოსახელე პეტრე და მომიყვა გულმოკლულმა, რომ აღარ აძლევდნენ კალათბურთის განდში თამაშის უფლებას.

მე, რასაკვირველია, აღნიშნულის შესახებ უკვე ვიცოდი, მაგრამ როცა შვილიშვილი მელაპარაკა, ძალზედ განვიცადე და დავამშვიდე:

- შეიძლება, ჯობს კიდეც! იქ დახარჯულ დროს მეცადინეობას მოახმარ, საშუალო სკოლას ფრიადზე დაამთავრებ და ინსტიტუტშიც გაგვიადვილდება გამოცდების ჩაბარება.

პ.გელბახიანი რუსთავის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდის პერიოდში ოჯახთან პაემანის დროს. 1978 წელი.

ერთი წლის შემდეგ ჩემმა შვილიშვილმა პეტრემ დაამთავრა საშუალო სკოლა და მამასთან და ბებიასთან ერთად კვლავ მოვიდნენ ჩემს სანახავად. პეტრეს "ლაგერში" მივულოცე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრება და ვკითხე:

- სად გინდა სწავლის გაგრძელება?

- ბაბუები ორივე მხრიდან მედიკოსები მყავს, ბიძა და ბიცოლაც მედიკოსები. ერთი სიტყვით, ჩემს ირგვლივ უფროსობა ყველა მედიკოსია და მე რომ სხვა სპეციალობა ავირჩიო, ოჯახში ძალიან გამიძნელდება ურთიერთობა. გადავწყვიტე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება.

ჩემმა მეუღლემ და შვილმა ამასთან დაკავშირებთი მითხრეს:

- ჩვენი აქ მოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ დაგეკითხოთ, როგორ მოვიქცეთ, სად შევიტანოთ განცხადება. თბილისში ჩვენს ირგვლივ ისეთი ორომტრიალია. ერთი მხრივ, ასეთ პირობებში ღირს სამედიცინო ინსტიტუტში განცხადების შეტანა? მეორეს მხრივ კი 14 წელიწადი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო რექტორი იყავი, ინსტიტუტის დამთავრების დღიდან ამავე ინსტიტუტში მუშაობდი, სხვა რესპუბლიკის სამედიცინო ინსტიტუტში რომ შევიტანოთ განცხადება, ამას საზოგადოება ხომ უარყოფითად შეხვდება?!

მე ყოველგვარი ფიქრის გარეშე, გადაჭრით ვუთხარი:

- შეიტანოს ჩვენთან, საქართველოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სათანადო საბუთები და გავიდეს გამოცდაზე.

ჩემი აზრი მათ მოიწონეს და ამ თემაზე ამით დამთავრდა ლაპარაკი.

პეტრემ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად შეიტანა საბუთები. ჩემთვის მხოლოდ ეს იყო ცნობილი, სხვა დანარჩენს, ბუნებრივია, თვალყურს ვერ ვადევნებდი, მიუხედავად დიდი ინტერესისა. არ ვიცოდი, რომელ ჯგუფში მოხვდებოდა, რა საგანში როდის დაინიშნებოდა გამოცდა და სხვ.

"ლაგერში" ფიზიკური მუშაობის შემდეგ, დაღლილი საცხოვრებელ ზონაში სხვა პატიმრებთან ერთად ვიმყოფებოდი. დაბინდებული იყო უკვე, როდესაც ჩემთან მოვიდა კაცი და მითხრა; "ლაგერის" უფროსი სასწრაფოდ გეძახის. "ლაგერის" უფროსად მუშაობდა მაიორი ონიანი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ იყო დანიშნული აღნიშნულ თანამდებობაზე, რადგან ის ამ "ლაგერის" უფროსის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. მკაცრი და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა და პატიმრებიც მორიდებით ეპყრობოდნენ. როდესაც მასთან გამოვცხადდი, ის ადმინისტრაციის ეზოში ფეხზე მდგომი მელოდებოდა.

მისვლისთანავე მითხრა:

- არაფერი მკითხოთ, ტელევიზორთან და ტელეფონთან არ მიხვიდეთ, საცხოვრებელი ზონიდან არ გამოხვიდეთ.

ეს მითხრა თუ არა, გამოსულმა ვუთხარი:

- რაშია ბოლოს და ბოლოს საქმე?! გამაგზავნეთ რუსეთის რომელიმე კოლონიაში, ასეთი ფიზიკური შრომით იქ უფრო მეტი დაფასება მექნება. აქ როგორ გამიჭირვეთ საქმე! როგორც უნდა დავიძინო ამაღამ?!

მან არაფერი მიპასუხა, ასე დავშორდით ერთმანეთს. ათასი ფიქრი ამედევნა, რა არ ვიფიქრე და მკითხველმა წარმოიდგინოს, როგორი ძილი მექნებოდა იმ ღამეს.

ასე თუ ისე გათენდა. წესისამებრ, დილის სახელობით შემოწმების გავლის შემდეგ, გავედი სამუშაოდ. საცხოვრებელ ზონაში დაბრუნებულს ბარაკში ჩემს საწოლზე ჩამძინებოდა. ამ დროს ჩემთან შემოსულა ორი პატიმარი და როდესც უნახავთ, მეძინა, გაბრუნებულან და ბარაკის გასასვლელში მელოდნენ. როდესაც წამოვდექი და ბარაკიდან გავედი, გასასვლელში დამხვდა "ლაგერში" გაცნობილი პიროვნება - ასლან არაბიძე, ცნობილი მეღვინე იყო. მან გამაცნო მასთან ერთად მდგომი ადამიანი და მითხრა:

- ბატონო პეტრე, თქვენ ამ ამხანაგს არ იცობთ. ჩვენს "ლაგერში" არც ისე დიდი ხანია მოიყვანეს. იგი სპეციალობით ინჟინერია და საერთოდ, კარგი ოჯახის პატრონია. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთან ამოვედით, გეძინათ და აღარ გაგაღვიძეთ. ახლა კი, რაც სათქმელია, თვითონ იტყვის.

- დღეს დილით ჩემთან მოვიდა მეუღლე - გააგრძელა თხრობა ინჟინერმა.

სანამ მეტყოდნენ რაში იყო საქმე, ძალზე ავღელდი. გამახსენდა გასულ ღამეს "ლაგერის" უფროსის გაფრთხილება და ახლაც, თითქოს, რაღაც უნდა ეთქვათ, დაძაბული მოვემზადე მოსასმენად.

- მეუღლემ შემდეგი მიამბო: გუშინ დაღამებისას ერთ-ერთ ჩემს მეზობელს, რომლის შვილიც სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა გამოცდებს, მთხოვა, მარტო ვერ წავალ ჩემი შვილის ნიშნის გამოცხადებაზე და წამყევიო. გავყევი მას და ინსტიტუტში მისვლისას, რა ნახა ჩემმა თვალებმა. უთვალავი ხალხი ესწრებოდა ნიშნების გამოცხადებას. გვიან საღამოს დაიწყეს გამოცხადება. ჩემი მეზობლის შვილიც იმ ჯგუფში ყოფილა, სადაც პეტრე გელბახიანის შვილიშვილი იყო. როდესაც მისი ნიშანი გამოაცხადეს - პეტრე გედევანის ძე გელბახიანი - "ფრიადი", იქუხა ტაშმა და დამსწრე საზოგადოებამ შესძახა: "გაუმარჯოს მომავალ რექტორს!", "გვითხარით, რატომ არის დაპატიმრებული ინსტიტუტის ყოფილი რექტორი!", "ჩვენ მის მოქმედებას ხშირად დავსწრებივართ და მისგან მაღალი სიტყვა არ გვსმენია" და სხვ. ამ ოვაციებმა რამდენიმე წუთს გასტანა ნიშნების გამოცხადება შეჩერდა და საზოგადოების დაწყნარების შემდეგ, ისევ განახლდა.

ამ ამბის თხრობის შემდეგ ჩემთვის უკვე ნათელი გახდა "ლაგერის" უფროსის მიერ გაფრთხილება, რომელიც პირდაპირ ემთხვეოდა ნიშნების გამოცხადების დროს. სუკ-მა იმ წუთში აცნობა აღნიშნული "ლაგერის" უფროსს. რაც, ალბათ, ითვალისწინებდა, რომ "ლაგერშიც" ჩემს მიმართ პატიმრების მხრიდან რაიმე მსგავსს არ ჰქონოდა ადგილი.

სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში მეორე დღესვე მისულა ცკ-ის განყოფილების გამგე ე.სეხნიაშვილი და განუცხადებია:

- ის, რაც გუშინ მოხდა აქ, რომ პატიმრის შვილიშვილმა ფრიადი მიიღო და გამოცხადებისას ოვაციები გამართა, დამსწრე საზოგადოებამ, ათას შეძახილს ჰქონდა ადგილი, ეს პირდაპირ ლაფის გადასხმაა ცკ-ზე. ამიტომ, გაფრთხილდით! რაშია საქმე?! რატომ ღებულობს გელბახიანის შვილიშვილი ფრიადებს?!

მიუხედავად მზაკვრული გაფრთხილებისა, პეტრემ შესანიშნავად ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. აქვე მინდა აღვნიშნო ნიშნების დაწერის დროს ზოგიერთი გამომცდელის პრინციპულობა.

ჩემი პატიმრობის და დაკითხვების დაწყებისთანავე საზოგადოებაში და ჩემი ოჯახის ირგვლივ მომხდარი ამბების შესახებ ამ გადახვევის შემდეგ ისევ ვუბრუნდები გამოძიების დასაწყის ეტაპს.

გამომიძახეს დაკითხვაზე. ოთახში დამხვდა გამომძიებელი ოლეგ თორთლაძე.

- იოსებ შატბერაშვილმა და მისმა მეუღლემ მოგიტანათ თუ არა თქვენ საჩუქარი - ყავის სერვიზი?

- შატბერაშვილს და მის მეუღლეს ჩემთვის საჩუქარი არ მოუტანიათ არასდროს, კერძოდ, არც ყავის სერვიზი. ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, ეს შატბერაშვილი და მისი მეუღლე სუკ-ის შტატიანი თანამშრომლები ხომ არ არიან?! რატომ მამცირებთ და მეკითხებით ასეთ რამეს?! რატომ ან რისთვის უნდა მოეტანათ შატბერაშვილებს ჩემთვის საჩუქარი?!

- ისინი ამას ამტკიცებენ და შემიძლია პირზეც დაგაყენოთ.

- მე ისეთ დაწესებულებაში ვიმყოფები ამჟამად, რომ აქ ყველანაირი სიგლახის გაკეთებაა შესაძლებელი.

- მოგიტანეს თუ არა შატბერაშვილებმა საჩუქრად ქალის ოქროს სამაჯური?

- თქვენი კითხვა მაოცებს, მამაკაცს, რატომ მომიტანდნენ საჩუქრად ქალის სამაჯურს?! კატეგორიულად ვაცხადებ, ჩემთვის ასეთი საჩუქარი არავის და არც შატბერაშვილებს არ მოუტანიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკითხვა ამით დამთავრდა და კვლავ საკანში დამაბრუნეს.

მორიგ დაკითხვაზე ოთახში ისევ გამომძიებელი თორთლაძე დამხვდა:

- იცნობთ თუ არა სერგო მეტრეველს და თუ იცნობთ, როგორ?

- სერგო მეტრეველი რამდენიმეჯერ იყო საგამოცდო კომისიაში და ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი საგნის კარგი ცოდნით. იგი სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელია.

- გახსოვთ თუ არა აბიტურიენტი მერი ღვალაძე, ან იცნობთ თუ არა ღვალაძის მშობლებს?

- როდესაც მიმღები კომისია საბოლოოდ შეიკრიბა, დააჯამეს მისაღები გამოცდების შედეგები და ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია შედგა, მახსოვს ღვალაძის გვარი, სახელი არ მახსოვს, რაც შეეხება ღვალაძის მშობლებს, არ ვიცნობ.

- სერგო მეტრეველმა გთხოვათ თუ არა ღვალაძის ნამუშევრის შიფრი და მიეცით თუ არა?

- არავითარი შიფრი მეტრეველს ჩემთვის არ უთხოვია და ცხადია, არც მიმიცია და საერთოდ, შიფრის გაცემაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, არა მარტო პირადად ჩემგან, არამედ მიმღები კომისიისაგანაც. საგამოცდო კომისიის წევრები ასწორებდნენ ნამუშევრებს და აძლევდნენ შეფასებას ისე, რომ არც იცოდნენ, ვის ეკუთვნოდა ნამუშევარი.

- სერგო მეტრეველი ამტკიცებს, რომ რექტორს ვთხოვე შიფრი და მან დააკმაყოფილა ჩემი თხოვნაო.

- მე განმეორებით კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა, ყოფილიყო.

- იცით თუ არა, რომ სერგო მეტრეველმა ღვალაძის მშობლებისაგან აიღო 10000 მანეთი წიგნაკით წარმომდგენის ანგარიშზე?

- ისეთ რამეს მეკითხებით, რასაკვირველია, მე ეს არ ვიცი.

- დიახ, მე გეუბნებით, რომ მეტრეველმა ღვალაძის მშობლებისაგან აიღო 10000 მანეთი.

- თქვენ სუკ-ში ზიხართ და მოწოდებული ხართ იმისათვის, რომ ასეთი საქმეები გაარკვიოთ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ მე არაფერი ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე?! თუ ეს ფაქტი მოხდა, მეტად სამწუხაროა.

- თქვენ პირადად გადმოგცათ თუ არა რექტორატში შიფრის მიცემისათვის პატივისცემის ნიშნად ს.მეტრეველმა 5000 მანეთი?

- ასეთ პროვოკაციაზე მე არც არასოდეს წავსულვარ და არც წავალ.

- მეტრეველი ამბობს, რომ თქვენ ნამდვილად გადმოგცათ 5000 მანეთი.

- ეს ყველაფერი იაფფასიან გათამაშებას ჰგავს, ინსტიტუტის ყოფილ რექტორთან ასეთი კითხვები არც უნდა დასვათ, მე ჩემს თანამდებობას ვაფასებდი და ვაფასებ დღესაც, მე ჩემს თავს ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ. მსგავს ცთუნებაზე არსად და არასოდეს წავსულვარ. რექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდნენ, ამას ყოველთვის ვაფასებდი, ჩემს ღირსებას მაღლა ვაყენებდი და არასოდეს დავსულვარ ფულით ვაჭრობის დონემდე, ასეთ ბინძურ საქმეს ვინც კადრულობს, ის შუამავლად მასწავლებელს აქ ალბათ არ დააყენებს.

ასე დამთავრდა იმ დღის დაკითხვა.

მორიგ დაკითხვაზე ოთახში გამოძიების ჯგუფის უფროსი დამხვდა.

- თქვენ წარმოშობით საიდან ხართ?

- დავიბადე ჭიათურის რაიონის სოფ. ბუნიკაურში. 1932 წლამდე ვმუშაობდი და ვმსახურობდი აღნიშნული რაიონის სხვადასხვა სოფლებსა და წარმოებებში. 1932 წლიდან ვიმყოფები თბილისში.

- ახალგაზრდობაში მოგიხდათ თუ არა ჩხუბი ჭიათურის რაიონში ვინმე ბიქტორ სამყურაშვილთან? თქვენ და კალისტრატე სამყურაშვილმა ისე გალახეთ იგი, გამშველებელი რომ არ მიშველებოდა, შეიძლება მომკვდარიყო-კიდეც.

- ჩემთვის გაუგებარია თქვენი შეკითხვა. მე როგორც გიპასუხეთ, 1932 წლიდან თბილისში ვიმყოფები. ეროვნული ბიბლიოთეკა ასაკით 61 წლისა ვარ. ხომ არ გეშლებათ რამე?! ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამე არ მომხდარა.

- არა, ნამდვილად ჰქონდა ადგილი. თქვენ სცემეთ ბიქტორ სამყურაშვილი ამხანაგთან ერთად.

- გპასუხობთ, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

- პიოტრ გედევანოვიჩ, რატომ ჯავრობთ? მე რომ მიჯავრდებით, ამით რა?! მე ისიც მყოფნის, რომ თქვენთან დავამთავრებ თუ არა დაკითხვას, ინაური მეუბნება – დაკითხვის შედეგები პირველად მე მომახსენეო, შევარდნაძე - როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი - პირველად მე მომახსენეო. შემოსულია ოფიციალური მასალა და ამის მიხედვით გეკითხებით.

- რა ოფიციალური მასალა უნდა იყოს ამ საკითხზე შემოსული?!

ყიფიანი კითხულობს ქ.ჭიათურის სუკ-ის ხელმძღვანელის ხვედელიძის მიერ რესპუბლიკის სუკ-ის თავმჯდომარის ა.ინაურის სახელზე გამოგზავნილ შემდეგ მომართვას:

გიგზავნით ჭიათურის რაიონული გაზეთიდან ამონაჭერს, რომელიც შეიძლება გამოგადგეთ პეტრე გელბახიანის პიროვნების დახასიათებაშიო.

ამ მიმართვის წაკითხვამ ჩემში ღიმილი გამოიწვია და ვუთხარი ყიფიანს:

- ერთი მაჩვენეთ, რა ამონაჭერზეა ლაპარაკი.

რ.ყიფიანი კითხულობს გაზეთ "ჭიათურის მაღაროელიდან" ტექსტს:

"სოფელ სარქველეთუბანში მუშკორი ბიქტორ სამყურაშვილი სასიკვდილოდ სცემეს სევარა სამყურაშვილმა და ალიოშა ქველაძემ. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პეტრე გელბახიანი და კალისტრატე სამყურაშვილი (მათზე იხილეთ გაზეთ "ჭიათურის მაღაროელის" მომდევნო ნომერში). მილიციელი რომ არ გამოჩენილიყო, მუშკორი სიკვდილის პირზე იყო მისული".

- თქვენს მიერ წაკითხული ტექსტიდან ჩანს, მუშკორი უცემიათ სევარა სამყურაშვილს და ალიოშა ქველაძეს, მაგრამ კალისტრატე სამყურაშვილს რა მონაწილეობა მიგვიღია, არ ჩანს. მომდევნო ნომერზეა მითითებული ჩვენი ამ საქმეში მონაწილეობის შესახებ. სანამ არ მოიტანთ იმ ნომერს, სადაც პირადად ჩემზეა ლაპარაკი, ამ საქმის შესახებ კითხვებზე არ გიპასუხებთ.

შემდეგ დამატებით ვკითხე ყიფიანს: - რატომ არ მეუბნებით, ვინ მიწყობდა პროვოკაციას, როდესაც ჩემს სამსახურში კაცი მომიგზავნეს?

- თქვენ მართალი კაცი ყოფილხართ. თქვენმა დისშვილმა თქვენი ჩვენება დაადასტურა.

- ეს ჩემთვის საინტერესო არ არის.

ამით დასრულდა იმდღევანდელი დაკითხვა. დამაბრუნეს საკანში.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ გრძელდება რ.ყიფიანთან ჩემი დაკითხვა.

- "ჭიათურის მაღაროელის" მომდევნო ნომერში თქვენზე დაწერილი არაფერი აღმოჩნდა, ამიტომ გაზეთი აღარ გამოუგზავნიათ. ეს რაც გამოგზავნილია, დოკუმენტია. სუკ-ის ორგანომ გამოგზავნა, უსახელოდ შემოსული მასალა კი არის.

- უკვე გიპასუხეთ და კვლავ გიმეორებთ, არაფერი საქმე მე მუშკორ ბიქტორ სამყურაშვილთან არ მქონია და მის ცემაში არავითარი მონაწილეობა არასდროს მიმიღია. ამის შემდეგ მინდა მოგახსენოთ ჩემი პირადი შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც მასალიდან ჩანს, ეს პერიოდი ემთხვევა ჩემს ბავშვობას, როცა 12-13 წლის ვიყავი. ჭიათურის სუკ-ის ხელმძღვანელი სერიოზული კაცი რომ ყოფილიყო, 12-13 წლის ბავშვს მართლაც რომ ეჩხუბა თავის ტოლთან, მართლაც რომ ეცემა, 61 წლის კაცს, ეს კითხვა ან ბრალდება შეიძლება წაუყენო? მაგრამ მაინც გპასუხობთ, იმიტომ რომ ვიცი როგორ გულმოდგინედ მიმდინაროებს მუშაობა, შეთხზათ ჩემს ირგვლივ ბრალდებები. მიუხედვად იმისა, რომ თქვენ ვერ მაჩვენეთ ის

გაზეთი, რომელშიც ჩემზე უნდა ყოფილიყო დაწერილი, მაინც გპასუხობთ, ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ეს სიცრუეა.

აქვე მკითხველს მინდა ვუამბო, ამ საკითხთან დაკავშირებით გამომძიებელმა რა მუშაობა ჩაატარა ქ.ჭიათურის რაიონის სოფ. სარქველეთუბანში. საქმის გასარკვევად, მუშკორ ბიქტორ სამყურაშვილს სცემა თუ არა სევარა სამყურაშვილმა და ალიოშა ქველაძემ და ამ საქმეში რა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ პეტრე გელბახიანი და კალისტრატე სამყურაშვილი, - მოუძიებიათ ალიოშა ქველაძე. აღმოჩნდა, რომ იგი უკვე გარდაცვლილიყო. ეს მე პირადად წავიკითხე ჩემს საქმეში, გამოძიების დამთავრების შემდეგ. უნახავთ სევარა სამყურაშვილი და უკითხავთ, თქვენ და ალიოშა ქველაძემ სცემეთ თუ არა მუშკორი ბიქტორ სამყურაშვილიო.

სევარა სამყურაშვილი პასუხობს:

- ბიქტორ სამყურაშვილი მუშკორი იყო თუ არა, არ ვიცი. ჩემი ტოლი ბავშვი იყო და ჩვენს სოფელში ცხოვრობდა. მე "სოფლის ქურდს" მეძახდნენ. ერთ მშვენიერ დღეს იმ ვენახისაკენ გავიარე, რომელიც ბიქტორა სამყურაშვილს ეკუთვნოდა. დავინახე, რომ "ფრანგულა" მწიფე იყო. დავუძახე ბიქტორს და ვთხოვე, შენს ვენახში, ბიჭო, ყურძენი დამწიფებულა და მაჭამე-თქო. მან უარი მითხრა, ზურგი შემაქცია და წავიდა. სამაგიეროდ, იმავე საღამოს გადავედი მის ვენახში, ყურძნით კარგად გამოვძეხი. როდესაც ნახა, ბიქტორამ ვენახი, მამამისს უთხრა. სოფლის შარაგზაზე ბიქტორას მამა ჯოხითა და ქვების სროლით გამომიდგა, მაგრამ რას დამაკლებდა. ამის შემდეგ, როცა ბიქტორა შეგვხვდა, ალიოშა ქველაძემ და მე მაგრად ვცემეთ. რომ მეკითხებით პეტრე გელბახიანსა და კალისტრატე სამყურაშვილს რა მონაწილეობა მიუძღვით ამ საქმეშიო, ეს სისულელეა. ისინი იქ არ იყვნენ საერთოდ. კალისტრატე სამყურაშვილი ჩემი მეზობელია, პეტრე გელბახიანი კი მეზობელი სოფლიდანაა. პეტრე გელბახიანს ჩემთან არასოდეს არავითარი საქმე არ ჰქონია. ჩვენ ისე ვიცნობდით

ერთმანეთს, მაგრამ დაახლოებულნი არ ვყოფილვართ. ახალგაზრდობაში პეტრე გელბახიანი წიგნებით ხელში აივლიდა და ჩაივლიდა ხოლმე სოფელში. მის შესახებ არასდროს მსგავსი რამ არ გამიგია.

ასეთი შედეგები მიიღეს სარქველეთუბანში გაწეული "მუშაობის შედეგად" და მიუხედავად ამისა, ეს სიცრუე ჩემს მიმართ, რადგან სუკ-ის მიერ იყო გამოგზავნილი, არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინათ! საბრალდებო დასკვნაში, როგორც ჩემი პიროვნების დამამცირებელი და გამაწბილებელი ფაქტი, მაინც შეიტანეს.

კვლავ გამომიძახეს დაკითხვაზე. ოთახში ყიფიანი და ხაზალია დამხვდნენ.

- პიოტრ გედევანოვიჩ, რომელ წელში ხართ დაბადებული? - მკითხა ყიფიანმა.

- დაბადებული ვარ 1913 წლის 11 თებერვალს, მაგრამ ახალგაზრდობაში, როგორც ყველას სურს, იყოს დიდი, სოფლის ახალგაზრდების ერთ-ერთ შეკრებაზე, ჩემზე უფროსმა მეგობრებმა რომ მკითხეს, რომელ წელში ხარ დაბადებულიო, ორი წელი მოვიმატე და ვთქვი, 1911 წელს-თქო. შემდეგ მეუხერხულებოდა ხოლმე სიტყვის გატეხვა და იქ, სადაც დაბადების მოწმობა არ იყო საჭირო, ყოველთვის ვამბობდი, 1911 წელს ვარ დაბადებული-თქო.

რ.ყიფიანმა ცენტრალური არქივიდან ამოღებული სამღვდელოების ის წიგნი წარმომიდგინა, სადაც ჩვეულებრივად ახალდაბადებულის თარიღს, წელსა და თვეს წერდნენ. მე მინახავს სოფელ სარქველეთუბანში, რომელიც ჩვენი სოფლიდან 2 კილომეტრითაა დაშორებული, სოფლის საბჭოს შექმნის შემდეგ, მათ ჰქონდათ მსგავსი წიგნი. როდესაც დამჭირვებია დაბადების მოწმობა, ამ წიგნის მიხედვით გაუციათ-ხოლმე იგი. ყიფიანი მეუბნება:

- აი, თქვენ დაბადებული ხართ 1913 წლის 11 თებერვალს სოფ. ბუნიკაურში და თქვენი ნათლიები არიან სევასტი მეცხოვრიშვილი და ბიქტორ ბარათაშვილი.

- ახალ ამბავს არ მეუბნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნულისა, რ.ყიფიანი მიმტკიცებდა, რომ მე რაღაცაში გამოვიყენე ორი წლის მომატება. განვუცხადე, რომ არაფერში მე ეს არც დამჭირვებია და არც გამომიყენებია. ამით დამთავრდა ჩემი დაკითხვა. საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ ცნობილი გახდა, ჩემს ირგვლივ შეკრებილი საქმეების გაცნობისას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაუკითხავთ სოფ. ბუნიკაურში მცხოვრები გლეხები. ეკითხებოდნენ მათ, რომელ წელშია დაბადებული პეტრე გელბახიანი. პასუხები, რასაკვირველია, სხვადასხვა იყო, ვინაიდან არც ერთს ზუსტად არ ახსოვდა ჩემი დაბადების წელი და თვე. ქ.ჭიათურაში მოუძებნიათ ის პირები, რომლებიც ჩემთან ერთად სწავლობდნენ და ცოცხლები იყვნენ. მათთანაც უწარმოებიათ ასეთივე დაკითხვები. საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ ჭიათურის რაიონში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიების მიერ ჩატარებულ მუშაობას არავითარი ნაყოფი არ მიუცია მათთვის.

საქმეებში აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ გაუგზავნიათ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისათვის წერილი - შეეძლო თუ არა პ.გ. გელბახიანს გამოეყენებინა თვითნებურად მომატებული ორი წელი, როდესაც სამღვდელოების წიგნში ჩაწერილია 1913 წლის 11 თებერვალი. სამხედრო კომისრის საპასუხო წერილში ეწერა, რომ პეტრე გელბახიანის მიერ თვითნებურად მომატებულ ორ წელს სამხედრო საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რადგან, ჩვეულებისამებრ, სამხედრო სამსახურში გაწვევა წარმოებდა იმ ოფიციალური ჩანაწერების მიხედვით, რომელიც ადრე სამღვდელოების მიერ იყო შედგენილი, ამგვარად, გელბახიანს ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი სარგებელი არ შეიძლებოდა ჰქონოდაო.

მიუხედავად ამისა, გამოძიებამ ჩემი გაწბილების თვალსაზრისით, მაინც შეიტანა ზემოთ აღნიშნული საბრალდებო დასკვნაში.

მკითხველი რომ არ გადაიღალოს დაკითხვების ერთგვაროვნებით, რომელიც სუკ-ში გამოძიების მსვლელობის

მთელი სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მინდა აღვნიშნო, ჩემი რექტორობის 14 წლის მანძილზე რამდენიმე ათასი სტუდენტია მიღებული. გამოძიებამ თითქმის ყველა თავისებურად "შეამოწმა". ამისათვის მათ მოჰყავდათ ცალკეული საგნების მასწავლებლები, რომლებიც ჯერ ცკ-ში და შემდეგ სუკ-ში იყვნენ გაფრთხილებულნი, დაწერილი ნიშნები ისე შეამოწმეთ, რომ აღმოაჩინოთ არასწორი ნიშნის დაწერის შემთხვევებიო. მართლაც, მათ რამდენიმე შემთხვევა ნახეს, სადაც 4-იანია დაწერილი და შეიძლებოდა "3" დაწერილიყო, სადაც "3" დაწერილი, იქ პირიქით, "4" შეიძლებოდა დაწერილიყო. 14 წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევა 300-მდე ნახეს. შემდეგ, თითქოსდა არასწორი შეფასების მქონე უკვე სტუდენტებს და მათ მშობლებს ცალ-ცალკე იბარებდნენ ჯერ ცკ-ში, შემდეგ სუკ-ში და მათთან გარკვეულ "მუშაობას" ეწეოდნენ. კითხვებს უსვამდნენ ისე, რომ მიეღოთ რექტორის საწინააღმდეგო ჩვენებები, მაგრამ პასუხი ვერც ერთ შემთხვევაში ერ მიიღეს. შემდეგ სტუდენტებს ეკითხებოდნენ, იცნობდნენ თუ არა თქვენი მშობლები რექტორს, ხოლო მშობლებს კი ცალკე ეკითხებოდნენ, იცნობდნენ თუ არა სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ რექტორს. ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ მიცნობდა და ეს უკვე გამოძიებისათვის საკმარისი იყო, დაეწერათ იცნობდნენ რა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს, სთხოვეს შვილის ინსტიტუტში მოწყობა და იგი მათ უკანონოდ დაეხმარა. მთელი სამი წლის განმავლობაში, მათ ფაქტიურად ვერ ნახეს უკანონო დახმარების ვერც ერთი შემთხვევა, მაგრამ ყველას გვარები მოხსენებული იყო საბრალდებო დასკვნაში. როდესაც მე ვეკითხებოდი გამოძიების უფროსს რ.ყიფიანს:

- ამ სამასი კაციდან ნახეთ ვინმე, რომ მე ანგარებით მქონდეს გაკეთებული საქმე?

მპასუხობდა:

- ანგარება ვერ ვნახეთ, მაგრამ მომხდარი ფაქტი უკანონოა.

- სადმე წაგიკითხავთ, ან გაგიგონიათ, რომ რექტორი ნიშნებს წერდეს?

- არა, ეს არ გამიგონია, მაგრამ თქვენ ისეთი ავტორიტეტი გქონდათ, როდესაც გამოცდის დროს ჩაივლიდით, ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მასწავლებლებს მაღალი ნიშანი დაეწერათ.

ჩემი მტკიცება იმის შესახებ, რომ ასეთი დასკვნები ალოგიკურია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ვერაფერ შედეგს ვერ აღწევდა.

საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში ნაცნობ-მეგობრების ძალიან ფართო წრე მყავდა. ეს განპირობებული იყო ჩემი მაშინდელი საქმიანობით. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს სესიებზე, ცკ-ის პლენუმებზე, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე და სხვა მთელ რიგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებზე ჩემი უშუალო მონაწილება საფუძველს უყრიდა ადამიანებთან დაახლოებას და საქმიან ურთიერთობებს. განა ეს შეიძლებოდა, მიზეზი გამხდარიყო იმისა, მათ შვილებს არ ჰქონოდათ საშუალება ჩაებარებინათ სამედიცინო ინსტიტუტში. ან შეიძლება დავუშვათ, რომ ჩემი ნაცნობების ამ ფართო წრეს გამოცდებისათვის ისეთი მოუმზადებელი შვილები ჰყოლოდათ, აუცილებლად დავხმარებოდი, ან ისინი უკანონოდ ჩამერიცხა ინსტიტუტში. უსაფუძვლო მონაცემებზე დამყარებული შეხედულებების მიხედვით ადგენდნენ ამ საკითხშიც ჩემდამი ბრალდებებს.

აღვნიშნავ იმასაც, ჩემს საქმესთან დაკავშირებით რომ შეექმნათ აჟიოტაჟი და შთაბეჭდილება, თითქოს ძალიან დიდი საქმე იყო გამოსაკვლევი, მობილიზაცია გაუკეთეს გამომძიებლებს მთელი რიგი რაიონებიდან. დაკითხვებზე ვხვდებოდი გამომძიებლებს ხან დუშეთიდან, ხან ზუგდიდიდან, ხან ქუთაისიდან და სხვ. იყო შემთხვევა, როდესაც დაკითხვაზე დამიძახეს და ოთახში დამხვდა საშუალო ასაკს გადაცილებული კაცი, დიდი ულვაშებით, როცა ვკითხე, ვისთან მაქვს საქმე-თქო, მიპასუხა:

- დუშეთიდან ჩამომიყვანეს.

- რატომ შეგაწუხეს, დუშეთიდან რატომ ჩამოგიყვანეს?
- ასე თქვეს, ძალიან დიდი საქმეა და ვერ აუდივარო.

სინამდვილეში კი ამ გამომძიებელმა ისეთი უსაფუძვლო, ჩემს საქმესთან არავითარი კავშირის მქონე საკითხებზე დამიწყო ლაპარაკი, რომ არც ჩემს თავს და არც მკითხველს ვაკადრებ, მასზე გავაგრძელო საუბარი.

თითოეული გამომძიებელი სუკ-ის ოპერატიული სამსახურის მიერ წინასწარ დაწერილ თაბახს უჯრიდან ამოიღებდა. დახედავდა და ისევ შეინახავდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ გამოძახებული გამომძიებელი არც კი იყო გათვითცნობიერებული, რას მეკითხებოდა.

- რასაც მეკითხებით, ამისთვის ჩამოგიყვანეს დუშეთიდან? - ვკითხე ზემოხსენებულ გამომძიებელს, მან მხრები აიჩეჩა. ამ დროს შემოვიდა რ.ყიფიანი და ახლა მას მივმართე:

- რაშია საქმე, რატომ აწვალებთ ამ კაცს?! რატომ ჩამოიყვანეთ დუშეთიდან ასეთი არაფრისმთქმელი კითხვების გამო?!

- რატომ ჯავრობთ, სიგნალებია შემოსული და ჩვენ ვალდებული ვართ შევამოწმოთ.

მესამე დღეს ზუგდიდიდან გამოძახებული გამომიებელი დამხვდა ოთახში, მან მე მიცნო და მითხრა:

- თქვენ ჩვენი დეპუტატი იყავით.
- რატომ შეგაწუხეს, რატომ ჩამოგიყვანეს ზუგდიდიდან?
- დიდი საქმე არისო და დასახმარებლად ჩამოგვიყვანეს.

ზუგდიდელმა გამომძიებელმაც, დუშეთის გამომძიებლის მსგავსად, ვერაფერი გამაგებინა, რა აინტერესებდა და ისევე უშედეგოდ დამთავრდა ჩვენი შეხვედრა.

ერთ დღეს დაკითხვაზე მეძახის რ.ყიფიანი და მაძლევს ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიას. მეუბნება:

- გთხოვთ, თქვენ თვითონ დაწეროთ, ამ ჩარიცხულთა სიიდან იცნობთ თუ არა რომელიმეს მშობლებს და გთხოვეს თუ არა თავიანთი შვილის ინსტიტუტში მიღება.

აღნიშნული სიიდან ზოგიერთის მშობლებს ვიცნობდი და აქ დასამალი რა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება, მთხოვეს

თუ არა დახმარება მათი შვილის ინსტიტუტში მიღებაზე, ცალკეულ შემთხვევებში არ მახსოვდა, მაგრამ ხდებოდა, როდესაც ჩემთან, როგორც ინსტიტუტის რექტორთან მიღებაზე მოდიოდნენ ნაცნობებიც, უცნობებიც და თავიანთ შვილებს მიხასიათებდნენ, როგორც ძალიან კარგად მომზადებულებს. მე ვეუბნებოდი მათ, თუ კარგად მომზადებულია, მაშინ თქვენი მოსვლა რა საჭიროა, თქვენი შვილი ჩააბარებს გამოცდებს-თქო. თუ საუბრისათვის დრო მქონდა, ვეუბნებოდი, ყველა მშობელი თავის შვილს აქებს, ამას გამოცდები გამოაჩენს-თქო.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ მანამდე არ მსმენია, პატიმარი სამი წელი თუ შეიძლებოდა გამოძიებაში ყოფილიყო. როდესაც რესპუბლიკამ ამოწურა თავის უფლება გამოძიებაში ჩემი ყოფნის შესახებ, შემდეგ მოსკოვში, გენერალურ პროკურორს თხოვეს ნებართვა – გაეგრძელებინათ გამოძიების ვადა. გენერალურმა პროკურორმაც ამოწურა თავისი უფლება. შემდეგ წელიწადნახევარი, თუ მეტი არა, გააღებდნენ "კარმუშკას", მაჩვენებდნენ დეპეშას - "თქვენი გამოძიების ვადა გაგრძელებულია. ლ.ბრეჟნევი". ამ ხნის განმავლობაში ვღებულობდი გამოძიების ვადის გაგრძელებაზე ბრეჟნევის მიერ ხელმოწერილ დეპეშებს.

რომ ვაკვირდებოდი ჩემს საქმეს, მე სუკ-ში გამოსაძიებელი საერთოდ არაფერი მქონდა. ეს ყველაფერი მიმართული იყო იმისათის, რომ გაეტეხათ ჩემი პიროვნება, ცოცხალი გავძლებდი თუ არა სამი წლის განმავლობაში.

იყო ისეთი პერიოდები, რომ თითქმის 6 თვე ისე ვიმყოფებოდი საკანში, დაკითხვეზედაც არ მეძახდნენ, ხოლო როცა კი დამიძახებდნენ, უდიერად არ მეპყრობოდნენ, არც ფიზიკური ხელყოფის შემთხვევას ჰქონია ადგილი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დაპატიმრების დროს შემიყვანეს სუკ-ის ციხის №18 საკანში და სამი წლის შემდეგ იმავე საკნიდან გამოვედი. განა შეიძლება, პატიმარი სამი წლის განმავლობაში ერთი და იგივე საკანში იყოს? ამასაც რომ დიდი მნიშვნელობა არ მივცეთ, ყოველთვის ახალ-ახალ "ნასედკებს" მიგზავნიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ყველას არ შევეხები, მაგრამ ორ შემთხვევას გავიხსენებ.

ერთ დღეს საკანში შემოიყვანეს ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 30 წლამდე და ისეთ საკითხებზე დამიწყო საუბარი, რომლის შესახებ მეორე დღეს გამომძიებელმა მკითხა. ახალგაზრდა კაცი საკანში ძალიან უხეშად იქცეოდა.

- ეგ თქვენი ფეხსაცმელი მე მაჩუქეთ!

- ეს ფეხსაცმელი ერთია და თქვენ რომ გაჩუქოთ, დაკითხვაზე ფეხსაცმლის გარეშე ვიარო?!

მან ფეხსაცმელს ხელი მოკიდა, გადაგრიხა და კუთხეში მიაგდო. რეაქცია არ მივეცი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი პიჯაკი ჩამოიღო.

- ეს მე კარგად მექნება, მომეცი!

არაფერი ვუპასუხე და ისიც უადგილო ადგილზე გადააგდო.

განმარტების გარეშეც მკითხველი თვითონ მიხვდება, რას ნიშნავდა მისი ასეთი მოქმედება. მაინც ვიტყვი, მის საქციელზე რეაქცია რომ მიმეცა, ფიზიკურად ძლიერი იყო და ჩვენს შორის უნდა მომხდარიყო შეხლა-შემოხლა. ეს კი მას, როგორც წინასწარ დაარიგეს, ხელს აძლევდა. მე მოთმენა ვამჯობინე, მხოლოდ მივიღე გადაწყვეტილება, პროტესტი გამომეთქვა, რისთვისაც მეთვალყურეს ვუთხარი დაუყოვნებლივ მოსულიყო ციხის უფროსი. ციხის უფროსი სანამ მოვიდა, საკანში მყოფი მიხვდა, რასაც ვაპირებდი და მთხოვა:

- ციხის უფროსთან ნუ გამლანძღავ, ისე მოითხოვე ჩემი აქედან გადაყვანა.

მოვიდა ციხის უფროსი. მე მას ვთხოვე, საკნიდან გავეყვანე, რადგან მასთან პირდაპირ მსურდა დალაპარაკება. მან ეს შემისრულა და მკითხა:

- რაშია საქმე?

მე მას ვუთხარი:

- თქვენ პირადად კარგად იცით, მე ვინ ვარ. ასეთი მდაბიო ხერხი, ჩემს წინააღმდეგ, შედეგს არ მოგცემთ და

ამიტომ არ უნდა გამოიყენოთ. რასაც გუშინწინ საკანში მყოფი მელაპარაკა, იგივე მკითხეს დაკითხვაზე. მე არ ვარ ისეთი კატეგორიის კაცი, რომ ჩემზე ასეთმა იაფფასიანმა ზემოქმედებამ რაიმე გავლენა მოახდინოს. ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვ, ეს გარეწარი გაყვანილ იქნას საკნიდან.

- თქვენ ხომ კარგად იცით, მისი გადაყვანა ჩემს უფლებებში არ შედის, მაგრამ გპირდებით, ამ საკითხს დავაყენებ.

დამაბრუნეს საკანში, იქ მყოფი არც თვითონ დამლაპარაკებია და არც მე მიცდია მასთან საუბარი. როდესაც საკანში ჩემთან მყოფის აგენტობას ფარდა აეხადა, მის დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და იმავე საღამოს გაიყვანეს.

მეორე, უფრო რთული და მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, ხმაურით გააღეს კარი და საშუალო სიმაღლის, ათლეტური აღნაგობის კაცი შემოვიდა. გარეგნულად ეტყობოდა, ქართველი არ უნდა ყოფილიყო. მას გვერდში ედგა სუკ-ის ორი მეთვალყურე, რომლებსაც ხელთ ეჭირათ ბარგი. ჩვეულებრივ ეს ასე არ ხდებოდა, პატიმარს თვითონ მიჰქონდა თავისი კუთვნილი ნივთები. ამან მაფიქრებინა, რომ იგი მნიშვნელოვანი ფიგურა უნდა ყოფილიყო მათთვის.

ნარზე მჯდომმა უნებლიედ რუსულ ენაზე ვკითხე:

- ვისთან მაქვს საქმე?!

მიპასუხა:

- ბანდიტთან.

მეც ვუპასუხე:

- კარგი შეხამებაა, აკადემიკოსი.

რამდენიმე წუთის შემდეგ თავისუფალ რკინის ნარზე მოათავსა თავისი ნივთები და წამოწვა. დღე ისე დაღამდა, რომ ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს. მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, გაგვიყვანეს მოსაწესრიგებელი პროცედურების ჩასატარებლად. მათ ენაზე რომ ვთქვათ, "აპრავკაზე". საკნიდან პატიმრებს რიგ-რიგობით გააქვთ "პარაშა" და ასევე რიგ-რიგობით აწარმოებენ სისუფთავის დაცვისათვის სხვადა-

სხვა ღონისძიებებს. ჩემთან საკანში მყოფმა, რასაკვირველია, ეს პროცედურა არც ერთ დღეს არ შეასრულა. ჩემთვის ეს ერთ-გასაგები იყო, რაშიც იყო საქმე და აღნიშნულზე არც ერთ დღეს რეაქცია არ მიმიცია. მეოთხე დღეს მას "კარმუშკიდან" მიაწოდეს გაზეთი "პრავდა". მე გაზეთს საერთოდ არ ვღებულობდი, მხოლოდ მოჰქონდათ ის გაზეთები, რომლებშიც ჩემს შესახებ უარყოფითი ინფორმაციები იყო დაბეჭდილი. წავიკითხავდი თუ არა, მაშინვე უკან მიჰქონდათ. №18 საკანის "მდგმურს" კი წასაკითხად თითქმის საღამომდე უტოვებდნენ გაზეთს. "პრავდის" წაკითხვის დროს, მეოთხე დღეს, პირველად მკითხა (საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა):

- თქვენ ამერიკის შესახებ იცით რამე?

- ამერიკაში ორჯერ ვიყავი.

გაიკვირვა და მითხრა:

- ხომ არ მიამბობთ რაიმეს?

მე დავეთანხმე და თითქმის სამი დღის განმავლობაში ვესაუბრებოდი ამერიკაში პირველად ჩემს მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ამავე დროს ვიცოდი, საკანში ლაპარაკი, რასაკვირველია, ისმინებოდა. ამერიკის შესახებ საუბრის დამთავრების შემდეგ, შემეკითხა:

- კიდევ რომელ ქვეყანაში ხართ ნამყოფიო.

- დაასახელეთ ქვეყანა და მე გეტყვით, რომელში ვარ ნამყოფი და მოგიყვებით.

დამისახელა ინგლისი და ინგლისის შესახებაც ორ დღეს გასტანა საუბარმა. შემდეგ დაასახელა საფრანგეთი; რასაკვირველია, ამ ქვეყნის შესახებაც ვილაპარაკეთ. ამ საუბრების დროსაც და შემდეგაც იგი უკვე თავად და პირნათლად ასრულებდა საკნის დასუფთავებისა და დღის მოსაწესრიგებელ პროცედურებს ისე, რომ იმ დღის მერე აღარც კი გამაკარა აღნიშნულს.

ერთ დღეს მაჩვენა თავის საბრალდებო დასკვნა და განაჩენი, საიდანაც ჩანდა, რომ იგი ბანდიტიზმის მუხლით იყო გასამართლებული, მისჯილი ჰქონდა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. რასაკვირველია, მე მის ნათქვამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დავუჯერებდი, რადგან "ნასედკები", ჩვეულებისამებრ, თავის სახელსა და გვარს არ ასახელებენ, ჩემი თვალით რომ არ წამეკითხა მისი გვარი ხსენებულ საქმეში. აღნიშნული პიროვნება იყო რაზმიკ კალაშიანი. შემდგომში მან თავისი თავგადასავალი მიამბო და მითხრა, ერევნიდან ვარო, ცოლს გაცილებული და დაპატიმრებამდე ქ.როსტოვში ვცხოვრობდი. პატიმრობას როდესაც დავამთავრებ, ისევ როსტოვში დავბრუნდებიო.

ერთ დღეს ერევნიდან მის სანახავად მოვიდნენ მშობლები. პაემანის დამთავრების შემდეგ, როგორც საკანში დაბრუნდა, ჯიბიდან ამოიღო ქაღალდში სუფთად შეხვეული მოხარშული ქათმის საუკეთესო ნაჭერი და მომაწოდა, მეტი შემოტანა ვერ მოვახერხეო.

მე გამოვართვი და მადლობაც ვუთხარი, მაგრამ გულში კი ვფიქროდი, რომ არ შევჭამო, როგორ გამოვა, კაცი შემომცქერის პირისპირ, შევჭამო და ვაი, თუ რაიმე საშიშროება დაემუქროს ჩემს ჯანმრთელობას-თქო.

სხვა გზა არ მქონდა, ორგანოლეპტიკურად თან ვსინჯავდი, თან ვჭამდი.

საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა და დავრწმუნდი, რომ ამ პიროვნებას ჩემთვის ცუდი არ გაუკეთებია. ჩვენი ურთიერთობა სხვადასხვა ამბების თხრობით გაგრძელდა. ერთ დილას, როდესაც "გასეირნებაზე" გაგვიყვანეს და მეთვალყურეები ჩვენს წინ მიდიოდნენ, მაშინ ფრთხილად ყურში მითხრა:

- მე შენთან სპეციალურად ვარ მოგზავნილი, ფიზიკურად რომ გაგანადგურო. მაგრამ მე შენისთანა კაცს სხვაგან სად ვნახავ, აბა შენ იცი, მაგრად იყავი.

ამ პიროვნებამ ჩემთან ერთად დაჰყო 17 თუ 19 დღე. წასვლისას გადამკოცნა და მითხრა:

- ახალი და უხმარი ნივთი არაფერი მაქვს, გარდა ცხვირსახოცის, ჩემს სახსოვრად ამას დაგიტოვებთ და ვეცდები არ დაგივიწყო.

მეც ახალი მაისური ვუსახსოვრე და ასე დავცილდით ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველისათვის რომ თხრობა გასაგები იყოს, აქვე ვიტყვი, როდესაც "ლაგერში" გადამიყვანეს და ჩემთან სანახავად ოჯახის წევრები მოვიდნენ, მეუღლემ მკითხა:

- სუკ-ში შენთან საკანში ვინმე ბანდიტი ხომ არ ყოფილა?

- 19 დღის განმავლობაში იმყოფებოდა, რატომ მეკითხები?

და ჩემმა მეუღლემ მიამბო:

- ხომ იცი, შენს შესახებ ყველა ექიმი დაინტერესებული იყო, გაეგო შენი მდგომარეობა. "სამკურნალო კომბინატის" ექიმები ყველას ეკითხებოდნენ, თუკი ვინმეს სუკ-იდან სამკურნალოდ მოსულს ნახავდნენ, თუ გინახავთ პეტრე გელბახიანი და როგორ არისო. პასუხობდნენ, არც გვინახავს და არც ის ვიცით, როგორ არისო. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, გვარი ჩემთვის არ უთქვამთ, თურმე ძალიან შეაწუხეს კითხვებით და ბოლოს, როგორც იტყვიან, ამოაღერღინეს: დამანებეთ თავი, მასთან საკანში ბანდიტი შეიყვანეს და იქიდან აკადემიკოსი გამოვიდაო.

ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ეს რაზმიკ კალაშიანს ეხებოდა.

დღესაც კი ვფიქრობ, კაცს, რომელიც ბანდიტად იყო აღიარებული, რაღაც ჰქონდა ტვინის უჯრედში დარჩენილი, რომელმაც ადამიანობაზე ხელი არ ააღებინა და მზაკვრული დავალება არ შეასრულა. ეს იმ დროს, როდესაც პროკურატურის ზოგიერთი ვაი-თანამშრომელი ხშირად ამბობს დღესაც: მავალებენ და აბა, რა ვქნაო. ზოგიერთ ასეთ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა მოგვიანებით მექნება საუბარი.

სუკ-ში ყოფნის სამი წლის მანძილზე თითქმის არც ერთი დღე არ ყოფილა ისეთი, რომ საკანში "ნასედკა" არ შემოეგზავნთ. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არცთუ ურიგოდ იყვნენ განათლებულნი. ჩემი პიროვნების დამახასიათებელი თვისებებით, ჩემი ცხოვრებისეული მოქმედებით ისინი ინფორმირებულნი იყვნენ და მომზადებულნი სუკ-ის ოპერატიული სამსახურისაგან. ძალიან ძნელი იყო გამერჩია, საქმე "ნასედკასთან" მქონდა თუ კეთილმოსურნე პირთან. ამას, ახლა, მე სიტყვის მასალად ვამბობ, თორემ ჩემთვის იქ

ყოველთვის ყველაფერი გასაგები იყო. ხშირად ვეტყოდი-ხოლმე გამოძიების ჯგუფის უფროსს რ.ყიფიანს და სულ-ცალკეულ გამომძიებლებს:

- როდესაც დამაპატიმრეს, 1973 წლის 7 აგვისტოს, მაშინვე განაჩენი გამოტანილი მქონდა და აქ ტყუილად მაწვალებთ.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გამოძიების მსვლელობის დროს არსებითი ვერაფერი ნახეს, პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსმა ვ.რაზმაძემ პრესის საშუალებით მიმართა ხალხს, გელბახიანის შესახებ თუ რამე იცით, ნურაფრის გეშინიათ, ჩვენ გვითხარით და თქვენ ამით ცუდი არაფერი გელითო. უპრეცენდენტო განცხადებაც უშედეგო დაურჩათ. ბოლოს, სამი წლის შემდეგ მეძახიან დაკითხვაზე, შევდივარ ოთახში და მხვდება რ.ყიფიანი და ზ.ხაზალია.

ყიფიანი მეუბნება:

- თქვენისთანა კაცი დღეს არსებობდა თუ არა, ვერც კი წარმომედგინა. დასაჯილდოვებელი ხართ, თქვენი საქმის გამოძიება რომ სწრაფად დამთავრებულიყო, ხალხი რას არ იტყოდა. ახლა კი რაღა უნდა თქვან. სამი წლის განმავლობაში თქვენი პიროვნების შესწავლა მიმდინარეობდა.

- ხალხმა რა უნდა თქვას, მათ თქვენზე უკეთ იციან, აქ რატომაც მომიყვანეს. ახლა რაშია საქმე, მათავისუფლებთ? - ვკითხე მე. - რაც ახლა მითხარით, შემიძლია, ეს სიტყვები გავიმეორო?

- რას ამბობთ, თქვენ დრომ მოგიყვანათ აქ და ახლა აქედან ვინ გაგიშვებთ. რაც ჩვენ გითხარით, ეს რომ სადმე გაიმეოროთ, ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი რამ არ გვითქვამს. თქვენ, რასაკვირველია, არ დაგიჯერებენ, ჩვენ კი უფრო გვენდობიან. ახლა ჩვენ დავწერთ საქმეს ისე, რომ 8-10 წელიწადი მიიღოთ.

- თქვენი თქმით, თუ მე დასაჯილდოვებელი კაცი ვარ და ჩემისთანა დღეს არსებობდა თუ არა, ვერც კი წარმოგედგინათ, ასეთ ბინძურ საქმეს როგორ გააკეთებთ?!

- რა ვქნათ, ჩვენ რასაც გვავალებენ, იმას ვასრულებთ.

ამას ისე ლაპარაკობდა, თითქოს ცუდი საქმის აღმსრულებელი პასუხს არ აგებს.

- დამთავრდა თქვენი საქმის გამოძიება, განაგრძო რ.ყიფიანმა, - საბრალდებო დასკვნა ორ ტომად იგზავნება უმაღლეს სასამართლოში.

მან აღნიშნულზე ხელი მომაწერინა და შემდეგ მკითხა:

- არ გინდათ, თქვენი მეუღლე ნახოთ?

- სამი წლის განმავლობაში ჩემი ოჯახის წევრები ცოცხლები არიან თუ არა, არაფერი ვიცი და ახლა ასეთი კითხვას მისვამთ?! რასაკვირველია, მსურს.

გააღეს კარი და სამი წლის შემდეგ ჩემი მეუღლე პირველად დავინახე. მოვეხვიეთ ერთმანეთს.

რ.ყიფიანმა მკითხა:

- დაგტოვოთ თუ არა?

ვუპასუხე:

- როგორც გნებავთ.

- საჭირო არის აიყვანოთ დამცველი.

ჩემმა მეუღლემ დაუყოვნებლივ უპასუხა:

- ადვოკატმა ჯამბაკურ ბაქრაძემ შემომითვალა, მე მინდა ვიყო პეტრე გელბახიანის დამცველი და ამაზე გასამრჯელოც არ მინდაო.

ყიფიანმა ეს ნათქვამი გაიკვირვა და თქვა:

- ჩემის აზრით, ბაქრაძე თქვენ არ გამოგადგებათ, აჯობებს სხვა დამცველი მონახოთ.

ამ საკითხზე ჩვენ წანააღმდეგობა არ გაგვიწევია და ჩემს მეუღლეს ვთხოვე, სხვა ვინმე მონახე-თქო.

ამის შემდეგ მეუღლემ ოჯახის წევრების შესახებ მიამბო და ისიც მითხრა, შენი შვილიშვილი პეტრე სიმაღლით უკვე ორი მეტრიაო. მე შევცბი და ვკითხე:

- კი მაგრამ, შეხედულებით როგორ გამოიყურება 2-მეტრიანი ახალგაზრდა?

- სიმაღლესთან შესაფერისად მეტად კოხტა და მოყვანილია. ჩვენი მოკლე საუბარი ამით დამთავრდა, მეუღლე ოთახიდან გავიდა, მე კი კვლავ საკანში დამაბრუნეს.

სამი დღის შემდეგ დამიძახეს, ავედი ყიფიანთან და მათთან ერთად დამხვდა მომავალში ჩემი ინტერვენტი დაცველი ადვოკატი - მიხეილ ალხაზაშვილი. გამომიცხადა, რომ თქვენმა ოჯახმა თქვენს დამცველად მე გამაფორმაო. შემდეგ რ.ყიფიანმა მითხრა:

- თქვენს საქმესთან დაკავშირებით მოძიებულმა მასალებმა 200 ტომზე მეტი შეადგინა. ახლა საჭიროა ამის გასაცნობად დრო, უნდა ითხოვოთ რამდენი დაგჭირდებათ და თქვენს თხოვნას დავაკმაყოფლებთ. 200 ტომი რომ დაამუშავოთ, ალბათ, არანაკლებ 5-6 თვე დაგჭირდებათ.

მე მას კატეგორიულად განვუცხადე:

- არავითარი 5-6 თვე, მოგვეცით საშუალება ერთი კვირის განმავლობაში გადავხედო საქმეს. ხელს მოგიწერთ, რომ ყველა ტომი გაცნობილი მაქვს და გადაეცით საქმე სასამართლოს.

- როგორც თქვენ გინდათ, დაიწყეთ და ვნახოთ.

მართლაც, იმავე დღეს დავიწყეთ საქმის გაცნობა. ადვოკატი ალხაზაშვილი მეტად მცოდნე და გამოცდილი პიროვნება იყო. ჩვენი მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მითხრა:

- ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ იმ ტომების გაცნობა, სადაც უშუალოდ თქვენს მიმართ არის წამოყენებული ბრალდებები. დანარჩენი, როგორც ახლა მე ამას შევხედე, არ არის საინტერესო, რადგან აქ არის აბიტურიენტთა ნაშრომები, რვეულები, რვეულის ყდები და ა.შ. თქვენი გვარი მხოლოდ 4 ტომშია ნახსენები.

მართლაც, ეს ოთხი ტომი ერთი კვირის განმავლობაში დავამუშავეთ. მე ჩემთვის გავაკეთე სათანადო ჩანაწერები და ადვოკატი კი თავისებურად ინიშნავდა ყველაფერს, რაც იურიდიული თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ერთი კვირის თავზე რ.ყიფიანს მოვუწერე ხელი საქმის გაცნობის დამთავრებასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესის დაწყება ჭიანურდებოდა. მე, პირადად, რამდენჯერმე გავუგზავნე თხოვნა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ

ყველაფერი ეს წყლის ნაყვა იყო, რადგან ჩემი თხოვნა და განცხადებები უყურადღებოდ რჩებოდა. სასამართლო პროცესის დაწყებამდე, დროგამოშვებით, ჩემთან, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მხოლოდ ჩემი დამცველი მოდიოდა და ერთად ვიხილავდით წამოყენებული ბრალდებების უსუსურობასა და სიყალბეს. როგორც იქნა, მაისის თვეში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც, წინასწარ კარგად მომზადებულ, თეატრალურ დადგმას მოგვაგონებდა და რომლის მონაწილეც, სამწუხაროდ, თვითონ მეც გავხდი. ვერ ვიტყვი, რომ ეს თეატრალური დადგმა მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელებს ეკუთვნოდათ, რადგან იგრძნობოდა, ამ საქმის აქტიური მონაწილენი იყვნენ პროკურატურა და სუკ-ი, ეს კიდევ იქიდან იგრძნობოდა, რომ დარბაზში პირველივე დღიდან შემომსვლელთა გულდასმითი შემოწმება მიმდინარეობდა. ორი ფერის: წითელი და ლურჯი ბარათები იყო გაცემული მათთვის. დამსწრეები წინასწარ შერჩეული ჰყავდათ. დარბაზი 250-300 კაცს იტევდა, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვისაც დასახელებული ფერის საშვი არ ჰქონდა, მათ დარბაზში არ უშვებდნენ.

სასამართლო პროცესს თავმჯდომარეობდა მოსამართლე ავთანდილ სულავა. როგორც წესი, მსაჯულებიც სუკ-ის მიერ იყო გულდასმით შერჩეული. ჩემში გაკვირვება გამოიწვია ერთ-ერთმა მათგანმა - გრიგოლავამ, რომლის შვილიც, თურმე, სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა, ვერ მოხვდა და ამით ის ძალზედ განაწყენებული იყო. სწორედ ეს კაცი აღმოჩნდა ერთ-ერთი მსაჯული. მეორე მსაჯულის გვარი არ მაგონდება. სასამართლო პროცესის პროკურორი გახლდათ ჭელიძე. საზოგადოებრივი ბრალმდებლის შერჩევაში დიდი მუშაობა გასწია ცკ-მა, სუკ-მა, პროკურატურამ და იმ ცნობილმა პროფესორებმა და აკადემიკოსებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ჩემს გვერდით მუშაობდნენ, თითქმის სათითაოდ ყველას შესთავაზეს დასახელებული თანამდებობა, მაგრამ მათ, ვისაც სინდის-ნამუსი არ ჰქონდა დაკარგული, ყველამ უარი განაცხადა. ბოლოს ნახეს ისეთი პიროვნება, რომელიც კარგად არც მიცნობდა და არც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმუშავია ჩემთან. ეს გახლდათ პროფ. დუმბაძე. ჩემი ინტერესების დამცველი იყო ადვოკატი მიხეილ ალხაზაშვილი. პროცესუალური ნორმების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მე მომცა.

საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ საკითხებს სანამ შევეხებოდი, სასამართლოს წინაშე დავაყენე რამდენიმე კითხვა, ეს კითხვები გახლდათ:

1. ჩამომართვეს სამეცნიერო ხარისხი და წოდება, რომელიც 20 წლის წინ მქონდა მონიჭებული, ასეთი რამ მსოფლიოში არ მომხდარა, ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა, რით იყო ჩემს მიმართ ასეთი ქმედება გამოწვეული?
2. აგრეთვე, უპრეცენდენტო შემთხვევაა, რომ გამოძიების თითქმის ორი წლის შემდეგ, პროკურატურის საგამომძიებლო საქმის უფროსმა ვ.რაზმაძემ, გაზეთის საშუალებით მიმართა ხალხს, საზოგადოებას, თუ რამე იცით პეტრე გელბახიანზე, ნუ შეგენშინდებათ და ცნობები მოგვაწოდეთო. რა იყო ამის მიზეზი?
3. სამი წლის განმავლობაში სუკ-ში ყოფნის დროს, არ მაძლევდნენ წასაკითხად გაზეთებს. იმ დროს, როდესაც ჩემს გვერდით მყოფი პატიმარი პრესას ღებულობდა. ასეთი ღონისძიება რით იყო გამოწვეული?
4. გამოძიების დამთავრების შემდეგ ხელი მომაწერინეს საბუთზე, აღნიშნული იყო, რომ დამთავრდა გამოძიება და საბრალდებო დასკვნა ორ ტომად იგზავნება უმაღლეს სასამართლოში. სასამართლოს დაწყების წინ სუკ-ის საკანში წარმომიდგინეს საბრალდებო დასკვნის ოთხი ტომი. გთხოვთ მიპასუხოთ: როგორ გადაიქცა ორი ტომი ოთხად, ან რა იყო ამის მიზეზი? რატომ გაეგზავნათ რესპუბლიკის პასუხისმგებელ მუშაკებს, როგორც კარგი წასაკითხი რომანი, საბრალდებო დასკვნის ეს ტომები? რა მიზნებს ემსახურებოდა აღნიშნული ქმედება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაპატიმრებისა და გამოძიების დასაწყისშივე ცკ-ის პლენუმსა და აქტივის კრებაზე წინასწარ გაუკეთდა კვალიფიკაცია ჩემს ე.წ. დანაშაულს. თვლით თუ არა, რომ ამით ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმპცია? იგივე მოიმოქმედა პროკურატურამ, დაპატიმრების მეორე დღესვე, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, პრესით და ტელევიზიით მიმდინარეობდა აღვირახსნილი პროპაგანდა. თვლით თუ არა, რომ ეს ფაქტები წარმოადგენდა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევას?

წინასწარ უკვე ვიცოდი, რომ მოსამართლეებისაგან ამ კითხვებზე პასუხს არ მივიღებდი, მაგრამ ვფიქრობდი, იქნებ პროკურორს მაინც ეპასუხა. ვერც მისგან მივიღე პასუხი. შემდეგ, ათი დღის განმავლობაში, სასამართლო სხდომებზე განუწყვეტლივ ვლაპარაკობდი შესავალ სიტყვას საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით. ჩემი გამოსვლები ეხებოდა საბრალდებო დასკვნაში ვრცლად მოყვანილ ჩემი პიროვნების გამაწბილებელ და დამამცირებელ საკითხებს, როგორებიც იყო დაბადების წელი, ბავშვობაში თანატოლის გალახვა და სხვა. უფრო დეტალურად შევეხე საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილ იმ ბრალდებებს, რომლებიც გამოძიებას ჩემთვის უნდა დაემტკიცებინა და რადგან აღნიშნულზე უტყუარი მტკიცებები არ იყო, სამწუხაროდ, მე მიხდებოდა წამოყენებული ბრალდებების გარჩევა. ჩემი პირველი გამოსვლის დამთავრების შემდეგ. საზოგადოების მოწონებას რომ თავი დავანებოთ, მომიბრუნდა ჩემი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

- რად გინდოდათ თქვენ დამცველი!

დეტალებზე იმიტომ აღარ შევჩერდები, რომ უკვე ვრცლად ვილაპარაკე აღნიშნულზე, გამეორებას მიზანშეწონილად აღარ ვთვლი.

სასამართლო პროცესზე 104 მოწმე გამოიძახეს. მოწმეებს ჯერ ცკ-ში იბარებდნენ, შემდეგ სუკ-ში და მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონის უხეში დარღვევა იყო, შემდეგ ისინი

ცხადდებოდნენ პროცესზე. მოწმედ გამოძახებულ მშობლებს ეკითხებოდნენ, როგორ ჩაირიცხა მათი შვილი ინსტიტუტში. სტუდენტებს - როგორ ჩაირიცხნენ ისინი ინსტიტუტში, იცნობდნენ თუ არა რექტორს? არც ერთ მოწმეს, არც მშობელს და არც სტუდენტს, არც წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლო პროცესზე, არ უთქვამს რექტორის მხრიდან რაიმე დახმარების შესახებ. ამიტომ მე უშუალოდ ამის შემდეგ გადავალ იმ ბრალდებებზე, რომლებიც მათ მიერ იყო შეთითხნილი და ჩემი პიროვნებისა და ადამიანური ღირსების დამცირებასა და შელახვას ისახავდა მიზნად.

სასამართლო პროცესზე გამოცხადდნენ მოწმეები შატბერაშვილი და მისი მეუღლე. მოსამართლე ეკითხება შატბერაშვილს:

- გვიამბეთ კონკრეტულად იმ ფაქტის შესახებ, მიუტანეთ თუ არა თქვენ პეტრე გელბახიანს წყნეთის აგარაკზე პროდუქტი?

- დიახ, ავიტანე.

- რა პროდუქტზეა ლაპარაკი? წყნეთში რომ ამოხვედით, როგორი საუბარი შედგა ჩვენს შორის? - ვკითხე მე.

- კიტრი და პომიდორი მოგიტანეთ, მაწონიც მქონდა ქილაში, მაგრამ იქვე გამიტყდა.

- და ამას ეძახით თქვენ პროდუქტებს?!

ამის შემდეგ შატბერაშვილს გაუჭირდა სიტყვის გაგრძელება, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გამოძიებამ ათჯერ გადაასწორა პირვანდელი განცხადება, რამდენიმეჯერ შეაცვლევინეს ჩვენებები და დაამატებინეს, რის შემდეგ კიტრი და პომიდორი პროდუქტად აქციეს, მეტი მნიშვნელობა რომ მიეცათ, დაამატებინეს ხორციც.

შატბერაშვილის შემდეგ მისი მეუღლე გამოიძახეს და ჰკითხეს:

- რას იტყვით პროდუქტისა და საჩუქრების შესახებ?

როგორც კი დაიწყო ლაპარაკი შატბერაშვილის მეუღლემ, პროკურორმა ჰკითხა:

- ქალაქში ხმები დადის, რომ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს ერთ ქილა მაწონზე ასამართლებენო.

შატბერაშვილის მეუღლემ დაუფიქრებლად წამოიძახა:

- ის მაწონი უბრალო მაწონი კი არ იყო, კამეჩის მაწონი იყო.

მოსამართლემ ვეღარ დააწყნარა დარბაზში დამსწრენი, რომლებიც შატბერაშვილის მეუღლის დარბაზიდან გაძევებას ითხოვდნენ, ერთ-ერთ დამსწრეს, რომელიც უფრო აქტიურობდა, მოსამართლე გაძევებით დაემუქრა.

- თვითონ გავალ, ასეთ სისულელეს როგორ უნდა უყურო! - ადგა და გავიდა დარბაზიდან.

შატბერაშვილის მეუღლე ისევ იდგა და ამისთანა მოწმეს, როგორ გაუშვებდნენ დარბაზიდან, მოსამართლე საჩუქრების შესახებ შეეკითხა:

- პეტრე გელბახიანმა იცოდა თუ არა უშუალოდ რაიმე ამ საჩუქრების შესახებ?

- როდესაც მე მათ ოჯახში მივედი, მგონი, ერთხელ იყო შინ, მეორედ რომ ვიყავი, არ იყო.

მოსამართლემ გაუსწორა და მკაცრად უთხრა:

- "მგონი" აქ არ შეიძლება. ნამდვილად იყო, თუ არ იყო?

- იყო, იყო - ორჯერ გაიმეორა.

კითხვა-პასუხის გამართვა ამ შემთხვევაში ჩემის მხრიდან უაზროდ მომეჩვენა, მაგრამ ვეღარ მოვითმინე და კატეგორიულად განვაცხადე, რომ ეს ყველაფერი პროვოკაციაა და ამის შესახებ მე არაფერი ვიცი-თქო. ამით დამთავრდა შატბერაშვილების დაკითხვა. აქვე მინდა აღვნიშნო, საჩუქრების შესახებ კატეგორიული უარი განვაცხადე საჯაროდ. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის სხდომებზე ჩემმა მეუღლემ, თამარ ბეჟანიშვილმა და რძალმა, ნინო ტატიშვილმა ასევე განაცხადეს, რომ მე იმ დროს არ ვიყავი თბილისში. მიუხედვად ამისა, მაინც ბრალდებად დამიტოვეს შატბერაშვილებისაგან პროდუქტების - კიტრის, პომიდორის, ყავის სერვიზისა და სამაჯურის მიღება, რადგან ესეც, როგორც ზემოთ მაქვს აღნიშნული სუკ-ის ნაშრომნაღვაწი იყო, ამ შრომის წყალში გადაყრა როგორ შეიძლებოდა?!

სასამართლო პროცესზე გამოძახებული იყო მოწმეები ბუგიანიშვილი და მისი მეუღლე. პირველად ბუგიანიშვილი მეუღლე დაკითხეს, რომელმაც აღნიშნა:

- პეტრე გელბახიანი ჩვენი აღმზრდელი მასწავლებელი იყო, შემდეგ კი რესპუბლიკურ სააფთიაქო სამმართველოში მისი უფროსად ყოფნის დროს თანამშრომლები ვიყავით. იგი ჩვენ ყოველთვის პატიოსან და წესიერ მუშაობას გვასწავლიდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდა იყო, სააფთიაქო სამმართველოში ყველა მის სპეტაკ და უანგარო მუშაობაზე ლაპარაკობდა. ახლა კი რატომ აყენებთ შეურაცხყოფას პროფესორს, აკადემიკოსს, რექტორს, როცა ამას უბრალოდ არ იმსახურებს. რაც მე წინასწარი გამოძიების დროს მკითხეს და რასაც თქვენ მეკითხებით დღეს, ნოხთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება ასეთი ბრალდება პეტრე გელბახიანს წაუყენოთ. პეტრე გელბახიანს არ სჭირდებოდა ასეთი რამ, ჩემი ნოხი პეტრე გელბახიანს რად უნდოდა, ან როგორ გავუბედავდი მას ასეთ რამეს.

პროკურორმა არც კი აცადა სიტყვის დამთავრება, მაშინვე ჰკითხა:

- თქვენ პარტიული ხართ?

- დიახ, პარტიული ვარ.

- პარტიიდან გაგრიცხავთ!

- საიდანაც გინდათ, იქიდან გამრიცხეთ. ამ კაცს ჩირქს ნუ მოცხებთ! მე ასეთი რამ არც მიფიქრია და არც გამიკეთებია!

მოსამართლემაც, თავისებურად, სიმტკიცე გამოიჩინა, მაგრამ ამით დაამთავრა მოწმის დაკითხვა.

დარბაზში შემოიყვანეს რაჟდენ ბუგიანიშვილი.

- პეტრე გელბახიანს იცნობთ?

- პეტრე გელბახიანს როგორ არ ვიცნობ, ჯერ ჩემი მასწავლებელი იყო., შემდეგ კი უფროსი სამსახურში.

- მიუტანეთ თუ არა მას სახლში, თქვენი შვილის მოწყობასთან დაკავშირებით, ნოხი?

- ბატონო მოსამართლე, ეს მონაჭორი ამბავია. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ასეთ რამეს ადგილი არ

ჰქონია და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ცილისწამებებში მის მიმართ ჩემი გვარია ნახსენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურორი აქაც გააქტიურდა.

- კომუნისტური პარტიის წევრი ხართ თუ არა?

- დიახ, ვარ.

- შენ და შენს მეუღლეს, ორივეს გაგრიცხავთ პარტიიდან!

- თუ ჩემი პარტიიდან გარიცხვა სიმართლეს გაამარჯვებინებს, გამრიცხეთ მაშინ, კი ბატონო.

ასე დამთავრდა ამ ეპიზოდზე მოწმეთა დაკითხვა.

სასამართლოს შემდეგ სხდომაზე გამოძახებულნი იყვნენ მოწმეები: ლუბა ჭიპაშვილი და მისი მეუღლე იოსებ არაზაშვილი.

ლუბა ჭიპაშვილი, დარბაზში შემოსვლისთანავე ხმამაღალი ტირილით წამოვიდა:

- ჩემო ძამია, პეტრე, ჩემი ძეწკვი თქვენ რაში გჭირდებოდათ, ეს ხომ თქვენს მიმართ მოწყობილი პროვოკაციაა.

ამასობაში მიუახლოვდა თუ არა იგი ადგილს, საიდანაც მოწმე იძლევა ჩვენებას სასამართლოზე, ეკითხებიან:

- შვილის ინსტიტუტში მოწყობისათვის, მიუტანეთ თუ არა ოჯახში პეტრე გელბახიანს 300 მანეთად ღირებული ოქროს ძეწკვი?

- არანაირი ძეწკვი არასდროს გელბახიანების ოჯახში მე არ მიმიტანია. თუ თქვენ სიმართლე გაინტერესებთ, ბატონო მოსამართლევ, საქმე შემდეგში იყო. გამოძიებაზე როცა დამიბარეს, პირველად მითხრეს, რომ თქვენი ქმარი დაპატიმრებულიაო, გული წამივიდა და ძლივს მომაბრუნეს. შემდეგ კი რაღაც დაწერილზე ხელი მომაწერინეს. დღემდე არ ვიცი, რაზე მოვაწერე ხელი. ბატონო მოსამართლე, პეტრე გელბახიანი და მე ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი, შემდეგ ჩემი და ჩემი მეუღლის უფროსი იყო სამსახურში, სტუდენტობის დროსაც პეტრე გელბახიანს დიდ პატივს ვცემდით, არა მარტო მე, არამედ ყველა მისი ახლობელი და ნაცნობი. ამას ის თავის პატიოსანი შრომით იმსახურებდა. შვილის მოწყობისათვის როგორ შემეძლო,

ძეწკვის მიტანა გამებედა მისთვის. ამიტომ კატეგორიულად ვაცხადებ, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვის დამთავრებისთანავე ლუბა ჭიპაშვილსაც დაემუქრნენ პარტიიდან გარიცხვით. შემდეგ შემოიყვანეს მოწმე იოსებ არაზაშვილი.

- იცნობთ თუ არა პეტრე გელბახიანს და თუ იცნობთ საიდან და როგორ?

- პეტრე გელბახიანი ჯერ ჩემი მასწავლებელი იყო ინსტიტუტში, შემდეგ კი ჩემი უფროსი საფთიაქო სამმართველოში.

- მიუტანეთ თუ არა, შვილის მოწყობასთან დაკავშირებით, 300 მანეთიანი ოქროს ძეწკვი ოჯახში?

- წინასწარ გამოძიებისას, ბატონო მოსამართლე, ძალიან მაწვალეს და დამემუქრნენ დაპატიმრებით, მაგრამ როგორ შემეძლო იმის თქმა, რაც არ იყო. აქაც ვაცხადებ, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლო განაჩენის გამოცხადების დროს ძეწკვი და ნოხი ამოიღეს ბრალდებიდან, როგორც უსაფუძვლო.

იოსებ არაზაშვილსაც პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ. შემდეგ სხდომაზე ჩემი მოთხოვნით მოწმედ გამოიძახეს ბიძინა ჭუმბურიძე. მოსამართლემ, ჩემთვის გაუგებარი, ერთიორი შეკითხვა მისცა და თან დააყოლა:

- თავისუფალი ხართ, წაბრძანდით.

მაშინ მოსამართლეს ვუთხარი:

- მე მაქვს მოწმესთან შეკითხვა და სწორედ ამიტომ მოვითხოვე მისი დაძახება, მომეცით საშუალება შევეკითხო. ბიძინა, საბრალდებო დასკვნაში ბრალდებად მაქვს წამოყენებული თქვენი უფროსი შვილის ინსტიტუტში მოწყობა.

წავიკითხე საბრალდებო დასკვნიდან ეს ბრალდება: "იცნობდა პეტრე გელბახიანს, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს, ბიძინა ჭუმბურიძე, სთხოვა მას შვილის ინსტიტუტში მოწყობა. მან უკანონოდ მიიღო ინსტიტუტში იგი" - ბიძინა მიეცით სასამართლოს განმარტება, იქნებ მომიხსნან აღნიშნული ბრალდება.

მისი პასუხის შემდეგ მოსამართლეს მივმართე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ამ პასუხის შემდეგ მიხსნით თუ არა ამ ბრალდებას?

- არაფერი მას ისეთი არ უთქვამს, რომ ეს ბრალდება მოგიხსნათ.

- ბიძინა, ხომ ხედავთ, ამ ბრალდებას მიტოვებენ.

ამის შემდეგ საბრალდებო დასკვნიდან წავიკითხე ბ.ჭუმბურიძის მეორე შვილზე ტექსტი: "იცნობდა რა ბიძინა ჭუმბურიძე სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს პეტრე გელბახიანს, თავისი შვილის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე მოწყობა სთხოვა და მან უკანონოდ მიიღო იგი ინსტიტუტში".

- ბიძინა, უპასუხე, იქნებ ახლა მაინც მომიხსნან ეს ბრალდება?

ბ.ჭუმბურიძე პასუხობს სასამართლოს. კვლავ ვეკითხები მოსამართლეს:

- დაკმაყოფილდით თუ არა პასუხით, მიხსნით თუ არა ბრალდებას?

- თვითონ არ იცის, რას ლაპარაკობს, ისე გამოდის, თითქოს, თქვენ შეეხვეწეთ შვილის ინსტიტუტში მიღებას.

- აი, ხომ ხედავ, ბიძინა, ამ ბრალდებასაც არ მიხსნიან.

შემდეგ მოსამართლის ნებართვით შევეკითხე ჭუმბურიძეს:

- მე თქვენი მასწავლებელი ვიყავი თუ არა ინსტიტუტში?

- დიახ, თქვენ ჩემი მასწავლებელი იყავით.

- თქვენს სადისერტაციო ნაშრომზე დასკვნა-წარდგინება, სამეცნიერო საბჭოზე, რომ იგი აკმაყოფილებდა სადოქტორო დისერტაციის მოთხოვნებს, ვინ დაწერა?

- ეს დასკვნა თქვენ დაწერეთ.

- სამეცნიერო საბჭოს, როდესაც დაცვა მიმდინარეობდა, ვინ თავმჯდომარეობდა?

- თქვენ თავმჯდომარეობდით.

- თქვენი დისერტაცია მასალებით სეს-ში რომ გადაიგზავნა, პირველად თქვენი დისერტაცია ხომ არ იქნა დამტკიცებული?

- დიახ, არ დაამტკიცეს პირველად.

- უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ვინ მოელაპარაკა, რომ მეორედ განეხილათ თქვენი დისერტაცია?

- თქვენ გააკეთეთ ეს საქმეც.

- მაშინ მიპასუხეთ, ჩემი დაპატიმრების შემდეგ, სად ან რა განათლება მიიღეთ ისეთი, რომ მასწავლებელს, ე.ი. ჩემ ნაშრომები ოფიციალურად დამიწუნეთ და ხელმოწერითაც დაადასტურეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში დამსწრეებმა თავი ვეღარ შეიკავეს:

- ფუი, შენს კაცობას!

ასე გააგდეს იგი სასამართლო დარბაზიდან.

სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს მოწმეების რიცხვში ჯერ არ ჩანდა სერგო მეტრეველი. სასამართლოს შეეკითხე:

- მოიყვანთ თუ არა პროცესზე მოწმე მეტრეველს?

მოსამართლემ მიპასუხა, მოვიყვანთო. სასამართლო პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. მესამე თვის ბოლოს, როგორც ჩემთვის შემდგომში გახდა ცნობილი, ვიღაც უცნობს ჩვენთან ოჯახი ტელეფონთ დაურეკავს, მეტრეველი მოწმედ არ მოდის სასამართლო პროცესზე და გადაწყვიტეს ძალით მოიყვანონ პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკებმა. ამიტომ ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ დროს აღნიშნული პირები მასთან ბინაზე მივლენ მანქანით წამოსაყვანადო. ეს რომ ჩემი ოჯახის წევრებმა გაიგეს, ჩემმა ვაჟიშვილმა გედევანმა, თავის მეგობრებთან ერთად, გაიგეს რა ს.მეტრეველის მისამართი, მანქანიდან უთვალთვალებდნენ, ვინ მივიდოდა და როგორ წაიყვანდნენ მოწმეს. მართლაც, აღნიშნულ დროს ორი მოქალაქე, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთი უმაღლესი სასამართლოს მუშაკი იყო და მეორე პროკურატურის თანამშრომელი, გადმოვიდნენ მანქანიდან და ავიდნენ მეტრეველის ბინაში. ამასობაში ჩემმა შვილმა და მისმა მეგობარმა მანქანის ნომერი, ფერი ჩაიწერეს. ისინი მეტრეველის ბინიდან გამოსვლას აგვიანებდნენ. ალბათ, დრო დასჭირდათ მეტრეველის გადმოსაბირებლად. ბოლოს ჩამოიყვანეს მეტრეველი, ჩასვეს მანქანაში, თვითონ ჩასხდნენ და მანქანა დაიძრა უმაღლესი სასამართოს მიმართულებით. ჩემი შვილი და მისი ამხანაგიც მანქანას უკან გამოჰყვნენ. ჩემი მეუღლე კი ამ დროს უმაღლეს სასამართლოსა და პროკურატურის (მაშინ ერთ შენობაში იყო) შესასვლელ კარებთან იდგა. მოვიდა დასახელებული მანქანა, რომლიდანაც გამოიყვანეს

ს.მეტრეველი. კიბეების თავში ჩემი მეუღლე დახვდათ. სასამართლო დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით და მეც, როგორც ბრალდებული, სასამართლო დარბაზში ვიმყოფებოდი. დარბაზში იყვნენ მოსამართლე, მსაჯულები, მდივანი, სასამართლო პროკურორი და ჩემი ადვოკატი. ყველანი ველოდებოდით მოწმე ს.მეტრეველის დარბაზში შემოსვლას. ის კი, ნაცვლად იმისა, რომ დარბაზში შემოეყვანათ, აიყვანეს მე-3 სართულზე, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების განყოფილებაში, ერთ-ერთ კაბინეტში შეიყვანეს და კარები მოხურეს. მათ ფეხდაფეხ მიჰყვა ჩემი მეუღლე, ჩემი შვილი და მისი მეგობარი. როდესაც ჩემმა მეუღლემ დააკაკუნა კაბინეტის კარებზე, სადაც სხვებთან ერთად მეტრეველიც იმყოფებოდა, კარი არავინ გააღო და არც არავინ უპასუხა. ხელმეორედ, უფრო ძლიერ დააკაკუნეს კარებზე, მაშინ კი იძულებულნი გახდნენ, გაეღოთ კარი და - რა გნებავთო, - ჰკითხეს.

მაშინ ჩემმა მეუღლემ უპასუხა:

- სერგო მეტრეველს ქვემოთ პროცესზე ელოდებიან, თქვენ კი აქ კაბინეტში გყავთ ჩაკეტილი და ამუშავებთ მას, რაც პროცესუალური კოდექსით სასტიკად აკრძალულია. რატომ ჩადიხართ ამას?

- ეს ჩვენი საქმეა! - უპასუხეს და ისე ჩაკეტეს კარი. რაღას გახდებოდნენ, დაბრუნდნენ დარბაზში გულდაწყვეტილნი, გაიხმეს ჩვენი ადვოკატი და ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. მან კი სასწრაფოდ დაწერა ჩემი სახელით პროტესტი, გადმომცა, მე ეს პროტესტი გადავიკითხე, ხელი მოვაწერე და დავტოვე. დიდხნის ლოდინის შემდეგ დარბაზში შემოიყვანეს ს.მეტრეველი. მან მოწმის ადგილი დაიკავა.

მოსამართლემ, სათანადო პროცესუალური კითხვების შემდეგ ჰკითხა მეტრეველს:

- თქვენ პეტრე გელბახიანს გადაეცით თუ არა მის სამუშაო კაბინეტში 5000 მანეთი?

კითხვის დასმის შემდეგ მეტრეველი შეყოვნდა და როდესაც მე ვეღარ მოვითმინე დავუძახე მეტრეველს:

- შემობრუნდი აქეთ და შემომხედე სახეში.

მან უცბად ჩემსკენ გამოიხედა. აუვარდა ტირილი და იქვე ჩაიკეცა. მეტრეველი სწრაფად გაიყვანეს დარბაზიდან. ამ ფაქტმა დამსწრე საზოგადოებაში გარკვეული რეზონანსი გამოიწვია. ამ დროს გავიგონე პროკურორის ხმამაღალი ნათქვამი, თავის გვერდში გადაულაპარაკა: პროვოკატორი თუ უნდოდათ, ისეთი მაინც ვერ იშოვეს, ორივე ფეხზე რომ იდგესო. რასაკვირველია, პროკურორის ეს ნათქვამი სიმართლეს შეესაბამებოდა.

მოსამართლემ გამოაცხადა, სხდომა დამთავრებულიაო, მაგრამ მე სიტყვა მოვითხოვე, ჩემი თხოვნა მოსამართლემ დააკმაყოფილა. წავიკითხე პროტესტის ტექსტი მეტრეველის შესახებ, რაც იმ დღეს ჩემმა შვილმა და მისმა მეგობარმა ნახეს, შემდეგ რაც ჩემმა მეეღლემ თავის თვალით დაინახა და მე-3 სართულზე პროკურატურაში მომხდარი ამბავიც. ამ ინფორმაციამ დარბაზში ხმაური გამოიწვია.

ამის შემდეგ მოსამართლემ რამდენიმე დღის შესვენება გამოაცხადა, თითქოსდა, განაჩენის დასაწერად. ეს სიტყვა "თითქოს" აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ ჩემი განაჩენი შევარდნაძეს დაწერილი ჰქონდა უკვე მაშინ, როცა 1973 წლის 7 აგვისტოს დამაპატიმრეს.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობის სამი თვის მანძილზე და განსაკუთრებით, პირველ დღეებში, პროცესზე თავიანთი წითელი და ლურჯი ბარათებით მოყვანილი დამსწრენი, როდესაც ჩემს ახლოს ჩაივლიდნენ, ხელებით მანიშნებდნენ და დაბალი ხმით მეკითხებოდნენ:

- რისთვის ზიხართ ბრალდებულის სკამზე?!

სასამართლო პროცესის დანიშნულ დღეებში, ყოველ დილით ციხიდან პატიმრებით დატვირთული, როგორც იტყვიან, "черная ворона" მოვიდოდა სუკ-ის ციხესთან, შემდეგ გამიყვანდნენ და აღნიშნული მანქანით მივყავდით პროცესზე. პროცესის დაწყებამდე კი პატიმრების მოსაცდელ უპატრონოდ მიტოვებულ ოთახებში გვაჩერებდნენ და როცა პროცესისათვის უკვე ყველაფერი მზად იყო, მეც იმ ოთახიდან გამომიყვანდნენ. კიბეებზე ასვლისას, პროცესის დამსწრე ნაცნობ-უცნობები ყველა მამხნევებდა: მოითმინე, ეს სისაძაგლეა, ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა განაჩერის გამოტანის დღე, ბადრაგებმა ამომიყვანეს სასამართლო დარბაზში. შემდეგ დამსწრე საზოგადოებით აივსო დარბაზი. მოსამართლემ პროცესი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა პროკურორს მისცა, მან თავის გამოსვლის დასაწყისში თქვა:

"404 მოწმე დავკითხეთ სასამართლო პროცესზე, 400 მოწმემ - პატივცემულო პეტრეო, ასე მიმართა ბრალდებულს, 4-მა კი - ბატონო პეტრეო. ეს დამადასტურებელია იმისა, თუ როგორი პატივისცემით ექცევა ხალხი, საზოგადოება ბრალდებულს". პროკურორს სურდა აღნიშნული ჩემს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა. შემდეგ შეეხო ძიების მიერ წამოყენებულ ყველა ბრალდებას და როდესაც თავისი სიტყვის დასასრულს უახლოვდებოდა, ამ დროს დარბაზში ერთმა ახალგაზრდა პიროვნებამ შემოიტანა ფურცელი, რომელზედაც დიდი ციფრით აღნიშნული იყო -15. ეს მე თვითონ დავინახე, როდესაც ახალგაზრდამ მოსამართლეს გადასცა აღნიშნული ფურცელი, სინათლის სხივზე მეორე გვერდიდანაც გამოჩნდა დაწერილი. მოსამართლემ თითქმის მხრები აიჩეჩა და ფურცელი პროკურორს მდივნის საშუალებით გადააწოდა. პროკურორი ლაპარკის დროს უცებ შეჩერდა, დახედა ფურცელს და ისე, რომ დაწყებული აზრი დამთავრებული არ ჰქონდა, გამოაცხადა:

- მოვითხოვ 15 წელს.

პროკურორის სიტყვის შემდეგ ჯერ ჩემს დამცველს მისცეს სიტყვა, რომელმაც ხატოვნად დაასაბუთა წამოყენებული ბრალდებების არარაობა.

ამის შემდეგ საბოლოო სიტყვა მომცეს მე, სადაც მთელი სიცხადით ნათელვყავი და აშკარად დავასაბუთე ბრალდებების უსუსურობა, რომლებიც გამოძიების მიერ ხელოვნურად იყო შეთხზული. შემდეგ მოსამართლემ წაიკითხა განაჩენი, სადაც მე 15 წლით პატიმრობა, გაძლიერებული რეჟიმითა და ქონების კონფისკაციით, გამომიცხადეს. პირადად მეც და დამსწრე საზოგადოებაც აღშფოთებული დარჩა გამოტანილი განაჩენით, მაგრამ რას გავაწყობდით?! განაჩენის გამოცხადების შემდეგ ჩემი ოჯახის წევრებს ბადრაგებმა არ მისცეს უფლება ჩემთან მოახლოებისა.

შორიდან ვანუგეშებდით ერთმანეთს. მე, სუკ-ის საპყრობილეში, ჩემთვის აგრე რიგად ნაცნობ, ისევ №18 საკანში მიმიყვანეს. განაჩენის შემდეგაც თითქმის თვეზე მეტი აქ დავყავი.

ამ დროს საკანის მიღმა, "თავისუფლების სამყაროში", უმაღლესი სასამართლო, კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელ ბრიგადებს აგზავნის ჩემს ძველ ნამსახურებ ადგილებზე, კეროძდ, ერთი ბრიგადა - რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოში, რათა სამმართველოს მუშაკებია დაერწმუნებინათ სასამართლოს განაჩენის "სისწორეში". რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს თანამშრომლები აგრესიულად შეხვდნენ ბრიგადის წევრებს და როცა მათ სურდათ ჩემს შესახებ განაჩენზე საუბარი, ამის საშუალება არ მისცეს და უთხრეს:

- პეტრე გელბახიანი ჩვენთან თითქმის 12 წლის განმავლობაში მუშაობდა და მისგან ჩვენ სიკეთის მეტი არაფერი გვახსოვს. გეყოფათ!

ასე გამოისტუმრეს "ღონისძიებების" ჩატარების გარეშე.

მეორე ბრიგადა გაიგზავნა რესპუბლიკის კლინიკურ საავადმყოფოში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე. მივიდნენ თუ არა, ექიმებმა პირდაპირ დაუყენეს კითხვა:

- რაზე გნებავთ რომ გველაპარაკოთ?

მათ აუხსნეს მისვლის მიზეზი და ექიმებმა აქაც არ მისცეს უფლება, ესაუბრათ ჩემს შესახებ. რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა მირიან კლდიაშვილმა განუცხადა:

- პეტრე გელბახიანი ჩვენი კოლეგა იყო, ბევრი ჩვენგანის მასწავლებელი, ბევრის კი ხელმძღვანელიც და ამიტომ გეყოფათ, რაც თქვენ მასზე ილაპარაკეთ და იმოქმედეთ. ჩვენ თავი დაგვანებეთ! გამოისტუმრეს ბრიგადა ისე, რომ თავიანთი "მისია" აქაც ვერ შეასრულეს.

კინოთეატრებში გაუშვეს პროცესის მიმდინარეობის ჩვენება, რასაკვირველია, დამახინჯებულად. როდესაც ეს ჩემი ოჯახის წევრებმა გაიგეს, მართალია გაუჭირდათ, მაგრამ მაინც წავიდნენ კინოთეატრ "ყაზბეგში", რომელიც მაშინ ბარნოვის ქუჩაზე მდებარეობდა. ფილმის დასაწყისში გადაღებული სასამართლო პროცესის შემდეგ აჩვენებენ კადრს - როგორ გამოდის სამედიცინო ინსტიტუტის შენობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ატირებული აბიტურიენტი და თან დართული ჰქონდა კომენტარი - ასე აწამებდნენ სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტებს.

ამ დროს, კინოთეატრში მყოფი ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი წამოხტა ფეხზე და ხმამაღლა დაიძახა, ეს სამედიცინო ინსტიტუტიდან კი არ გამოდის, პედაგოგიურ ინსტიტუტთანაა გადაღებულიო. ამ ფაქტმა დამსწრეთა აღშფოთება გამოიწვია.

ასე და ამგვარად ატარებდნენ ხალხში აგიტაციას, რათა პეტრე გელბახიანზე გამოტანილი განაჩენის "სისწორეში" დაერწმუნებინათ ისინი.

ამასაც არ დასჯერდნენ და დასავლეთ საქართველოში, ქ.ქუთაისის ცენტრში "მრგვალი მაგიდა" მოაწყვეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ.ფანჯიკიძე. "მრგვალ მაგიდასთან" მიწვეულნი იყვნენ საქართველოს სსრ პროკურორი ლერი თალაკვაძე და საქ. სსრ იუსტიციის მინისტრი ალ. შუშანაშვილი. ვინც გულდასმით გაეცნო და წაიკითხა ქუთაისში მოწყობილი "მრგვალი მაგიდის" მასალები, რომელიც ჟურნალ "განთიადში" გამოქვეყნდა (1974 წ. №4), დაგვეთანხმება, რომ ეს არის კოლექტიური გოდება პროკურორის და იუსტიციის მინისტრის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წუხილი იმაზე, რომ გელბახიანის პროცესმა საზოგადოებაში მასშტაბური რეზონანსი ვერ გამოიწვია და საზოგადოება ვერ დაარწმუნა მის დანაშაულში. "მრგვალი მაგიდის" ყველა მონაწილე წუხდა, რომ პროცესს არ დასწრებიან და მხოლოდ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ადევნებდნენ თვალს. დღეს ყველასათვის ცხადია, კომუნისტური რეჟიმის ცენზურის ქვეშ მყოფი საინფორმაციო საშუალებები, როდესაც კარგად იცოდნენ ვისი მითითებით წარმოებდა პროცესი, რა ობიექტურ ცნობებს მიაწვდიდა საზოგადოებას და ამ ცნობებით გამსჭვალული "მრგვალი მაგიდის" წევრები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პროცესი ვერ ამაღლდა ისე, რომ ერის განაჩენად ქცეულიყო.

ცხადია, ეს ვერც მოხდებოდა, ამის დამამტკიცებელი მასალა არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ყოველ ღონეს

ხმარობდნენ რათა, რაღაც მასალა მაინც შეექმნათ და რისთვისაც ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის აზრით, ქუთაისში მოწყობილი "მრგვალი მაგიდა" ეს იმ პიროვნების ჩანაფიქრი კი არ იყო, ვინც გამოქვეყნებულ წერილში ფიგურირებს, არამედ ამ საქმის ინიციატორის, მაშინდელი ცკ-ის და რესპუბლიკის სუკ-ის. ეს გამოქვეყნებულ მასალაშიც ნათლად ჩანს. კერძოდ, ამ სტრიქონების ავტორმა ჟურნალ "განთიადში" გამოქვეყნებული წერილიდან შეიტყო პირველად, რომ, თურმე იყო მსოფლიოს საერთო სისტემათა კიბერნეტიკის საბჭოს წევრი, კიბერნეტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საერთაშორისო ჟურნალის - "გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა ბიოლოგიასა და მედიცინაში" - სარედაქციო საბჭოს წევრი.

როდესაც მეცნიერის ასეთი მსოფლიო აღიარება ხდება, დოკუმენტებს თვით ავტორი უნდა ღებულობდეს უშუალოდ. მაგრამ რადგან დიდი ხნით ადრე ჰქონდათ ჩაფიქრებული პეტრე გელბახიანის დაპატიმრება, კომუნისტური რეჟიმის სუკ-ი საზღვარგარეთიდან ფოსტით მოსულ ამ დოკუმენტებს ავტორს კი არ უგზავნიდა, არამედ აგროვებდა. აბა, სხვანაირად, ქუთაისში გ.ფანჯიკიძეს საიდან უნდა სცოდნოდა ამ დოკუმენტების არსებობა, როდესაც ავტორმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და არც იცის?!

სასამართლო განაჩენის შემდეგ ვფიქრობდი, პირდაპირ გამაგზავნიდნენ კოლონიაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. წამიყვანეს ორთაჭალის ე.ი. "დიდ ციხეში". მორიგემ თავისთან გამაჩერა, სანამ ციხის უფროსი არ მოვიდა, რომელმაც მითხრა:

- ბატონო პეტრე, ძალიან არ მინდოდა, აქ რომ მენახეთ, მე ციხის უფროსის მოადგილე ვარ, მაგრამ დღეს ციხის უფროსის მოვალეობას ვასრულებ. უფროსი შვებულებაშია. რა ვქნა ახლა მე, რა შემიძლია, რომ გაგიკეთოთ?!

მე მაშინვე ვუპასუხე:

- მე თქვენ არაფერს გთხოვთ.

- შემიძლია, შემომთავაზა მან, მხოლოდ ისეთი "კამერის" შერჩევა, სადაც კარგი ხალხია.

ამიყვანეს მე-4 სართულზე და ერთ-ერთ საკანში მიმიყვანეს. აქ მყოფთა უმრავლესობა კავშირის ყოფილი

პასუხიმგებელი პირები იყვნენ. ბევრი მიცნობდა. ციხის უფროსმა წარუდგინა ჩემი თავი:

- ეს გახლავთ პეტრე გელბახიანი და შესაფერისი ადგილი გაუთავისუფლეთ.

პატიმრებმა ჩაილაპარაკეს:

- ჩვენ გაფრთხილება არ გვჭირდება.

ამდენი ხალხი ერთად რომ დავინახე, სიმართლე გითხრათ, გამეხარდა, რადგან 3 წელი სუკ-ის ციხეში თითქმის მარტოობაში გავატარე. ისინი ყვებოდნენ თავიანთ გასაჭირს, კერძოდ, უმსგავსო გამოძიებაზე, სასამართლო პროცესის დარღვევებზე და სხვ. მეც ვუსმენდი და ჩემში ყოველივე ეს არავითარ გაკვირვებას აღარ იწვევდა.

ერთ დღეს სანახავად ჩემი მეუღლე და რძალი მოვიდნენ. მაშინ ასეთი წესი იყო, რომ ე.წ. "პერედაჩი" 6 კგ. უნდა ყოფილიყო. თუ წონაში ოდნავ მეტი იქნებოდა, ვაშლს შუაში ჭრიდნენ. გაცინებული შევხვდი. ჩემმა რძალმა, ნუციკომ მკითხა:

- რა გაცინებს, მამა?

- როგორ რა მაცინებს, კაცს 3 წლის განმავლობაში სული კინაღამ ამომხდა და აქ ხალხი მაინც არის ჩემს გვერდით.

ციხეში ჩემი მიყვანის მეორე დღეს თურმე საკნებს აცნობეს "ქსივით", თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს მივესალმოთო. მე ამის შესახებ, ბუნებრივია, არაფერი ვიცოდი და უცბად სინქრონულად ციხის ყველა საკნიდან ატყდა ხმაური და შეძახილები:

- გაუმარჯოს გელბახიანს! გაუმარჯოს გელბახიანს!

ეს შეძახილები და ხმაური ისეთი ძლიერი იყო, ციხე ზანზარებდა.

ამ ამბავმა იმედი ჩამისახა და თუ სხვა დროს ვფიქრობდი, სუკ-იდან მე ისევ ის გელბახიანი უნდა გავიდე-თქო, ახლა უფრო მედგრად გავიმეორე:

- მე აქედან აუცილებლად გავალ!

ერთ დღეს, დღის 11 საათი იქნებოდა, სუკ-ის ციხის საკანში მოხდა უჩვეულო რამ. ჩაფიქრებული ვიყავი ჩემთვის "ფანჯარასთან", რომელსაც ფიცრის ჟალუზები ისე ჰქონდა აჭედილი, რომ მზის სხივი ძლივს აღწევდა საკანში. სუკ-ი თავისი მიზნებით ისეა მოწყობილი, რომ იქ მყოფი ადამიანის

გარდა, სხვა რამ ცოცხალი არსება არ შეიძლება აღმოჩნდეს. ამ დროს, უცბად, პირდაპირ ჩამოფრინდა პატარა ჩიტი, რამაც ჩემში ერთგვარი ხალისი შემოიტანა და ძალიან გამიკვირდა, როგორ ჩამოფრინდა ჩიტი საკანში. ამ დროს იქ "ნასედკა" იმყოფებოდა, რომელმაც ჩიტი ხელიდან გამომტაცა და მითხრა:

- ამას აქედან არ გავუშვებთ!

- არა, კმარა, მე რომ ვიტანჯები აქ უსამართლოდ, რა საჭიროა ამ უდანაშაულო არსების აქ გაჩერება! - მკაცრად ვუთხარი, გამოვტაცე ხელიდან. ჟალუზთან მივედი და პატარა ჭუჭრუტანიდან სწრაფად გაძვრა ჩიტი და გაფრინდა.

ციხეში ისმოდა - გაუმარჯოს გელბახიანს! მე კი იმ ჩიტის ამბავი მახსენდებოდა.

თავდაპირველად ვერ გავერკვიე, რაში იყო საქმე, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. შემდეგ ამიხსნეს და მითხრეს, ეს თქვენი ციხეში მოსვლის საპატივცემულოდ გააკეთეს და განკარგულება ციხის კანონიერმა ქურდმა გასცაო.

აღნიშნულ ციხეში თვენახევრის ყოფნის შემდეგ, გადამაგზავნეს შრომა-გასწორებით კოლონიაში. მითხრეს: პირველ კოლონიაში მიდიხარო, სინამდვილეში კი რუსთავის მე-3 კოლონიაში მიმიყვანეს, პატიმრებმა იქაც კარგად მიმიღეს, რადგან სახელით და გვარით უკვე თითქმის ყველა მიცნობდა. ექვსი დღის შემდეგ თბილისიდან მოვიდა ინსპექტორი და გამომიცხადა, რომ I კოლონიაში უნდა გადაგიყვანოთო.

- მე საცდელი ცხოველი არა ვარ! - ვუპასუხე, - თუ გინდოდათ იქ ჩემი წაყვანა, თავიდანვე წაგეყვანეთ. შეიძლება კაცის ასე წვალება?!

მან ტკბილად მითხრა:

- თქვენთის იქ ჯობია და ამიტომ წინააღმდეგობა არ არის საჭირო.

საცხოვრებელი ზონიდან გამიყვანეს, ღამე გამათევინეს სანიტარულ ნაწილში და მეორე დილას, პატიმრებისათვის განკუთვნილი "черная ворона"-თი, გადამიყვანეს რუსთავის №1 კოლონიაში.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მე-3 კოლონიაში ჩემი მიყვანა განპირობებული იყო ე.წ. გამოცდით, ჩემზე დაკვირვებით. პირველ ზონაში მიყვანისთანავე კარებში დამხვდა მაღალი ტანის ახალგაზრდა, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო. მან მკითხა:

- თქვენ გელბახიანი ბრძანდებით?

- დიახ.

- წამობრძანდით ჩემთან.

- როგორ წამოვიდე, აქ ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები უნდა მივიღო.

- ყველაფერი მიღებულია.

ჩემთვის გაურკვეველი იყო მისი ნათქვამი, მაგრამ მაინც გავყევი. მიმიყვანა საცხოვრებელი ზონის შენობის ერთ-ერთ ოთახში, სადაც დამხვდა შესანიშნავი აღნაგობის და შეხედულების ახალგაზრდა კაცი, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა:

- მე გახლავართ ნუგზარ მახარაძე. მთელმა კოლონიამ იცის თქვენი პიროვნების შესახებ, რატომ, როგორ და რისთვის დაგაპატიმრეს. აქ ყველამ იცის, რომ თქვენ ე.შევარდნაძის მითითებით ხართ დაპატიმრებული.

ამ საუბრის დროს მოვიდა კაცი და გამაფრთხილა: განაწილებაზე გელბახიანო.

- წაბრძანდით და შემდეგ ისევ აქ დაბრუნდით, მითხრა ოთახში დამხვდურმა.

გამაყოლეს ისევ ის პიროვნება, ვინც ჩემი მეგზურობა იკისრა და თავიდანვე მივედით კოლონიის უფროსის კაბინეტში, სადაც დამხვდნენ კოლონიის თანამშრომლები, კოლონიის უფროსმა, პოლკოვნიკმა კარგაძემ მითხრა:

- რა ვქნა ახლა, პატივცემულო პეტრე, სად განაწილდით? კოლონიაში წარმოებაა, წარმოებას საამქროები აქვს, თქვენ სად ინებებთ მუშაობას?

- სანიტარულ ნაწილში, საწყობში, ბიბლიოთეკაში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში მე არ გავჩერდები. ფიზიკურად მინდა ვიმუშაო.

ჩემს ამ განცხადებაზე დამსწრეთ საერთო გახალისება შეეტყოთ.

- თქვენ ამას მართლა ამბობთ? - მკითხა კოლონიის უფროსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- დიახ, მართალს მოგასხენებთ, მე ფიზიკურად ვიმუშავებ.

შემდეგ კოლონიის უფროსმა განაცხადა:

- პატივცემულო პეტრე, ამ კოლონიაში ჩემი უფროსობის დროს, თქვენისთანა პიროვნება არ ყოფილა. იყვნენ უმაღლების საბჭოს დეპუტატები, თანამდებობის პირები, რომლებიც ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რომ თავი აერიდებინათ ფიზიკური შრომისათვის. თქვენ პირიქით, ამას ითხოვთ?

- სად გავანაწილოთ? - შეეკითხა ბოლოს დამსწრეებს.

სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ბოლოს შეთანხმდნენ ლითონ-კონსტრუქციების საამქროზე. როდესაც კაბინეტიდან გამოვედი, იქვე ჩემი მეგზური დამხვდა და მასთან ერთად დავბრუნდით ადრე აღნიშნულ ოთახში. მისვლისას მახარაძემ მკითხა:

- სად გაგანაწილეს?

- ლითონ-კონსტრუქციების სამქროში.

მას ეს არ მოეწონა და მირჩია:

- იქ მძიმე ფიზიკური შრომაა საჭირო და თუ დამიჯერებთ, თქვენ საერთოდ ნუ იმუშავებთ.

მე მას მტკიცედ გავუმეორე:

- ყოვლად გამორიცხულად მიმაჩნია, რომ მე აქ ფიზიკურად არ ვიმუშავო, რომ შევინარჩუნო ჩემი ჯანმრთელობა, ამისათვის ფიზიკურად უნდა ვიშრომო.

- თქვენი ნებაა. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მე ბარაკში ჩემი საძინებელი ადგილი დაგითმეთ. იქ თქვენთვის ყველაფერი მზად არის და მეც თქვენს გვერდით ვიქნები. ამ ოთახში სამუშაოზე წასვლამდე ვისაუზმოთ, შესვენების დროს კი ვისადილოთ. ეს საერთოდ, კერძოდ დღეისათვის კი, ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად პურ-მარილი გვაქვს მომზადებული და, ალბათ, ამაზე უარს არ გვეტყვით.

მე, რასაკვირველია, მისი წინადადება მივიღე, ისეთი სუფრა გავაწყვეთ, თავისუფლებაში მყოფი კაციც კი არ იტყოდა მასზე უარს.

სუფრამ, მუსიკალური თანხლებით, გვიან ღამემდე გასტანა. შესანიშნავად მღეროდნენ ისინი.

პირველი ღამე ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე, ბარაკში გავატარე. დილას, ჩვეულებრივად, ზარის ხმაზე გვიწვევდნენ ასადგომად. ყველაფერი ეს სწრაფად უნდა მომხდარიყო. დილის საუზმეს ყველა თავის "კუტოკში" ღებულობდა. გავდიოდით "დასათვლელ მოედანზე, შემდეგ კარი იხსნებოდა და ასევე თვლით გვიშვებდნენ წარმოებაში. თუ ვინიცობაა, რაიმე გაუგებრობას ექნებოდა ადგილი სათვალავში, წარმოებიდან ისევ გამოიყვანდნენ ყველას მოედანზე. გულდასმით შეამოწმებდნენ საცხოვრებელ ზონას, ინვალიდ პატიმრებს ადგილზე დათვლიდნენ, მოედანზე მყოფთ ხელახლა გადაგვითვლიდნენ და თუ პატიმრების რაოდენობრივი მაჩვენებელი სწორი იქნებოდა, წარმოებაში სამუშაოდ გაგვიშვებდნენ.

წარმოებაში მისვლისთანავე გავეცანი საამქროს უფროსს, ინჟინერ ბლიაძეს. მან გამაცნო ლითონ-კონსტრუქციების საამქრო, რომელიც ღია ცის ქვეშ იყო და მითხრა:

- რასაკვირველია, ზამთარ-ზაფხულ ღია ცის ქვეშ მუშაობა ძნელია, მაგრამ ...

შემდეგ მან ბრიგადის წევრები გამაცნო, რომლებთანაც უნდა მემუშავა, მათ კი თავის მხრივ გამაცნეს პრაქტიკული საქმე, რაც მომავალში უნდა მეწარმოებინა. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენ განკარგულებაში იყო 100 ტონიანი, 50 და 25 ტონიანი წნეხები. 100 ტონიან წნეხს იყენებდნენ სხვადასხვა შეკვეთების შესასრულებლად. შეკვეთების უმრავლესობა იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან. "გელიოტინაზე" სხვადასხვა ზომის 8-10-12 მმ სისქის რკინის ფურცლები იჭრებოდა, რომელთა წონა 16-25 კგ-მდე იყო. შემდეგ ეს რკინის ფურცლები დასახვრეტად უნდა გაგვეტარებინა 100 ტონიან წნეხში და ყველაფერი ეს ძალიან სწრაფად უნდა განხორციელებულიყო, რადგან გეგმა იყო შესასრულებელი. იყო მცირე ზომის და წონის დასამუშავებელი ლითონის ფირფიტებიც, ყოველდღიურად ბრიგადის ყველა წევრის ხელში უნდა გაევლო 8-10 ტონა რკინას. ჩემი მუშაობის ერთი თვის შემდეგ კარგად გავიცანი კოლონიაში მყოფი პატიმრები, ვინ რა სპეციალობის იყო და მე თვითონ შევეცადე, ბრიგადაში ისეთი მუშაკი გვყოლოდა, რომელიც კარგად ფლობდა წნეხის შესაცვლელ დეტალებს - მატრიცებს, პუანსორებს და

სხვა. დასახელებული ნაწილები ხმარებაში სწრაფად ცვდებოდა და საჭირო იყო მათი განახლება. აღმოვაჩინე, ეროვნული ბიბლიოთეკა ასეთი პიროვნება მუშაობდა მისთვის შეუფერებელ ადგილზე, გვარად გაგლოშვილი, რომელიც, წარმოების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ჩვენს ბრიგადაში მისივე სურვილით გადმოვიყვანეთ.

აღნიშნულ კოლონიაში 10 წელიწადი დავყავი და მუშაობა თითქმის ერთგვაროვანი იყო, ამ წლებს ცალკეულად არ განვიხილავთ. აღვნიშნავ, რომ ჩემი კოლონიაში მისვლის დღიდან, სპეციალისტი-პატიმრები ჩემს მიმართ კეთილი განწყობით იყვნენ და გაცვეთილი ახალი ნაწილების გაჩარხვასა და საფრეზერო დაზგაზე გატარების გეგმას თავიანთი სურვილით უყოყმანოდ მისრულებდნენ. ზოგჯერ მეუხერხულებოდა კიდეც, თავიანთ დაწყებულ საქმეს შეწყვეტდნენ, დაზგიდან ამოიღებდნენ და ჩემს თხოვნას ასრულებდნენ. მთელი 10 წლის განმავლობაში ეს ასე ხდებოდა.

ასეთი ხელის შეწყობამ ჩვენი ბრიგადა წარმოებაში ძალიან დააწინაურა და ყოველთვიური ჩვენი გეგმის შესრულება 200-დან 300%-ს აღწევდა. შემდეგ დაველაპარაკე საამქროს გამგეს და ვთხოვე:

- ხომ არ შეიძლება საამქრომ რაიმე ახალი შეკვეთები მიიღოს მეტალურგიული ქარხნიდან?

ამის საპასუხოდ ორი დღის შემდეგ გამომიძახა და მითხრა:

- დიდი რაოდენობით სჭირდება ქარხანას სხვადასხვა ზომისა და სისქის რკინის "შაიბები".

- ბრიგადის წევრებს მოველაპარაკები და თუ შევძლებთ, შეკვეთას მივიღებთ.

მართლაც, ბრიგადის წევრებმა თანხმობა განაცხადეს და ჩემი იქ ყოფნის პერიოდში რამდენიმე ასეული ათასი ცალის შეკვეთა შევასრულეთ. რადგან 50 და 25 ტონიანი წნეხები ღია ცის ქვეშ იყო მოთავსებული და შესაძლებელი იყო სწრაფად გამოსულყვნენ მწყობრიდან ატმოსფერული პირობების გამო. ჩვენს ინტერესში კი შედიოდა დაზგაც წესრიგში გვქონოდა და სამუშაოც. შენობაში გათავისუფლებულ ერთ მიწის იატაკიან დიდ ოთახში, ყოველგვარი ნებართვისა და შეკითხვის გარეშე ბრიგადის წევრებისა და იქ მომუშავე

პატიმრების დახმარებით, გადავიტანეთ ორივე წნეხი და დავიწყეთ დამონტაჟება. გაითხარა ნიადაგი, გარკვეული სიმაღ-ქის ცემენტის ღუღაბი ჩავასხით შიგ, დავატანეთ სამაგრები და ორი დღის შემდეგ, როდესაც ცემენტი გამოშრა და საყრდენი გამაგრდა, დავამონტაჟეთ წნეხები. ამის შემდეგ უკვე გვქონდა დასაყრდენი წერტილი, რომ სამუშაო შეგვეს-რულებინა გადახურულ ჭერქვეშ, თუმცა დანარჩენი სამუშაო-ები ისევ ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა, სუსხიან ზამთარსა თუ ცხელ ზაფხულში.

მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა. სამუშაოს ვასრულებ 50 ტონიან წნეხზე. ეს სამუშაო ჩვენთვის სწორედ ის ახალი პროდუქცია იყო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. საქმემ ისე გამიტაცა, რომ გამოცხადებული შესვენება არ გამიგია წნეხის ხმაურში. თავს დამადგა კოლონიის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ამირან დოლაბერიძე და ორი პირი - ერთი პროკურატურიდან და მეორე სუკ-იდან. ერთ-ერთმა მათგანმა ძლიერად ჩაახველა და ამით მივხვდი, რომ ჩემთან ვიღაც მოსულიყო. მივხედე და დავინახე ეს სამი კაცი, გამოვრთე წნეხი, მივესალმე მათ. პროკურატურიდან მოსულმა პირმა მკითხა:

- ბატონო პეტრე, თქვენს ანგარიშზე რა რაოდენობის თანხაა?

კოლონიის უფროსი ჩემს პასუხს არ დაელოდა და თვითონ უპასუხა: - 27000 მანეთი.

მოსულებმა ეს გაიკვირვეს და მითხრეს:

- თბილისში ხომ არაფერს დაგვაბარებთ?

- განსაკუთრებულს არაფერს, მხოლოდ როცა დაბრუნ-დებით თბილისში, ჩემი სახელით შევარდნაძეს ჰკითხეთ: როდესაც პატიმრობიდან გავთავისუფლდები, მანქანის ყიდვა მინდა და აქ აღებულ ფულს უკანონოდ ხომ არ ჩამითვლის?!

მათ ხმამაღლა გაიცინეს. შემდეგ მკითხეს:

- შესვენებაზე რატომ არ წახვედით?

- სამუშაომ ისე გამიტაცა, რომ ვერც კი გავიგე როდის დაიწყო შესვენება. ახლა წავალ, რასაკვირველია.

დამემშვიდობნენ და წავიდნენ.

საერთოდ, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კოლონიაში ჩემი შემოწმება თბილისიდან ჩამოსული "სტუმრების" მიერ სისტე-

მატურად ხდებოდა. ამას მარტო მე კი არა, საამქროში მომუშავე პატიმრებიც გრძნობდნენ, იცოდნენ, რომ ჩემს შესამოწმებლად იყვნენ მოსულები. ამიტომ გამახვილებული ყურადღებით ადევნებდნენ მათ თვალს და წასვლისთანავე ჩემთან მოდიოდნენ, მოსულთა შესახებ შთაბეჭდილებებს მიზიარებდნენ. მაგონდება ერთი ასეთი ფაქტი: კოლონიის უფროსი მაიორი ონიანი იყო და ერთხელ შეხვედრისას მითხრა:

- ხმები დადის თბილისში, თითქოს, გელბახიანი ღამეს თავის ბინაში ათევსო.

მე გამეცინა:

- თქვენი აზრი როგორია ამასთან დაკავშირებით?

ჩაფიქრების შემდეგ მიპასუხა:

- ყველაფერია შესაძლებელი.

- თუ ყველაფერი შესაძლებელია, მაშინ დღესვე გამიშვით ჩემი ოჯახის წევრებთან ღამის გასათევად.

- მაგას მე როგორ ვიზამ?

- მაშინ როგორღაა ყველაფერი შესაძლებელი?

- რა ვიცი, ერთი სიტყვით, ამაზე ლაპარაკი აღარ მინდა.

იყო შემთხვევები, ღამით, ძილის დროს, კოლონიის მუშაკთან ერთად კაცი შემოსულა ბარაკში, ჩემს საწოლს მოახლოვებია და ისევ გაბრუნებულა. ჯერ ერთი, მე ფხიზელი ძილი ვიცი და ზოგჯერ თვითონ შემიმჩნევია, ზოგჯერ კი ბარაკში მყოფნი ისე აქტიურად იყვნენ შემართულნი ჩემს დასაცავად, როგორც კი უცხო ვინმე მოვიდოდა, მაშინვე ხმამაღლა ჩაახველებდნენ. გასვლისთანავე მეტყოდნენ, დაგხედეს და წავიდნენო.

ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩემი საცხოვრებელი ბინის ტელეფონი ჩართული იყო და სისტემატურად ისმინებოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თუ ასეთი ხმები მართლა იყო ქალაქში გავრცელებული ჩემზე, რომ ამის მიზეზი ჩემი მოსახელე შვილიშვილი იყო. როდესაც მე კოლონიაში ვიყავი, ის უკვე დიდი იყო და ტელეფონს მოსვენება არ ჰქონდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, მილოცვებიც გახშირდა. ალბათ, ტელეფონის მოსმენის დროს იწერდნენ:

- პეტრე, გილოცავთ!

მათ ეს ჩემზე გადმოიტანეს.

სანახავად ჩემთან ხშირად მოდიოდნენ მხოლოდ ოჯახის წევრები, რადგან სხვას უფლებას არ აძლევდნენ. თვეში ერთხელ კი ოჯახის წევრებითან სამდღიანი პაემანი იყო ნებადართული. მკითხველი ძნელად წარმოიდგენს, ოჯახის წევრებთან ყოველი განშორება, რა ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს პატიმარს.

კოლონიაში 1500-2000 პატიმარი იყო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, დილა გათენდებოდა თუ არა, სამუშაოზე არ გავიდოდა, რომ არ მომსალმებოდნენ, ზოგჯერ ხელს ჩამომართმევდნენ. ამას მე ვთვლიდი ჩემი პიროვნების დიდ დაფასებად და ყოველთვის ვცდილობდი ისინი უყურადღებოდ არ დამეტოვებინა.

ერთ დილით პატიმარმა მინისტრმა მკითხა:

- ბატონო პეტრე, არ გბეზრდებათ ყოველ დილით ამდენი ხალხის მოსალმება და ხელის ჩამორთმევა?

- როგორ შეიძლება კაცს გამარჯობა მოგბეზრდეს?! კი არ მბეზრდება, ძალიან მსიამოვნებს და გარკვეულ მოვალეობასაც კი მაკისრებს.

პატიმრებს თუ კოლონიის ხელმღვანელებთან რამე დასჭირდებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ მე კოლონიაში არავითარი თანამდებობა არ მქონდა დაკავებული, რჩევისათვის და დახმარებისათვის მოდიოდნენ ჩემთან. ძალიან ხშირად მსმენია კოლონიის საცხოვრებელ ტერიტორიაზე ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი პატიმრებისაგან, კერძოდ, მეღვინე სპეციალისტებისაგან, თვალებში ცრემლმორეულნი ლაპარაკობდნენ, რომ ქართველი კაცი ქართული ღვინით ამაყობდა, ახლა კი ე.შევარდნაძემ წყლისა და შაქრის გამოყენებით ქართული ღვინო გაგვაყალბებინა, იმისათვის, რომ მოსკოვის წინაშე ეამაყნა, გეგმას გადაჭარბებით ვასრულებთო. სიგლახე ჩაგვადენინა და შემდეგ ყველა დაგვიჭირა. ერთი მათგანი, როდესაც ამას ჰყვებოდა, მეორენი ამატებდნენ, რომ ეს შევარდნაძის მეთოდი იყო - ჯერ გაგაკეთებინებს და შემდეგ დაგიჭერსო... სამწუხაროდ, ბევრი ასეთი გამწარებული და გაუბედურებული ადამიანი მინახავს რუსთავის კოლონიაში. ბევრი ისეთიც მინახავს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თავს ეკითხებოდა, რისთვის ვარ დაპატიმრებული, არ ვიცი.

1977 წლის მცხუნვარე ზაფხული იდგა რუსთავში და არა მარტო რუსთავში, მთელ საქართველოში. ამ დროს დამიძახა კოლონიის უფროსმა პოლკოვნიკმა კარგაძემ და მითხრა, უმაღლეს სასამართლოში მოწმედ გეძახიანო. თან ეღიმებოდა:

- ახლა თქვენ კაცი ტრიბუნას მოგცემთ?! ალბათ, საქმე რაღაცაშია.

ამის შემდეგ მე მას ვთხოვე, თუ ჩემი წასვლა აუცილებელია, დამეხმარეთ, რომ წამიყვანონ და იმავე მანქანით უკან დამაბრუნონ კოლონიაში. ჩვეულებისამებრ, როდესაც მოწმეს კოლონიიდან იძახებენ, ციხეში მიჰყავდათ და იქიდან ხდებოდა მისი უმაღლეს სასამართლოში მიყვანა.

- შემიძლია. დაცვის უფროსს, გენერალს მოველაპარაკები და მგონი, მაგას შეგისრულებს. მეორე დღეს განმიცხადა, გენერალმა უარი მითხრაო. აუცილებლად ციხეში უნდა წაგიყვანონ და იქიდან სასამართლოზე. სხვანაირად ეს არ მოხერხდებაო, ამიხსნა კოლონიის უფროსმა.

ჩემი ოჯახის წევრებს გაეგოთ, რომ უმაღლეს სასამართლოში მოწმედ მეძახდნენ. ჩემი მეუღლე პირადად მისულა უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობასთან და უთხოვია, თუ ჩემი ქმრის ჩამოყვანა სასამართლოზე აუცილებელია, მაშინ ისე გააკეთეთ, იმავე დღეს კოლონიაში დაბრუნდეს. უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობისათვის შეუხსენებია, როდესაც ჩემს მეუღლეს - პეტრე გელბახიანს ასამართლებდით, მაშინ ვინც გჭირდებოდათ მის საწინააღმდეგოდ, მოწმეები კოლონიიდან შავი ვოლგით მოგყავდთ, ახლა მე თქვენ ამას არ გთხოვთ, მაგრამ პატიმრისათვის განკუთვნილი მანქანით ჩამოიყვანეთ და უკანვე დააბრუნეთო.

არ ვიცი როგორ, მაგრამ მისი თხოვნა მიუღიათ, გამოუტანიათ სამართლიანი დადგენილება და როდესაც რუსთავში ბადრაგები თბილისში ჩემს ჩამოსაყვანად მოვიდნენ და წამომიყვანეს, მითხრეს, სასამართლოს შემდეგ დღესვე უნდა დაგაბრუნოთ კოლონიაშიო. როგორც კი ჩავჯექი მანქანაში, ბადრაგმა მკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თქვენ აკადემიკოსი ხართ?

მე ჯერ არ ვუპასუხე, მაგრამ რამდენჯერმე გაიმეორეს შეკითხვა და მეც დავუდასტურე. ამასობაში ქ.რუსთავში შევედით. მანქანა შეაჩერეს, ჩამოვიდნენ, ნაყინი იყიდეს, ჩემთვისაც. მე მათ დიდი მადლობა გადავუხადე, გზა თბილისისაკენ განვაგრძეთ. ჯერ კიდევ რუსთავის ტერიტორიაზე ვიყავით, მკითხეს:

- იცით, რაზე გეძახიან სასამართლოში?

- არ ვიცი.

- თქვენ ხომ პროვოკაციას გიწყობდით · პოლკოვნიკი ქებურია, ამ საკითხზე ხართ დაბარებული.

ჩავედით თბილისში. უმაღლეს სასამართლოში მე მელოდებოდნენ, პირდაპირ დარბაზში შემიყვანეს, სადაც ერთი წლის წინ ჩემი სასამართლო მიმდინარეობდა. დავიკავე მოწმისათვის განკუთვნილი ადგილი და მოსამართლემ დაიწყო ჩემი დაკითხვა:

- გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი.

მე ვუპასუხე, მხოლოდ დაბადების წელზე ვუთხარი:

- სამი წელი მუშაობდა სუკ-ი და პროკურატურა ჩემი დაბადების წლის დასადგენად, რა დაადგინა, არ ვიცი.

მოსამართლეს გაეღიმა და მითხრა, რაც იცი, ის გვითხარი. შემდეგ მეკითხებიან:

- თქვენი განათლება.

- საშუალო განათლებით.

დარბაზში სიცილი ატყდა. მოსამართლემ კითხვა გაიმეორა:

- თქვენი განათლება გვითხარით.

- როგორ ესეც ჩამომართვეს?

- იცით თუ არა თქვენ, რაზე დაგიძახეს სასამართლოში? თქვენ დაბარებული ხართ გივი თოდუას საქმესთან დაკავშირებით.

- როდესაც ჩემი საქმის გამოძიება დამთავრდა, მასალებში ვნახე, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რეკუნკოვი წერილობით ეკითხებოდა ჩემი გამოძიების მესვეურებს, რატომ აჭიანურებთ გელბახიანის საქმეს, ხან ერთ საქმესთან გინდათ შეაერთოთ, ხან მეორესთან. ახლა გადაგიწყვეტიათ, თოდუას საქმეს დაუკავშიროთ. თოდუას საქმესთან არაფერ

კავშირშია გელბახიანის საქმე. ამიტომ დაუყოვნებლივ დაამთავრეთ გამოძიება და გადაეცით სასამართლოს ამრიგად, ბატონო თავმჯდომრე (სასამართლოს თავმჯდომარე იყო უმაღლესი სასამართლო კოლეგიის წევრი ბლიაძე), როგორც ხედავთ მოსკოვშიც მიხვდნენ, თოდუას საქმესთან რომ არაფერი კავშირი მქონდა.

- აბა, თოდუამ რომ კაცი გამოგიგზავნათ?

- ბატონო თავმჯდომარე, ეგ თოდუას საქმე კი არ არის, ეგ პირადად ჩემი საქმეა.

- აბა, ახლა გვითხარით დაწვრილებით, როგორ მოგიგზავნეს კაცი, რა დავალებით და რა პირობებში მოხდა ეს.

- ბატონო თავმჯდომარე, ამ საკითხთან დაკავშირებით მე თქვენთან მაქვს დიდი თხოვნა. გ.თოდუა სასამართლო პროცესს ესწრება და თვითონ თქვას თავისი პირით, როგორ და რა პირობებში მოხდა ეს. შემდეგ მე დაწვრილებით გიამბობთ ყველაფერს.

თავმჯდომარემ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა და ბრალდებულ თოდუას მისცა სიტყვა, დაწვრილებით მოეხსენებინა ყველაფერი სასამართლოსათვის.

თოდუამ ჩვენების მიცემა დაიწყო:

- მე თვითონ ზუგდიდელი ვარ, ზუგდიდში დავამთავრე საშუალო სასწავლებელი და მყავს ერთი მეგობარი, ჩემი თანასოფლელი, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა. ეს პიროვნება გახლავთ გვარად ქებურია. როდესაც საშუალო სასწავლებელი დავამთავრეთ, მე სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები და ჩავირიცხე კიდეც, ქებურიამ კი მილიციაში დაიწყო სწავლაც და სამსახურიც. მეგობრობა არც თბილისში შეგვიწყვეტია. ძალიან ხშირად მოდიოდა ჩემთან ტექნიკუმში, სადაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დირექტორად ვმუშაობდი. ერთ დღეს, 1973 წლის ზაფხულში, მოვიდა ჩემთან და მითხრა, კარები დაკეტე და მდივანი გააფრთხილე, რომ არავინ შემოუშვასო. მე მისი თხოვნა შევასრულე. შემდეგ მითხრა: მე დღეს ისეთ საქმეზე ვარ შენთან მოსული, ჩვენს გარდა ეს ვინმემ რომ გაიგოს, ცოცხალი ვერც შენ და ვერც მე ვერ გადავრჩებითო. მე ვკითხე, რაშია საქმე, მითხარი-თქო და ქებურიამ მითხრა

შემდეგი: მე შენთან დღეს მოსული ვარ შევარდნაძის
ეროვნული ბიბლიოთეკა
დავალებით, პეტრე გელბახიანის დაპატიმრება გვინდა, მასალა არა გვაქვს საამისო, ამიტომ უნდა მოვუწყო პროვოკაცია. ამ პროვოკაციაზე წამოეგება, შემდეგ ბინასაც გავუჩხრიკავთ და ამრიგად, საქმეც შედგება მის წინააღმდეგ. ეს დავალება რომ შევასრულოთ, შენთან ტექნიკუმში მუშაობს მისი დის შვილი - თაბაგარი, ორგანოებს კარგად აქვს შესწავლილი ამ კაცის ხასიათი, იგი მეტად ფრთხილი და პატიოსანი კაცია. მას უნდა ვუთხრათ, რომ მის ბიძას, პეტრე გელბახიანს, სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ რექტორს ცუდად აქვს საქმე, აუცილებლად დააპატიმრებენ და რომ ამ საქმიდან თავი იხსნას, საჭიროა დიდი რაოდენობთ ფული-თქო. როცა ამას მისი ახლობელი ეტყვის, გამორიცხულია არ შეშინდეს და თავის გადასარჩენად ფული არ გაიღოს. ეს მოხდება, ამაზე სათანადო აქტი გაფორმდება, ბინა გაიჩხრიკება და ამდენად საქმეც შედგება მის საწინააღმდეგოდ.

თავისი სიტყვის დასასრულს თოდუამ თქვა:

- მე არ შემეძლო, ჩემი საუკეთესო მასწავლებლის წინაშე არ მეღიარებინა იმ მზაკვრული გეგმის შესახებ, რომელშიც ჩემდა საუბედუროდ, მეც ჩამითრიეს.

მოსამართლემ მე მომმართა:

- ახლა თქვენ გვიამბეთ, როგორ მოხდა თქვენთან გამოგზავნილი კაცის მოსვლა და რა პირობებში.

- ბატონო თავმჯდომარე, სანამ უშუალოდ თქვენს კითხვას ვუპასუხებ, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა. ადრე უმაღლეს სასამართლოს სინდისის სასამართლოს ეძახდნენ. დღეს რომ ასე იყოს, ამ ჩვენების შემდეგ, მე ისევ კოლონიაში უნდა მივდიოდე?!

მოსამართლემ მხრები აიჩეჩა, შემდეგ დაწვრილებით ვუამბე სასამართლოს ყოველივე. ბოლოს ისევ მივმართე სხდომის თავმჯდომარეს თხოვნით:

- ბატონო თავმჯდომარე, მე უკვე დავამთავრე ჩვენება. მაგრამ დარჩენილი მაქვს დასკვნითი ნაწილი. შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს უკვე აღარ ეხება საკითხს, მაგრამ ჩემი თხოვნაა, ნუ გამაჩერებთ და თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნდებით, ის, რასაც მე ახლა გეტყვით, უშუალოდ ამ საკითხს ეხება.

ჯიბიდან ამოვიღე განაჩენი, რომელიც პატიმარ ისმაილოვის საქმესთან იყო დაკავშირებული, საქმე №13 და გავაგრძელე სიტყვა:

- ჩემს ხელთ არის დოკუმენტი, რომლის მოპოვების შესახებ, ჩემი თხოვნა იქნება, ნუ მკითხავთ. უფლებას ვიტოვებ, არ მოვახსენო სასამართლოს. ამ დოკუმენტში აღწერილია საქმე, როდესაც ციხეში ცემით მოკლეს პატიმარი. პატრონმა ის დაასაფლავა კიდეც, მაგრამ შემდგომში გარდაცვლილს გამოუჩნდა ახლობელი, რომელიც მუშაობდა საკავშირო სუკ-ში. მოახდინეს მიცვალებულის ეგზგუმაცია და დაადგინეს, რომ მიცვალებული ცემით იყო მოკლული. ამის შედეგად გაასამართლეს ციხის რამდენიმე თანამშრომელი მაიორის ჩინამდე და კითხვა - ვინ დაავალა მათ ამ კაცის მოკვლვა - უპასუხოდ დარჩა. ამავე საქმეში არის აღნიშნული, რომ სურდათ პატიმრისაგან მიეღოთ სასურველი ჩვენება, რაზეც ის არ მიდიოდა. პატიმარს მაგარ სასმელებს მიართმევდნენ. არც ეს გაჭრიდა? მაშინ ნარკოტიკულ საშუალებებს გამოიყენებდნენ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს და თუ მაინც ვერ მიაღწევდნენ შედეგს, პატიმარს სცემდნენ, ბოლოს მოკლავდნენ. როდის ხდებოდა ყველაფერი ეს ციხეში? ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა ის პირი, რომელიც დღეს რესპუბლიკას ხელმძღვანელობს. მე ჩემი ჩვენება დავასრულე.

სასამართლოს შემადგენლობა იმდენად დაძაბულად მისმენდა, რომ არავითარი შენიშვნა ჩემთვის არ მოუციათ. დარბაზში ამ დროს ხალხის ტევა არ იყო, გარეთ, დერეფანშიც და კიბეებზეც.

- დაბრძანდით.

მე მას ვთხოვე, თუ ჩემთან მეტი საქმე აღარ ჰქონდათ, დროზე გავეშვით, თორემ შეიძლება ციხეში დამაბრუნონ-თქო. მოსამართლემ მითხრა, რომ არსებობდა პირდაპირ კოლონიაში დაბრუნების დადგენილება, ამიტომ დაბრძანდითო. შემდეგ მან სასამართლო შემადგენლობას ჰკითხა, რამე ხომ არ გინდათ, ჰკითხოთო. კითხვები არ იყო

და მე სასამართლო დარბაზიდან გამათავისუფლეს. როდესაც ჩემთვის ცნობილ მეორე ოთახში გამიყვანეს, საიდანაც ფანჯარ მანქანისაკენ უნდა წავსულიყავი კიბეებზე ჩავლით, ღია კარებში ჩემი მეუღლე გამოჩნდა, რომელიც ბადრაგებმა ახლოს არ მოუშვეს და შორიდან დამიძახა:

- ჩემო პეტრე, ნეტავი არ გეთქვა ეს. კოლონიაში ცუდი არაფერი მოგიწყონ.

- მშვიდად დაბრუნდით სახლში, ვერაფერს მომიწყობენ.

ეს ყველაფერი იმიტომ ვუთხარი, რომ კოლონიაში აბსოლუტურად ყველა პატიმარი, როგორც ერთი, ჩემს მხარეზე იდგა და ასეთ პირობებში ძნელია, პატიმარს რაიმე დაუშაონ. როდესაც ოთახიდან გამომიყვანეს, ბადრაგებს დამსწრე საზოგადოებამ ჩემი თავი ხელიდან გამოსტაცა და "აბურთავება" დამიწყეს, გაიძახოდნენ:

- სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!

ამის შემდეგ ბადრაგებმა მაინც მოახერხეს ჩემი ჩამოშორება დამსწრე საზოგადოებისაგან, ჩამსვეს მანქანაში და "ჩორნაია ვორონამ" კურსი რუსთავისაკენ აიღო.

გზაში სასამართლო პროცესზე თოდუას მიცემული ჩვენება მიტრიალებდა თავში - "მასალა არა გვაქვს და პროვოკაცია უნდა მოვუწყოთ". დამსწრე საზოგადოების ჩემდამი გამოხატული დამოკიდებულება და მართალი სიტყვები მაკავშირებდა ქუთაისში მოწყობილ "მრგვალ მაგიდასთან", რომელსაც წიგნში გოდება - წუხილის მაგიდა ვუწოდე. განა რესპუბლიკის პროკურორმა და იუსტიციის მინისტრმა არ იცოდნენ ეს მასალები, რაც სასამართლო პროცესზე ჩემს შესახებ ითქვა?! განა შეიძლებოდა ჩემს მიმართ მიღებული განაჩენი ხალხს, როგორც ერის განაჩენი მიეღო?! "მრგვალი მაგიდის" მონაწილეებს მსჯელობა მხოლოდ პრესითა და ტელევიზიით მიღებული დეზინფორმაციით წარემართათ?!

კოლონიაში სასჯელის ნახევარი უკვე მოვიხადე; აქტიურ ფიზიკურ მუშაობას ვეწეოდი და სხვა საჭირო მასალებიც უფლებას მაძლევდა, კანონის შესაბამისად, წავსულიყავი მიმაგრებაში. დღისით ქალაქის რომელიმე საწარმოში ვიმუშავებდი და საღამოს ისევ კოლონიაში დავბრუნდებოდი, მაგრამ ჩემს მიმართ ეს შეღავათი შეგნებულად არ იქნა გამოყენებული. როდესაც პატიმრობის 10 წელი შემისრულდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინაც მეკუთვნოდა დასახლებაში გაგზავნა, არცერთ შეღავათი იქნა გამოყენებული. როდესაც პატიმრობის 12 წელი დავამთავრე, 15-დან 3 წელი შეღავათი კანონით იყო გათვალისწინებული და უნდა გავეთავისუფლებინე. ეს შეღავათიც გამოუყენებელი დარჩა. პირიქით, როდესაც პატიმრებს გამოუცხადებდნენ, ვისაც ჯილდოები, ორდენები და მედლები გაქვთ მიღებული, ამნისტია გეკუთვნითო და მე დამინახავდნენ მათკენ მიმავალს, შორიდანვე დამიძახებდნენ:

- პიოტრ გედევანოვიჩ, თქვენ ეს არ გეხებათ!

ამას არ დაჯერდნენ და თავი რომ გაემართლებინათ, სპეციალური საექიმო კომისია მომიწყვეს, ვითომ ჯანმრთელი არ ვიყავი, მუშაობა არ შემეძლო და ამიტომ ჩემზე ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათების გავრცელება არ შეიძლებოდა.

საქართველოში, იმ პერიოდში და დღესაც, აბსოლუტური უმრავლესობა ექიმებისა ჩემი რექტორობის პერიოდთან არის დაკავშირებული. მართალია, კომისიაში ჩემი ორი ყოფილი სტუდენტი იყო, მაგრამ მესამე მაინც მონახეს ისეთი, რომელსაც ინსტიტუტში ჩემს მოღვაწეობასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ეროვნებით ებრაელი ქალი. მან გამისინჯა წნევა და რუსულად მითხრა:

- პიოტრ გედევანოვიჩ, თქვენი მაღალი წნევა გაქვთ.

მე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგად მქონდა შესწავლილი და ვუთხარი:

- მოაბრუნეთ ჩემსკერ რივაროჩის აპარატი.

ის ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი, როდესაც განმეორებით მოვითხოვე, აპარატი შემოაბრუნა და ეს პროცესი ხელმეორედ ჩამიტარა. ვხედავდი აპარატზე, სრულიად ნორმალური წნევა მქონდა.

- სად არის აქ მაღალი წნევა? - ვუთხარი მკაცრად.

- რა ვქნა, პიოტრ გედევანოვიჩ, რა ვქნა - რამდენჯერმე გაიმეორა შეწუხებულმა.

მიუხედავად ამისა, მაინც რაღაც შეთითხნეს, რომ თავიანთი პატრონისათვის "დავალება შესრულებულიაო" მოეხსენებინათ.

1985 წლის 12 ოქტომბერს კოლონიაში ჩამოვიდა ჩემი შვილი და მითხრა:

- დამიძახა რესპუბლიკის პროკურორმა ვ.რაზმაძემ, მამათქვენი ამ დღეებში გათავისუფლდება პატიმრობიდან.

13 ოქტომბერს კოლონიაზე მომაგრებული პორკურორი მოვიდა და მომახსენა:

- ორ დღეში საჭირო პროცედურა უნდა დამთავრდეს და 15-ში თქვენ კოლონია უნდა დატოვოთ.

მართლაც, 15 რიცხვში კოლონიაში სასამართლომ გამოიტანა განაჩენი პატიმრობიდან ჩემი გათავისუფლების შესახებ. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ე.შევარდნაძე საქართველოდან რუსეთში გადაიყვანეს და მაშინ ცკ-ს პირველ მდივნად ბ-ნი ჯუმბერ პატიაშვილი დაინიშნა.

1985 წლის 15 ოქტომბერს მე ჩემს შვილთან და ნათესავებთან ერთად კოლონია დავტოვე, მაგრამ უნდა გენახათ, უნდა ყოფილიყო ფირზე აღბეჭდილი, ის გაცილება, რომელიც კოლონიის პატიმრებმა მომიწყვეს. ხელმძღვანელობამ გვთხოვა, რომ კოლონიის მახლობლად ნაცნობ-მეგობრები თავს ნუ მოიყრიანო. ეს თხოვნა წინა დღეს ჩემს შვილსაც გადასცეს. შევუსრულეთ.

დავბრუნდი ოჯახში, დავბრუნდი, მაგრამ, ვაი, ამ დაბრუნებას! სახლთან მისვლისას, ბარნოვის ქ. №102, სადარბაზოს კართან, ქუჩაში ჩემი მეუღლე მელოდებოდა, ჩვენ კიბეებზე ერთად ავედით, ბინაში შესვლისთანავე დაწვა და ის ლოგინიდან აღარ ამდგარა. 1986 წლის 2 იანვარს ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გარდაიცვალა. უკანასკნელ წუთებში ვკითხე:

- ჩემო თამარ, გულში ხომ არ მიგყვება დარდად რამე? - ხელზე ვემთხვიე.

ძლივს მითხრა:

- მე ბედნიერი ქალი ვიყავი შენთან ერთად, მაგრამ დარდად მხოლოდ ის მიმყვება, შენი საუკეთესო წლები, უსამართლოდ ციხეში რომ გაგატარებინეს.

ამის თქმის შემდეგ მისი სიცოცხლე შეწყდა და ეს ერთი მსხვერპლიც იმის კისერზე იყოს, ვინც ჩემს ოჯახს ასეთი განსაცდელი მოუწყო.

პ.გელბახიანი მეუღლესთან ერთად აშშ-ში
მოგზაურობის დროს. ქ. ჩიკაგო

ჩვენს ოჯახში დატრიალებულმა ასეთმა უბედურებამ თავზარი დაგვცა. გაურკვევლობის წინაშე აღმოვჩნდით, მიცვალებული სად უნდა დაგვესაფლავებინა. ამ დროს დაგვირეკეს ვაკის სასაფლაოდან, თუ არ შეწუხდებით, ამობრძანდით, საფლავის ადგილი შევარჩიოთო. ჩემს მეტად დაშფოთებულ შვილთან გედევანთან, შვილიშვილ პეტრესთან და ერთ-ერთ კარის მეზობელთან პახუმ ნაკაიძესთან ერთად ავედით ვაკის სასაფლაოზე. აქ დაგვხვდნენ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო

პ.გელბახიანის მეუღლე
თ.ბეჟანიშვილი

ჟვანია და მისი ძმა, პროფ. გივი ჟვანია. ამ მომენტმა გარკვეულად შემიმსუბუქა მწუხარება. ქ-ნი ნინო ერთს წუხდა მხოლოდ, რომ საფლავის ადგილი შესასვლელიდან შორს იყო, მაგრამ ამას რას ვჩიოდით? მას მე დიდი მადლობა გადავუხადე, სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ ასე მიპასუხა:

- თქვენ მე მადლობას ნუ მიხდით, ეს თქვენ ხალხის წინაშე გაქვთ გადახდილი.

პანაშვიდებისა და დაკრძალვის დღეს არა მარტო თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან დიდძალმა ხალხმა გაიზიარა ჩვენი ოჯახის მწუხარება. დაკრძალვის შემდეგ რაიონებიდან ჩამოსული ხალხისა და ოჯახის ახლობლებისათვის მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრა გაიწყო, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო. სუფრას უძღვებოდა ჩვენი ოჯახისა და კერძოდ, ჩემი უახლოესი მეგობარი, ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე ბუკა ნაკაიძე. ყველა მოელოდა ჩემგან, ორიოდე სიტყვით მაინც მიმემართა მათთვის, ვინაიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ პირველად მნახა მძიმე დღეებში. ჩემი მეგობარი ამას მიხვდა და ჩემი მეუღლის

თამარ ბეჟანიშვილი იაპონიაში მოგზაურობის დროს

შესანდობარი სიტყვის შემდეგ საჯაროდ მთხოვა, საზო-
გადოებისათის მიმემართა ორიოდე სიტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- 1973 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის ჭირვეულობამ დიდი ხნით ჩამომაშორა საზოგადოებას, საქმეს, ოჯახს. სუკ-ის საპყრობილეში, ძიებისათვის გაუგონარი, სამი წლის განმავლობაში მომა-თავსეს. ოჯახმა და საზოგადოებამ ჩემს შესახებ ამ ხნის განმავლობაში არაფერი იცოდა, ოჯახში სისტემატურად რეკავდნენ მონოტონური ხმით - პეტრე გარდაიცვალაო. ღმერთმა ნურავის განაცდევინოს ის დღეები, რაც მე პირადად არა მარტო სუკ-ში, არამედ, საერთოდ 13 წლის განმავლობაში ჩემი თვალით ვნახე და განვიცადე. მიუხედვად იმისა, რომ 13 წლის განმავლობაში მოწყვეტილი ვიყავი ყველაფერს, ყოველთვის ვგრძნობდი, არა მარტო ჩემი ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების, არამედ საზოგადოების მხარდაჭერას. ისე აამუშავეს კომუნისტური რეჟიმის მექანიზმები, ვშიშობდი ზოგისთვის მაინც არ შეეცვალათ აზრი-განწყობა ჩემს მიმართ. მაგრამ, რადგან ხსენებული მექანიზმი ცრუ საფუძველზე იყო დამყარებული, საზოგადოებრივ აზრზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს. ამაში მე დამარწმუნა გათავისუფლების პირველი დღეებიდანვე, ჩემს მისამართზე მოსულმა უამრავმა ბარათმა უცხო პირებისაგან, სადაც გადარჩენას და გამარჯვებას მილოცავდნენ. გადარჩენით ნამდვილად გადავრჩი, მაგრამ გამარჯვების რა მოგახსენოთ, ამდენი ტანჯვისა და წამების შემდეგ, მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად იყო ჩემთვის საჭირო, ხელიდან გამომეცალა ყველაზე ახლობელი და საუკეთესო მეგობარი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით - ნამდვილი მეუღლე, რომელთანაც ბევრი გამარჯვება და სიხარული მაკავშირებდა, ჩემი მოღვაწეობის არც თუ მცირე წლებს საზოგადოებისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის უქმად არ ჩაუვლია. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ ნათლად დამანახა დიდი პატივისცემა და ყურადღება ხალხისაგან, რისთისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ჩემი დიდი მწუხარება გაიზიარა, სითბო და სიყვარული არ დამაკლო. მადლობას მოვახსენებ იმ პირებსაც, სხვადასხვა მიზეზების გამო რომ ვერ დაესწრნენ ჩემი მეუღლის დაკრძალვას, ვიცი,

ისინი სულით და გულით ჩემთან არიან. დიდი მადლობა ყველას.

ქართული ტრადიციის, წესისა და რიგის მიხედვით ოჯახში აღვნიშნეთ გარდაცვალებიდან მე-40 დღე და წლისთავი. არ შემიძლია, არ გავიხსენო ჩემი მეუღლის სასაფლაოს კეთილმოწყობის შესახებ. ჩემმა მეგობარმა არქიტექტორმა რევაზ ბაირამაშვილმა თავისი სურვილით შეადგინა საფლავის არქიტექტურული გეგმა, ჩემთან ბინაზე მოვიდა და ამიხსნა ნახაზის შინაარსი, მე ვუთხარი:

- ამის გაკეთებას ვერ შევძლებ, რადგან გათვალისწინებულია ისეთი ქვებით მოპირკეთება, რომელიც საქართველოში არ არის.

მან მითხრა:

- საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრთან წავიდეთ, მეც წამოვალ თქვენთან ერთად. მის განკარგულებაშია ქვის ყველა სახელოსნო და აუცილებლად დაგეხმარებათ.

მე კიდევ გავუმეორე:

- მინისტრს პირადად არ ვიცნობ და ისე მისვლა მასთან მიძნელდება.

- არ შეიძლება ის შენ არ გიცნობდეს.

ჩემს შვილ გედევანთან ერთად წავედით სამივენი კონსტანტინე სალიასთან. მისვლისას მდივანმა მითხრა:

- თათბირისათვის ემზადება და არავის ღებულობს - თან დააყოლა, - რა გვარის ბრძანდებით?

გვარის თქმის შემდეგ, თქვა:

- მაინც შევალ და მოვახსენებ.

რამდენიმე წუთში თვით მინისტრი შეგვხვდა კაბინეტის შესასვლელ კართან და მაგიდასთან მიგვიწვია.

მივმართე:

- თქვენ მე პირადად არ მიცნობთ და ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ.

- რას ბრძანებთ, ბატონო პეტრე, თქვენ საქართველოში კი არა საქართველოს ფარგლებს გარეთ გიცნობენ და ჩემთვის უხერხული იქნება, რომ არ გიცნობდეთ.

მოვახსენე ჩემი გასაჭირი და მან მაშინვე მიპასუხა:

- ნუ წუხხართ, ყველაფერში დაგეხმარებით და ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც ეს არქიტექტორის მიერ არის შემუშავებული.

- მან გამოუძახა სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს და დაავალა მას: - ბატონ პეტრეს გაქვეთ სამმართველოში, დაეხმარეთ იქ ამ საქმის მოწესრიგებაში. აუხსნა რა საქმეზეც იყო ლაპარაკი.

- მე სამმართველოს უფროსს დავუკავშირდები თქვენს მისვლამდე. თქვენთან ერთად ყველაფერს გააფორმებს, რაც საჭირო იქნება.

მანქანაში ჩასხდომამდე გაირკვა, რომ სამინისტროს განყოფილების გამგე გახლდათ საქართველოში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჩიქოვანის ქალიშვილი, სპეციალობით ინჟინერი, რომელიც მე კარგად მიცნობდა. ის არა მარტო სამმართველოში მიგვყვა, არამედ სამმართველოდან თბილისის ზღვაზე მოთავსებულ ქვის სახელოსნოშიც წამოგვყვა, იქ ყველაფერი გაარკვია, შეკვეთა მიიღეს და სახელოსნოს უფროსს მტკიცედ უთხრა:

- მინისტრის დავალება ხარისხიანად და დროულად უნდა იყოს შესრულებული. ისე, რომ აქ მეორედ მოსვლა არ დაგვჭირდეს არც მე და არც ბატონ პეტრეს.

მართლაც, სახელოსნომ დროულად და ხარისხიანად შეასრულა ყოველივე და ვაკის სასაფლაოზე 40-ისათის უკვე დასრულებული იყო ჩემი მეუღლის საფლავი, რომელიც საბურთალოს ქვის დამამუშავებელი სახელოსნოს უფროსის ბიჭიკო მანაგაძის ხელმძღვანელობით შესრულდა.

იმ დღიდან მოყოლებული კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ჩემი მეუღლისადმი პატივისცემის ნიშნად, საფლავზე არ მივსულიყავი.

ჩემი მეუღლის გარდაცვალების სამი თვის შემდეგ, ჩემმა რძალმა ნუციკომ და ჩემმა შვილმა - გედიმ მთხოვეს:

- სახლში რომ დავჯდეთ და თბილისიდან არსად გავიდეთ, ამით არაფერი გაკეთდება. 13 წელი ციხეებსა და კოლონიებში იყავი, ამიტომ ქალაქიდან გავიდეთ. ჩვენ ვფიქრობთ, ვინაიდან ყველაზე მეტად გაგრა გიყვართ, სწორედ იქ გავემგზავროთ.

მე მათი წინადადება მივიღე და ვთხოვე, რომ გზაზე ზუგდიდში, ჩემი მეგობრის ხარიტონ ჯანაშიას საფლავსაც ვნახავ-თქო. ზუგდიდში ჩასვლისას ვესტუმრეთ ჯანაშიას ოჯახს. დავისვენეთ ცოტა ხნით. ხარიტონის მეუღლემ ხარიტონის ძმას ჩვენი ჩასვლის შესახებ შეატყობინა, რომელიც

მე კარგად მიცნობდა. სასაფლაოზე ყველანი გავედით და ჩემი მეგობრის საფლავი ყვავილებით შევამკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ავადმოსაგონარ დღეებში ჩემს მეგობარს სუკ-ში დაკითხვიდან დაკითხვებზე ატარებდნენ, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ რამე ეთქვა. იგი დიაბეტით იყო ავად. ამ მდგომარეობამ მოუსწრაფა სიცოცხლე და გარდაიცვალა, ეს კიდევ უფრო ამწვავებდა ჩემს შეგრძნებებს. სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მის მეუღლეს ვემშვიდობებოდით, გვითხრა:

- ასე ვერ წახვალთ ზუგდიდიდან, თქვენი საპატივცემულო სუფრა უკვე გაშლილია და გველოდებიან.

გაგრამდე კიდევ დიდი გზა გვქონდა გასავლელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, დავთანხმდით.

ოჯახში შესანიშნავი სუფრა იყო გაშლილი. რამდენიმე წუთის შემდეგ ხარიტონის ძმისშვილები ჩამოვიდნენ სოხუმიდან, რომლებიც იქ მუშაობდნენ და რომლებისთვისაც შეუტყობინებიათ ჩვენი იქ ყოფნა. ვისადილეთ და მანამ არ გამოგვიშვეს, სანამ არ შეგვიპირეს გაგრიდან სოხუმში ჩვენი სტუმრობა.

პ.გელბახიანი შვილთან და რძალთან ერთად პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ (1988 წელი)

ამის შემდეგ გავემგზავრეთ და საღამოს ჩავედით კიდევ გაგრაში ჩემი შვილის მუშაობის დროს შეძენილ მეგობრებთან ალექსანდე დარასელიასთან და მის მეუღლე ლეილასთან დავბინავდით. ორი დღის შემდეგ, დაპირებისამებრ, ჩავედით სოხუმში, სადაც ქალაქის ექიმთა საზოგადოებამ დიდი შეხვედრა-წვეულება გაგვიმართა, საღამოს ისევ გაგრაში დავბრუნდით. მეორე დღეს ჩვენმა მასპინძელმა გაგვასეირნა რიწის ტბაზე. კიდევ ორი დღე დავრჩით და შემდეგ მასპინძლებს მადლობა გადავუხადეთ და დავბრუნდით თბილისში.

ამასობაში ჩემი სოფლიდან გამოგზავნილი მოწვევა დამხვდა, სადაც 13 წლის შემდეგ პირველად მომიხდა ჩასვლა. ჩემი ოჯახის ყველა წევრთან და ახლო ნათესავებთან ერთად სოფელში ჩემმა დებმა, რომლებიც ცოცხლები დამხვდნენ, დისშვილებმა და მათმა შვილებმა მოიყარეს თავი ჩვენს მამა-პაპურ კერასთან. დიდად გაიხარეს და მეც გამახარეს, მაგრამ ამ სიხარულს შავ ზოლად გაჰყვებოდა მწუხარება იმისა, რომ პირველი შემთხვევა იყო ბუნიკაურში თამარის გარეშე ჩვენი ჩასვლისა. ჩემმა დებმა სიხარულთან ერთად თვალებზე ცრემლმორეულებმა გაიხსენეს თამარის ნათქვამი, როდესაც მოვკვდები, აუცილებლად ბუნიკაურში დამასაფლავეთო.

- მის დანაბარებს ყველაფერს სათუთად ვასრულებთ, მაგრამ ეს ვერ შევუსრულეთო, მითხრეს.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა გამართა სადილი. გაიშალა სუფრა აბაშიძეების ეზოში, რომელიც, ენა ვერ აღწერს ისეთი მოხდენილია მწვანე მდელოთი და დიდი კაკლის ხეებით, რომლის ჩრდილქვეშ გაშლილ სუფრას ჩემი ბიძაშვილის შვილი - ვაჟა გელბახიანი უძღვებოდა, ცოცხალი რომ გადავრჩი და მათთან ერთად ვიმყოფებოდი, ჩემს მშობლიურ სოფლელებთან შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

ერთი კვირა დავრჩით და შემდეგ კვლავ თბილისში დავბრუნდით. ერთ საღამოს ჩემს შვილთან და შვილიშვილებთან ერთად მელიქიშვილის ქუჩაზე გავიარეთ. ამ ქუჩასთან ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები მაკავშირებდა. მივუახლოვდით იმ შენობას, რომელიც თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ტუბერკულოზის ინსტიტუტისათვის. იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მეცნიერის

პროფ. აბაკელიას ხელმძღვანელობით აშენდა. შემდეგ, როდესაც ტუბერკულოზის ინსტიტუტი ქალაქგარეთ ააშენეს, აკადემიკოსმა კონსტანტინე ერისთავმა სათანადო კაპიტალური რემონტი ჩაატარა და სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი განათავსა იქ. ამ შენობაში 19 წლის განმავლობაში მომიხდა მუშაობა და როდესაც შენობის აბრაზე დავინახე წარწერა: "პარტიის კალინინის რაიკომი", განვცვიფრდი. მოგვიანებით აბრა ისევ შეცვალეს - "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი".

ადრე არსებობდა დადგენილება, რომ ჯანმრთელობის სისტემისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სხვა უწყებას გადასცემოდა. ეს დადგენილება უგულვებელყვეს და შენობის ნაწილში მოთავსებული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სატირალზე რომ არაფერი ვთქვათ, სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი კი ასათიანის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის შეუფერებელ შენობაში გადაიტანეს. გეგმით, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის შემაერთებელი კორპუსი დასრულდებოდა, რექტორატი იქ უნდა გადასულიყო და მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე რექტორატის ყოფილ შენობაში უნდა განთავსებულიყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზებით, მხოლოდ ამ შენობის რამდენიმე ოთახი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული კობის ქუჩაზე მოთავსებულ სამშობიარო სახლთან, მას უნდა გადასცემოდა, ვინაიდან სივიწროვეს განიცდიდნენ.

შევეურებდი შენობას და ვფიქრობდი ყოველივე იმაზე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, გულმოკლული დავბრუნდი სახლში გასეირნებიდან.

ჩემი განცვიფრება გამოიწვია ყველაფერმა ამან-თქო, მოგახსენეთ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მე თავს გადამხდა, რაღას შეეძლო განცვიფრება გამოეწვია ჩემში.

პ.გელბახიანი – ჩოხოსანთა წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პ.გელბახიანი – 1995 წ.

ქართველი ხალხი დიდი ხანი ოცნებობდა თავისუფალი, ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. მაგრამ კომუნისტური დიქტატურის პირობებში ამის მიღწევა მეტად რთული იყო. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩანასახი არც თუ ისე მცირე ისტორიულ პერიოდს მოიცავს. რასაკვირველია, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრულყოფილი დახასიათება, რადგან ამისათვის არსებობენ პოლიტიკოსები, ისტორიკოსები, რომლებიც ამ საქმეს უფრო კვალიფიციურად გააშუქებენ. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, ზოგადად მიმოვიხილოთ მე-20 საუკუნის დასასრულის საქართველოს მდგომარეობა. ცნობილია, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ კომუნისტური ხელისუფლების ბრძოლა. როცა ამას ვამბობთ, გვაგონდება მოძრაობის მოწინავე ახალგაზრდობის დარბევა-დაპატიმრებები. რეპრესიები თავდაპირველად მცირერიცხოვან ჯგუფს ეხებოდა, შემდგომ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გარშემო დღითიდღე იზრდებოდა მებრძოლი ახალგაზრდების რიცხვი. გამოკვეთილად ჩანდნენ ზვიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მათი წინამძღოლობით ამ მოძრაობამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

1989 წლის 9 აპრილს კომუნისტური რეჟიმის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგის ბარბაროსულ დარბევას ახალგაზრდების სიცოცხლე შეეწირა. 9 აპრილის ამბებმა უფრო შეაკავშირა მოძრაობის მონაწილეთა რიგები და მათი წინააღმდეგობა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ უფრო გამძაფრდა. ხალხის ფართო მასებმაც ნათლად დაინახა არსებული რეჟიმის საფუძვლის მოროყევა და 1990 წლის ზაფხულში დაიწყო საპროტესტო აქციები, რათა ხელისუფლებას დაენიშნა უზენაესი საბჭოს არჩევნები, მიეღო დემოკრატიული კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა სრულიად საქართველომ მიიღო.

ეროვნული მოძრაობის ერთიანობამ, სამართლიანმა ბრძოლამ შეუძლებელი შეძლო, საქართველოში საბოლოოდ დამარცხდა კომუნისტური ხელისუფლება. საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად საქართველოში განხორციელდა კომუნისტური დიქტატურის დამხობა სისხლის ღვრის გარეშე. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ პირველად შექმნა ეროვნული ხელისუფლება საქართველოში – უზენაესი საბჭო და მთავრობა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მოაწყო საერთო სახალხო რეფერენდუმი. კენჭისყრაზე იდგა ერთადერთი საკითხი:

თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის 99,08 %-მა ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. 1991 წლის 9 აპრილს, ეყრდნობოდა რა საერთო-სახალხო რეფერენდუმის შედეგებს, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, რომელიც ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის 14 აპრილის სხდომამ მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ. სესიაზე მიღებული კანონის თანახმად 1991 წლის 26 მაისს გაიმართა საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველთა 87 %-მა ხმა მისცა ექვსი კანდიდატიდან ერთს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

ქართველმა ერმა უდიდესი ნდობა გამოუცხადა მას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენელს. მიუხედავად ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერისა ეროვნული ხელისუფლების მიმართ, გამარჯვების პირველივე დღეებიდან დაიწყო იმპერიული ძალების და საქართველოში მათი აგენტურის გააფთრებული ბრძოლა ქართველი ერის ნების წინააღმდეგ, მოსკოვიდან დეზინფორმაციის გავრცელება და ცილისმწამებლური პროპაგანდა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. მოსკოვის აგვისტოს პუტჩის შემდეგ სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში დაიწყო ე.წ. ოპოზიციის საპროტესტო აქციები, მიტინგები და 22 დეკემბერს სხვადასხვა უკანონო ფორმირებების, რუსეთის ჯარის ნაწილებისა და წითელი ინტელიგენციის მონაწილეობით, იერიში მიიტანეს მთავრობის სასახლეზე.

1992 წლის 6 იანვარს, მოსალოდნელი დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, პრეზიდენტმა, უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა და მთავრობის წევრებმა დატოვეს საქართველო. საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ იჯევანს (სომხეთი) შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს. ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება ძალის გამოყენებით იქნა დამხობილი, ეს იყო რევანში საქართველოში პარტოკრატიისა და მაფიოზური სტრუქტურებისა, რევანში მოსკოვის იმპერიალისტური ძალებისა საქართველოს კვლავ ხელში ჩასაგდებად.

1992 წლის 7 მარტს საქართველოში გადატრიალებისა და დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ე.შევარდნაძე ჩამოფრინდა თბილისში. აერეპორტში მას

თანამოაზრენი დახვდნენ. ე.შევარდნაძემ საჯაროდ გადაუხადა მადლობა შეიარაღებული გადატრიალების მონაწილეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში დაიწყო რეპრესიები. ეროვნული ძალები, პოლიტიკური მშვიდობიანი ბრძოლის გზით – მიტინგებით, მანიფესტაციებით წინააღმდეგობას უწევდნენ რეჟიმს, რომელსაც არაერთი ქართველი შეეწირა. რეჟიმი დღითიდღე ამკაცრებდა რეპრესიებს და ამ სტრიქონების წერის დროსაც არ შეწყვეტილა კანონიერი ხელისუფლების მომხრეების დევნა-შევიწროება, დაპატიმრებები, კოლონიები აივსო პოლიტიკური პატიმრებით.

საქართველოში მომხდარი ადამიანის უფლებათა დარღვევების გაუგონარი მოვლენები ჩემს ოჯახსაც შეეხო.

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე საქართველოში ძალიან ბევრჯერ შეიცვალა ხელისუფლება, რომლის თვითმხილველი და მომსწრე ვყოფილვარ. ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნის სათავეში მოსულა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ხალხის სასარგებლო საქმე უკეთებია, ყოფილა პირიქითაც. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩემს საყვარელ სამშობლოს ისეთი განათლებული და პატიოსანი ხელმძღვანელი ჰყოლოდა, რომელიც თავისი ხალასი ნიჭითა და შემართებით იქნებოდა ერისა და ხამშობლოს ჭეშმარიტად გულითმოყვარე. საქართველოში ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებამ ჩემს ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია. ოჯახის ყველა წევრი ვფიქრობდით და ვცდილობდით გარკვეული წვლილი შეგვეტანა ეროვნული ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან სწრაფად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება.

კაცი იმედით ცხოვრობსო, ნათქვამია.

დღეს სვეტიცხოვლობაა. შინაგანი ძალა კიდევ მომდევს, მაგრამ... რამდენი რამ მინდოდა კიდევ დამეწერა, მახსენდებოდა ფრაგმენტები ჩემი ცხოვრებიდან, უამრავი ფრაგმენტი, როგორც ცოცხალი სურათები, მაგრამ ყველაფერს ვერ იტყვის კაცი. მხოლოდ ერთს დავამატებ: თუ ჩემი შვილისა და შვილიშვილის ნახვას ვერ მოვესწრები, გადაეცით – სიცოცხლის ბოლო წუთამდე ველოდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთმინებამ გაუძლოს

ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს წამი, როცა თავს კონტროლს ვერ გაუწევ და რაღაცას დააშავებ – მიამბობს ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი და აღარ იცის, როგორ დამალოს სვირინგებით აჭრელებული ხელები.

– დიდ დანაშაულს კი არავინ გაპატიებს, ალბათ, საკუთარი თავიც. ის დრო, როცა სასჯელს იხდი, ადამიანის ბიოგრაფიას არ ეთვლებაო, ამბობენ. ციხეში გატარებულმა წლებმა, ჩემს სულსაც სამუდამო დაღი დაასვა, მაგრამ მათ დაკარგულად მაინც ვერ ჩავთვლი. და იცით, რატომ? რვა წლის განმავლობაში იმ ავადსახსენებელ დაწესებულებაში ისეთი ადამიანის გვერდით მომიხდა ყოფნა, რომელმაც ჩემი და ბევრი ჩემნაირის ცხოვრება, მართლაც რომ შეცვალა და სულ სხვა გზაზე დაგვაყენა. ეს კაცი ბატონი პეტრე გელბახიანი იყო.

მერე თითქოს თავისთვის, ფიქრში წასული, განაგრძობს:

– შორიდან ყველაფერი სხვაგვარად ჩანს. ნუთუ არავის აინტერესებს, რატომ მონათლეს ბოროტმოქმედად ბატონი პეტრე? რა იყო მართალი და რა იყო ტყუილი? რას ფიქრობს ახლა ყოველივე ამაზე ერთ დროს საქვეყნოდ ცნობილი კაცი, რომელმაც დაუნდობლობისა და გაუტანლობის წარმოუდგენელი ტკივილიც განიცადა?!

ამ კაცის ნაამბობმა ძველი გაზეთი გამახსენა.

1989 წლის 18 ოქტომბერს გაზეთ "სახალხო განათლებაში" ბატონი მერაბ ალექსიძე წერდა: "აკადემია დიდ ხანს ვერ ჩამოიცილებს იმ ლაქას, რომელიც მას თხუთმეტიოდე წლის წინ მოეცხო, როდესაც მან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კონიუქტურული კაპრიზი ერთხმად (?) შეასრულა და გარიცხა თავისი რიგებიდან ბოროტმოქმედებაში მხოლოდ ეჭვმიტანილი თავისი წევრ-კორესპოდენტი (პეტრე გელბახიანი – ე.მ.), რითაც უხეშად დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმციის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი".

გელბახიანის საყოველთაოდ გახმაურებული პროცესის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ თურმე ყველაფერი, რაც მაშინ დაიწერა, წვრილმანი ინფორმაციაც კი გელბახიანების ოჯახში საგულდაგულოდ აქვთ შენახული, როგორც

განუკითხაობის მატიანე. (ბატონი პეტრე მემუარებსაც წერს და ალბათ, როცა საჭიროდ მიიჩნევს, გამოაქვეყნებს კიდეც). აი, 1974 წლის 7 მაისს გაზეთები "კომუნისტი", "თბილისი", "სოფლის ცხოვრება", ისინი ერთხმად (!) გმობენ მეცნიერის საქციელს, მართლაც, რომ მიწასთან ასწორებენ მას.

პრესამ მას არც შემდეგ დააკლო გულმოდგინება, მაგრამ, ეტყობა მაინც გაჭირდა საზოგადოებრივი აზრი სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის წინააღმდეგ მიმართულიყო და 1977 წელს სწორედ ამის გამო ჟურნალ "განთიადის" "მრგვალ მაგიდას" მოუსხდნენ საქართველოს სსრ მაშინდელი პროკურორი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი და ცნობილი მწერალი, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოესპოთ საფუძველი ხალხში გავრცელებული აზრისათვის, რომ სასამართლომ გელბახიანს თითქმის ვერაფერი დაუმტკიცა და ვერაფერი აღმოუჩინა... "განაჩენი აბსოლუტურად დასაბუთებული და სამართლიანი იყო – ბრძანებდა "მრგვალი მაგიდის" წამყვანი და სრულიად ლოგიკურად დასძენდა: მაგრამ ამოდენა დანაშაულის დროს განაჩენი მაშინ არის განაჩენი, როცა მას ხალხი გაიზიარებს, როცა ეს განაჩენი ხალხის, ერის განაჩენად იქცევა"...

და მართლაც: რატომ, რატომ არ გაიზიარა ხალხმა სასამართლოს განაჩენი, სამართლიანი განაჩენი ხომ ხშირად თავისთავად იქცევა ხოლმე საზოგადოებრივ აზრად, მას "მრგვალი მაგიდის" მოწყობა არ სჭირდება (!). ეტყობა, მართლაც იყო, რაღაც ისეთი... მაგრამ მოდით ნუ გავაგრძელებთ სიტყვას ამის თაობაზე. როგორც იტყვიან, მოსახდენი მოხდა.

საინტერესოა, თვითონ რას ფიქრობს ცხოვრების განვლილ გზაზე იგი, როგორ აფასებს მტერ-მოყვარის საქმესა და საქციელს. საუბარს ბატონი პეტრე მშობლიური სოფლის გახსენებით იწყებს:

– სოფელ ბუნიკაურში დავიბადე, ჭიათურის რაიონში, ჩემი მშობლები სალომე ტაბატაძე და გედევან გელბახიანი, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები იყვნენ. 14 წლამდე სოფელში ვიზრდებოდი. მერე მაღაროში დავიწყე მუშაობა, დღე ვსწავლობდი და ღამე ვმუშაობდი. ასე დავამთავრე ჭიათურის საშუალო სასწავლებელი. ორი წელი სოფლის

მასწავლებლად ვმუშაობდი. 1932 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. დიპლომი 1936 წელს ავიღე და იქვე დამტოვეს ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1942 წელს რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს უფროსად დამნიშნეს. მაშინ მხოლოდ ექვსი წლის სამუშაო სტაჟი მქონდა. ინსტიტუტთან კავშირი არ გამიწყვეტია. 1946 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და დამამტკიცეს დოცენტად. 1949 წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ უარს ვამბობდი, სამედიცინო ინსტიტუტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის გამგედ ამირჩიეს. სხვათა შორის, ეს თანამდებობა მეკავა 1973 წლის აგვისტომდე, დაპატიმრებამდე. 1959 წელს უკვე სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ვიყავი. რექტორობიდან უფრო ადრე, 1972 წლის ოქტომბერში დამითხოვეს. ჩემი საქმის გამოძიება სამ წელიწადს გაგრძელდა. მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ კი სამი თვის განმავლობაში გააფორმა თავის უმაღლეს ორგანოში პარტიიდან და შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ჩემი გარიცხვა. დასჯაც არის და დასჯაც, მაშინ კიდევ არ მეგონა, რომ წინასწარ მომზადებული სპექტაკლივით წარიმართებოდა ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ახლაც ცხადად მახსოვს, როგორი ინფორმაცია გააკეთეს ბიუროზე. ძირითადად ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის საკითხს იხილავდნენ. პარტკომმა ვერაფერი უპასუხა ბიუროს. მერე ჯერი ჩემზე მიდგა (მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ყველაფერი სწორედ იმისათვის იყო გათვლილი, რომ საბრალდებო სკამზე აღმოვჩენილიყავი). სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა მეორე მდივანმა ჩარკვიანმა აიღო, მან შეძლებისდაგვარად დაიცვა ჩემი ინტერესები, ჩემი წიგნის რეზიუმეც კი მოიხმო და დასძინა, ამის დამწერ კაცზე ლაპარაკი იოლი არ არისო. ინაურმა თქვა, გელბახიანს ვინ არ იცნობს, მას საზღვარგარეთაც იცნობენო და მოულოდ-ნელად დასძინა, უამრავი საჩივარია მასზე შემოსულიო. გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იყო ჩემი გათა-ვისუფლება რექტორის თანამდებობიდან. ბოლოს მკითხეს, თქვენ რას იტყვითო. მე რა უნდა მეთქვა, თოთხმეტი წელი რექტორი ვიყავი და სიცოცხლის ბოლომდე მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუთმობლობის პრეტენზია რატომ უნდა გამჩენოდა. ანდა, ჩემს სიტყვას რა მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი ის იყო, ეროვნული კათედრის გამგედ ვრჩებოდი და სამეცნიერო მუშაობას, ცხადია, უკეთესად განვაგრძობდი. ამბავს ასე დეტალურად იმიტომ ვყვები, რომ ახლა ვხვდები, როგორ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმიყვანეს საბრალდებო სკამთან. მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე თურმე მისმენდნენ ტელეფონით, მიღებდნენ სურათებს სტუმრად ყოფნისასაც კი, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩემი არც ერთი ნაბიჯი.

–საზღვარგარეთ როგორღა ახერხებდით მუშაობას?

–გეტყვით, ჟურნალ "განთიადში" რომ წერია, პეტრე გელბახიანი მსოფლიოს საერთო სისტემათა კიბერნეტიკის საბჭოს წევრი და კიბერნეტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საერთაშორისო ჟურნალის "გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა ბიოლოგიასა და მედიცინაში" სარედაქციო საბჭოს წევრი იყოო, ამის შესახებ მეც "განთიადიდან" გავიგე, ხოლო ჟურნალის რედაქტორს ვინ უთხრა, არ ვიცი. თუმცა ჯობს ისევ წედანდელ საუბარს დავუბრუნდე. ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იმ ადამიანებს, ვისაც ახლობლად მივიჩნევდი, საერთოდ, არაფერი უთქვამთ, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვძრახავდე ვინმეს, უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა ლაპარაკს. რასაც "ზემდგომნი" იტყოდნენ, ის უთუოდ უნდა დამტკიცებულიყო. მეტი განუკითხაობა რაღა იქნება – ჩემი მშობლიური რაიონის, ჭიათურის მცხოვრებლებს ჩემი ლანძღვის ბარათი დააწერინეს (თუ დაწერეს) და დეპუტატობიდან დამითხოვეს, კარგად არ მუშაობსო. მაგრამ ჭიათურის მშრომელებზე რა უნდა ვთქვა, როცა აქ ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში, შემდეგ მეცნიერებათა აკადემიაშიც იგივე ამბავი დატრიალდა. დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ პარტიული ფუნქციონერების აქტიური მონაწილეობით დიდი ხმაურით გამრიცხეს მეცნიერებათა აკადემიიდან. განა არ შეიძლებოდა ეს თუნდაც სასამართლოზე განაჩენის გამოტანის შემდეგ მომხდარიყო. მაგრამ მიზანი შექმნილიყო საზოგადოებრივი აზრი და სათანადო ზეგავლენა მოეხდინათ სამართალდამცავ ორგანოებზე – ასე ხომ უფრო იოლად შესრულდებოდა. მე წინასწარი პატიმრობის საკანში ვიყავი ჩაკეტილი. აი, იზოლატორს რომ

ეძახიან. გარეთ კი არნახული გულმოდგინებით ჩხრეკდნენ ჩემს ბინასა და აგარაკს, ჩემი ოჯახის წევრები ნათესავები შეეხიზნენ. ამავე დროს ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩემი მონაწილეობის გარეშე არჩევდნენ ჩემს მეცნიერულ ნაშრომებს. სიტყვა მიგრძელდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მაშინ, როცა მე ხარისხი დავიცავი, ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები: ალექსანდრე ალადაშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, გრიგოლ დიდებულიძე, იოველ ქუთათელაძე, პეტრე ქავთარაძე, კონსტანტინე ერისთავი, ირაკლი ტატიშვილი, ვლადიმერ ჟღენტი... აი ამ ხალხმა მომანიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 20 წლის შემდეგ იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რაღა თქმა უნდა, არა საკუთარი ინიციატივით, დააყენა საკითხი მის ჩამორთმევაზე. ახლა მე ისიც ვიცი, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა მაშინ მოსკოვში უმაღლეს საატესტაციო კომისიაში, რომელმაც აშკარა უკანონობის გამო დიდ ხანს არ განიხილა ეს საკითხი. საინტერესოა ისიც, რომ ჩემს საქმეში არის დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, როგორ ემუდარება რესპუბლიკის მაშინდელი პროკურორი საატესტაციო კომისიას, განიხილოს გელბახიანისათვის ხარისხისა და წოდების ჩამორთმევის საკითხი.

– სასამართლო პროცესის დროს უკვე ყველგან იყო განხილული თქვენი საკითხი?

– დიახ, რა თქმა უნდა, გაწვეული ვიყავი დეპუტატობიდან, ჩამორთმეული მქონდა ხარისხი და წოდებები, გარიცხული ვიყავი აკადემიიდან და სასამართლოს ყოველმხრივ ჰქონდა შემზადებული ნიადაგი განაჩენისათვის. მეტსაც გეტყვით, სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ საგანგებო კრებაზე მისული კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი – ედუარდ შევარდნაძე თვითონვე წინასწარ აუწყებდა საზოგადოებას, რამდენს მომისჯიდნენ გასამართლების შემდეგ. განაჩენი, ცხადია, უკანონო იყო. ამაზე თუ სხვა საკითხებზე ბევრჯერ მივმართე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მაგრამ თავიანთ მოწყობილ საქმეზე, რა პასუხი უნდა გაეცათ?!

– განაჩენის შემდეგ?

– განაჩენის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა საპყრობილედან (იზოლატორიდან) გადამიყვანეს შრომა-გასწორების კოლონიაში. ეს იყო 1976 წლის ბოლოს. ფიზიკურად ვმუშაობდი ლითონკონსტრუქციების საამქროში, რომელიც ღია ცის ქვეს იყო მოწყობილი. პირობებზე წუწუნს არ მოვყვები, რაც ამ პერიოდში დავინახე, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმაზე უარესი ციხეში ალბათ არაფერი ხდება...

– და მაინც თხუთმეტი წელი, ალბათ, ძალიან ბევრია.

– ბევრია და მით უმეტეს ჩემი ასაკის კაცისათვის. თუმცა იყო ცდები, ჩემი ოჯახის წევრებზე მოეხდინათ გავლენა, რომ მე დამეწერა მონანიების, შებრალება-შეწყალების თუ რაღაც ამის მსგავსი. ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პირებიც რამდენჯერმე იყვნენ შრომა-გასწორების კოლონიაში, შემაგონებდნენ დამეწერა თხოვნა შეწყალების შესახებ, რაზედაც მე ყოველთვის კატეგორიულ უარს ვაცხადებდი. ეტყობა, ადამიანს მართლა, აქვს შინაგანი ენერგია შემონახული, თითქოს ზეციურმა ძალამ მაფიქრებინა, რომ თავსდატეხილ განსაცდელს გავუძლებდი, ჩემი ფიზიკური და სულიერი მხნეობის თავადვე მიკვირდა. მარტო მე კი არა, იმ წლებში ჩემი ოჯახიც ერთგვარად ტერორიზებული იყო. განსაკუთრებული დაღი ამ ამბავმა ჩემს მეუღლეს დაასვა, თუმცა ჩემს გათავისუფლებამდე შინაგანმა ძალებმა მასაც შეუნარჩუნა მხნეობა. ჩვენ ინსტიტუტის თანაჯგუფელები ვიყავით და იმთავითვე დიდი სიყვარული და მეგობრობა გვაკავშირებდა. და აი, ციხიდან დაბრუნებულმა, სახლის კარი შემოვაღე, ემოციას ვერ გაუძლო, შეუძლოდ გახდა. მას შემდეგ აღარც ამდგარა. ჩემი ვაჟი გედევანი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია. მას ჩემი პატიმრობის პერიოდში კონკურსში მონაწილეობის საშუალებაც კი არ მისცეს. ერთი კურიოზული შემთხვევაც მინდა გავიხსენო: ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კონკურსი ერთ-ერთ კათედრაზე იმ იმედით, რომ გედევან გელბახიანი არ მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ, როცა ნახეს, რომ კონკურსისათვის საჭირო მასალები მაინც წარადგინა, კონკურსი ოფიციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, გაზეთში გამოცხადებით, გააუქმეს. ახლა, როცა შეიცვალა პოლიტიკური კლიმატი, უკვე კათედრის გამგე

გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩემი შვილიშვილი, ჩემი სეხნია პეტრე გელბახიანი. როცა მე დამაპატიმრეს, იგი თბილისის "დინამოს" კალათბურთელთა გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობაში თამაშობდა და პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლებოდა. მაგრამ 17 წლისა, ჩემი მიზეზით, აიძულეს გუნდი დაეტოვებინა.

– გათავისუფლების შემდეგ, თუ დაინტერესდა ვინმე "დიდი ადამიანი" თქვენით?

– თითქმის არავინ. ხალხი კი, მათ შორის, ბევრი ადამიანი, ვინც პირადად არ მიცნობდა, ზედმიწევნით კეთილგანწყობას გამოხატავს ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართაც. თითქოს ავი სიზმარი იყო, რაც გადავიტანე, ახლა ყველა ერთად ვართ. არა გვიჭირს რა.

მახარებს ჩვენი ხალხის თავდადებული ბრძოლა სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის, ჩემი შვილების, შვილიშვილების ნაყოფიერი მოღვაწეობა, მაგრამ გულის იარას ვერაფერი გაამრთელებს. მე, რა თქმა უნდა, არავის განსჯას არ ვაპირებ. თვით უფალიც კი ადამიანს სიკვდილის შემდეგ განიკითხავს. დრო, მომავალი გამოგვიტანს ყველას საბოლოო განაჩენს, მთავარია მოთმინებამ გაუძლოს.

გაზეთ "კაბადონის" კორესპოდენტს
ენძელა მაჭავარიანს ესაუბრა ბატონი
პეტრე გელბახიანი

1991 წელი, 30 იანვარი.
გაზეთი"კაბადონი", №5/44/გვ. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების დამსახ. მოღვაწე,
საკავ. სამედიცინო მეცნ.
აკადემიის ნამდვილი წევრი,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
ავლიპი დავითის-ძე
ზურაბაშვილი
თბილისი 30, ბარნოვის IV ჩიხი № 9

Заслуженный деятель науки
Действительный член
АМН СССР
АКАДЕМИК
Академии Наук ГССР
Авлипий Давидович
ЗУРАБАШВИЛИ
Тбилиси 30, IV туп. Барнова № 9

ტელეფონი 2-37-21
Телефон

„19" XI 1964 წ. г.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის
რექტორს, მეცნ. დამსახურებული მოღვაწეს, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრს, მეცნიერებათა დოქტორს
პროფესორ პეტრე ტელიანს.

ღრმად პატივცემულო ბატონო პეტრე!

ნება მომეცით მადლობა მოვახსენო მთელ
სამედიცინო ინსტიტუტს, და პირველ რიგში, პირადად თქვენ
რიგორც მაღალი ერუდიტის, დიდი პატივისცემის.

მე ყოველთვის ვცდილობ, ვემსახურო ქართული ეროვნული
კულტურას და ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა, რომ პირადად
თქვენი სახით ქართველ მეცნიერებას ჰყავს ღირსეული, მედ-
გარი, უბადლოდ შეუდარებელი და მტკნეარე პატრიოტი.

მიიღეთ კიდევ და კიდევ ჩემი დიდი მადლობა და კე-
თილი სურვილები შემოქმედებითი მიღწევებისა.

ღრმად პატივისცემით

/ავლიპი ზურაბაშვილი/

ძვირფასო პეტრე გედევანის ძევ:

ჩვენ უახლოესი მეგობრები და ამხანაგები, ძალიან გთხოვთ, ნურაფერზე ნუ განიცდით, ვისაც ერთი წუთითაც კი უსაუბრია თქვენთან მეგობრული ტონით, ყველას უყვარხართ და მიაჩნიხართ, როგორც კარგი ქართველი და კარგი ვაჟკაცი. დღეს რეჭორი ბრძანდებით, თუ ხვალ არ იქნებით, ამას რა მნიშვნელობა აქვს. პეტრე გელბახიანი მუდამ გელბახიანად დარჩება. მის მაღალ გორიზონტს ვერაფერი შელახავს და ვერავინ მისწვდება. იქ არ აგირჩიეს არა იმიტომ, რომ უღირსი იყავით, არამედ ერთეულებს შეშურდათ. ისე მთელს საქართველოს უყვარხართ თქვენი ვაჟკაცური, გონებამახვილური აზროვნებით. და თუ ერთეულებს არ უყვარხართ, ესეც თქვენი სიკარგის ბრალია და ამითაც უნდა იამაყოთ. ასე, რომ ერთი წუთითაც უფლება არ გაქვთ, მწუხარებას მისცეთ თავი. ჩვენ გვინდა გიხილოთ ისევ ამაყი, მხიარული, ჩვეული იერით, თქვენ ამისათვის ყველა პირობა გაქვთ. მომავალში თუ იქნება უკეთესობა კარგია, თუ არადა, საკმაო მიღწევები გაქვთ. ბევრმა ინატროს თქვენი ბედი.

ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია გისურვოთ მარადიული ჯანმრთელობა თქვენი ოჯახის წევრებით.

მეტი არაფერია საჭირო.

უახლოესი მეგობრები.
14/XII, 1972 წელი.

თამარ, გედი!

ამ ქაღალდზე დამატებით ვწერ ზოგიერთ რამეს. იქნებ საჭირო იქნეს:

საბოლოოდ თოდუამ აღიარა, რომ ორგანოს მუშაკმა ქებურიამ სათანადო დავალება მიიღო და პროვოკაციას მიწყობდნენ. ეს მათ ე.ი. ორგანოებს სჭირდებოდა, რადგან მე ბრალდება არაფერი მქონდა და ამით სურდათ ჩემი დაპატიმრება.

... ჩემი სიტყვა ამით დავიწყე სასამართლოზე და პირველი კითხვა იყო, რომ 1973 წლის 7 აგვისტოს, ამ მართლაც

უბედურ დღეს, ისე დამაპატიმრეს, რომ არ იყო არაფერი საბუთი. ითქვა, მაგრამ რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი პეტრე.

სალამი ყველას:
თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!
გკოცნით ბევრს, გეხვევით ყველას.
მგონი, საქართველოში აღარ მაყენებენ...
ჩემო ნუციკო და გედი, ახლა გმართებთ ვაჟკაცობის გამოჩენა.

მუდამ თქვენი პეტრე
1976 წ. 13 აგვისტო.

სალამი ყველას: თამარს, გედის, ნუციკოს, ჩემს პეტრეს და თამრიკოს!

მეოთხე წელი დაიწყო, პირველად მაქვს ბედნიერება მოგწეროთ წერილი.

15 სექტემბერს მომიყვანეს რუსთავის შრომა-გასწორების მესამე კოლონიაში. სიმართლე გითხრათ, ამას არ მოველოდი, რომ კოლონია ასეთი იქნებოდა, მხედველობაში მაქვს ხელმძღვანელობა და თვით კოლონიის მოწყობილობა – ერთიცა და მეორეც კარგია. ტერიტორია გამწვანებულია, რომელიც მე ძალზე მაკლდა ამ სამი წლის მანძილზე. ძალზე თავისუფლად ვგრძნობ თავს, ყველანი კარგად მექცევიან.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კოლონიაში შრომითმა განწყობილებამ. საამქრო, რომელშიდაც მე ვმუშაობ ისეა მოწყობილი, რომ ბევრ სხვაგან ასეთი არც კი მინახავს. სამი, ოთხი დღეა ვმუშაობ იქ, გეგმას ვასრულებ, მუშაობის ხასიათიც მაკმაყოფილებს. ისე გამამხნევა ამ კოლონიის საქმიანმა ატმოსფერომ, რომ საავადმყოფოში, აფთიაქსა და სხვა ასეთ დაწესებულებაში მუშაობა არც კი მინდა.

ამჟამად ერთი ჩემი ძალზე დიდი სურვილია თქვენთან შეხვედრა, ლაგერის ხელმძღვანელობა შემპირდა ეს

შემისრულონ მომავალი თვის პირველ რიცხვებში. ამას კიდეც შემისრულებენ, რომელსაც დამატებით წერილში გაცნობებთ.

გკოცნით ყველას თქვენი პეტრე გელბახიანი.

სალამი თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

გკოცნით ბევრს, მე შედარებით უკეთ ვარ. ცა დავინახე რკინების გარეშე. პირველი ზონა, სადაც ახლა ვარ, უთუოდ უკეთესია იმაზე, სადაც ვიყავი.

... ჩემი თქვენთან შეხვედრის საკითხი ჯერ კიდევ ვერ დავაზუსტე, რადგან ძალიან უჭირთ სამი უფროსის შემოშვება. ნუციკოს გარეშე ოჯახური შეხვედრა, ხომ იცით, არ მესიამოვნება. ჩემს საქმეზე მაგის თავდადება სიცოცხლეში დაუვიწყარი იქნება.

თქვენი პეტრე
1976 წ. 28 სექტემბერი.

სალამი თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

პაემანის მოახლოებასთან დაკავშირებით ასე მგონია, ყველა ჩემთან ხართ. ეს უკანასკნელი სიტყვა "ჩემთან ხართ" სიახლოვის თვალსაზრისით ვიხმარე, თორემ ღმერთმა გაცილოთ აქ ყოფნა.

მე მგონია, ამჟამად გაცილებით უკეთ დაგხვდებით ჯანმრთელობის მხრივ, ვიდრე სხვა დროს.

მომწერეთ წერილი, თქვენ როგორ ცხოვრობთ? ჯერჯერობით მე არაფერი არ მინდა, თქვენ იყავით კარგად. მე სამართლიანობის მოლოდინში ვარ და იმედს არ ვკარგავ, რომ თქვენთან ერთად ჩემს ოჯახში მოვესწრები ცხოვრების გაგრძელებას.

მომიკითხეთ ყველა, განსაკუთრებით ჩემი პეტრე და თამრიკო. გკოცნით ყველას.

თქვენი პეტრე გელბახიანი
30/X-76 წელი.

სალამი შვილო ნუციკო!

გკოცნით შვილო და მოუთმენლად ველი ჩვენი ოჯახის მთლიანობას.

ნუციკო, ამ ბარათის მომტანი აქ წარმოების პასუხისმგებელი პირია და შვილი ჰყავს ავად, როგორც თვითონ გადმომცა პედიატრებს და კერძოდ კვეზერელს სათანადო მკურნალობა მისთვის ჩაუტარებია და კარგი შედეგითაც დამთავრებულა, მაგრამ კუჭნაწლავის მხრივ გართულებები ისევ დარჩენია და ესაჭიროება ისევ დახმარება (რჩევა კვების საკითხებზედაც). გამოიყენე შენი გამოცდილება, დაიხმარე, თუ საჭიროდ ჩათვლი დედაშენი, ქალბატონი თამარი და შენი კათედრის გამგე – პროფესორი კვაჭაძე, რომელსაც მოკითხვა და კეთილი სურვილები გადაეცი.

მომიკითხე დიდი სიყვარულით თამარი, გედი, თამრიკო და ჩემი სახელის გამგრძელებელი პეტრე.

შენი მამა პეტრე გელბახიანი.
15/XII–76 წელი.

სალამი და გამარჯობა ყველას!

თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით და როგორ მინდა თქვენთან დამშვიდებული საუბარი, საუბარი ისეთი, როგორიც ოჯახის წევრებმა ვიცოდით, როდესაც დამშვიდებული ცხოვრება გვქონდა. არა მგონია, რომ ვერ მოვესწრო ჩვენი ცხოვრების ისეთივე რიტმს, ისეთ დღეებს, როგორიც ჩვენ ერთად გვაქვს გატარებული. მე ღრმად მწამს, რომ ამას ჩვენ ყველა მოვესწრებით. ჩემის აზრით, ესეც ჟამთა სვლით მოწესრიგდება.

... მოგიკითხავთ ყველას და გკოცნით დიდი გრძნობით და უსაზღვრო სიყვარულით. თამარ, შენი ფოსტით გამოგზავნილი წერილი არ მიმიღია. ხომ იცით, ჩემი საქმით როგორ არიან დაინტერესებულნი. ამ უბედურებმა არ იციან, რომ ჩვენ ისეთი დასაწერი არაფერი გვაქვს, ამათმა რომ გამოიყენონ. ეს იმიტომ, რომ სიწმინდის მეტი საერთოდ არაფერი გვაქვს, იყავით კარგად.

თქვენი პეტრე
30 იანვარი, 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

რა ძალიან კმაყოფილი დავრჩი თქვენი ერთად ნახვით. მაგრამ რომ წახვედით, ისეთ გუნება-განწყობაზე დავრჩი, თითქოს მაშინ იწყებოდა ჩემი პატიმრობა.

... მეკითხები, თამარ, ვისი ნახვა გინდაო? რასაკვირველია, მე ყველას ნახვა მინდა, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს. სანახავად შეიძლება მოვიდნენ, როცა ამაზე ნებერთვა მექნება, მხოლოდ ოჯახის წევრები. თქვენ ხომ იცით, როგორ მენატრება ყველას ნახვა. ოთხი წელია ჩემს ახლობლებს არ დავლაპარაკებივარ. რას იზამ, უნდა მოვითმინო.

გკოცნით ყველას

თქვენი პეტრე
23 ივნისის, 1977 წ.

სალამი ნუციკო!

ჩემო ნუციკო! ამ ბარათის მომტანს შენთან მოყავს ბავშვი, რომელსაც, როგორც თვითონ გადმომცა, შარდის შეკავება აქვს. ასეა თუ ისე, საჭიროა მისი ჯანმრთელობის შემოწმება. აბა, შენ იცი, არ დააკლოთ არაფერი ამ მხრივ.

მე ძალიან მიშველა "ტრიაშსცინმა", რომელსაც შენი დარიგების მიხედვით ვღებულობ კიდევ. ჯერჯერობით კიდევ მაქვს, როდესაც დამთავრებას მიუახლოვდება, შეგატყობინებთ. ასე, რომ გაცილებით უკეთესად ვარ, ვიდრე თქვენ მნახეთ. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, არც მოკითხვა მინდა და არც არაფერი მაკლია. მინდა, რომ თქვენ კარგად იყოთ, ამაშიდაც დარწმუნებული ვარ, რომ კარგად იქნებით, რადგან სხვა უფლება არა გაქვთ, ჩემი არ იყოს.

გკოცნით ყველას, თუ რაიმე ახალი იქნეს, მომწერეთ.

თქვენი პეტრე
28/IV.78 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა თამარ, გედი, ნუცა, პეტრე და თამრიკო!

ძალიან მინდა, კარგად იყოთ. ეს არის ჩემი დიდი სურვილი. ნუ გეშინიათ, კიდევ მოვითმენ. ბოლოს და ბოლოს როდისმე ხომ დადგება საშველი.

... ეტყობა გაჭირვება ადამიანს ამაგრებს და ალბათ, მეც ამიტომ ვარ კარგად.

თქვენი პეტრე
1978 წელი.

სალამი ყველას!

იცოდეთ, რომ ძალიან მინდა თქვენთან ერთად ყოფნა. ვფიქრობ, ეს დროც დადგება...

საბოლოოდ დავასკვენი, რომ ცხოვრებაში მაინც გამბედაობის და ვაჟკაცობის უკეთესი არაფერია. შეიძლება ეს ყველამ იცის, მაგრამ საამასოდ არც ნიჭი და არც ადამიანური თვისებები არ ყოფნით.

თქვენი პეტრე.
1978 წ.

სალამი ყველას!

ხომ იცით, როგორ მიხარებს გულს ჩემი პეტრეს წარმატებები მისაღები გამოცდების დროს. განსაკუთრებით ის მიხარია, რომ ხალხი, საზოგადოება ამ წარმატებებს კარგად ხვდება. ეს კი ჩვენი ოჯახის დიდი გამარჯვებაა. ამას იმიტომ ვაქცევ ყურადღებას, რომ ამდენი გინების შემდეგ, რაც ჩვენ განვიცადეთ, სიმართლე საზოგადოებაში მაინც არ იკარგება. ამის ნათელი დადასტურება ხალხის ხმა არის. აქ ერთ-ერთ პატიმართან, რომელსაც მე არც კი ვიცნობ, მეუღლე ჩამოვიდა, რომელიც ნიშნების გამოცხადებას დასწრებია და თავისი თვალით უნახავს და გაუგონია, რაც აქ პეტრეს ნიშნის გამოცხადების დროს მომხდარა. ამას მე ჩვენს ერთგვარ სიკეთედ ვთვლი.

ცხოვრება მაინც რთულია და ყოველთვის თხოულობს მეტისმეტ სიფრთხილეს. წარმატებებმა ძალიან არ უნდა დაგვახვიოს თავბრუ.

გკოცნით ბევრს ყველას და განსაკუთრებით პეტრეს ამ ვაჟკაცობისათვის.

თქვენი პეტრე
8 აგვისტო, 1979 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

... რას იზამ, ძალა აღმართს ხნავსო – ამბობენ. მე პირადად ხალხის ხმა მირჩევნია. აქ ყველას უხარია, რომ კარგად გამოვიყურები. ჩემდა საბედნიეროდ, ხალხში ეს სიყვარული და ავტორიტეტი ჩვენმა ოჯახმა და მისმა წევრებმა თავდადებული, პატიოსანი შრომით მოვიპოვეთ და ამას ვეღარავინ გვართმევს ძალის პოზიციიდან.

თქვენი მონატრებული პეტრე
7 სექტემბერი, 1979 წ.

სალამი და გამარჯობა ყველას!

9 თებერვალს განცხადებით მივმართე კოლონიის უფროსს იმის შესახებ, რომ სასჯელის ნახევარი მოვიხადე და გთხოვთ, წარმადგინოთ კოლონია-დასახლებაში გადასაგზავნად-თქო. . .

დღეს ჩემი დაბადების დღეა და ასეთ წერილს გწერთ. რიცხვი რომ დავწერე, მაშინ გამახსენდა.

11 თებერვალი, 1981 წ.

სალამი თამარს, გედის, ნუციკოს, პეტრეს და თამრიკოს!

... რა ძნელი ყოფილა იმ ადამიანებთან დაშორება, რომლებიც აგრე რიგად გიყვარს, შენი სისხლი და ხორცია და შენი სხეულის განუყოფელი ნაწილი.

... საზოგადო აზრი ძალზე მაინტერესებს ჩემი საქმის ირგვლივ.

თქვენი პეტრე.

სალამი ყველას!

... მომიკითხეთ ყველა ჩვენები. ნუციკო! დედაშენს და მამაშენს ჩემი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ აუცილებლად კარგად იყონ. ბატონმა ირაკლიმ იცოდეს, რომ რაც ჩემზე შეწუხდა, სიკეთით უნდა გადავუხადო.

გკოცნით ყველას

თქვენი პეტრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმე მცირედსაც რომ გამიკეთებდა, არასოდეს არასგზის არ დამავიწყდებოდა.

ნებისმიერი ადამიანი როდესაც რაიმეს, თუნდაც უმნიშვნელოს, მთხოვდა, მისდამი პასუხისმგებლობის გრძნობა იზრდებოდა უმალ.

როცა დიდი კაცი ხარ, წვრილმან საქმეებს კი არ უნდა გამოეკიდო, ისე უნდა გაასწორო, ვერც ვერავინ შენიშნოს. დიდი კაცი დიდ საქმეებს უნდა ეჭიდებოდეს.

ყველა ადამიანი თავისი ჭკუის მადლიერია, მაგრამ ვაი იმ კაცის ბრალი, ვინც თავის ჭკუას გადამეტებით აფასებს.

ერთი დღე არ მქონია ბავშვობიდანვე ლაღად, უსაქმურად გატარებული, სულ საქმეში ვიყავი.

ჩემი დები მეუბნებოდნენ: "შენ იყავი კარგად და სახელოვნად, ჩვენზე ნუ იზრუნებ, ყველანაირად დაგეხმარებით." სამი და ციხეში ყოფნის დროს გარდამეცვალა, ეს ხომ ტრაგედიაა.

აღდგომის დღესასწაული რატომღაც შინაგანად მიზიდავდა. იყო სხვა დღესასწაულები, რომლებიც ბავშვებს გვიყვარდა, მაგრამ აღდგომა მაინც განსაკუთრებით მიყვარდა – წითელი კვერცხები, მთავარანგელოზის ეკლესია...

პატარაობიდანვე ვაკვირდებოდი ჩვენს სოფელში ხალხის გამონათქვამებს, რომელიც სიბრძნე იყო. ყოველთვის მიყვარდა დაკვირვება. ბევრი რამ ცხოვრებამ მასწავლა, მაგრამ ყოველთვის კარგს ვითვისებდი.

ბუნებრივი უნდა იყო კაცი და არა ხელოვნური.

ბევრი კარგი ადამიანია ქვეყნად. ცუდი კაცის გვარი გადამივარდებოდა ხოლმე გულიდან, არასოდეს მამახსოვრდებოდა.

ზედმეტი ეჭვიანობა ადამიანს ქმედების უნარს აკარგვინებს.

თუ დარგს ლიდერი არ ჰყავს, საქმე წინ ვერ წავა, ლიდერის გარეშე არაფერი გაკეთდება.

გამრუდებული ხელით ჩემს ოჯახში არაფერი შემოსულა. ეს მე თავიდანვე ჩათქმული მქონდა და მთელი ჩემი ცხოვრება ვახორციელებდი კიდევაც.

ახალგაზრდის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, შეცდომაც ბევრი შეიძლება დაუშვას. ცხოვრება რთულია, მაგრამ მას ყოველთვის უნდა შეეძლოს თვალი გაუსწოროს სიმართლეს და მომავალში, გამართული მიდიოდეს ცხოვრების გზაზე, პირდაპირ და მყარად.

ინტელიგენტი, ნამდვილი პატრიოტი მომწონს. ინტელიგენტი იყო ალეკო წულუკიძე. იგი ჩემი უშუალო მასწავლებელი არ ყოფილა. სიცოცხლის ბოლოს ანდერძი დაწერა და თქვენ განდობთო, შემომთავაზა.

ქალები ჭკვიანნი და მომხიბვლელნი მომწონს და არა ცხოველური ინსტინქტით.

კაცს რომ გაუშინაურდები, მისთვის ხელმისაწვდომი ხდები და მთლიანობაში შენი პიროვნების ღირებულებას ვერ აფასებს.

შავი ფერი არ მიყვარს. ზამთარი მიყვარს.

მთავარი გუნება-განწყობაა.

აკადემიკოს ალეკო წულუკიძეს უთქვამს ერთხელ:
"პეტრე გელბახიანი დიდი კაცია და მისი დიდი კაცობის ამბავს ბოლოს გაიგებთო."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები პ.გელბახიანზე

თანამედროვე ხედვა

1987 წლის 2 ნოემბერს ამირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტად. მაშინ კათედრის გამგე იყო დოცენტი ლევან ჩხატარაშვილი.

წამალთა ტექნოლოგიის კათედრა, დღეს ფარმაცევტული ტექნოლოგიის კათედრა, იყო ბატონ პეტრე გელბახიანის პროფესიული მოღვაწეობის ძირითადი ადგილი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1949 წლიდან 1973 წლის აგვისტომდე.

ბატონ პეტრე გელბახიანს მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის მიერ შექმნილმა და დატოვებულმა სულისკვეთებამ, რომელიც დღესაც შემორჩა კათედრას, გამაბედინა დამეწერა ცოტა რამ მაინც, რასაც მე ვხედავად დღეს, როგორც ამჟამინდელი კათედრის გამგე და კოლეგა.

ჩემი კათედრაზე მოსვლის დღიდან შევუდექი პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას წამლის სამრეწველო ტექნოლოგიაში. ბუნებრივია, რომ აპარატურის, მანქანებისა და საერთოდ აღჭურვილობის გარეშე აღნიშნული საქმიანობა შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ბეტონ პეტრეს მიერ კათედრა აღჭურვილი იყო იმ დროისათვის ტექნიკური მიღწევების შესაბამისად. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი გამოყენებულიც არ იყო, რადგანაც კათედრამ მიიღო მისი დაპატიმრების შემდეგ და ბატონმა პეტრემ ვეღარ შეძლო მისი გამოყენება მეცნიერული იდეების განსახორციელებად. ბატონ პეტრე გელბახიანის მიერ შექმნილი ტექნოლოგიური სკოლა დღესა განაგრობს მუშაობას მის მიერ მოწოდებული ტექნოლოგიებს დღესაც წარმატებით ვუყენებთ სტუდენტთა სასწავლო პროცესში და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

განსაკუთრებით ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მისი დამოკიდებულება საქმისადმი - სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი. ამ თვალთახედვით ძალიან კარგი ტრადიციაა როგორც თსსუ-ში, ასევე ჩვენს კათედრაზე და რომლის გამკვიდრებასა თუ განმტკიცებაში უდიდესი წვლილი ბატონ პეტრე გელბახიანმა შეიტანა.

ადამიანს, რომელიც ყოველთვის ისწრაფვის წინსვლისკენ, მდინარეს ამსგავსებენ. ამბობენ მოძრავ წყალს უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე გაჩერებულს. ის უფრო მეტ ტერიტორიას ასაზრდოებს. ასე იყო მთელი თავისი ცხოვრება ბატონი პეტრე. მან თავისი მოღვაწების პერიოდში ძალიან ბევრ ადამიანს და ოჯახს მოუტანა სიკეთე, შეუქმნა საფუძველი, მისცა სტიმული და როგორც პედაგოგმა, ბევრი თავისი მოსწავლე დააფრთიანა. აამაღლა რა ფარმაციის იმიჯი, დატოვა სახელი დიდი მასწავლებლისა, კარგი ორგანიზატორისა, მეგობრისა, დარგისა და ერის გულშემატკივარისა.

მადლიერების გრძნობით,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი პეტრე გელბახიანი სამედიცინო საზოგადოებას, როგორც ლიდერი, ფაქტიურად 32 წელზე მეტია გამოაკლდა. ასეთი შორი გადასახედიდან, ვფიქრობ, უფრო პირუთვნელი იქნება მისი ღვაწლის შეფასება, მეორეს მხრივ, ძნელია ამ მემორიალურ წიგნში მისი მოგონება.

როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში კოლეგებმა და ჩვენ, მისმა მოწაფეებმა ხელი "ერთხმად" ავწიეთ, რომ ფ.მ. დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება ჩამორთმეოდა, ამ ძალზე ხალხმრავალ დარბაზში მხოლოდ ერთ თანამშრომელს, ისიც ხანდაზმულ ქალს ეყო გამბედაობა ეყვირა – "ხალხნო, რას აკეთებთ, გონს მოდით"- ო. შემდეგ კი ბევრმა აღიარა: ძილი გამიტყდა და ჩემივე თავის მრცხვენიაო. იყო ასეთი დროც, რასაც ვერაფრით ვერ ახსნიან და გაამართლებენ "ჯინსების თაობის" ავტორის თანამედროვეები, ამ შეცვლილი პოლიტიკური გარემოს ახალგაზრდები. მაშინ კი, სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის ფარმაცევტული სექციის თავმჯდომარემ დიდმა მეცნიერმა ი.ა. მურავიოვმა ასე შეგვაფასა: ჩვენ სამ სხდომაზე ვიბრძოდით, რომ გადაგვერჩინა პ.გ. გელბახიანის მართლა მეცნიერული მონაპოვარი: "А вы грузинские коллеги, на этот раз сплоховали"-ო.

ბატონ პეტრეს რამდენიმე წლის შემდეგ ქ. რუსთავში, კოლონიაში შევხვდი. მასთან სისტემატურად ჩადიოდნენ ი.ქუთათელაძის ქალიშვილი მანანა – ჩემი ბიძაშვილი და მისი მეუღლე პროფესორი ვ. მჭედლიშვილი, მეც წამიყვანეს. გაოცებული ვუყურებდი - პატიმრის სამოსშიც ისევ ელეგენტური და გაუტეხავი ვიხილე საქ. ც.კ. წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი, რომელსაც ჩინოსანი უფროსები და სხვადასხვა რჯულის პატიმრები ერთნაირი მოწიწებით ექცეოდნენ. როდესაც ჩვენს ინსტიტუტზე ვლაპარაკობდით, მან ხელი ჩაიქნია და გვითხრა: "ყველას ვაპატიე, ძნელია წნეხის ქვეშ ვაუკაცობის გამოჩენაო." თვითონ თურმე როგორი ძლიერი ყოფილა, ყველაფრის პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო,

ნამდვილი კორუმპირებულებიც კი დაინდო და არ დაასახელა.

ბატონი პეტრე სიტყვის პატრონი გახლდათ, მისი "კი" და "არა". უტყუარი იყო. თანამშრომლების მიმართ მომთხოვნი, თვითონაც სავსე იყო მოვალეობის შეგნებით. პატიმრობიდან გათავისუფლების მესამე თუ მეოთხე დღეს კათედრაზე დამიკავშირდა: "გუშინ ირაკლის (აკადემიკოსი ი.ტატიშვილი) საფლავი მოვინახულე, ხვალ მინდა ბატონ იოველის და ბატონ კონსტანტინეს საფლავებზე წავიდე, ჩემი ვალი მოვიხადო და თუ ქალი ხარ, ეს საკითხი მომიგვარეო." უფროსისათვის პატივის მიგება მისთვის მარტო მოვალეობა კი არა, შინაგანი მოთხოვნილებაც იყო. ორივეს უადრესად დიდ პატივს სცემდა. აკადემიკოსი ი.ქუთათელაძე მისი უშუალო მასწავლებელი და მეცნიერული ხელმძღვანელი იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში ლოგინად ჩავარდნილს დღენიადაგ ურეკავდა ან აკითხავდა და მკურნალებს არ აკლებდა. ისიც ხარობდა მისი აღზრდილის დიდი წარმატებით. როგორც მახსოვს, აკადემიკოს კ.ერისთავს ადრეულ წლებში პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტში თანამშრომლობის დროს დაუახლოვდა და ერთმანეთთან მამა–შვილური ურთიერთგაგება აკავშირდებათ. როდესაც ბატონი პეტრე დააპატიმრეს, ის უკვე ღრმად მოხუცებული აღშფოთებას და დარდს ვერ მალავდა, ხშირად უთქვამს – რა დროს აღარ მაქვს ჯანი და ძველი ავტორიტეტი, რომ ამ უკანონობას შევებრძოლოო. ბატონი პეტრე მასაც თავის მასწავლებლად აღიარებდა – ცხოვრების წესის, სიკეთის ქმნის მასწავლებლად.

ზევით, ბატონი პეტრეს მოვალეობის გრძნობა ვახსენე, ვუბრუნდები ამ თემას და ერთი ასეთი ფაქტი მინდა დავამატო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, არ გვქონდა "ვაკის" მიერ წუნდებული დისერტაციები, ამიტომაც სსრკ ყველა კუთხიდან მაძიებელი ექიმები და ფარმაცევტები გვეტანებოდნენ, განსაკუთრებით შუა აზიიდან და მეზობელი აზერბაიჯანიდან. მე სწავლული მდივანი ვიყავი და თავგაბეზრებულს უტაქტოდ წამომცდა თათრების შემოსევა გვაქვს-მეთქი. თქვენს მტერს მე დღე დამაყენა... სწორედ ერთ-

ერთ ასეთ დისერტანტს პეტერბურგიდან ჩამოყვა პროფესორი ა.ფ. გამერმანი. ის იყო საბჭოთა კავშირში ფარმაკოგნოზიის, როგორც მეცნიერების და სასწავლო დაწესებულების ფუძემდებელი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, თანაც ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი. იმხანად 80 წელს მიახლოებული ქალი. მან ინსტიტუტის რექტორთან შეხვედრა მოითხოვა. ბატონი პეტრე მეხუმრა, რომ მეწვიოს მე უფრო დავზარალდები, შენ უფრო გეკუთვნის დაიხარჯოო, მე კი მას ვასიამოვნებ და თვითონ ვეახლებიო. მართლაც, ამ დღეს მეტად კოლორიტული პიროვნებები პროფესორები ირაკლი კვიტაშვილი და ლევან ავალიანი მოიყვანა. მეც ძალზე საინტერესო პირები დავახვედრე. ჩემი შორეული სტუმრისათვის დაუვიწყარი გახდა ინტელექტუალურ ქართველებთან შეხვედრა, მათი ლხინი და რაც მთავარია "Ко мне сам ректор пожаловал"-ო ყველას უყვებოდა.

დიდი მეცნიერული ალღო და გამჭრიახობა ახასიათებდა ბატონ პეტრეს, საქმეში ძალზე ოპერატიულს, თანამოსაქმეებთან კი კომუნიკაბელურს, იმ პერიოდში დიდი მოვალეობა ეკისრა და ძალზე დატვირთული იყო, ფარმაციისათვის იმდენად ვეღარ იცლიდა, ამიტომ ბუნებრივია მეცნიერებაში ზოგიერთი სიახლე გამოეპარა. ერთ-ერთ დიდ მეცნიერულ ფორუმზე, რომლის ორგანიზატორი და თავმჯდომარე თვითონ გახლდათ, ჯერ იქვე დააზუსტა მისთვის ბუნდოვანი საკითხები და შემდეგ ისე აკადემიურად და ისეთი ერუდიციით შეაჯამა ეს ფორუმი, რომ უცხოელი მეცნიერებიც აღაფრთოვანა.

მან სრულად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე, კიდევ მეტის გაკეთება არ დასცალდა. მოკრძალებით ვიხდი ქედს ზეციური საქართველოს ბინადარის პეტრე გედევანის ძის წინაშე.

ლინა ერისთავი -
პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიური
მეცნ. აკად. აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი პეტრე ...

ბატონი პეტრე გელბახიანი გავიცანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგედ მისი არჩევის შემდეგ. მერე ხშირად ვხვდებოდით საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიებზე. უფრო ახლო და უფრო საქმიანი ურთიერთობა დაგვიმყარდა, როდესაც იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად აირჩეს, სადაც ორივენი მაშინდელი სტრუქტურის მიხედვით სამედიცინო და ბიოლოგიის განყოფილებაში ვიყავით გაერთიანებული. ამავე დროს ხშირად მიხდებოდა საქმიანი ურთიერთობა უკვე, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან, მანამდე ვმუშაობდი ამ ინსტიტუტში და შემდეგაც აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის დავალებით.

მთელი ამ დიდი ხნის მანძილზე ყოველთვის ვამჩნევდი მის კეთილ განწყობას ჩემდამი, და ამავე დროს მის დიდ მონდომებას და თავდადებას დაკისრებული საქმისადმი.

1968 წელს თბილისში ჩატარდა ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა VII საკავშირო ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 2000-ზე მეტი დელეგატი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და 8 უცხო ქვეყნის 30 მორფოლოგი. ასეთი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ფორუმები ადრე ჩვენ სპეციალობაში არსად ჩატარებულა. ამ გაჭირვების ჟამს ბატონი პეტრე დიდად დაგვეხმარა ქართველ მორფოლოგებს და პირადად მე. საშუალება მოგვცა სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე გაგვეშალა ათი სექციის მუშაობა და მთელი ყრილობისათვის ერთ ტერიტორიაზე მოგვეყარა თავი. ამით ყველა მონაწილეს მიეცა საშუალება ფაქტიურად ერთ ადგილას თავისუფალი გადაადგილებისა ყრილობის მრავალრიცხოვან სექციებში, ინტერესის მიხედვით. ამან დიდად განაპირობა ყრილობის წარმატება და დახმარება გაუწია მინაწილეებს მუშაობაში, რაც განსაკუთრებით იყო აღნიშნული მათ მიერ.

არ შეიძლება დღესაც დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიგონო ბატონი პეტრეს დახმარება ამ ყრილობის განხორციელებაში.

ესეც ერთ-ერთი მაგალითია, სხვა მრავალთა შორის, ბატონი პეტრეს დასახასიათებლად, რაც მოწმობს მის ფართო და პატრიოტულ ხედვას და პასუხისმგებლობის გრძნობას საქმისადმი, იმ შემთხვევაშიც კი, რომელიც მას პირადად არ ეკისრებოდა.

ნინო ჯავახიშვილი

მოგონებები ღირსეულ მამულიშვილზე

ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და ჯანმრთელობის დაცვის გამოჩენილი ორგანიზატორი ბატონი პეტრე გელბახიანი იყო არაორდინალური პიროვნება, იყო ადამიანი, რომლის მაგალითზეც აღიზარდა ქართველ მედიკოსთა მთელი თაობა. მათ რიგებს მივეკუთვნები მეც და მინდა მადლობა მოვახსენო მის ოჯახს წინადადებისათვის, დამეწერა მოგონებები ამ ღირსეულ მოღვაწეზე.

ბატონი პეტრე მახსოვს ჩემი სტუდენტობის წლებიდან. ის მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იყო საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი. იმ დროს ამ სტრუქტურის პოპულარობასა და ავტორიტეტს ბევრად განაპირობებდა მისი ახოვანი, მიმზიდველი, ყოველთვის ელეგანტურად ჩაცმული და არისტოკრატიული იერის მქონე ხელმძღვანელი. ის იმდენად მომხიბლავი და საინტერესო პიროვნება იყო, რომ სხვა ფაკულტეტების სტუდენტები, განსაკუთრებით გოგონები, სპეციალურად დადიოდნენ ფარმაცევტულ ფაკულტეტზე პეტრე გელბახიანის ლექციაზე დასასწრებად.

როდესაც დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, ბატონი პეტრე იყო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი. იმ დროს ამ თანამდებობაზე მყოფ პიროვნებას შეეძლო ბევრი პოზიტიური

გაკეთება კოლექტივისათვის და ეს პერიოდი ნამდვილად იყო ინსტიტუტისათვის აღმავლობის წლები.

სწორედ ამ წლებში მქონდა საშუალება სრულად შემეცნო ბატონი პეტრეს პიროვნება. ბედნიერი ვარ, რომ მყავდა შესანიშნავი მასწავლებელი, ბრწყინვალე ქირურგი, პროფესორი მიხეილ ჩაჩავა. როგორც ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი ჩამოვყალიბდი ისეთი ბუმბერაზი ქირურგების ხელში, როგორებიც იყვნენ კონსტანტინე ერისთავი, ეგნატე ფიფია, მემედ კომახიძე და სხვები. მაგრამ პიროვნება, ხელმძღვანელი, ორგანიზატორი გავიზარდე პეტრე გელბახიანის მაგალითზე და მისი ხელმძღვანელობით.

ბატონი პეტრე იყო უაღრესად მომთხოვნი როგორც ხელქვეითების და ახალგაზრდების, ასევე საკუთარი თავის მიმართაც. მასთან მუშაობა ძნელიც იყო და სასიამოვნოც. მისგან ბევრს ისწავლიდი, შეიძენდი და გაიგებდი, თუ როგორი უნარ-ჩვევები იყო საჭირო იმისათვის, რომ შენგან კარგი ხელმძღვანელი და ჯანმრთელობის დაცვის დარგის ორგანიზატორი ჩამოყალიბებულიყო.

მე და, ალბათ, ჩემი თაობის ბევრი მედიკოსი უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ პეტრე გელბახიანის ამაგს.

ერთი შეხედვით, ბატონმა პეტრე გელბახიანმა კარიერის იერარქიულ კიბეზე თითქოს ყველაფერს მიაღწია: მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი, პროფესორი, კათედრის გამგე, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ა.შ. მიუხედავად ამისა, ის მაინც ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. მან შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო 14 წელი პატიმრობაში გაატარა, ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებით მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ გამოიჩინა გაუფრთხილებლობა: არ შეასრულა დავალება და დასცინა ზოგიერთ დიდ პარტიულ ლიდერს, რომელთა დაცინვა და გაქილიკება ეხლა მოდაშიც კია.

სამედიცინო ინსტიტუტიდან პეტრე გელბახიანის სასამართლო პროცესზე საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოყოფილი იყო ჩემი უახლოესი მეგობარი – პროფესორი გივი

დუმბაძე, ცნობილი თავისი პირუთვნელობით, ობიექტურობითა და მაღალი ზნეობით.

ბატონი გივი სასამართლო პროცესის დროსაც არ მალავდა ერთის მხრივ თავის აღშფოთებას ბრალდების უსუსურობის გამო, მეორეს მხრივ აღტაცებას იმით, თუ როგორ ღირსეულად ეჭირა თავი ბატონ პეტრეს.

გავიხსენებ ერთ ეპიზოდს: გამოძიებამ, ალბათ, არაადამიანური ზეწოლის შემდეგ აიძულა ერთი პედაგოგი ეთქვა, რომ მან ერთხელ ამა და ამ დროს 5000 მანეთი მიუტანა კაბინეტში პეტრე გელბახიანს აბიტურიენტის ჩარიცხვის საფასურად. (გვარს არ ვასახელებ ორი მიზეზით: ის პედაგოგი არ არის ცოცხალი და მისი ოჯახის ტრამვირება არ მიმაჩნია მართებულად). მას აშკარად ეტყობოდა, რომ ტყუოდა. ამას საშინლად განიცდიდა, ღელავდა, უჭირდა მეტყველება და სხვა.

ბატონმა გივი დუმბაძემ ამ მოწმეს დაუსვა კითხვა: თუ თქვენი ნათქვამი მართალია და პეტრე გელბახიანმა გამოგართვათ ეს თანხა, ამის შემდეგ თქვენ კიდევ ორი წელი იყავით მიმღებ კომისიაში, დაუჯერებელია, რატომ არ გაიმეორეთ მსგავსი?

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა, რადგან ე.წ. "მოწმე" ცუდად გახდა და სასწრაფოდ გაიყვანეს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ის დაინვალიდდა და მალევე მოკვდა.

საბჭოთა ციხეებსა და კოლონიებში ყველა კატეგორიისა და დონის პატიმარს შეხვდებოდით: ყოფილ მინისტრს, პარტიულ მუშაკს, დიდი წარმოების დირექტორს, ინსტიტუტის რექტორს, სამეურნეო მუშაკს, კანონიერ თუ დამწყებ ქურდს, კაცისმკვლელს, ჭეშმარიტ დამნაშავეს თუ პეტრე გელბახიანივით ბედის უკუღმართობის გამო მოხვედრილს და სხვა. აქ საკუთარი დაუწერელი კანონები მუშაობენ, რომლებიც დაწესებულების ადმინისტრაციაზე უკეთ არეგულირებენ ადგილობრივ პრობლემებს.

ბატონი პეტრე იმდენად ძლიერი პიროვნება იყო, რომ ამ ვითარებაში და ამ ჭრელი საზოგადოების ყველა ფენაში სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. მას ყველა, მიუხედავად ასაკისა, განათლებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ერთნაირად სცემდა პატივს. ბატონმა პეტრემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი პირადი მაგალითით, ხასიათის სიმტკიცით და გაჭირვებისადმი შეუპოვრობით ბევრს აუხილა თვალები, გაუღვიძა ცხოვრებისადმი ინტერესი და არც თუ ცოტა მათგანი დააყენა ჭეშმარიტების გზაზე.

კარგი იქნებოდა, ვინმეს დაეწერა პეტრე გელბახიანის ამ 14 წლიანი ეპოპეის შესახებ. ვფიქრობ, ამას არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა ექნება, არამედ იმ ეპოქის უკუღმართობის მკაფიო ილუსტრაციაც გახდება.

პეტრე გელბახიანი ალალ-მართალი იყო თავისი სამშობლოსა და ხალხის წინაშე, ამიტომ გათავისუფლების შემდეგ ამაყად, წელში გამართული დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში, მე ვარ მოწმე, რომ მას ხშირად სრულიად უცნობი ადამიანები აჩერებდნენ, ეფერებოდნენ და გამოხატავდნენ მის მიმართ უღრმეს პატივისცემას.

და ბოლოს, როდესაც ვწერთ ბატონ პეტრე გელბახიანზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი შესანიშნავი მეუღლე და ერთგული მეგობარი, ქალბატონი თამარი (თამარ ბეჟანიშვილი). ის იყო ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი, უკეთილშობილესი, სათნო ადამიანი, რომელმაც სრულად გაითავისა მეუღლის მძიმე ხვედრი. ძნელბედობის ჟამს ღირსეულად ედგა გვერდით და ვაჟკაცურად უძღვებოდა ოჯახს.

პეტრე გედევანის ძე გელბახიანმა ღრმა კვალი დატოვა ქართულ სამედიცინო, განსაკუთრებით ფარმაცევტულ მეცნიერებაში, დიდია ასევე მისი ღვაწლი ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარების საქმეში, ამასთან მან ღირსეულად განვლო ცხოვრების ნამდვილად მოწამეობრივი გზა. ამიტომ ბატონი პეტრეს ხსოვნა წავა მარადისობაში და ისტორია სათუთად შეინახავს მის სახელს.

გურამ ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ პეტრე გელბახიანის რექტორობის ბოლო პერიოდი სიამოვნებით მახსენდება . . .

ბატონ პეტრე გელბახიანთან ჩემი ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობდა. მაშინ მე მევალებოდა სპორტსაზოგადოება "მედიკოსის" თავმჯდომარეობა, ამიტომ, ბუნებრივია, ჩემი ეს საზოგადოებრივი საქმიანობა პარტიულ კომიტეტთან გარკვეულად იყო დაკავშირებული.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი პეტრე ღვთისაგან ბრძანდებოდა დაჯილდოებული ადამიანებთან კეთილი ურთიერთობების დამყარების არაჩვეულებრივი უნარით. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მის ირგვლივ შეიკრიბა ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე საზოგადოებრივ საწყისებზე აკეთებდნენ საინსტიტუტო საქმეებს, რაც დღეს უცხო ხილადაა მიჩნეული.

შემდეგში, როცა მე გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის, სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე, ჩვენმა ურთიერთობებმა ბევრად ფართო მასშტაბები მიიღო. ვინაიდან აღნიშნული კათედრა ინსტიტუტში ყველაზე დიდ კათედრად ითვლებოდა და დიდ ფინანსურ ხარჯებსაც მოითხოვდა (შეჯიბრებების ჩატარებისა და სპორტული ბაზების დაქირავებასთან დაკავშირებით). საინტერესი იყო ის, რომ ბატონი პეტრე თითქოს ბრმად მენდობოდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც მამოწმებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემში დიდ განცვიფრებას იწვევდა მისი განათლება "ბუღალტერიაში", რასაც ყოველთვის აღნიშნავდა ჩვენი ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი ბატონი სერგო კერესელიძე, რომელიც მაღალი დონის ფინანსისტად ითვლებოდა. მართალია, ბატონი პეტრე სპორტში ისე ვერ ერკვეოდა, როგორც მისი შვილი პროფესორი გედი და შვილიშვილი პეტრე "პატარა" (ისინი დღესაც სპორტით არიან გატაცებულნი), მაგრამ თავისი საოცარი ალღოთი და ინტუიციით ჩვენი ინსტიტუტის სპორტულ მუშაობაში ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს

იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პეტრე არ იყო ექიმი, იგი იმდროინდელ ბევრ კლინიკასთან შედარებით, ადვილ შეფასებას აძლევდა სამკურნალო ფიზკულტურას (კინეზოთერაპიას). შემდგომში, როდესაც მას დასჭირდა ამ მეთოდით მკურნალობა, არაერთხელ უთქვამს, რომ ამ მხრივ სწორი არჩევანი მაქვს გაკეთებული.

ვინც ბატონ პეტრე გელბახიანს იცნობდა, დამეთანხმება იმაში, რომ ის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ხასიათდებოდა. როდესაც ბატონი პეტრე დაინიშნა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად, მან უკლებლივ ყველა კათედრა მოინახულა. ეს არ იყო ფორმალური ვიზიტი. კათედრის გაცნობასთან ერთად მას სპეციალურ რვეულში შეჰქონდა ყველა ის პრობლემა, რომელთა გადაწყვეტას კათედრებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არასოდეს არ დამავიწყდება როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდა ბატონი პეტრე მის გამოსვლას საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებთან დაკავშირებით. მან რამდენჯერმე მთხოვა კათედრიდან მასალების მოტანა, რათა მოხსენებისათვის მიეცა ის სახე და ფორმა, რაც აუცილებელი იყო მის სოლიდურ დონეზე წარდგენის თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით ბატონმა პეტრემ დამავალა მიმეცა დამატებითი ცნობები საექიმო ფიზკულტურის საკითხებზე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ სერგო ხუნდაძისადმი, რომელიც, როგორც დეპუტატი ამ სესიაზე თანამომხსენებლად გამოდიოდა.

ბატონ პეტრეს იშვიათად, მაგრამ მაინც, როდესაც დრო ჰქონდა, უყვარდა არასამსახურეობრივ თემაზე საუბრის ჩამოგდება, რომლის დროსაც მისგან გემრიელ იმერულ იუმორსაც მოისმენდი. ერთხელ, როდესაც მე პირველად, 1960 წელს მოხსენებით გამოვედი ქვეყანაში სპორტული მედიცინის მსოფლიო კონგრესზე, თბილისში ჩამოსვლისთანავე მასთან მივედი და მოვახსენე ამ მივლინების თაობაზე. როდესაც ჩვენი დელეგაცია დაბრუნდა მოსკოვში, მეორე დღეს მე გამომიძახეს საკავშირო სპორტკომიტეტის სპეცგანყოფილებაში. მართალია, ამ განყოფილების უფროსმა დელიკატურად მადლობა მითხრა, მაგრამ ამავე დროს გამაფრთხილა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე მოხსენებები მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა გაკეთებულიყო, ვინაიდან სპორტული მედიცინის კონგრესზე სამუშაო ენებად ითვლებოდა: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, ესპანური და რუსული. ბატონი პეტრე თავისი ლამაზი ღიმილით მომიბრუნდა და მითხრა: "კარგია, რომ კეთილად ჩამოხვედი და იმ სპეცგანყოფილებაში რომ არ მოგიწია დარჩენაო." ამის შემდეგ სპორტული მედიცინის ბევრ მსოფლიო და ევროპულ კონგრესში მიმიღია მონაწილეობა, რამაც კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა ჩემი რუსული, მგრამ დავიწყებას მიეცა გერმანული ენა.

ბატონი პეტრეს სამედიცინო ინსტიტუტში მოღვაწეობაში მთავარი მაინც ის იყო, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ამ უმაღლესი სასწავლებლის ბაზებითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვებით უზრუნველყოფის საქმეში. სამედიცინო ქალაქში სამეცნიერო ცენტრის, ორი სასწავლო კორპუსის აშენებით და რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობის აგებით მნიშვნელოვნად შეიცვალა და პროგრესულად გაუმჯობესდა სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რის განხორციელებაში ლომის წილი ბატონ პეტრეს მოღვაწეობაზე მოდის. სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომელიც დღესაც ერთ-ერთ მოწინავე გამაჯანსაღებელ ცენტრადაა მიჩნეული ჩვენი განათლების სისტემაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ პეტრე გელბახიანის დამსახურების შესახებ არა მარტო სამედიცინო ინსტიტუტში, არამედ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო განათლების, მეცნიერებისა და კადრების მომზადების თვალსაზრისით ძალიან ბევრი კეთილის თქმა შეიძლება, მაგრამ დასანანია ის, რომ ასეთ ადამიანს არ მიეცა იმის საშუალება, რომ მოხუცებულობის პერიოდში მშვიდად და ტკბილად ეცხოვრა და გაეხარა თავის ახლობელთა გარემოცვაში, რაც, ალბათ, უღმერთობით იყო გამოწვეული.

რომანოზ სვანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მოგონებები ბიძია პეტრეზე

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე
თურმე ესეც გმირობაა დიდი!..

ი.ნონეშვილი

მოსაგონარი მართლაც ბევრი მაქვს გელბახიანების ოჯახზე. პეტრე გელბახიანი – ქუხდა ეს სახელი 50 წლის წინათ საქართველოში. მე დღეს არ შევუდგები ამ პიროვნების დახასიათებას; მხოლოდ მცირეოდენი მოგონებებით შემოვიფარგლები...

1955 წლიდან, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, ბედმა პირველი შეხვედრა გედისთან მარგუნა. პირველი სემინარული მეცადინეობა გვაქვს ფიზიკაში და პედაგოგმა ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება გედისთან ერთად დამავალა. ამ დღიდან დაწყებული მე და გედის ბედმა გვერდიგვერდ ყოფნა გვარგუნა. პირველი დამოუკიდებელი საექიმო ნაბიჯები 1961 წელს ქ.გაგრის რაისაავადმყოფოში შედგა. წარმატებით ჩავამთავრეთ სამწლიანი სავალდებულო სამსახური და შემდგომ პედაგოგიური მოღვაწეობაც კათედრაზე ერთად გავაგრძელეთ და დღემდე ერთად მოვდივართ. რაოდენ საოცარია ის ფაქტი, რომ ბედმა 1992 წელს ორივენი მოგვწყვიტა გარე სამყაროს და ციხეში ამოგვაყოფინა თავი. ჩვენი იზოლაციის მიზეზი მხოლოდ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას სიყვარული იყო. მისი იდეების სიყვარულისათვის დავისაჯეთ, რასაც არ ვნანობთ და ალბათ, სიცოცხლის ბოლო დღემდე მარად იარსებებს ჩვენს გულში ამ დიდი პატრიოტის, სულმნათი ზვიადის სიყვარული და უდიდესი პატივისცემა. გედისთან შედარებით ჩემი სასჯელი უფრო მოკრძალებული იყო; მხოლოდ ერთი წელი გავატარე იმ ავადსახსენებელ ჯურღმულებში და ასე თუ ისე ავითვისე ციხის "აკადემია". არ ვნანობ ყოველივეს, რადგან ჩემი გედისთან მეგობრობა უფრო მეტის მომცველია და როგორც გოეთე იტყვის: "... მეგობარი ხომ ნაწილია ჩემი სულისა!.." ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გელბახიანების ოჯახში გამიტარებია. ბატონ

პეტრესა და ქალბატონ თამარს მეორე შვილად მივაჩნდი, რასაც მე ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი, თუმცა ამას იშვიათად თუ გააჟღერებდნენ. ასევე ახლო ურთიერთობები აქვთ ჩვენს ოჯახებს დღესაც.

ბატონი პეტრე გარეგნულად მეტად მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემში. პირველ ხანებში ასე მეჩვენებოდა. რამდენიმე თვეში კი, როცა გავშინაურდი, დიამეტრალურად შემეცვალა მასზე შეხედულება. მივხვდი, რომ იგი იყო ძალზე უშუალო, ლმობიერი და მოსიყვარულე პიროვნება, რომელიც დაჯილდოებული იყო დიდი ორგანიზატორული ნიჭით და დიდი პროფესიონალიზმით. ამ თვისებებმა იგი საზოგადოებაში პოპულარული გახადა. ჩემი სუბიექტური აზრია – იგი ამ პოპულარობას შეეწირა, ემსხვერპლა მისი შვილი გედი და შვილიშვილი პეტრე. თითქმის 30 წელი გაატარებინა ციხის კარებთან რძალს ნუციკო ტატიშვილს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თუ არა ქალაბატონი ნუციკო, გელბახიანების ოჯახი არ იქნებოდა ასეთი წარმატებული, როგორიც დღესაა.

მახსენდება პირველი გამოცდა ფიზიკაში. ჩვენი ჯგუფი გამოცდას აბარებდა კათედრის გამგეს, პროფესორ ტ.გუნჯუას. გამოცდა რამდენიმე წუთის დაწყებულია და ერთ-ერთი სტუდენტის შეპასუხების გამო პროფესორი წონასწორობიდან გამოვიდა, სიტუაცია დაიძაბა. თითქმის მთელი ჯგუფი უნიშნოდ დარჩა. გამოსავალი ვნახეთ. ნახევარ საათში მოვიყვანეთ ინსტიტუტის რექტორი, ბატონი ი. მენთეშაშვილი და ბატონი პეტრე (იმ ხანად ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და საკმაოდ წარმატებითაც). გამოცდა განახლდა, ოღონდ რექტორისა და პარტკომის თანდასწრებით. ჩვენი ჯგუფი იმ დროს ინსტიტუტში გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით (23 სტუდენტიდან 20 ფრიადოსანი იყო). ჯგუფმა, მართლაც, დაამტკიცა, რომ წარმატებული იყო. ბოლოს რექტორმა და პარტკომმა გამომცდელს ბოდიში მოუხადეს, ჩვენ კი მადლობა გადაგვიხადეს და დაგვლოცეს. ესაა იმის მაგალითი, თუ როგორ ედგა ბატონი პეტრე გვერდში სტუდენტებს და უმიზეზოდ არავის დაარაგვრინებდა. როცა სამეცადინოდ დავსხდებოდით მე და გედი, ბატონი პეტრე,

როგორც წესი, შემოაღებდა კარს და გვეკითხებოდა: როგორაა, ბიჭებო, საქმე, ხომ არაფერი გიჭირთ, აბა, თქვენ იცით, უნდა მასახელოთო. ეს იყო ყოველდღიური მამაშვილური ზრუნვა ჩვენზე და მეტი არაფერი.

განსაკუთრებით გაუჭირდა ბატონ პეტრეს, როცა ჯერ გედი, ხოლო მოგვიანებით უმცროსი პეტრე ციხეში გამოამწყვდიეს. იმ განსაცდელის ჟამს თითქმის ყოველდღე ამ ოჯახში ვტრიალებდი, ვცდილობდი გამემხნევებინა და გვერდში დავდგომოდი მათ. ხშირად გაოცებული კითხულობდა: ნუთუ შეიძლება კათედრის გამგე (გულისხმობდა გედის) და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (უმცროსი პეტრე) სამშობლოს და პრეზიდენტის სიყვარულისათვის ციხეში გამოაწყვდიონო?! შენ მაინც ხომ იცი, როგორი წარმატებული რექტორი ვიყავი, ჩემი ოცნება იყო გამეფართოვებინა სასწავლო კორპუსები, შეუძლებელი შევძელი, ავაშენე მედქალაქში შემაერთებელი კორპუსი, მიახლოებული ევროპის სამედიცინო ბაზების დონესთან და ამ საქმიანობაში დიდი თანადგომა გამიწია მაშინდელმა ცეკას მდივანმა ვასილ მჟავანაძემ. მინდოდა ინსტიტუტი მომავალ ექიმთა ნამდვილ სამჭედლოდ მექცია, რაც შევძელი ეგაა, ახლა კიდევ სხვამ მეტი გააკეთოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას ამ საშვილიშვილო საქმეში. ამ სიბერის ჟამს, როცა დავჩაჩანაკდი, როცა გადაადგილება მიჭირს (ბოლო ხანებში დაავადებული იყო ართროზით), გამომკეტეს მარტო სახლში და საწყალი ნუციკოს მოსავლელად დამტოვეს, მაშინ, როცა მას თავსაყრელად აქვს საზრუნავი – ბიჭებს ხომ უნდა მიხედოს?! მე დავამშვიდე, ნუ ნერვიულობ, ბიძია პეტრე, ჯერ იგი ბოლომდე არ არის დამტკბარი ბოღმითა და სადიზმით (ვგულისხმობდი ედუარდ შევარდნაძეს) და ბოლომდე უნდა მიიყვანოს თავისი არაკაცური საქმე–მეთქი. მე არ მახსოვს ბიძია პეტრეს ოდესმე საყვედური გამოეთქვას შევარდნაძის მიმართ. მიუხედავად ჩემი ცნობისმოყვარეობისა, თუ რატომ გადაეკიდა ე.შევარდნაძე მას, რა იყო ამის მიზეზი, იგი ამაზე არაფერს ამბობდა. მხოლოდ ერთხელ, ისიც სიკვდილის წინა დღეებში, დაწვრილებით მიამბო ამ ამბის ისტორია. როცა სათქმელი დაამთავრა, დააყოლა: არა უშავს, მამა ზეციერი ყოველივეს განსჯის და ყველას თავისას მიუზღავსო.

ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო. ლოგინად ჩავარდნილი იყო (განუკურნავი სენით იყო შეპყრობილი – თირკმლის სიმსივნე ჰქონდა) და ერთი საათით დავრჩი ავადმყოფის საწოლთან (ნუცა ქალაქში გავიდა ოჯახის საქმეზე). მან ჩემდა გასაგონად ინატრა: ღმერთმა ისე არ მომკლას, რომ ჩემს ბიჭებს თვალი არ შევავლოო. მე დავაწყნარე: ნუ გეშინია, მალე ნახავ–მეთქი და დავუმატე: სანთელ-საკმეველი თავის გზას გაიკვლევს–მეთქი. იმედი ჩაესახა თვალებში, ეტყობოდა, ესიამოვნა ჩემი ნათქვამი. გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა ამ დროს. ტკივილგამაყუჩებელი როდი შველოდა ბოლომდე. მივჩერებოდი ამ დიდ პიროვნებას, რომელიც იწვა გაუნძრევლად, თვალებგაფართოებული, სახეზე სიცოცხლის ნიშანსვეტი არ ეტყობოდა, არავითარი შიში, პანიკა, ცახცახი, მის თვალებში ერთი ცრემლის კურცხალიც კი არ აკიაფებულა. იწვა მშვიდად. მხოლოდ, მაშინ, როცა ტკივილები მოეძალეოდა, კბილთა ღრჭიალი მესმოდა. ჩემი საექიმო მოღვაწეობის პერიოდში მრავალ მომაკვდავთან მომიწია დგომა, მაგრამ ასე ვაჟკაცურად, შეუდრეკლად შეხვედროდა კაცი თავის აღსასრულს, მხოლოდ ერთხელ, ბატონ პეტრესთან ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჭეშმარიტებაში – ვაჟკაცები არ უფრთხიან სიკვდილს.

ბატონი პეტრე დიდი ოპტიმისტი იყო, ყოველთვის სჯეროდა ხვალინდელი დღის. დიდი შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფულობით და სიბეჯითით გამოირჩეოდა. იგონებდა რა განვლილი ცხოვრების გზას, ყოველთვის წინ წამოსწევდა გაუსაძლის სიღარიბეს. იგი მიამბობდა, თუ როგორ ათავსებდა ერთმანეთს სკოლაში სწავლასა და მაღაროში მუშაობას. როგორ აგროვებდა გროშებს, რათა თბილისში სწავლა გაეგრძელებინა, იგი ხომ მშობლების ნაბოლარა, მეთერთმეტე შვილი იყო. თბილისში ჩამოსულს თავშესაფარი არსად ჰქონია და მთელი ექვსი თვე რკინიგზის მოსაცდელში უპოვია დროებითი ადგილსამყოფელი. პირველად სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაუბარებია და იქ გაუცნია ბიძაჩემი ჯოტო ზედანია. იგი ყოველთვის შემახსნებდა – შენ რა გიჭირს, მთასავით ბიძასთან იზრდებიო. – აბა, შენ უნდა გენახა რა წვალებით და წამებით გავიკვლიე გზა ჭიათურის მაღალმთიანი

სოფლიდან – ბუნიკაურიდან სრულიად უპატრონომ და დღემდე მოვედი. ახლა კი ხედავ, როგორ ვცხოვრობ და რას მივაღწიეო. ყოველივე ამისათვის უნდა იყო მზად, რათა ამ წუთისოფელში სადმე უფსკრულში არ გადაიჩეხო. ეს კი მხოლოდ დიდი შრომით არის შესაძლებელიო. მე ვგრძნობდი, რომ ამ სიტყვებში არავითარი პათეტიკა არ იყო. ეს იყო მხოლოდ მამაშვილური დარიგება, რაც ცხადია, მე ყურად ვიღე და ჩემი ცხოვრების დევიზად გავიხადე. ეს არასოდეს დამავიწყდება და ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული.

ბიძია პეტრე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არ იცოდა, უმცროს პეტრეს სასიკვდილო განაჩენი რომ ჰქონდა გამოტანილი. ეს კი ნუცას დამსახურება იყო და მართლაც, რომ კარგი საქმე გააკეთა. უმცროსი პეტრე 2,5 წლის განმავლობაში იჯდა ნესტიან საკანში და ყოველდღე აღსასრულს ელოდა. ის არ გამტყდარა, არ დაცემულა სულიერად – ალბათ, ბაბუამისის გენმა თუ უშველა და მამაზეციერის მადლმა გადაარჩინა.

მახსოვს ბიძია პეტრე გედიზე უფრო ნერვიულობდა. ვერ წარმოედგინა, როგორ გაუძლებდა ამ გაჭირვებას, ალბათ, პარალელს თუ ავლებდა თავისთან და სრულიად სამართლიანად შევარდნაძის პატიმარიც კი შეარქვა. მეტყოდა ხოლმე, მე და თამარი გედის ციხისთვის როდი ვზრდიდითო. რაც შეეხება უმცროს პეტრეს, მასზე ამბობდა, ის გაუძლებს, ნამდვილი ვაჟკაცია და თანაც ასაკიც ხელს უწყობსო, ის თავს არავის დააჩაგვრინებს, ქედს არავის მოუხრისო – ეს იყო ჩემი ბოლო გასაუბრება ბიძია პეტრესთან, როცა იგი სასიკვდილო სარეცელზე იწვა და ვაჟკაცურად ხვდებოდა სიკვდილს. ბოლოს მან დიდი პაუზა გააკეთა, თითქოს რაღაცის დამატებას ლამობდა. მეც ღრმა ფიქრებში წავედი, დიდი პაუზა გავაკეთე და როცა თვალები გაახილა, ხელი ხელში ჩავჭიდე და ხმამაღლა ვუჩურჩულე – თქვენი ალიკვალია ნამდვილი–მეთქი. არ გამომეპასუხა, ხელი მომიჭირა და სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. შემდეგ ისევ თვალები დახუჭა. მეც ფიქრებში გადავეშვი. ვნატრობდი, ნეტავ, ნუციკო მალე მოვიდეს-მეთქი. ვუსინჯავდი მაჯას, მაჯა სუსტი და არიტმული იყო. ვგრძნობდი, რომ სიკვდილი სადღაც ახლოს იყო ჩასაფრებული და

სადაცაა შემოაღებდა კარებს. ცხადია, არ მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი უსაყვარლესი კაცის სიკვდილთან და ნუციკოს მოსვლა კიდევ ერთხელ ვინატრე. ასე მეგონა, ნუციკო დამეხმარებოდა, რომ სიკვდილს წინ აღვდგომოდი. ნუციკოც მოვიდა. კარების კაკუნზე ბიძია პეტრემ თვალები გაახილა. მკითხა, ვინ მოვიდაო. როცა ვუთხარი, კიდევ ერთხელ დალოცა ნუციკო თავის ქმარ-შვილთან ერთად და დააყოლა – ალბათ, უფალმა გამომიგზავნა ასეთი რძალიო. ბოლოს საათი მკითხა. უკვე გვიანი იყო. მთხოვა წავსულიყავი და როცა დრო მექნებოდა კვლავ შემომევლო. მთხოვა – ნუ დაგზარდება, შენი მოსვლა ჩემთვის ყველაფერია, შენ ხომ გედის ძმა ხარ და როგორც მისი მოსვლა გამეხარდება, ისე მიხარია შენი დანახვაო და დამლოცა.

მეორე დრეს ბიძია პეტრე აღესრულა. მართლაც რომ დიდი პიროვნება წავიდა ჩვენგან. მისი ცხოვრების პერიპეტიები დიდი ტრაგიზმით იყო აღსავსე. იცხოვრა და იღვაწა კაცურად და წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში.

"... მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!"

მიხეილ ქვლივიძე

სრული ჭეშმარიტებაა კონსტანტინე გამსახურდიას ღაღადი "...თუ დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით მას, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!" ვაგლახ, რომ ასეა.

დოცენტი ზ. ზედანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინანულით აღსავსე მოგონებები ბატონ პეტრე გელბახიანზე

ამ მოგონებებით მკითხველის წინაშე მინდა ვიყო უაღრესად გულწრფელი. თუმცა ძალიან ძნელია იმ ტრაგიკული ხვედრის ობიექტურად აღწერა, რაც უკვე წარსულ დროს ეკუთვნის. ვისაც ამქვეყნიური სიცოცხლე უყვარს და სიბრძნის ძიების გზაზე ბრძენი მასწავლებელი ჰყოლია, მას არ შეუძლია ყოველივე ეს აღწეროს ცრემლების გარეშე.

ბატონ პეტრე გელბახიანს 1954 წლის აგვისტოს თვიდან უკვე ვიცნობდი გარეგნობით. ის იყო ახოვანი, შავი ულვაშებით, ვაჟკაცური, შავგვრემანი, ამ დროისათვის მას თავზე თმა აღარ ჰქონდა. საოცრად უხდებოდა ღიმილი და ამავე დროს მას ახასიათებდა მახვილგონივრული იუმორი. შეხვედრისას ბატონი პეტრე საოცრად კონტაქტური იყო და თანამოსაუბრეებთან ქმნიდა მაგნიტურ ველს. მიმზიდველი კაცი გახლდათ და თავისი საუბრითა და პიროვნული ღირსებებით დაგიმორჩილებდა. პიროვნულ სიმპათიებს ბადებდა. იგი მუდამ გემოვნებით იყო ჩაცმული. ფეტრის ქუდს - ცილინდრს ატარებდა და თუ ვინმეს ცილინდრი შვენოდა და უხდებოდა, ეს ბატონი პეტრე გელბახიანი გახლდათ. ფეხსაცმელები და მისი თასმა ანუ ფეხსაცმელების ე.წ. "შნუროკები" არასოდეს ბანტებივით ტერფზე გადმოშლილი არ ჰქონდა. მაღალი გემოვნების კაცი იყო და ჩაცმულობითაც მჟღავნდებოდა მისი შინაგანი კულტურა. მას ცუდად დახრილს ვერ დაინახავდი. პაპიროსს პრინციპულად არ ეწეოდა. ბატონი პეტრე გელბახიანი, ჩემი ღრმა რწმენით, მთვრალი არავის უნახავს, მით უმეტეს ამ სტრიქონების ავტორს და იგი ფიზიკურადაც იმდენად ძლიერი იყო, ალბათ, მას თანამესუფრეები, ლხინის დროს, სიმთვრალის ზღვრამდე ვერც კი მიიყვანდნენ.

ხუთი წლის განმავლობაში 1954 წლიდან 1959 წლამდე ჩემი თაობა ბ-ნი პეტრე გელბახიანის მითითებით იზრდებოდა. მე არ მახსოვს შემთხვევა ბ-ნ პეტრეს ლექციაზე დაეგვიანოს 5 წუთით კი. იგი მუდამ პუნქტუალობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოირჩეოდა და 9 საათზე, როცა მისი ლექცია იწყებოდა, 15 წუთით ადრე თითქმის ყველა სტუდენტი უკლებლივ აუდიტორიაში ვისხედით. გამორიცხული იყო ვინმესგან დაგვიანება. ლექციას ზუსტად 9 სთ-ზე იწყებდა. მას საოცრად მჭრელი და ლოგიკური მსჯელობა ახასიათებდა. დიქცია, ღაღილი რომ ჰქვია. საოცრად ორიგინალური ჰქონდა, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიის დიქტორსაც რომ შეშურდებოდა. წამალთა ტექნოლოგიაში ლექციების კითხვისას ის საოცრად მომზადებული იყო რაიმე ტერმინის, ან რომელიმე ავტორის ზუსტად დასახელებისას არ მახსოვს, რაიმე დავიწყებოდეს, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის რაიმე არასწორად მიეწოდებინოს ან "შპარგალკით" ესარგებლოს. ბატონ პეტრეს არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა და მისი ტვინის უჯრედები მაგნიტური ფირივით დიდი სიზუსტით იმახსოვრებდა ყველაფერს. ეს ვეებერთელა, ფიზიკურად გიგანტური პიროვნება არაერთხელ მინახავს კათედრის ლაბორატორიაში მინის წკირით ხელში. ფაიფურის ფინჯანზე მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური მასის აორთქლებას რომ აწარმოებდა. ექსპერიმენტის წარმოებისას ბატონი პეტრე ცდების პროცესს აქცევდა ძირითად ყურადღებას და ამ დროს იმ სტუდენტებსაც გვპასუხობდა, რომლებიც მასთან ვიყავით მისულები ინფორმაციის მისაღებად. 50-იან წლებში იგი უკვე დოქტორი გახდა და მამრობითი გვიმრისაგან, რომლის სამკურნალო თვისებების შესწავლა პროფ. პავლე ჭუმბურიძეს ჰქონდა დაწყებული, მან წარმატებით გააგრძელა. მამრობითი გვიმრისაგან შეიმუშავა ლენტისებრი ჭიების საწინააღმდეგო მოქმედების პრეპარატი, ნივთიერება, რომელიც მან თავის წინამორბედთან შედარებით ბალასტური მინარევებისაგან გაწმინდა და ისე წარმოადგინა.

ბ-ნი პეტრე გელბახიანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი გახდა, სადაც მან საკუთარი პიროვნული თვისებები გამოამჟღავნა და დიდი ძალისხმევის შედეგად მოახდინა ადმინისტრაციული უფლებების კონცენტრაცია პარტი-

ული კომიტეტის მდივნის დაქვემდებარებაში. ამ დროისათვის რექტორი ბრძანდებოდა ფსიქიატრი პროფ. ირაკლი მენთეშაშვილი. სტუდენტებს არაფერი გამოეპარებათ და საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი – სამედიცინო ინსტიტუტის მმართველები არიან "პეტრე დიდი" და "ერეკლე მეორეო". ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ეს ნახევრად იუმორისტული გამოთქმაა, მაგრამ ბ-ნი პეტრეს პიროვნება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ის როგორც პარტიული კომისიის მდივანი რექტორზე არანაკლებად ანგარიშგასაწევი პიროვნება გახლდათ. მომდევნო წლებში კი, ბატონი პეტრე გელბახიანი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშნეს.

ჩემი აღმზრდელი პედაგოგი, ბ-ნი პეტრე გელბახიანი გულწრფელად მენანება იმ ტრაგიკული ხვედრისათვის, რაც მას ბედისწერად ერგო. ტექნიკური მიზეზების გამო ჩემი მოგონება რაც შეიძლება შეზღუდული უნდა იყოს და მე ისღა დამრჩენია, ბ-ნი პეტრეს სახელს უკვდავება ვუსურვო და დიდი სიამაყის გრძნობითა და მოგონებებით დავემშვიდობო საყვარელ მასწავლებელს.

ქ თბილისის I აფთიაქი - მუზეუმის
დირექტორი, წამალთმცოდნე,
დოცენტი სოკრატ სალუქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი პეტრე 80 წლის ასაკში გავიცანი, 1993 წლის გაზაფხულს...

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ენის, მამულისა და სარწმუნოების ერთგული პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას სამშობლოდან განდევნით „დააგვირგვინეს“ იმპერიულმა ძალებმა და ქვეყანაში მათდამი დაქვემდებარებულმა პუტჩისტებმა. დაიწყო მასობრივი გამოსვლების, მიტინგებისა და მანიფესტაციების დახვრეტა, დარბევა, რეპრესიები, დაპატიმრებები.

1992 წელს საკუთარ სახლში პატიმრობაში აიყვანეს ბატონი გედი პეტრეს ძე გელბახიანი.

1993 წელს, ქ. ბაქოში, თავს დაესხნენ და ფაქტობრივად მოიტაცეს პეტრე გედის ძე გელბახიანი. ორი წელი და 5 თვე სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა.

უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდნენ მარტოდ დარჩენილი ქალბატონი ნუცა ტატიშვილი–გელბახიანისა და ბატონი პეტრე.

ამ ოჯახის მიერ გაღებული მსხვერპლი გახდა მიზეზი ჩემი შეხვედრისა ბატონ პეტრესთან. მას ამშვენებდა მებრძოლი და ამაღლებული სული განფენილი ფიზიკურ სხეულში, ბრწყინვალე მეტყველება, დახვეწილი მანერები, ძალა სიტყვისა.

ბატონი პეტრე ისე ხატოვნად ყვებოდა და იგონებდა წარსულს, მსმენელი თვითმხილველი ხდებოდა ამბის. ამის გამო ხშირად შინაგანად აფორიაქებული ვემშვიდობებოდი და განცდებით ვბრუნდებოდი შინ.

– ბატონო პეტრე, თქვენ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც, ცნობილი პიროვნება ბრძანდებით. იმდენად მნიშვნელოვანია ის ამბები, რომლებსაც გვიამბობთ, შემოგკადრებთ და გეტყვით, წარსულისათვის არ უნდა გაიმეტოთ. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდეს სიმართლე.

ჩაფიქრდა. . .

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი პეტრე თავის კაბინეტში მელოდა. მხედველობას უჩიოდა, თუმც ამის გამხელა სურდა. მარჯვენა ფეხის მოტეხილობის შემდეგ სიარულიც უჭირდა. არავის დაიხმარდა, თავად უნდა წამომდგარიყო. ამ მოძრაობაში მასში ვაჟკაცი იბრძოდა, ან როგორც თავად უყვარდა თქმა – „კაცური კაცობის მნიშვნელოვანი ნიუანსი" იყო აბობოქრებული.

მაგიდასთან მიმიჩინა ადგილი, რომელიც წიგნის თაროებით იყო გარემოცული. თავად მოპირდაპირე კედელთან სავარძელში დაბრძანდა, ფანჯარასთან ახლოს. სინათლე მარჯვნიდან ეცემოდა სახეზე.

პირველი დღე ურთიერთგაცნობის, უფრო სწორად, გამოცდის დღე იყო. გამახვილებულ ყურთასმენას არაფერი გამოეპარებოდა, შეიძლება ითქვას, ადამიანს კითხულობდა. ვისაუბრეთ. შემდეგ დუმილი ჩამოვარდა. დასასრულს დასძინა:

– ჩვენ ახლა ისეთ საქმეს ვკიდებთ ხელს, რომ თქვენ ჩემი უახლოესი მეგობარი გახდებით. მოგითხრობთ ამბებს და ბუნებრივია, ყველაფერს არ ჩავიწერთ. ჩვენს შორის დაფარული არაფერი უნდა იყოს. ასე რომ, ხვალიდან შევუდგეთ მუშაობას.

*

მეორე დღეს, როდესაც ხელი ჩამოვართვი, მივესალმე და მოვიკითხე, მიპასუხა:

– მთელი ღამე არ მძინებია, თეთრად გავათენე, ვერ მოვისვენე. თქვენ როგორი განწყობა გაქვთ დღეს?

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. წუთების სიმძიმე მხოლოდ სწორად თქმულ სიტყვას შეეძლო შეემსუბუქებინა, მაგრამ ვერ მივაგენი მას და გაჩუმება ვარჩიე.

„როგორ დავიწყო... როგორ..." – უკვე მერამდენედ იმეორებდა ჩურჩულით, თავისთვის. დავინახე კიდეც, როგორი იყო მისთვის ის ღამე.

– ბატონო პეტრე, მოდით ყველაფერი სულ თავიდან დავიწყოთ. ერთ-ერთ საუბარში, მახსოვს, თქვენ ბაბუა – ამირან გელბახიანი ახსენეთ...

– დიახ, დიახ!..

ასე დაიწყო ყოველდღიური, საინტერესო, ემოციური, მუხტით აღსავსე მუშაობა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, შვიდ-რვა საათს გრძელდებოდა და სინათლეს ჰფენდა შეგნებულად თუ შეუგნებლად მივიწყებულ წარსულის ფურცლებს.

*

რამდენიმე გამოკვეთილი შტრიხი:

მეხსიერების საოცარი, შეიძლება ითქვას, ფენომენალური უნარი.

„ეს ჩემი ყველაზე ძლიერი იარაღია!“

თხრობის დროს რთულად გადმოსაცემი აზრის სხარტი და აკადემიური ჩამოყალიბება.

განწყობის შემამსუბუქებელი პაუზები.

ბუნებისადმი მისი დამოკიდებულება – „ზამთარი მიყვარს“.

მოგზაურობის შთაბეჭდილებები – „ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ ბუნებრივი სიუხვით განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ჩემზე, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი გაგრა მიყვარს, იქ დასვენება“.

ქართული სუფრის ტრფიალი – „ისეთი ჭადის გამოცხობა ვიცი, რომ გესიამოვნება“ – თქვა ერთხელ და დაბალ ხმაზე წაიღიღინა კიდეც.

თხრობისას, თუ რამეს სასიამოვნოს იგონებდა, თვალებს ხუჭავდა და ეღიმებოდა, თუ არასასიამოვნოს – ქუდს მოიხდიდა, მუხლის თავზე დაიდებდა, თავზე ხელს გადაისვამდა და ისევ დაიხურავდა.

– უპირისწყალო კაცია! – უარყოფითად დაახასიათა ნაცნობი.

– როგორ?

– არ გაგიგია ეს სიტყვა? – მკითხა გაკვირვებულმა.

იმ წუთიდან გადავწყვიტე, მისთვის დამახასიათებელი გამოთქმები ცალკე ფურცელზე ჩამეწერა.

*

ერთ დღეს მაგიდაზე უამრავი ფოტოსურათი დამახვედრა.

– ორი კაცი თუ აღმოვჩნდებით მათ შორის ცოცხალი, დანარჩენი აღარ არიან...

სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბარს რომ წამოიწყებდა, უხერხულობის გრძნობა მეუფლებოდა. თავად გამოვყავდი მდგომარეობიდან:

– მთავარი გუნება-განწყობაა, მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა!

მოგვიანებით აღნიშნა, რომ ამ სიტყვებს პეტრე გელბახიანის გამოთქმად თვლიდნენ მისი კოლეგები.

*

ხალხის სიყვარული და პატივისცემა ყოველდღიური ყურადღებით გამოიხატებოდა. მთელი დღის მანძილზე რეკავდნენ ტელეფონზე, მოდიოდნენ, კითხულობდნენ, სტუმრობდნენ. ბატონ პეტრეს ბავშვივით უხაროდა.

*

– აღდგომის დღესასწაული მიყვარს განსაკუთრებით, შინაგანად მიზიდავდა ყოველთვის, მიხაროდა. იყო სხვა დღესასწაულებიც, რომელთა მიმართ კეთილად ვიყავი განწყობილი, მაგრამ... აღდგომა... თაბაგრების მთავარანგელოზის ეკლესია...წითელი კვერცხები... ყოველთვის მიყვარდა დაკვირვება. პატარაობიდანვე ასე მჩვეოდა. ხალხური სიბრძნის მოსმენა მიყვარდა. ერთი დღე არ მქონია ლაღად გატარებული, სულ საქმეში ვიყავი. კაცი საქმით ფასობს!

ბატონმა პეტრემ თავის საყვარელ რძალს ნუციკოს სთხოვა, სააღდგომო სუფრა განსაკუთრებით ლამაზად გაეწყო და ვინც იმ დღეს, მიუხედავად რთული ვითარებისა, გელბახიანების ოჯახს სტუმრობდა, ვგონებ, არავის დაავიწყდება ქართველი ერის, ქართული მიწის სიყვარულით შთაგონებული ოჯახის თავკაცი.

*

ერთხელ გამომიტყდა:

– ჩემს გედუნას ჩვენი საიდუმლო გავანდე, ვეთანხმო წიგნზე ვმუშაობთ-მეთქი.

გედუნა ბატონი პეტრეს შვილიშვილის შვილია. იმ დღეს მან გამიღო კარი. თითქოს ჩვეულებრივ მომესალმა, გამიღიმა, მაგრამ მის გამოხედვაში იყო რაღაც სხვა. მოგვიანებით მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

– დიდხანს ვისაუბრეთ. ასეთი ლაპარაკი გედუნასთან მანამდე არ მქონია. კაცურად ვისაუბრეთ და ეს ჩვენს შორის პატარა საიდუმლოდ დარჩება – დაასრულა წინადადება და მივხვდი, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ფაქტს. არც მაშინ და არც მერე ბატონ პეტრეს არაფერი უთქვამს ამ საუბრის შესახებ და არც ჩემი თავისთვის მიმიცია უფლება, მეკითხა.

*

პეტრე გელბახიანი შემოქმედებითი ბუნების ადამიანი გახლდათ. ის დაბადებიდან ასეთი იყო, ასე გაიზარდა და ამიტომ უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთებას.

„რექტორი რომ ვიყავი, პირდაპირ ვიწვოდი ჩემი ინსტიტუტისათვის. რექტორი, უპირველეს ყოვლისა, მშობელი უნდა იყოს“.

*

ახალი წლისათვის ხელნაწერი უკვე დამთავრებული იყო. შევუდექით ხელახალ გადაკითხვას. ამჯერად უფრო დაკვირვებით და სერიოზულად მისმენდა, თითქოს პირველად ეცნობოდა მასალას. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი-დღე მძიმდებოდა. ვგრძნობდი, იმ წუთის მოახლოვებას გაურბოდა, როდესაც ტექსტის კითხვა დამთავრდებოდა. ამიტომ არ ვჩქარობდი. ამასაც ხვდებოდა. ბოლოს ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, მაგრამ ისე ლამაზად ეფე-

რებოდა სიცოცხლეს და ისე მოწესრიგებულად ემზადებოდა სიკვდილთან შესახვედრად, ნებისმიერ კაცს გააოგნებდა.

*

ადამიანთან, მით უფრო ძლიერ პიროვნებასთან, ყოველ-დღიური საქმიანი ურთიერთობა გარკვეულ შეხედულებას აყალიბებს, ურთიერთპატივისცემას განამტკიცებს. უმნიშ-ვნელო დეტალიც კი მნიშვნელოვანია ამ დროს. იმდენად გამახვილებულია ხედვა, რომ არაფერი რჩება ყურადღების მიღმა.

და მაინც...

ქაოსიდან – ხელნაწერები, ჩანაწერები, გამოთქმები, ფოტოსურათები, პირადი წერილები, გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო შრომები, დაუმთავრებელი მასალები, კრიტიკული წერილები, მისალოცი ბარათები, მნიშვნელოვანი საგნები, სამახსოვრო ნივთები – იკვეთება ყველაზე მთავარი და თუ ის ერთ წამში მაინც დაინახე, უკვე შვებას გრძნობ, შინაგანად მყარდები. აი, ისიც:

კითხვა: – რატომ დააპატიმრეს ბატონი პეტრე გელბახიანი?

რატომ მოწყვიტეს საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს მისთვის ყველაზე აქტიურ პერიოდში?

პასუხი: – ქართული სული ხმიანობდა მასში.

*

აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძეს უთქვამს ერთხელ თავის კოლეგებთან: „პეტრე გელბახიანის დიდი კაცობის ამბავს ბოლოს გაიგებთ!“.

*

სვეტიცხოვლობა დღეს დამიბარა.

– კარგად არ ვარ. მაგრამ კიდევ მინდა რაღაც გითხრა... ვეღარ ავდგები. ჩემი საქმე წასულია. შენი იმედი მაქვს,

ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენ... თუ ჩემი შვილის და შვილიშვილის ნახვას ვერ მოვესწრები, გადაეცი ... სიცოცხლის ბოლო წუთამდე ველოდი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

1996 წლის 12 მარტს გარდაიცვალა ბატონი პეტრე გელბახიანი. ქართველმა ხალხმა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა მიაგო მას და სამარის კარამდე სამგლოვიარო მსვლელობით მიაცილა.

ბატონი პეტრეს ნათელი სული ზეციური საქართველოდან აღავლენს ლოცვას ქართველი ერის აღდგომის მოლოდინით.

მანანა მიხაილოვა
ჟურნალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაული პიროვნება – პეტრე გედევანის ძე გელბახიანი დაბადებული და გაზრდილი ჭიათურაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჯერ პარტკომი და შემდგომ რექტორი. გარეგნობით მაღალი, გამართული ტანადობის, ულამაზესი სახის ნაკვთებით, რაც მთავარია ინტელიგენტი, უჭკვიანესი, არაჩვეულებრივი მეხსიერების პიროვნება. სამსახურში მკაცრი, მომთხოვნი, ოჯახში – ტკბილი, საკმარისად სამართლიანი კაცი. მე მასთან ვიმუშავე 5 წელი, 1 წელი, როცა პარტკომი იყო პროფ. ირაკლი მენთეშაშვილის რექტორობის დროს და 4 წელი მისი რექტორობის დროს. საკმარისად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებს შორის. ყოველთვის მოდიოდა არაჩვეულებრივად ჩაცმული, გემოვნებით. საკვირველია, საიდან ჰქონდა ასეთი ფერების შეხამების ნიჭი.

მაშინ სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვიყავი (დეკანი იყო პროფ. ნევროპათ. ალ. რუხაძე). იგი პროფ. ზოიძესთან ერთად ადგენდა ნევროლოგიის სახელმძღვანელოს, ამიტომ ძირითადად წლიური ანგარიშის შედგენაში, სხვა დეკანებთან ერთად, მეც ვმონაწილეობდი. ერთად ჩავდიოდით ბ-ნ პეტრესთან, წავუკითხავდით საერთო მოხსენებას. გულდასმით გვისმენდა, გზადაგზა გვისწორებდა. მხოლოდ შემდეგ ვაბეჭდინებდით. ყოველ წელიწადს ბატონ პეტრეს უნდა გაეკეთებინა უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე ანგარიში სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. დადგებოდა ტრიბუნასთან, დაიწყებდა მოხსენებას, ნაბეჭდს გვერდზე გადადებდა და სულ ზეპირად საუბრობდა. სასწაული მეხსიერების პატრონი იყო. მახსოვს, პროფ. ფელისიტა შოთაძეს უნდა დაეცვა სადოქტორო დისერტაცია, თებერვალში მივიდა რექტორთან. მან გამოიძახა სასწ. ნაწილის უფროსი, ივნისამდე იყო საბჭოების რიცხვები შევსებული დისერტანტების მიერ, შეპირდა, იქნებ როგორმე გაგიკეთოთო. 1 ივლისიდან ყველა თანამშრომელი მიდიოდა

შვებულებაში და თავისი ინიციატივით, დაურეკა შოთაძეს და დაუნიშნა 4 ივნისს სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი კონტაქტები ჰქონდა, ყველა პატივს სცემდა. ინსტიტუტში ან კათედრებზე მივიდოდა, აკადემიკოსები, პროფესორები ყველა კედელს ეკვროდა და ისე ესალმებოდა.

საბჭოს სხდომები მიჰყავდა არაჩვეულებრივად. ერთხელ მახსოვს, სტუდენტმა ბიჭებმა იჩხუბეს და მილიციამ დაიჭირა ერთ-ერთი, რომელიც შემდეგ დიდი საავადმყოფოს მთავარი ექიმი გახდა, მიუსაჯეს 15 დღე, რომელიც დაემთხვა სასესიო გამოცდებს. ვზივარ დეკანატში და მირეკავს თერაპიული კათედრის გამგე ანეტა ჟღენტი, რომ მილიციონერმა მოიყვანა სტუდენტი, გამოცდის ჩასაბარებლად. ჩავედი ბატონ პეტრესთან. ბ-ნმა პეტრემ დაურეკა მინისტრს და ტყავი გააძრო, ეს რა ხდება თქვენს მილიციაში, რომ მისჯილ კაცს გამოცდას აბარებინებთო. იმ პერიოდში საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრის მიერ ბრძანებით ჩარიცხეს 7 ბავშვი, სხვა ინსტიტუტებიდან, სამხატვრო აკადემიიდან – 4, ბიოლოგიური ფაკულტეტიდან – 2 და 1 გეოლოგიიდან. ეს იყო მოსკოვიდან ელუტინის მომართვა და მინისტრმა ბრძანებით ჩარიცხა I-II კურსებზე, დამიბარა და მითხრა: ეხლა წახვალ იმ ინსტიტუტებში, ლურჯი, შავი და წითელი ფანქრებით დამიწერ იქაური სწავლების პროგრამას და საათებს. გავერკვიე, მივუტანე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მკაცრი საყვედურით წარადგინა აღნიშნული მონაცემები სტუდენტების შესახებ. ნამდვილად იყო არაჩვეულებრივი ორგანიზატორი, იცოდა მოსმენა, დაგარიგებდა და იყო მომთხოვნიც, საკმარისად მკაცრი.

მე მახსოვს, იმის გამო, რომ მაღალმთიან რაიონებში ექიმების ნაკლებობა იყო, მისი ინიციატივით შეიქმნა სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტებისა და პროფესორების რამდენიმე ბრიგადა. მეც ვიყავი ზემო სვანეთის ბრიგადის ხელმძღვანელი. მაშინ ერთი ექიმი იყო ყველა სპეციალობის – გიორგი ნიჟარაძე. ამიტომ იმდენად წინდახედული კაცი იყო ბატონი პეტრე, რომ ცენტრალურ კომიტეტში დასვა საკითხი, ლიმიტებით ჩაგვერიცხა მაღალმთიანი რაიონების ნიჭიერი ახალგაზრდობა. მისაღებ გამოცდებზე მე ვიყავი კომისიის წევრი. ცხადია, შედარებით სუსტები იყვნენ, ვიდრე

ქალაქის ბავშვები. დამიძახა რუსული ენის კომისიის თავმჯდომარემ და მითხრა, რომ ვერ წერს რუსულად გვარს სახელს და მამის სახელსო. მე მივმართე კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილს და ჩვენ ერთად მივედით ბ-ნ პეტრესთან. პეტრემ ბრძანა: 1 კაცი გვაკლია სვანეთიდან ჩასარიცხი და უნდა დაუწეროთ ნიშანიო. ამავე დღეს სურამიდან აბარებდა ერთი გოგონა ფიზიკას და შეეკითხა – კამერტონი რაზე უნდა იდგესო. მან უპასუხა, უჰაერო სივრცეზეო. ჩააცივდა, დააკონკრეტეო. გოგოს გული წაუვიდა, მოვიდა პეტრე, დახედა – ეს გოგო მეხუთე წელია აბარებს და დაუწერეთ ხუთიანიო. ეს მის სიკეთეზე მეტყველებდა. ყველა თანამშრომელს უცხადებდა თანაგრძნობას. მათ შვილებსა და შვილიშვილებს ეხმარებოდა. თუ პირველ წელიწადს არ ჩაირიცხებოდა, მეორე წელიწადს აუცილებლად შეძლებისდაგვარად მიეხმარებოდა.

საერთოდ, ძალიან კარგი ორგანიზატორი იყო. უკავშირდებოდა ხელმძღვანელებს და აკეთებინებდა კათედრების რემონტს. მისივე ინიციატივით აშენდა სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ორი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე, შემაერთებელი კორპუსი, მაგრამ ვერ მოასწრო მისი გადახურვა, რადგანაც უსამართლოდ და უსაბუთოდ დაიჭირეს. ბ-ნი პეტრე იმდენად ამაყი კაცი იყო, რომ შეწყალებაზე განცხადება არ დაწერა, მთლიანად მოიხადა სასჯელი და გამოვიდა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ციხეში ყოფნის დროს როგორც ტუსაღებში, ისევე ორგანოს თანამშრომლებშიც.

მე მიხდებოდა მისი შვილიშვილების მკურნალობა ავადმყოფობის დროს. რომ მივიდოდი ოჯახში, თბილად მიმიღებდა, ღელავდა შვილიშვილების ჯანმრთელობის გამო, ნერვიულობდა. მე კიდევ ვამხნევებდი. ოჯახში ძალიან ტკბილი კაცი იყო.

მახსოვს მოეწყო გამსვლელი სესია ქ. ჭიათურაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო უნივერსიტეტის, საკავშირო დახელოვნების პროფ. მასწავლებლებმა, სპეციალისტებმა. გზაში ხალხი გამოსული იყო და გვესალმებოდა. შემდეგ საღამოთი იყო ლექციები, კითხვა-პასუხები და

მოსახლეობის მასიური გასინჯვები. ვცხოვრობდით სასტუმროში. დიდი პატივი ვეცით ადგილობრივ მოსახლეობას. ერთ დღეს გადავედით საჩხერეში, სადაც ასეთივე დახმარება გავუწიეთ მოსახლეობას. ეს მისი დამსახურება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ოჯახს: ქ-ნი თამარი – მეუღლე, დოცენტი. არაჩვეულებრივი თბილი და ტკბილი ქალი, შვილი გედი – თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არაჩვეულებრივად გაზრდილი, მცოდნე, გამოცდილი, დაფასებული. რძალი – ნუცა ტატიშვილი, პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილის ქალიშვილი. შვილიშვილები – პეტრე და თამრიკო, სიძე, რძალი და 4 შვილთაშვილი. ისინი არიან ძველი, ქართული, თბილისური, ტრადიციული ოჯახის წევრები, უაღრესად განათლებულები, პატიოსნები და შრომისმოყვარეები.

პროფესორი, პედიატრი
ირაკლი ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ პეტრეზე, ბუნებრივია, ადრეც ბევრი რამ მსმენია. პირადად არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს არ ვიცნობდი. მათთან დაახლოება 1992 წელს დაიწყო. ეს წელი საქართველოში დატრიალებული უბედურების ათვლის წერტილად არის მიჩნეული. მე, როგორც ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერი და თანამშრომელი, ამავე დროს ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების – IGFM და Amnesti International _ ის წევრი, ჩემს მოვალეობად მივიჩნევდი დახმარება გამეწია უსამართლოდ დევნილი ოჯახებისათვის. ეს, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ამ ოჯახთან დაკავშირებით, ოჯახის დიასახლისის, ნუციკო ტატიშვილი-გელბახიანის ინიციატივითა და აქტიურობით მოხდა. დახმარებისათვის მან მომმართა და მალე ეს დახმარება უკვე თბილ დამოკიდებულებაში, მეგობრობასა და დიდ სულიერ თანადგომაში გადაიზარდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ პეტრე გელბახიანს გაუტეხელი სული ჰქონდა, ქედი ვერ მოადრეკინეს, ბეჭებზე ვერ დასცეს, "საფიხვნოს თავში" მჯდომი კაცი ბნელ ჯურღმულებში გაამწესეს, მაინც ვერ მოკაკვეს, ვერ დააპატიმრეს, რჩეულ საზოგადოებაში ტრიალს მიჩვეული მკაცრ კოლონიაში გადაისროლეს, მაგრამ ღირსება ვერ შეულახეს, ვაჟკაცურად მოიხადა 14 წელი... იქაც პირველი იყო, ჭკუა ეკითხებოდა, იქაც დასტაქარი იყო, შრომაც არ ითაკილა, მძიმე ფიზიკური შრომა, კაცურად გაიარა უმძიმესი გამოცდა, ოჯახს დაუბრუნდა. მაგრამ, ვაი, რომ მტანჯველ მოლოდინს ვერ გაუძლო ერთგულმა მეუღლემ და მალე გამოეცალა. ეს პირველი დიდი დანაკლისი იყო გელბახიანების ოჯახისათვის.

იმ ავადსახსენებელ წლებშიც, როცა მე იგი გავიცანი, განცვიფრებული და აღფრთოვანებული დავრჩი მისი პიროვნებით. მიკვირდა, თუ როგორ ინარჩუნებდა ღირსებასა და მხნეობას ყველა სიტუაციაში, როგორ იცავდა ეტიკეტს არაოფიციალურ მეგობრულ სუფრასთან საკუთარ თუ

ნაქირავებ ბინაში და ფიზიკურად უკვე დასუსტებული, მაგრამ სულიერად მხნე და ძლიერი, ძირითადად მანდილოსნების, ნუციკოს ერთგული მეგობრების გარემოცვაში, შვილისა და შვილიშვილის უსასრულო მოლოდინში, ჩვეული გალანტურობით წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს და უძღვებოდა ჩვენს მოკრძალებულ სუფრას.

ჩვენ, მანდილოსნებს (რომელთა რიცხვს უკვე მეც ვეკუთვნოდი) შესანიშნავად გვქონდა გაცნობიერებული ერის გასაჭირი, არც გამბედაობა და პოლიტიკური ანალიზის უნარი გვაკლდა, მაგრამ ამას ყველაფერს... ნამდვილი ქალური უხვსიტყვაობაც ახლდა თან.

მიუხედავად ამისა, უნდა გენახათ, როგორ უყვარდა ბატონ პეტრეს ჩვენს წრეში ყოფნა. ხშირად სიცივისაგან სამზარეულოში შეყუჟულები, სიგარეტის ბოლში გახვეულები დაუსრულებლად ვკამათობდით, ვმსჯელობდით. ყველაფერს იტანდა, ამ კვამლიან, გაბოლილ ოთახს, ჩვენს ყაყანსაც, მაგრამ ზოგჯერ სიტყვის ჩართვის უფლებას რომ არ ვაძლევდით, განაწყენდებოდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი "დისკუსიის" დროს, უცებ გაგვაჩუმა, რადგან მოულოდნელი კითხვით მოგვმართა:

– აკადემიკოსი ალადაშვილი გაგიგიათ?

– დიახ, ბატონო პეტრე.

– წინამძღვრიშვილი?

– კი, რა თქმა უნდა.

– ჰოდა, ისინი ისეთ პატივს მცემდნენ, როცა ოთახში შევდიოდი, ფეხზე დგებოდნენ და თქვენ რაღა დაგემართათ, სიტყვის თქმას რომ არ მაცლით!

ჯერ შევცბით, მერე კი სიცილი წაგვსკდა. ხშირად ვიგონებთ ამ ნათქვამს.

იმ ბოლო წლებში, როდესაც მის გვერდით ვიყავით, დიდ ინტერესს იჩენდა ბოლოდროინდელი მოვლენებისადმი, ეროვნული მოძრაობისადმი. ერთხელ მთხოვა ზუსტად მიმეწოდებინა მისთვის ყველა მოვლენის თარიღი უახლესი ისტორიიდან, მინდა ჩემს მოგონებებში ჩავრთოო.

ასეთივე არაჩვეულებრივი იყო მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობისადმი. ჩემი ქალიშვილი, რომელიც მაშინ

სკოლის მოსწავლე იყო, საათობით იჯდა და ესაუბრებოდა ბატონ პეტრეს და წარმოიდგინეთ, ბავშვს არ ბეზრდებოდა და საინტერესოდ მიაჩნდა ეს ურთიერთობა.

მე, რა თქმა უნდა, ბატონ პეტრეს პროფესიულ მოღვაწეობაზე ვერაფერს ვიტყვი და ვერ შევაფასებ მას, ამაზე სხვები იტყვიან და ბევრი უკვე ითქვა, მაგრამ მე შემიძლია მის ადამიანურ თვისებებზე ვილაპარაკო. ძალიან გამახარა ამ წიგნის გამოსვლის იდეამ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობა უნდა იცნობდეს პეტრე გელბახიანის პიროვნებას, მათ უნდა გაიცნონ იგი ისეთი, როგორიც ჩემს მეხსიერებას შემორჩა – ამაყი, ძლიერი, პრინციპული და გაუტეხელი.

ციცი გაბესკირია

გამოსათხოვარი

დიდი ფრანგი მწერალი სარტრი ბრძანებდა: ადამიანი არის არა ის, რაც არის, არამედ, რასაც აკეთებს იგი. ბატონი პეტრეს საქმიანობისა და თავდადებული შრომის არსი საქართველოში უმაღლესი განათლების სრულყოფა იყო.

ჩვენ, სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლები, ამას ყოველთვის ვგრძნობდით და უაღრესად კმაყოფილები ვიყავით ამით.

საქმიანობის ფართო სარბიელზე, რომელიც ბატონი პეტ-რესათვის იყო განკუთვნილი, იგი ყოველ ნაბიჯს ათასჯერ ზომავდა. სწრაფი და მოუფიქრებელი რეაგირება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს მისთვის არ იყო დამახასიათებელი.

უწესო ხალხს ბატონი პეტრე სათოფეზე არ იკარებდა, ხოლო პატიოსანი, მშრომელი ადამიანისათვის ბევრ კეთილ საქმეს აკეთებდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის არაერთი თანამშრომელი და მათ შორის მეც, დიდად დავალებულნი ვართ მისგან. აქვე უნდა ითქვას, რომ

მისი უანგარო დახმარება, ძველი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ყოველთვის იყო "უჩინო" და არა პოპულიზებული, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მოხდა საშინელი უკუღმართობა, ბატონი პეტრე დააპატიმრეს და მისი ოჯახი აიკლეს. ყოველივე ამას მოგვიანებით მისი შვილისა და შვილიშვილის დაპატიმრებაც მოჰყვა. ციხის საკანში მჯდომ მოხუცს ყოველგვარი ავი დასწამეს, მაგრამ მისგან ცრუ აღიარება ვერაფრით ვერ მიიღეს.

მაინც რატომ დასაჯეს ასე უღმერთოდ ეს პატიოსანი ადამიანი? ალბათ, იმიტომ, რომ იგი არ იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს უსიტყვო მონა და ყველაფრის აღმასრულებელი. რიგითი სახელმწიფო მოხელის ფარგლებში იგი ვერ ჩაეტია თავისი იდეების განსახორციელებლად. დამოუკიდებელ საქმიანობას არასოდეს არ მორიდებია. ცნობილია, რომ ფრინველზე მონადირე, თავის მსხვერპლს, მხოლოდ მაშინ ესვრის, როდესაც იგი დედამიწიდან აფრინდება და ამაღლდება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ როდესაც ბატონი პეტრე თავისი საქმიანობით ამაღლდა, იგი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ღირსეულად იცხოვრა ამ ქვეყნად ამ დიდმა ადამიანმა და ასევე ღირსეულად შეხვდა სიკვდილს.

წავიდა იმ ქვეყნად, დაგვიტოვა თბილი მოგონება და აგრეთვე, სიამაყე მისი კაცური კაცობის გამო.

საქართველოს სამედიცინო
აკადემიის აკადემიკოსი
ბ. რაჭველიშვილი

7.03. 2005 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია აუღელვებლად ილაპარაკო ისეთ დიდ პიროვნებაზე, როგორიც იყო ბატონი პეტრე გელბახიანი. მე ის გავიცანი 1947 წელს, როდესაც მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტში. მაშინ ინსტიტუტი დამოუკიდებელი იყო და მისი რექტორი დახლდათ საქართველოში ფარმაციის ფუძემდებელი, აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე. მას გვერდში ედგნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ბატონები: პეტრე გელბახიანი, ვლადიმერ ასათიანი, არისტრახ მშვიდობაძე, ვალერიან შოთაძე, პავლე ჭუმბურიძე და სხვები.

ბატონი პეტრე ამ პერიოდში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი და წამლის ფორმათა და გალენის პრეპარატების ტექნოლოგიის კათედრის გამგე. ბატონი პეტრე სტუდენტების მიმართ იყო ძალზე ყურადღებიანი, მომთხოვნი, უყვარდა წესრიგი, დისციპლინა, ცოდნას არ დაუკარგავდა სტუდენტს და საკითხს ყოველთვის წყვეტდა სტუდენტის სასარგებლოდ. შემდგომში ფარმაცევტული ინსტიტუტი შეუერთდა სამედიცინო ინსტიტუტს; მე ამირჩიეს ფარმაცევტული ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნად, ბატონი პეტრე გვაძლევდა რჩევებს, ყოველთვის თხოვნისთანავე ესწრებოდა სხვა კათედრის გამგეებთან ერთად ფაკულტეტის ბიუროს სხდომებს და აქტიურ მონაწილეობს იღებდა მის მუშაობაში.

რესპუბლიკაში ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის ცვლილებასთან დაკავშირებით, როცა კ.ჩარკვიანი შეცვალა ა.მგელაძემ, ყველას, ვინც შეთავსებით მუშაობდა ორ თანამდებობაზე, მისცეს წინადადება, დაეტოვებინათ ერთერთი; ბატონმა პეტრემ მეცნიერება აირჩია და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ჯერ იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი და შემდგომში ამავე ინსტიტუტის რექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ბატონი პეტრე იყო მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი. ძალიან უმნიშვნელო სიტყვაა უფროსი. ის იყო შეუდარებელი მმართველი, რომელმაც ისიც კი იცოდა, რომელ სოფელში ვინ მუშაობდა აფთიაქის მმართველად. ყოველთვის მთელი ძალისხმევით შრომობდა ფარმაციის მუშაკთა პროფესიული ცოდნისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, ჩაატარა მთელი რიგი რეფორმები: საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე კადრები, რომლებიც მუშაობდნენ პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კატეგორიის აფთიაქის მმართველებად, შეცვალა უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე კადრებით, ხოლო მეხუთე, მეექვსე კატეგორიის აფთიაქებში დატოვა საშუალო ფარმაცევტული განათლების მუშაკები. "აფთიაქის მმართველი" ეწოდა ყველას, ვინც მართავდა აფთიაქს პირველიდან მეექვსე კატეგორიამდე. ბატონმა პეტრემ პირველმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით შემოიღო დარაიონების სისტემა. რაიონის ცენტრში არსებულ აფთიაქს ეწოდა რაი-ცენტრის აფთიაქი და მის მმართველს ემორჩილებოდა რაიონის ყველა აფთიაქი. ეს სისტემა შემდეგ გავრცელდა მთელს საბჭოთა კავშირში.

ბატონ პეტრეს ჰქონდა ერთი მტკიცე ჩვეულება მთავარი სააფთიაქო სამართველოს უფროსად მუშაობის პერიოდში - ახალდამთავრებულ სტუდენტს აგზავნიდა სამუშაოდ რაიონში, თბილისში არავის ტოვებდა, მხოლოდ, თუ გადმოყვანას დაპირდებოდა, არასოდეს დაივიწყებდა და სიტყვას შეასრულებდა. დიდ ყურადღებას იჩენდა ახლადდამთავრებული და ახლადდანიშნული კადრების მიმართ. მე, პირადად, მისი დიდი მადლობელი ვარ. როდესაც დავამთავრე ინსტიტუტი 1951 წელს, განაწილებით გამგზავნა სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ სოფელში და დამავალა, რომ დაბა კვაისაში, სადაც ტყვია-თუთიის და ბარიტის საბადოები იყო, გამეხსნა ახალი აფთიაქი და დავალება მისცა სათანადო განყოფილებებს, ყოველნაირად შეეწყოთ ხელი ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მედიკამენტების მომარაგებაში, რაც დროულად იქნა შესრულებული. ბატონმა პეტრემ გამომიძახა, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეწინაურებინე იმ პერიოდში შექმნილ ქუთაისის ოლქში, მაგრამ ხელისშემშლელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ მე არ ვიყავი კომუნისტური პარტიის წევრი.

ბატონი პეტრე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს სამედიცინო და ფარმაცევტულ საზოგადოებაში, არამედ მაშინდელ საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირთა შორისაც. როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში ვმუშაობდი მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მიხდებოდა ურთიერთობა საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროსთან, მას ყოველთვის დიდი პატივით მოიხსენებდნენ მინისტრის მოადგილე პ.გერასიმოვი, საკავშირო მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი მ.კლუევი, აკადემიკოსი ტენცოვა და სხვები. არ სჯეროდათ მისთვის წაყენებული ბრალდებები, ან კი ვის სჯეროდა! ჩემი აზრით, ეს იყო პირადი ინტერესების გამო შეთითხნილი ბრალდება. მათ ავტორს ხალხმა შეარქვა სატანა და მას ღმერთი სათანადოდ დასჯის.

პროვიზორი ნოდარ ზაბახიძე

"პატიებისათვის ქედს ნუ მოხრი, ჯერ არ ყოფილა ქმნილი არქმნილი, აგრეთვე არქმნილი ქმნილი"

ომარ ხაიამი

ბატონი პეტრე

მაღალი, ჯანმრთელი, ნათელი სახის, კარგი მოსაუბრე – ასე იცნობდნენ მას თბილისში, მთელ საქართველოში და საქართველოს გარეთაც (მკაცრი რეჟიმის კოლონიებშიც კი). რასაც, ალბათ, დაცინვით შრომა-გასწორების დაწესებულებები ჰქვია.

პირადად მე პეტრე გედევანის ძე გელბახიანი გავიცანი სამოციანი წლების დასაწყისში – მას შემდეგ, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ვიყავით. ხშირად ვხვდებოდით სესიებზე, პლენუმებზე, სამეურნეო აქტივის კრებებზე. გვერდი-გვერდ აღმოვჩნდებოდით ხოლმე. იგი ურთიერთობაში თავდაჭერილი და უაღრესად დელიკატური იყო. ბევრი გვისაუბრია საჭირბოროტო საკითხებზე. მისი საუბარი ყოველთვის დინჯი, დამაჯერებელი, მტკიცე და არგუმენტირებული იყო. 1973 წლის იმ ავბედით დღეს მისი დაპატიმრების შესახებ ხმა მეხივით გავარდა. თუმცა გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო, როდესაც ამ ამბავს სპეციალურად ავრცელებდნენ. ჯერ კიდევ გამოძიება არ იყო დამთავრებული, რომ უხეშად ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია. რომელიც გულისხმობს, რომ არავინ შეიძლება იყოს შერაცხული ბრალდებულად სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გარეშე. აჭრელდა გაზეთები, აყვირდა რადიო და ტელევიზია. რა ზღაპრები, ჭორები და ლეგენდები არ ჰქუხდა. დაუმტკიცებელი ბრალდებებისათვის გაკიცხვა პარტიულ და სამეურნეო აქტივის კრებებზე, ცკ-ს პლენუმებზე.

ბატონ პეტრეს ხშირად უთქვამს, რომ მას მხოლოდ ერთი დაუძინებელი მტერი ჰყავდა, არშემდგარი "ფერშალი", ბოროტი და ავი სული – "ღიმილიანი სატანა". ამავე დროს, საკმარისად იყვნენ მოშურნენიც, რომელთაც მისი კარგი

ოჯახიშვილობა, წარმატებები მეცნიერებაში და კაცობაში, მისი გამართული სიარულისა და ახოვანი აღნაგობისადმი შურდათ – რა გამოლევს მოშურნეებს და ავისმთქმელებს.

1982 წლის ივნისში ციხიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადამიყვანეს. იმავე "ღიმილიანი სატანის" მითითებით შემითითხნეს "საქმე". მეც იგივე – ერთი მტერი მყავდა და მრავალი მოშურნე, როგორც ბატონ პეტრეს. უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევით "მომაკერეს" 15 წლით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში "გამოსწორება", 2 წლით ხმის უფლების ჩამორთმევა, 4 წლით გადასახლება.

უცნაურია "შავი სამყარო", სადაც ფოსტა ელვის უსწრაფესად მიდის. კოლონიაში თითქმის 1500 პატიმარი დიდი თანაგრძნობითა და გულისხმიერებით შემხვდა: ლაგერში მიყვანისთანავე მსჯავრდებულებს თმას კრეჭენ, შავ ტანსაცმელს ნომრის წარწერით აძლევენ და უფროსთან "გასაუბრების' შემდეგ სამუშაოზე განაწესებენ. მე გამანაწილეს ცხელ საამქროში, სადაც 45 გრადუსზე მეტი სიცხე იყო. მეორე ჯგუფის ინვალიდი, ყავარჯნით მოსიარულე მოვხვდი ჯოჯოხეთში. ბატონი პეტრეს საამქროს გვერდით, სადაც იგი 25 ტონიან პრესზე (დანადგარზე) ბათქა-ბუთქში, ყურებდაცობილი დილიდან საღამომდე მუშაობდა. არავითარი გაცდენა. მას ახალგაზრდობაში მაღაროში უმუშავია და ფიზიკურად და სულიერად ძლიერი იყო. სატანა "ყურადღებას" არ გვაკლებდა. რამდენჯერმე ღამის 2-3 საათზე ჩვენი ბარაკის პატიმრებს წამოგვყრიდნენ და გარეთ რიგში გვაყენებდნენ, ტელევიზიით გვიღებდნენ იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ პარასკევობით ნამდვილად კოლონიაში ვიყავით და იქ გვეძინა. თურმე, ნუ იტყვით, და "ღიმილიან სატანას" ინფორმაცია ჰქონია, ვითომ მე პარასკევობით მივფრინავდი მოსკოვში, შაბათ-კვირას "ვგულაობდი" და შემდეგ ბანაკში ვბრუნდებოდი.

ადმინისტრაციულ კორპუსში (I კორპუსში) პატიმრის მისვლა-მოსვლა "ბოზობად" ითვლებოდა. ამიტომაც არც მე და არც ბატონი პეტრე ამ კორპუსში ნებით არასდროს მივსულვართ. ერთხელ კოლონიის უფროსი ბატონ პეტრესთან მივიდა და განუცხადა – თქვენ გაგათავისუფლეს და მოემზადეთ სახლში წასასვლელადო. ბატონმა პეტრემ სას-

წრაფოდ გაიპარსა, პატიმრებს დაგვემშვიდობა და გასასვლელ კარებთან მისული უკან გამოაბრუნეს – "ზემოდან" დარეკეს, არ გამოუშვათო. ამ ამბავმა მთელი კოლონია აღაშფოთა და წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა თვით რკინის კაცს, რომელსაც ზუსტად ერთი წლის შემდეგ გამოუცხადეს თქვენ თავისუფალი ხართ, ოჯახში შეუთვალეს ტანისამოსი გამოუგზავნეთო.

ისევ "ზემოდან" მითითებით ბატონი პეტრე კოხტად გამოწყობილი, თავისი შლიაპით პატიმრებთან დამშვიდობებული კარიბჭედან უკანვე შემოაბრუნეს, რამაც კვლავ დიდი ტრაგედია გამოიწვია. მისი მეუღლე ქალბატონი თამარი მძიმედ დაავადდა და ლოგინად ჩავარდა. დიდი ბატონი პეტრე უცებ დაბერდა, მაგრამ ისევ შეუძახა თავს და კვლავ 25 ტონიან პრესზე ყურებდაცობილი ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას.

მე და ბატონმა პეტრემ რამდენიმე წელი გავატარეთ შრომა-გასწორების კოლონიაში, უფრო დავახლოვდით, მისი პიროვნება ყოველთვის იყო სამაგალითო. შრომაში, კაცობაში. იგი გულისხმიერად ეკიდებოდა თანამშრომლების თხოვნას (ეს იყო პროფესორი, დოცენტი, დამლაგებელი თუ კარისკაცი) შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა, მან დაიმსახურა პატივისცემა არა მარტო მისი თანამშრომლების, ექიმების დიდი არმიის წინაშე, არამედ შრომა-გასწორების კოლონიის პატიმრებიც დიდ პატივს სცემდნენ, უსმენდნენ მის დარიგებას. განსაკუთრებით ახალგაზრდა პატიმრები. მათ ხატად გაიხადეს ბატონი პეტრე და ჰპირდებოდნენ, რომ ისინიც სასჯელის მოხდის შემდეგ პატიოსან გზას დაადგებოდნენ და მის დარიგებებს არასოდეს დაივიწყებდნენ.

არსებული კანონმდებლობით, პატიმრობის გარკვეული დროის შემდეგ ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა მსჯავრდებული უბადრაგოდ გაეშვა გარე სამუშაოზე. ე.ი. პატიმარი გავიდოდა უბადრაგოდ სამუშაოზე და უკანვე ბრუნდებოდა ზონაში. ამას "პროპუსკი" ერქვა. ეს ერთგვარი "შეღავათი" ნახევრად თავისუფლებას უდრიდა. მაგრამ "ზემოდან" სატანის მითითებით ჩვენზე არ ვრცელდებოდა, ვითომდა იმ მოტივით, რომ ბატონი პეტრე ხანდაზმული იყო, მე კიდევ II

ჯგუფის ინვალიდი და ჩვენ ჯანმრთელობას "უფრთხილდებოდნენ", რის გამოც გარე სამუშაოზე ვერ გამოგიყენებთო. მაგრამ, ამავე დროს, ბატონი პეტრე უმძიმეს პრესზე მუშაობდა, მე კიდევ როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაუსაძლისად ცხელ საამქროში. ეს ხომ აშკარა ბოროტი დაცინვა იყო.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ, ყოველთვის ასე არ ყოფილა. გავიდა ხანი და 1985 წელს ბატონი პეტრე გამოვიდა ჯოჯოხეთიდან, სულ მცირე ხანში, მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი გარდაიცვალა. "სატანამ" არ მოისვენა და ასევე შეთითხნილი ბრალდებებით შვილიშვილი – უმცროსი პეტრე გელბახიანი პერპექტიული კალათბურთელი და ექიმი "ზემოდან" მითითებით გარიცხეს გუნდიდან იმ მოტივით, რომ ბაბუა პატიმარი ჰყავდა, შემდეგ კი რამდენიმე წელიწადში დააპატიმრეს; ასევე მის ვაჟიშვილს გედის მიაკერეს "საქმე" – ისიც დააპატიმრეს. მაგრამ არაკაცებმა მაინც ვერ გატეხეს გელბახიანების ძირძველი და ტრადიციული ოჯახი. აფერუმ ქალბატონ ნუციკოს, რომელმაც ამდენ ჭირ-ვარამს გაუძლო, ოჯახი შეინარჩუნა და ფეხზე დააყენა.

ბატონი პეტრე ბოლოს რომ ვინახულე, ფეხი ჰქონდა მოტეხილი. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ბევრი გვქონდა ურთიერთსათქმელი. შემდეგ მე კარგა ხნით რუსეთში წავედი საცხოვრებლად და ვწუხვარ, რომ მის დაკრძალვას ვერ დავესწარი.

მან თავისი საქმიანობით, დისციპლინით, კაცობით ნათელი კვალი დატოვა მადლიერი ხალხის გულში, ნათელში იყავით, ბატონო პეტრე. თქვენს საქმეს დავიწყება არ უწერია.

ფ.ანანიაშვილი
05.03.2005 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში ხდება პარადოქსები - რომ არა ის ჯიბეში უბედურება, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ თითქმის ერთდროულად დაგვატეხა თავს ბატონ პეტრე გელბახიანსა და მე, მიხეილ ბაბუნაშვილს, არ მექნებოდა ბედნიერება (თუ კოლონიაში ყოფნას ბედნიერება შეიძლება დავარქათ) ოთხი წელი ვყოფილიყავი დიდი პეტრეს გვერდით, გამეყო ჭირი და "ლხინი" მასთან, უშუალოდ გავცნობოდი ამ ბუმბერაზ პიროვნებას ყოველდღიური ყოფის და ერთ ბრიგადაში მუშაობის პირობებში.

უბედურებაში მყოფი ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინ უდგას გვერდით ავჟამიანობის დროს. ბატონი პეტრეს პიროვნებამ, უდრეკმა ხასიათმა ასეულობით რიგით ადამიანს გაუადვილა იმ ჭირის გადატანა, რაც ე.შევარდნაძემ "აჩუქა" ქართველ ხალხს. ბატონი პეტრე იყო ის ბურჯი, რომელმაც შეუძლებელი შეაძლებინა ასობით უდანაშაულოსა თუ დამნაშავეს.

ბატონი პეტრე გელბახიანი განუმეორებელი, უნიკალური პიროვნება იყო. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ათასობით ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ დიდი პეტრე გელბახიანი ყველასაგან გამორჩეული იყო. მას ბედმა დიდკაცობა, ზნეკეთილი ადამიანობა, პროფესიონალიზმი, ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი უბოძა, არგუნა. მთელმა საქართველომ (და არა მარტო) იცის ამ ბუმბერაზი ვაჟკაცის ავტორიტეტის, იმიჯის შესახებ. საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი – აი, პეტრე გელბახიანის ღვთისაგან ბოძებული თვისებების არასრული სია.

კოლონიაში ათი წლის მანძილზე ბატონი პეტრე ფიზიკურად შრომობდა. ბრიგადაში იგი ასრულებდა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე სამუშაოს. 25 ტონიან წნეხზე მუშაობდა რიგით მწნეხავად და 8–10 საათის განმავლობაში ყოველ-დღიურად მისი გამრჯე, დაკუნთული ხელები ტონობით მეტალს ამუშავებდა. არაერთ შეთავაზებას კონტროლიორად გადაყვანის თაობაზე, კატეგორიული უარით პასუხობდა. უდანაშაულოდ დაპატიმრებულს და დასჯილს არ სურდა რაიმე პრივილეგია მიეღო.

საქართველოს დაქცევა ე.შევარდნაძემ 1965 წლიდან, მს მინისტრად დანიშვნის დღიდან დაიწყო. მისებური კადრების შერჩევა (მასზე დაბალი ინტელექტი (!). კრიმინალური წარსული და აწმყო, მლიქვნელობა, უსიტყვო მორჩილება) და მასზე მაღალი ინტელექტის ადამიანის მოსპობა, აი, ის კრიტერიუმები, რომლებმაც ასეულობით მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, წარმოების მუშაკი შეიწირა. მისმა "აღზრდილმა" კადრებმა 1972-1984 და 1992-2003 წლებში მისი მეთაურობით საბოლოოდ გააჩანაგა ქვეყანა. მახსოვს ბატონი პეტრეს მონაყოლი: 1970-71 წლების შეიქმნა ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა აკადემიკოსი პეტრე გელბახიანი. ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობისას ამ კომისიის რიგითმა წევრმა ე. შევარდნაძემ დაუწყო სწავლება კომისიის სხვა წევრებს, ცნობილ მეცნიერებს საკითხებზე, რომლებზედაც მას ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ბატონმა პეტრემ, მისთვის ჩვეული ტაქტით, მიუთითა ე.შევარდნაძეს, რომ ნუ ერეოდა მისთვის გაუგებარ საკითხებში. სწორედ ეს და ბატონი პეტრეს დიდი ინტელექტი, მისი ინტელიგენტურობა, ავტორიტეტი გახდა ერთ-ერთი მიზეზი ბატონი პ.გელბახიანის იზოლაციისა ე.შევარდნაძის მიერ.

ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს შორის ხშირად იყო გულღია საუბარი. ბატონ პეტრეს ერთხელაც არ გამოუთქვამს საყვედური განვლილი ცხოვრების არც ერთ დღეზე. ის დამსახურებულად ამაყობდა თავისი წარსულით, თავისი მოღვაწეობით. მხოლოდ ორჯერ გამოსთქვა სინანული: ვერ პატიობდა თავის თავს, რომ ე.შევარდნაძის პირველ მდივნად დანიშვნისას, ის, როგორც ცკ-ს წევრი, პლენუმზე არ გამოვიდა წინააღმდეგი.

ჩვენ ყველას გვახსოვს ამაყი, წელგამართული, ადამიანის თვალებში პირდაპირ მაყურებელი დიდი პეტრე. ჰქონდა კიდეც საამაყო: ქალბატონი თამარი, რომელსაც აღმერთებდა, ბატონი გედი და ქალბატონი ნუციკო, რომლებითაც ამაყობდა, უმცროსი პეტრე, ყველანი გვერდში ედგნენ იმ ავად სახსენებელ დროს. ბატონ პეტრეს ბევრჯერ შესთავაზეს დაეწერა ე.წ. პატიება, ელიარებინა არარსებული დანაშაული თავისუფლების საზღაურად. მე ვადასტურებ,

რომ არც მეუღლეს, არც შვილსა და რძალს, არც შვილიშვილს არ გამოუთქვამთ საყვედური ბატონი პეტრეს მიმართ პატიებაზე უარის თქმის გამო.

აღსანიშნავია, რომ ე.შევარდნაძე აშკარად შეეცადა დაემცირებინა პ.გელბახიანი მისი დაპატიმრებით. ბატონი პეტრეს ავტორიტეტი იმ წლებში არნახულად გაიზარდა. შეინარჩუნო პატივი, წონა, ადამიანობა იმ გარემოცვაში, ეს ერთეულების ხვედრია. ვიყენებ ცნობილ გამოთქმას: "დიდი კაცი აფრიკაშიც დიდი კაცია."

ე.შევარდნაძემ ბატონ პეტრეს არ შეახო კანონით გათვალისწინებული არც ერთი შეღავათი. უკანონოდ დასჯილმა სრულიად მოიხადა უკანონო სასჯელი. ჰემინგუეისა არ იყოს ბატონი პეტრეს სულს ქონი არასოდეს მოეკიდება.

მიხეილ ბაბუნაშვილი
თბილისი, 9 მარტი, 2005 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძვირფასო მკითხველო, ეს წიგნი ნაშრომი ასახავს ჩემი მამის, პეტრე გელბახიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობის გამო, ცხოვრების ბოლო წლები და დღეები მან ჩემი და ჩემი შვილის, პეტრეს გარეშე გაატარა. ჩემი მეუღლე, რომელმაც შეძლო მისი ცხოვრების ტრაგიკული წლების გადმოცემა, მისი თითქმის ერთადერთი დასაყრდენი იყო და მასთან ერთად გაატარა ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი უმძიმესი პერიოდი.

მშობლების გახსენება მათი გარდაცვალების შემდეგ ყოველთვის მძიმეა, რთულია იმის გაცნობიერება, რომ მათ ვეღარასოდეს ნახავ და ამავე დროს მუდმივად გენატრებიან. სასაფლაოზე მისვლა თითქოს ამშვიდებს ადამიანს.

ბავშვობისას მამა ჩემთვის რაღაც შორს მყოფი ადამიანი იყო, რომელსაც იშვიათად ვხედავდი. მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგაც სტალინის ეპოქაში თანამდებობის პირები (მამა საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს უფროსი იყო) სამსახურში იყვნენ მთელი დღე და უმეტესად ღამეც. შემდგომ წლებში, როცა მე სკოლას ვამთავრებდი და სამედიცინო ინსტიტუტში ჩავირიცხე, მამა სამედიცინო ინსტიტუტში კათედრის გამგე იყო, ხოლო შემდეგ ინსტიტუტის რექტორი გახდა. სწორედ ამ წლებში მე და მამას ძალიან დიდი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. შემდეგ დაიწყო ჩვენი ოჯახისათვის უმძიმესი წლები, გამოწვეული მამას დაპატიმრებით. მე შეძლებისდაგვარად ვახერხებდი კოლონიაში მის ნახვას და არასოდეს არ შემიტყვია მისთვის სულის გატეხა და უიმედობა, ის პირიქით, გვამხნევებდა. დეპრესიაში ჩავარდნილ ბევრ პატიმარს უწვდიდა მორალური დახმარების ხელს და შველოდა მძიმე სენისაგან. როდესაც მამა 14 წლის პატიმრობის შემდეგ სახლში მომყავდა, გზაში

მითხრა: "გედი, ისეთი განწყობა მაქვს, თითქოს ერთი დღეც არ ვყოფილვარ ციხეშიო."

გული მტკივა, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებში მე და ჩემი შვილი, პეტრე მის გვერდით ვერ ვიყავით. ჩემმა მეუღლემ და უამრავმა ადამიანმა, რომლებიც ჩემს მეუღლეს, ნუცა ტატიშვილს, გვერდით ედგნენ გაჭირვების წლებში, მამა ნაქირავები ბინიდან გააცილეს უკანასკნელ გზაზე.

და ბოლოს, ამ წიგნის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი ოჯახის მძიმე წლები გაითავისა და ყველას, ვინც ამ წიგნის შექმნაში შეიტანა თავისი წვლილი.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ბატონი ალიოშა ბაკურიძის მიმართ, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ წიგნის გამოცემაში.

გედი გელბახიანი.
12.05. 2005 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი ქ.ჭიათურაში გამსვლელ სამეცნიერო-პრაქტიკულ სესიაზე საქართველოს მედიცინის წამყვან სპეციალისტებთან ერთად



პ.გელბახიანი მეუღლე თამართან და პროფ. გ.შოთაძესთან ერთად ნიაგარასთან (1960 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პ.გელბახიანი მეუღლე თამართან ერთად ნიაგარასთან.

პ.გელბახიანი შვილთან გედევანთან, რძალთან ნუციკოსთან და დებთან იულია და ლეონინასთან ერთად სოფ. ბუნიკაურში (1987 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. დ.საყვარელიძე, აკად. ირ.ტატიშვილი, პროფ ლ.ავალიანი და პ.გელბახიანი (1958 წ.)



პ.გელბახიანი კათედრის თანამშრომლებთან ერთად სამეცნიერო ლაბორატორიაში (1937 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გულბახიანი აკად. კ.ერისთავთან, აკად ვ.ასათიანთან და აკად ი.ფაღავასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი და პროფ. მიხეილ ჩაჩავა
1 მაისის დემონსტრაციაზე (1969 წ.)

პ.გელბახიანი მეუღლესთან და
შვილიშვილებთან ერთად ლიკანში (1969 წ.)

პ.გელბახიანი საფრანგეთში (1970 წ.)

პ. გელბახიანი ნიუ-იორკში (1970 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი (უმცროსი) თავის მეუღლესთან ლელასთან
და შვილებთან ერთად. 2002 წლის სექტემბერი

პ.გელბახიანის შვილიშვილი თამარ გელბახიანი
მეუღლესთან – ირაკლი კიკალიშვილთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანის შვილთაშვილები თინათინი, ოთარი, გედი და დავითი

პ.გელბახიანი შვილთასვილებთან – გედი და დავით გელბახიანებთან ერთად
1992 წელი

პ.გელბახიანი 1969 წლის 1 მაისის დემონსტრაციაზე სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ერთად

პ.გელბახიანი ოჯახის წევრებთან: მეუღლესთან, შვილთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად წყნეთის აგარაკზე (1972 წ.)

პ.გელბახიანი მეუღლე – თამართან და შვილიშვილ თამრიკოსთან ერთად ლიკანში 1970 წლის იანვარში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ლ.საყვარელიძე, აკად. ს.ხეჩინაშვილი, პ.გელბახიანი, აკად. ე.ფიფია, პროფ. ს.კობალაძე ვარშავაში, 1970 წ.

პ.გელბახიანი, აკად. ე.ფიფია, აკად. ს.ხეჩინაშვილი, აკად. ლ.საყვარელიძე ვარშავაში, 1970 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი და აკად. კ.ერისთავი მეგობრულ სადილზე (1961 წელი)

პ.გელბახიანი, პროფ. დ.ბერეჟიანი და აკად. კ.ერისთავი
მეგობრულ სადილზე (1961 წელი)

პ.გელბახიანი ათენში, აკროპოლი, 1964 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი ვაშინგტონში, ამერიკის სამედიცინო
სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, 1970წ.

შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემა სამედიცინო ინსტიტუტში
1971 წლის დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი ინდოეთში, ტაჯმაჰალი
1959 წლის თებერვალი

პ.გელბახიანი და პროფ. ს.კობალაძე
ავსტრალიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი 8 მარტის აღსანიშნავ შეხვედრაზე სამედიცინო დარგის წამყვან ქალბატონებთან ერთად, 1970 წლის 8 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი სამედიცინო დარგის
წამყვან სპეციალისტებთან ერთად, 1970 წლის 8 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი მედიცინის მუშაკთა სახლში სამედიცინო დარგის
წამყვან სპეციალისტებთან ერთად, 1970 წლის 8 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ.გელბახიანი, აკად. ა.ზურაბაშვილი, აკად. ლ.ერისთავი, ვ.გოგოძე, აკად. ნ.ჯავახიშვილი, პროფ. გ.ხუნდაძე, აკად. ლ.საყვარელიძე, აკად. მ.კომახიძე, პროფ. ს.კობალაძე სამეცნიერო სესიაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი პირველი ——————————————————— 5

ნაწილი მეორე ——————————————————— 207

მოთმინებამ გაუძლოს ——————————————— 211

წერილები ——————————————————— 218

პ.გელბახიანის აზრები და გამონათქვამები ———— 226

მოგონებები პ.გელბახიანზე ——————————— 228

ბოლოთქმა ——————————————————— 275

დანართი ——————————————————— 277

ნუციკო გელბახიანი

პეტრე გელბახიანი იყო შესანიშნავი მამა, მეუღლე, მამამთილი, ბაბუა და მეგობარი. დიახ, იგი ჩემი მეგობარი იყო, უერთგულესი მეგობარი.

ბედნიერად ჩავთვლი თავს,თუ ეს წიგნი ოდნავ მაინც მიუახლოვდება პეტრე გელბახიანის ნამდვილ პორტრეტს და მის კოლეგებს, მოწაფეებს, ნათესავებს და მეგობარს მოაგონებს მის მიერ განვლილ რთულ, და, ამავე დროს, მეტად საინტერესო ცხოვრების გზას.

მანანა მიხაილოვა

ბატონი პეტრე 80 წლის ასაკში გავიცანი, 1993 წლის გაზაფხულზე. გელბახიანების ოჯახის მიერ გაღებული მსხვერპლი გახდა მიზეზი ჩემი შეხვედრისა ბატონ პეტრესთან. მას ამშვენებდა მებრძოლი და ამაღლებული სული განფენილი ფიზიკურ სხეულში, ბრწყინვალე მეტყველება, დახვეწილი მანერები, ძალა სიტყვისა. ბატონი პეტრე შემოქმედებითი ბუნების ადამიანი გახლდათ. ის დაბადებიდან ასეთი იყო, ასე გაიზარდა და ამიტომ უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთებას.

ადამიანთან, მით უფრო ძლიერ პიროვნებასთან, ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა გარკვეულ შეხედულებას აყალიბებს. ისმება კითხვა: - რატომ დააპატიმრეს ბატონი პეტრე და რატომ მოწყვიტეს საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს მისთვის ყველაზე აქტიურ პერიოდში. პასუხი: - ქართული სული ხმიანობდა მასში.